

72



# გეომეტრიკა

9

1972

# პნათოკი

საქართველოს  
პენსიონერების  
კავშირების  
კავშირების  
კავშირების

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი 48-ე

№ 9

სექტემბერი, 1972 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## პენსიონერი

### შოქვა რუსკულიკების კოფიკი

შოქვა რაიფი — ოტომობილი	3
რასულ რა — ბაზაფხული	4
შირვარიდ დილბაჯი — დრო და კოფიტი	5
ბაჰთიარ ვაჰაბზადე — სტუმარი	6
ნიგარ რაფიზადი — ბანდოკობა	6
ნაზი ხაჯი — დღითიღო	7
აჭერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერატეშ	
შიქაელ შუშუმი — ხიდი	9
ალა ლანინი — გზა ჩიმი ცხოვრებისა	10
ოსმან სარიპელი — შოქვი ნიხა	11
საბირ რუსტამხანი — ჩიმი იმედი	11
აჭერბაიჯანულიდან თარგმნა პესიკ ხარანაულმა	
აოლინარაჰე კაბაბადე — შოქვა დემეტრე შიური. პესიკ. დანასტული	13
ლეჰან გოთუა — თრიალეთური ლანდები. მოთხრობა	31
შაშია ვარჟანიძე — ლექსები	52
ჯურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები	53
თეიმურაზ ჯანაშვილი — ლექსები	55
ჯაჰარია შირაზდოშვილი — ლექსები	57
ნოღარ აბოშვილი — ლექსები	59
გორის მებრძოლი — ლექსი	59
აბან დავითაძე — ლექსები	60



ღია ასათიანი — ლექსები	62
მურმან ხურცილაძე — ლექსები	63
ანჟორ აბულაშვილი — ლექსები	65
ავთანდილ ხარბიშვილი — ლექსები	66
ოტიან იოსელიანი — ხარკუნიში, სეანური ნოველა	67
ოთარ ჩიჯავაძე — თვითმკვლელები, რომანი, ნაწილი მეორე, გაგრძელება	75
ვანო ურჯუშვილაშვილი — ფერიკვალიზა, რომანი, ნაწილი მეორე, გაგრძელება	103



**სსრკ 50**

3. ზაქარაძე — ამიერკავკასიის სოციალისტური ეკონომიკური განვითარების თანამშრომლობა	113
--	-----

**კრიტიკა და კუბლიცისტიკა**

✓ თამაზ შილაძე — ტრადიციისა და დრო	121
ჯანსუღ ღვიწვილია — სინათლეზე სავსე მხეხარა	125
რამაზ მიწველაძე — გალაკტიონე ტაბიჭის კომედიები	135
შოთა ნოზაძე — საბჭოთა საპარტიო-სოციალისტური კავშირის საზღვარ-გარეთთან (1921-1937 წ.წ.)	150
ღვინთა ლაშქარაძე — ევროპეიზმის პრობლემა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში	159

**მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა**

რამაზ პატარიაძე — ქართული ასომთავრული, დამსწერილი	170
---	-----

**წიგნების მიმოხილვა**

ნოზარ ჩუხაძე — „50 წელი საპარტიო-სოციალისტური მუშაობისათვის“	189
--	-----

შთაფარი რედაქტორი ელგუჯა მღვინიაძე

ს რ კ დ ა მ ც ი ი მ კ მ ლ ე მ ბ ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამყარაძე-შვილი, მ. ლეონიძე, ზ. მღვინიაძე, ა. სულბაძე-რი, ა. ქუთათელი, ე. შიშინი, (პ/მგ. მდივანი), ს. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი, ვ. წულუკიძე, მ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაპუჩაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11.  
პ/მგ. მდივნის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 18/VII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IX-72 წ., ანაწილის ზომა 7/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-სავაჭრომცემლო თაბახი 12.  
უე 02014. ტირაჟი 13.150. შეკვ. 2488.  
საქ. კვ ტყ-ის გამოცემლობის სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





მომხი რესპუბლიკების

პოეზია

მამედ რაქიში  
აზერბაიჯანის სახალხო პოეტი

### ქაზობანი

შენ ყველა ხალხის მძლავრი ნება ხარ,  
იცი ავის და კარგის გარჩევა,  
ო, ოქტომბერო, მხოლოდ შენა ხარ,  
თავისუფლება და გამარჯვება!

უშენოდ იქნებ მთელი ხმელეთი  
გადამდნარიყო სევდა-ნაღველად...  
ხალხს არ სტოვებდა ელეთმელეთი  
და ხვამიადის სძულდა გამხელა.

ცხოვრება იყო ძნელი და მძიმე,  
ცხოვრება იყო ტანჯვა კაცისა,  
მაშინ მდიდარი ნიშნავდა ძლიერს,  
იდგა დღეები სიაკვაცისა.

და მხოლოდ შენით გაგვეხსნა ზეცა,  
შენმა და შენი ხალხის მარჯვენამ  
გამოაბრწყინა უზადო დღე და  
მან მოგვიტანა ეს გამარჯვება!

დღეს ჩემს ოთახშიც შენი შუქია,  
შენ გაუცრიცე ჩადრი უკუნეთს,  
და სიხალისე ქვეყნად თუკია  
შენ გიმადლოდეს ეს საუკუნე.

შენ ააყვავე ქვეყნად ვარდები,  
ნაყოფი ყველა ნერგმა მოისხა,  
ხალხს დაავიწყე გულის დარდები,  
შთაბერე ძალა მეგობრობისა.



შენ დგახარ კართან აღმოსავლეთის,  
ჩემს ვრცელ სამშობლოს ასე დარაჯობ,  
შენ ააყვავე დაბო, სოფელი,  
შენით გამრავლდა ყველგან ხარაჩო.

ჩვენი ქვეყანა ასე ძლიერი,  
მსოფლიო ველზე ლელოს გაიტანს,  
შეზე, როგორი ახლავს იერი  
ჩემს საამაყო აზერბაიჯანს.

მინგჩაური ბორბლებს ამღერებს  
და სუმგაითშიც ჩარხი გრიალებს,  
შენ ახლებური სული შთაბერი  
ახალი ქვეყნის ადამიანებს.

შენ ყველა ხალხის მძლავრი ნება ხარ,  
იცი ავის და კარგის გარჩევა,  
ო, ოქტომბერო, მხოლოდ შენა ხარ,  
რომ მოგვითანე ეს გამარჯვება!

## რასულ რზა

აზერბაიჯანის სახალხო პოეტი

## გაზაფხული

ვზივარ ღია ფანჯრის წინა,  
შვით გავსილა ჩემი ბინა,  
თოვლის კვალიც აღარა ჩანს,  
ყინვა სითბომ შეაშინა.

ვზივარ ღია ფანჯრის წინა,  
გაზაფხული მოდის ფრენით,  
გააცოცხლა ჩემი ბინა,  
ჩემშიც შემოფრინდა ლხენით.  
რა სუნია, თაებრუს მახვევს,  
იგალობე, თუ გაქვს ნიჭი,  
გაზაფხულო, მე შენს მნახველს  
რალა მომკლავს, რალა მიჭირს.

ვზივარ ღია ფანჯრის წინა,  
შვით საესეა ჩემი ბინა.  
გაზაფხული ჰგავს სიმღერის  
პირველ ბგერებს, პირველ სუნთქვას  
იგი უფრო ოცნებაა,



აგიტაციებს ხოლმე სულმთლად.  
 იგი უფრო ყვავილია,  
 მოქანავე ტოტზე ნაზად,  
 იგი ჩვენი ცხოვრებაა  
 წინ გაშლილი ფიანდაზად.  
 ვზივარ ღია ფანჯრის წინა,  
 გაზაფხული მოდის ფრენით,  
 გააცოცხლა ჩემი ბინა  
 ჩემშიც შემოფრინდა ღხენით.

## მირპარიდ დილბაჯი

### ღრე და კოეზი

ილია ქავჭავაძეს

ჰა, საგურამოც...  
 შეყინვია ბალახებს ცვარი,  
 ყურდება ქარი,  
 მოკრძალებით ყურდება ქარი  
 და გზისპირზე გარინდული ხეები დგანან...  
 კმარა!  
 ამ გზაზე ჩაიარა პოეტის ეტლმა,  
 ჰა, სახლიც მისი  
 შეღებილი ყვითლად და თეთრად.  
 ეზო,  
 ბალახი,  
 კიბეები მაღლა და დაბლა,  
 როგორც დატოვა  
 ყველაფერი ისეა ალბათ.  
 მაგრამ ამ სახლში  
 აღარ ცხოვრობს პოეტი თვითონ.  
 შემორჩენიათ წიგნებს მისი ფიქრი და სიტბო.  
 და დევს რვეული გადაშლილი  
 ვით საყვედური,  
 ვით შეწყვეტილი ფიქრი —  
 ბრძნული და გაბედული.  
 დიახ, ამ სახლში აღარ ცხოვრობს დიდი პოეტი,  
 იგი წავიდა და  
 ქვეყანას აზრად მოედო,  
 შემოიარა მთლად ქვეყანა კიდით-კიდემდე,  
 ყველა ოჯახში არიგებდა კეთილ იმედებს,  
 ხალხი განცვიფრდა სასიკვდილოდ ვით გაიმეტებს!..



## ს ტ უ მ ა რ ი

ვისაც ვგონა, სტუმარი ვარ ამა ქვეყნისა,  
მას პატრონობა მიწა-წყლისა აღარ ეღირსა.

ისე ცხოვრობდა, ვით სტუმარი უცხო ბინაზე,  
ჩელს არ ანძრევდა, უქმად იჯდა სხვების ჯინაზე.

პალტო და ქუდი გასაქცევად მზად ჰქონდა მუდამ,  
თა რაც გააჩნდა სულ ფლანგავდა, შენახვა სძულდა.

ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არ იღლიდა იგი,  
დღეის იცოდა იმ სტუმარმა წესი და რიგი.

არ შეგაწყენდათ, სულ ერთავად იყო მდუმარი,  
ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც სტუმარი.

## ნიგარ რაფიბაილი

## გ ა ნ შ ო რ ე ბ ა

ეუძლენი სამხრეთ აზერბაიჯანელ  
აშულს ჰუსეინ ჯაფანს

შევხვდით, მაგრამ განშორება გვაწევს მძიმე დარდად,  
შევხვდით, მაგრამ სიხარული არ მოგიჩანს თვალთა,  
რადგან თავზე დაგაბერტყევს მწუხარების კალთა,  
შევხვდით, მაგრამ განშორება არ აგვცდებთ, ვიცი.

მერვენება, თუ ესე ხარ მუდამ კუშტი, მწყრალი,  
მერვენება, თუ დაკარგე ლხენის ნატამალი,  
ნუთუ მართო ზმანებისგან უნდა იყო მთვრალი,  
შევხვდით, მაგრამ განშორება არ აგვცდებთ, ვიცი.

დამინახე, ვიცი გეცა სიხარულის ელდა,  
მითხარ ერთი, ხომ გახარებს ჩვენი ყოფნა ერთად,



შითხარ ერთი, შენი საზი რატომ ნალვლობს ნეტავ.  
შევხედით, მაგრამ განშორება არ აგვცდება, ვიცი.

განშორების შიშიმე სევდამ დაგიკარგა ძილი,  
შენი საზი ისე ბორგავს, გვეგონება ტირის,  
საზე ისე მოგდრუბლია, ველარ ბედავს ღიმილს,  
შევხედით, მაგრამ დადგა ჟამი ჩვენი განშორების.

ნაბი ხაზრი

### ქ ღ ი თ ი ლ ე

მიფრინავს წლები,  
გზას მიჰყვება ათასწლეული,  
ტვინს ბურღავს ფიჭრი  
დაწყობილი  
და არეული,  
მთების იჭიდან  
მოჩასჩახე  
აშოდის მზე და  
აღამიანი  
მიდის მზისკენ  
ამაყად,  
მხნედა.  
ტვინს ბურღავს ფიჭრი  
დაწყობილი და არეული

თენდება დილა.  
დილას დილა  
მისდევს უცვლელად.  
და მოდის ღამე  
უკუნეთის  
ფრთამალ ფურცლებად.  
ღამეს —  
კვლავ დილა,  
დღეს ისევ ღამე  
მისდევს და მისდევს  
ფერშეუცვლელად.

დარდასა და წუხილს  
ენაცვლება  
სიცილი ლადი,  
უზრუნველ ხალისს





უცაბედად  
 დაესმის დალი...  
 სიყვარულს, დღეს რომ  
 გაკერია მიჯნურს ბაგეზე  
 სიძულვილისთვის  
 ხვალინდელი დილა  
 გაქეზებს.  
 დარდსა და წუხილს  
 ენაცვლება  
 სიცილი ლალი.

მიდის ცხოვრება,  
 ჩაბმულია დიდი ფერხული...  
 ხან გიძაბუნებს,  
 ხან შეგმართებს  
 ძალა ვეფხური,  
 ამასობაში  
 გითაედება  
 ასალგაზრდობა,  
 მაგრამ იმედი  
 მაინც გრჩება  
 სულის საზრდოდა.  
 მიდის ცხოვრება.  
 ჩაბმულია დიდი ფერხული...

მიფრინავს წლები,  
 გზას მიჰყვება  
 ათასწლეული,  
 ტვინს ბურღავს ფიქრი  
 დაწყობილი  
 და არეული,  
 მთების იქიდან  
 მოჩაახჩახე  
 ამოდის მზე და  
 ადამიანი მიდის  
 შუისკენ  
 ამაყად,  
 მხნედა.  
 მიფრინავს წლები...



**მიქაელ მუხომიძე**

## ხ ი რ ი

მე ხიდი გახლავართ, ქვით ნაგები, ნამდვილი,  
მძიმე წარსულიდან მომავლისკენ გაწვდილი.  
მგზავრები გადამყავს სიბნელიდან ნათელში,  
ძველის ნანგრევებზე მომავალს ვაშენებთ.  
სიკვდილიდან სიცოცხლეში გადამყავს მგზავრები,  
რომ იცოდეთ, სიბნელეს როგორ ვუზარები,  
მაგრამ ვერას დამაკლებს მე იმათი წყრომა,  
ლენინმა მასწავლა ხალხისათვის შრომა.

მერცხლის გაფრენას ჰგავს ჩემი კამარები,  
სამუშაოდ მირბიან ტალღები გამალებით,  
მირბიან ხალხით, ერთმანეთის გაქეზებით,  
უცდიან სარწყავები, უცდიან ქესები.  
მე პაპამან შენმან და მამამან შენმან  
ოფლით და სიმღერით მიტომ ამაშენა,  
მიტომ დაიღუპნენ შენი ხნის ბიჭები,  
რომ შენ გაიარო მყარი ნაბიჯებით.

ჩემს წინ მარადისობაა, ჩემს შემდეგაც იქნება,  
წლები დააცვივა ჩემს სხეულს ქინქლებად.  
და მოქალაქეები, ახლა რომ გადმივლიან,  
სუყველა, უკლებლივ, ჩემი გაზრდილია.  
სხვადასხვანაირია მათი ხასიათი,  
ზოგი წყნარი არის და ზოგი ზვიადი:  
შეყვარებულებიც მინახავს მრავალი —  
განსაკუთრებულია იმათი ნავალი.  
გაზაფხული და შემოდგომა — აი ჩემი გზა,  
ყველა ლხინს და ქორწილს დაფხვედრივარ მზად.

რად უნდა მომწყინდეს, რამ უნდა დამღალოს,  
სიხარულით ველი მე ყოველ საღამოს.  
მიტომ ამაშენეს ასე მძლე და დიდი.



საბჭოთა ხალხების მერქვას ძმობის ხიდი,  
ჩემს ქედზე დაიმსხვრას ბოროტება ყველა,  
იქით, გავერძელდები, სადაც უნდათ შეველა.

ვისაც ჩვენთან უნდა, ჩემს გულზე იაროს,  
ხოლო ვისაც მტერთან აქვს რამ საზიარო,  
ყვავილების ნაცვლად მოაგროვოს ჭაცვი,  
ჩვენ დიდი გვაქვს ნიჭი მტრისგან თავის დაცვის.  
წლები გაივლიან და მრავალი ტომი  
გადამივლის გულზე კვლავ მშვიდობის ნდობით.  
წლებს მეც ჩამოვიცილი, ვით ხე იცვლის მერქანს,  
დაბერებულაო — ახლებმა რომ ვერ თქვან.

ქალ ლაჩინლი

## გზა ჩემი ხსოვნებისა

კარგა ხანია, მე დავეყვები  
ცხოვრების დაღმართს — არა მრცხვენია,  
მუდამ ამბების გულში ვიყავი  
და არასოდეს დამისვენია.

მე კი ვბერდები, მაგრამ ჩემი გზა  
არ დაბერდება, ასე მგონია,  
არც სიხარული მქონია მე მზა,  
არც სიმშვიდისკენ სწრაფვა მქონია.

კვალში მივყვები ცხოვრებას ისევ  
და თუკი ვალი მაქვს დარჩენილი,  
მის უღელს კვლავაც შევეუშვერ კისერს,  
სახეზე ღიმილგადაფენილი.

სამშობლოს მინდა ეს ერთი ვუთხრა:  
ნუ შემობრალეხს, თუმც მშობელია  
და ნუ მიიტანს ჩემს კენესას გულთან  
თუ გზაზე ძალა შემომელია.

გავცქერი, როგორც შორეულ ზევანს  
ჩემს წარსულს

მე რომ ვერა ვთქვი ლექსად,  
მაინც, ცხოვრება განვლილი ჩემგან,  
პოეტის გზაა უპირველესად!

## შოგეში ნება

თხოვნიტ მოესულვარ შენთან ლამაზო,  
ბინდამდე დავრჩე — მომეცი ნება  
და ჩემი საზით უხვად შევაქო  
შენი სიტურფე — მომეცი ნება.

იჯექი, მინდა შევავლო თვალი,  
შენს ღაწვებს — დრო თუ შეეხო მალი,  
ჩვენ დაგვაშორეს ერთმანეთს ძალით,  
თავი დავიხსნათ — მომეცი ნება.

ყარიბმა უცხო ვამტვერე გუბი,  
მრავლად მხედებოდნენ სხვები და სხვები,  
დაფერფლილ ცეცხლის შენ იყავ მგზნები,  
მადლობა გითხრა — მომეცი ნება.

ახეზე რატომ დავეცა ბინდი,  
რამ შეგაშფოთა, რაზე დაფიქრდი,  
წარსულთან გავდო მინდა კვლავ ხიდი,  
შენც თან გიახლო — მომეცი ნება!


საპირ რუსტაქმხანლი

## ჩ ე მ ი ი ბ ე რ ი

როცა რაიმე უსაშველოდ ძნელ საქმეს ვიწყებ,  
როცა შვილდღივით იდრიკება ჩემს ფეხქვეშ გუბი,  
მე სიჯიუტეს, როგორც მამის მძლე აჩრდილს ვიწყევ  
და ვიტვირთვები ახალი ძალით, ახალი გზნებით.  
ოცნებისთვისაც ვერ ხელუხლებ მწვერვალებს ვწოდები,  
მე იმედი მაქვს ჩემი თავის ჩემი სიკერპის,  
რით დამთავრდება ბრძოლა ჩემი და ჩემი ცდები  
ეს არც მე ვიცი, რატომაუნდა, ვერც ვერვინ მეტყვის.  
გული კი, გული არა ცხრება და არც ისვენებს,  
ალბინისტივით ეტანება ახალ მადლობებს,  
სიჯიუტე და სიკერპე ჰყავს გვერდით ისევე  
ვით მახლობელი მიუდგება გვერდით მახლობელს.



მე მიხარია, რომ ცხოვრება ჩემი დაიწყო  
 სოფლის ორღობით, სოფლის გზებით, სოფლის პაერთონის  
 რომ ყველაფერი დიდი შრომის ნაყოფი იყო  
 მგობრობასთან და ძმობასთან ნაზიარვევი.  
 გვარიშვილობას წინაპართა არ ვეშყარები,  
 მათი გმირული წარსულის ვარ მე მოიშედე,  
 მათ არ გაუღეს უთვალავ მტერს ციხის კარები  
 და ამ დიდებულ ცხოვრებასაც ისინი ჭედდნენ.  
 მე დედის ნაზი სიმღერები შრომისთვის მზრდიდა  
 და ერთხელ, როცა კინალამ არ გადავდექ გზიდან,  
 შე მაშის ხელმა — ვით უხედნი კვიცი — მომზიდა!  
 მე ვეშყარები ჩემთა თვალთა უსრულო ღამეს  
 ჩემს უძილობას, ფიჭრს, ზეცის ვრცელ ქალღღზე ნაწერს.  
 მე ვეშყარები ჩვენს მთებს წვიმიით ფერმოკამკამით  
 მტრის ფეხდაუდგმელთ, — იგი ზეცა მხრებზე რომ აწევთ.  
 მე ვეშყარები შავთვალემა ბიჭების გუნდებს,  
 სკოლიდან სახლში რომ მიდიან გაჩქარებულნი  
 ჩემი ხალხისთვის უკეთესი რა უნდა მსურდეს  
 როცა მე ჩემი პატარებიც მათთან მეგულვის.  
 თუ მტრის სიტყვებმა ჩემი გული როსმე დაგესლა,  
 მე ნეგობრობას და სიყვარულს დავეშყარები;  
 ვიცი, ვიპოვი ფიჭრისა და სულისნათესავს  
 და უღელს გავწვეთ შეფიცული ღომა ხარები.  
 და თუ ცრემლებმა სიმწრისაგან მაინც იძალა  
 მე შავი თმები დამიფარავს მტრების მზერისგან,  
 ნურავინ იტყვის, რუსტამხანლი დამრჩალა ცალად,  
 ნურავინ იტყვის რუსტამხანლი მტერმა შერისხა.  
 არა, არასდროს მე სხვის ძალას არა ვნატრობდი  
 მე ჩემი, ნყოფნის გონებაცა და მიჭრის მკლავიც,  
 ჩემში ძალაა ათას ლელმის, ათას ატომის  
 ამიტომ მტკიცედ მივაბიჯებ, მხნედ მიმაქვს თავი!



## გეგე დემეტრე მეორე

პ ი ე ს ა

მოქმედაზა მახუთი

გადამწეარი ვაჟე ადგილი. ზოგან ხეების შავი დამწეარი ჩონჩხები, ცეცხლისგან გამორული ქვის კედლების ნანგრევები და მარმარილოს სვეტების ნაშთი, წინ მოსჩანს თათართა უაუნო არღუნის ქარავი. სცენის მარცხნივ საბატიმრთა და მარჯვნივ სამსჯავრო.

მარცხნიდან გამოდის დამსჯელი რაზმის უფროსი გუგუბან ლაშქრის მეთაურებით, მარჯვნიდან შემოდინან ეეზირი — მრჩეველი, დიდი ნოინი ტაჩარ და მძიმედ შეჭურვილი ნოინი თული.

- თ უ ლ ი — წუხელის ციდან ჩამოვარდა მომსხო ვარსკვლავი,  
ახლო დაეცა და მივიღე მეფე დემეტრეს  
ჩაქრობის ნიშნად, მაგრამ ისმის გაამართლესო.
- გ უ ჟ ბ ა ნ — რარიგ გაუძვრა ქვეყნის მპყრობელს საშიში მტერი.
- ტ ა ჩ ა რ — შენ როდის აქეთ გვჯობნი ჭკუით.
- მ ე თ ა უ რ ი — ჩვენ პირველ ხმაზე  
ჭორად ვიცანით ეს ამბავი
- თ უ ლ ი — სულ სიმართლეა  
მე თითონ მეპყრა მისი ჯარი გარემოცვაში  
და მოვსსენ ალყა ვით მიბრძანეს.
- გ უ ჟ ბ ა ნ — აი, გამოჩნდა.  
არ არის მეფე შეპყრობილი.
- ტ ა ჩ ა რ — ვხედავ დემეტრეს  
ჯარს აბარებენ, თავისუფალს გარემოცვიდან  
მივალ და გულით მიულოცავ.
- ვ ე ზ ი რ ი — ეს მოფერება  
ეგებ გაგვიხდეს სანანებლად.
- გ უ ჟ ბ ა ნ — ეს უნდა გეთქვა  
ვით უფროს ვეზირს, სამსჯავროზე დიდ ყაენისთვის.
- ვ ე ზ ი რ ი — მე დამადუმა ტაჩარმა, ამ მძიმე ნოინმა,  
დამარწმუნებლად მოახსენა მან ყაენს, თითქო  
დემეტრეს დასჯით საქართველო რჩება უმეფოდ  
და მოკაეშირედ ომებში არ გამოგვადგება,  
წინ კი მოგველის ფევიპტესთან მძიმე ბრძოლები.



- გუგუბანი — სწინს, თქვა დემეტრეს მეგობრობით.
- ტაჩარა — სისუსტეს მწამებ, რად ჩავიდინდი მიკერძებას?
- ვეზირი — მისრთან ბრძოლაში გვახსოვს შლამიდან ჩაწულულ ლაშქრით ამოგიყვანა.
- გუგუბანი — მეც გეთანხმები, მით მოიწმინო ასლა ტაჩარი.
- ტაჩარა — ვიცი შენ რად გძულს, მას ბავშვობის ჟამს ვით ჯალათმა დედა მოუკალ და შიშობ არ იძიოს შური.
- ვეზირი — გული მეწვის, რომ გველს აბრუნებ ჩვენი უბეში.
- ტაჩარა — შენი გულის წყაც კარგად ვიცი, მეფის მშობელმა ძელზე ააგო შენი მამა და შურს ეძიებ.
- ვეზირი — მამა მომისპო მის მამამ მზის ერთგულებითთვის, ხოლო არღუნი მოელოდეს მისგან უარესს.
- ტაჩარა — იქ პირში წყალი დაიგუბებ და აქ ბუტბუტებ. — არ გშენის ვეზირს ავენობა.
- (ნოინი ტაჩარა მიღის)
- გუგუბანი — რარიც გაჯობა სამსჯავროში ვეზირს ნოინმა?
- თული — გუგუბანი, შენ გული გწყდება, რომ ვით დამსჯელთა უფროსს ხელში გაგიძვრა მეფის თავი.
- ვეზირი — შენ ხარ მეფეთა თავების დიდად მოყვარული.
- გუგუბანი — მადლიერი ვარ დიდ ყაენის, მან ჩამაბარა დამსჯელ რაზმების წინამძღოლობა და მე ყველა დამნაშავეებს ვუნიშნავ მათთვის შესაფერის აწწიოკებლებს ჩემი საკუთარ ხელით კი ვსჯი მხოლოდ მეფეებს.
- ვეზირი — განდგომილ ბუგას და ყაენის შორის ბრძოლაში იგემე სისხლი მეფეების.
- გუგუბანი — ჩემს შემტვე რაზმებს ჯალათთა გული ჩავუყენე, მიწა დავალბე სისხლით და ცრემლით, ცის კიდემდე ვახარე ყვავნი,
- ვეზირი — ერს ჯკლავ შიშით ხმლის დაცემამდე.
- გუგუბანი — მეფის აქ მოსვლა ქართველთა ზარის ნიშანია.
- თული — დესპანმა მითხრა, რომ ერი მეფეს არ უშვებდა, — მაგრამ ინება მეფემ ამ საქმით წმინდანობა — ცით უშველოს ერს, ქართველნი ზღაპრის მორწმუნეთა ნამდვილზე მეტად.
- გუგუბანი — საქართველო რა მოვაქციეთ რკინის სალტეში უნდა მოგვესპო ფესვიანად.
- ვეზირი — მეც ასე ვფიქრობ.
- გუგუბანი — შეესჯოდენ ოტებულ ერს ჩემი რაზმები, დამარცხებულებს შეასმევდენ თავის ძმათა სისხლს, წმინდანთ შებილწვით იცინებდენ და უმეცარ მტრებს შეაგონებდენ, რომ ალერსიც და სისასტიკეც ბუნებამ ყოველ არსზე მეტი კაცს მიანიჭა.



- ვეზირი — მოელ, მის აღგვას ვამზადებდით, მაგრამ უეცრად მეფე გმირულად წარმოგვიდგა.
- გუტბან — ქვეყნის მპყრობელმა არვის არ უნდა აპატიოს ვეზომ გმირობა, თორემ მტრებს მსგავსი მაგალითით გაათავებდებს.
- თული — ბრძენმა მრჩეველმა დიდ ყაენს რად არ მოაგონე, რომ ქართველებს სწამთ, ჯვარცმული ღმერთი, მით კავშირი აქვთ დასავლეთთან და ჟამთა სვლაში დაგვმარხავენ.
- ვეზირი — ქებულო ჯიქო, ჩემს სიბრძნესა აქვს მხოლოდ ერთი დანიშნულება: ჭეშმარიტებათ ვცნო ყაენის სიტყვა, და მისი თუ არ გამართლდა მე ვისჯები.
- გუტბან — მაშ, მუხთლობისთვის პასუხსაგებად გამოწვეულ მეფე დემეტრეს მხოლოდ ამბორი მიეგება და მტრებს ვაუწყებთ, რომ ლალატისთვის გვაქვს ალერსი და საჩუქარი!
- თული — ამაზე დუმილს არ გიწონებ.
- ვეზირი — შენ მოახსენე თუ გული გერჩის.
- თული — არა, მე არც მსურს აზრი მჭონდეს. მე მმართვებს მხოლოდ მის ურჩთა მოსერა.
- ვეზირი — რა საშველია! გულს მიწყლავს რომ საქართველოსთან კავშირს გვერდი არ შეეველება.  
(შემოდიან ლაშქრის მეთაურები)
- გუტბან — თქვენ აქ ვინ გიხმობთ?
- თული — რად მობრუნდით!
- მეთაური — არ მოგვასვენებს, მოახსენეთ ბედნიერებსო.
- ვეზირი — ვისგან არიან?
- მეთაური — ჩამოსულან საქართველოდან, მეფისგან მწარედ დაჩაგრულნი.
- ვეზირი — ვინაობა თქვეს?
- მეთაური — მეფე დაეთით, მისი ძე და სპასპეტი ხუტლუ.
- ვეზირი — მაშ, შეეგებეთ მოწიწებით.  
(მეთაურები მიდიან)  
მზემ მოგვიგზავნა.
- გუტბან — მართალია, მზე თათარია.
- თული — ბედიც გაათარდა.  
(შემოდიან მეფე დაეთით, მისი ძე ვახტანგ და ხუტლუ-ცალკე შეჩერდებიან)
- ხუტლუ დაეთით — (დავითს) ერთად შეყრილან აქ ყაენის სახრეც და სიბრძნეც. — სახრე და სიბრძნე ცალკე-ცალკე ერთ ჩირადაც არ ღირს, — ორივე უნდა მოვიპოვოთ.  
(ხუტლუ მოიწევს წინ)
- გუტბან — გაკვირდები რარიც შეცვლილხარ!
- ხუტლუ — ჭმუნვამ დამაჭკნო ვარდს ალამაზებს — ფესვში ნამი, კაცს — გულში ღებნა,
- გუტბან — თუ ღირსეულ ძეთ დარჩი სდუნს.





- ხუტლუ** — ჟამთა სიავემ  
გადახნა ბალი სასაფლაოდ. სადუნი თითონ მეფე დემეტრემ გადააგო უღმობულ ხელით.
- თული ხუტლუ** — მას ხომ სადუნმა გაუკაფა გზა ცხოვრებისა.  
— ურიცხვ ზრუნვისთვის სადუნს მეფემ მოულო ბოლო. ეს იცის ყველამ გლახაკიდან დიდებულამდე ამიტომ არვინ თანაუგრძნობს დღეს ამ ზავ ბედში. მაგრამ გავიგეთ აქ, რომ მეფეს შერიგებია დიდი ყაენი და, თუმცა ჩვენ მეფის წინაშე ბრალი არ გვიძევს მაინც სურს მას ჩვენი დაღუპვა, ამიტომ შევთხოვთ გულმხურვალედ თათართ ბურჯებმა წარგვადგინონ ჩვენ დიდ ყაენის წინაშე, რათა შევთხოვით გვიხსნას ბოროტისგან.
- გუჟბან ვეზირი** — ეს ძალუქს ვეზირს.  
— ჩვენ აქ გვაქვს საქმე ცის კიდემდე და ვეძებთ ძლიერ მეფეებს ერთგულ მოკავშირედ, შენ კი ვრი არ მიგიღებს უფლად, რადგან არ ხარ სამეფო გვარის.
- ხუტლუ** — ერმა, დემეტრეს, აღმზრდელის და სხვათა განწირვა ვერ აპატივა და მოითხოვს მეფედ აღდგეს, ვინც დემეტრეს მამის გვერდით იჯდა სამეფო ტახტზე ერის საამოდ განუყოფელ ძლიერ მამულში,— ეს გახლავთ მეფე დავით, ესეც ძე მისი ვახტანგ-ცალკე დგანან და მოელიან თქვენგან მოწვევას.
- თული გუჟბან ვეზირი ხუტლუ** — რა სანატრელი სტუმრებია!  
— გაიხსნა ზეცა.  
— საკითხავია რარიგ ახსოვთ დავით ქვეშევრდომთ.  
— დემეტრემ, მოსპო რა სადუნი, შემდეგ ლაშობდა ამ მამაშვილის მოსტუმრებას, მაგრამ — ორმხრიდან ხელის შემშლელი მოგვლინა. თქვენი დიდ ლაშქრის გარემოცვა და საკუთარის ერის ამბოხი.
- ვეზირი ხუტლუ** — ამბოხი?  
— არა, კეთილნი, ურჩობას ერს ნუ დაგაბრალებთ... უპატრონობით აირია... და... ამ ძეს ნატრობს, რადგან ერს მამის სიყვარული შეიღზე გადმოაქვს, მსურს მსცოვან მეფეს მოუესმინო.
- ვეზირი დავით** — მთელი მსოფლიოს მრისხავის ბურჯნი, მე მახსოვს დრო ჩინგიზ ყაენის, — თვალთ მიწახავს მის ძეთაგან მთელ ქვეყნებისთვის, თავისუფლების მინიჭება ცეცხლით, მახვილით, იმ დიდ თათართა მოგონებას თაყვანს ვცემ, თუმცა ეგვიპტეს ტკბილად მივუწაღმე ამ ბოლოს, რადგან დემეტრე ჩემ ხვედრ საქართველოს ემუქრებოდა შესაერთებლად... თორემ გულით თქვენ გემხრობოდით.
- ვეზირი** — გავიგეთ, ოდეს დემეტრე ერს დაემშვიდობა, ერმა წმინდანად აღიარა — ღრმა თანაგრძნობით.
- დავით** — ნასმენ-ნახული თქვენთვის ზუსტად გადმოუციათ, მაგრამ თვალ-ყურის იქეთაა ჭეშმარიტება, ოდეს დემეტრე ქვეშევრდომებს ეთხოვებოდა,

თანაუგრძნობდა ბრბო ვაგებით, — თქვენი დესპანდიც  
 ველარ უძლებდენ მის სიმძიმის, მაგრამ ერთი დღეც  
 არ დასჭირდა ბრბოს ფერსაცვლეულად. რა თავისუფლად  
 ამოისუნთქეს, მყისვე მეფის თავდადებაში  
 უხუსურება დაინახეს და შეიზიზღეს  
 ამ ზიზღს დაურთეს განდიდება მისი ცოდვების  
 ყველამ თავისი ჭირი მეფეს გადააბრალა  
 და შეესიენ მის პალატებს გასაძარცვავად,  
 ძვინვარე ბრბოთა გამარავლებით შეერთა სამეფო, —  
 ყოველ სახის ბრბომ მე მომმართა და არ მომეშვენ,  
 სანამ თანხმობა არ ამართვეს, რომ ჩემ ძეს ვახტანგს  
 გადავეცემ გვირგვინს და დავლოცავ დემეტრეს ტახტზე,  
 ამ პასუხით ბრბო გაეახარე.

ვეზირი

— მეფის ძვე, შენ გაქვს  
 იმედი, რომ ერს ჭეშმარიტად დაიმორჩილებ?  
 ნათლად ვცანით, ჩვენს გამეფებას ითხოვს ერი და,  
 თქვენთან კავშირის გასაბმელად გამოგეშურეთ,  
 მაგრამ აქ გვამცნეს, დემეტრესთან შერიგებულხართ  
 და პირსაც იბანთ საკოცნელად.

ხუტლუ

— სადუნის დამსჯელ  
 ვერაგისგან ვით მოვლით შიგნით მშვიდობას.

დავით

— გამიგია, რომ ჯოჯოხეთში, უსამართლობით,  
 ყინვა ქმნის ცეცხლს და ცეცხლის ალი ყინვას აყენებს,  
 ასე ირღვევა კანონები ღვთის და ბუნების  
 ვერაგ პატრონთა სამეფოში.

11846

თული

(შემოდინ ფრთხილად ყაენის ერთგული ზედამხედველი და  
 დამსმენი. ჩუმად აპრობენ ყველას თვალ-ყურს და ერთმანეთს  
 ეჩურჩულებიან).

— მეფე მოვთხოვეთ  
 ერს და მივიღეთ, აწ რა პირით გავწყვიტოთ ერი?!  
 ვით ტარჩარსა თქვა, სულ დავკარგავთ ნდობას და ვგებ,  
 ჩვენს ლაშქარს იმზომ დაუჩლუნგდეს ხმალი სიცრუით,  
 რომ მტრის სიმაართლემ ჩალით უკეთ გაჭრას ჩვენს რვაღზე.

ხუტლუ

— მე გვედრებით არ დაინდოთ მეფე მუხთალი,  
 თორემ ინანებთ უადგილო ღმობიერებას.

ვეზირი

— თქვენ რა საკენიეთ გამოიჭერთ ერს?

დავით

— წარსულ სიმწარეს  
 ატკბობს ეამი, ვით ნაყოფს ჭკნობა. ამით ხიბლავს ერს  
 ზემი სახელი. მოხუცები თვის ჭაბუკობას  
 უკავშირებენ ჩემს მეფობას და მიგონებენ  
 ნაწილად ნეტარ პასაკისა, ახალგაზრდებს კი  
 ქება სმენიათ იმა ეამის, როცა სამშობლო  
 განუყოფელი და ძლიერი იყო ჩვენს ხელში.

ვეზირი

— შეძლებ სიჩქარით მოქმედებას?

დავით

— მე ჩემი ხელით  
 დავადგამ ვახტანგს გვირგვინს მთლიან საქართველოსს,  
 მთავარსარდლის ხმალს სადუნის ძეს მტკიცედ შევარჩენ.





- ხ უ ტ ლ უ — ჩემი მახვილი არ გარდავა ნებასა შენსა.  
 ვ ე ზ ი რ ი — შენ რა იმედებს გააღვივებ ყაენის გულში?  
 ვ ა ხ ტ ა ნ ტ — ჩემმა დედამან კეისარის დიდის ასულმან, გამგზავნა სიბრძნის მისაღებად თავის მამასთან კონსტანტინეპოლს, იქ ვიხილე ბრბო მრავალ ერთა, ვცან, რომ ბრბოები ყველა ერის ერთმანეთსა გაეს, მხოლოდ ბატონნი ერთურთისაგან განსხვავდებიან, და ბატონთ შორის უმაღლესი უფალნი თქვენ ხართ, თქვენი სამშობლო მსოფლიოა, — არ ცნობთ ზღუდეებს, და მეც ვითარცა ქვეყნის მფლობელს დაუშურველად მოგახმარ ჩემს სპას, ამის გარდა გამოგადგებით ვით კეისარის შვილის შვილი მთელ დასავლეთის დასაზვერაგად, მეწინავე ერთგულ მეომრად და დავაჩქარებ თქვენი მისვლას ზეცის კიდემდე რაც, სჩანს, აღთქმული გაქვთ უფლისგან.
- ბ უ ტ ბ ა ნ — მზეს გუფიცებით, სიტყვა ესოდენ მომხიბლავი ჯერ ჩემ ყურს არ მოუსმენია.
- ვ ე ზ ი რ ი — მართალი ხარ, ეს დაპირება ტაჩარ ნოინსაც დაადუმებს.
- ბ უ ტ ბ ა ნ — მე მაფრთოვანებს.  
 ჩვენ მტერთა ციხეს დღეს ესენი შეგნიდან ტევენ.
- თ უ ლ ი — ამ საქმით ყაენს გაეახარებთ.
- ვ ე ზ ი რ ი — მაშ, წარუდგინოთ!  
 დ ა ვ ი თ — ბედნიერ იყოს ეს შეხვედრა.  
 (ყველა მიდის. შემოდის მეფე დემეტრე, ერმანოზ, დიდიმ, ფილიპე).
- დ ე მ ე ტ რ ე — მომეწონა, რომ სიხარულმა მოულოდნელმა ვერ აღგაფრინათ, კვლავ სიფრთხილით გარს იხედებით.
- ე რ მ ა ნ ო ზ — ვეძებდით საშველს უსაშველში, ვდუღდით, ასლა კი, რა შეგირიგდა მტერი, ვმალთ კანში ბრჭყალები და რბილი ბეწვით მივევებოთ.
- დ ი დ ა მ — ხასტიკმა მტრებმა წუხელს ცინკარზე მოგვსსნეს ალყა, ძმობა შეგვფიცეს და ქება გვითხრეს ჩვენი მეფის ერთგულებისთვის, ჩვენ კი თანდათან შევეჩვიეთ გარემოცვაში უბედურებას, შეურიგდით ცუდ მომავალს და ახლა როს ბედი გამოკეთდა მოულოდნელად იმ თავგანწირულ ბრძოლის წყურვილს გულიდან უცბათ ვეღარ ვიშორებთ.
- დ ე მ ე ტ რ ე — თქვენ გაბარიათ ჯვარი; ქვეყნის წმინდა სიმბოლო, ის აფენს ნათელს თქვენს წინაპრებს და მომავალსაც, მის საბოლოოდ დაცვის ზრახვით სისხლს ერთად დავღვრით, მაგრამ აროდეს არ გაბრძოლებთ აწ გასართობათ, — ეს იქნებოდა თვითმკვლელობის ზადალი ცოდვა.  
 (შემოდის ელიზენდა ძაქებში, ნაცარდაყრილი, ფეხშიშველი შეიარაღებულ მხლებლებით)
- ე ლ ი ზ ე ნ დ ა — მადლი ღმერთს, მოეღლ და გაეიგე აგცდა ბოროტი,  
 დ ე მ ე ტ რ ე — ძაბით მოსილი მოვლენილხარ, შენი მსლებელნი დაღლილი ჩანან.



ელიზენდა —

იმ ქანს სპეტაკ ერს რა დაშორდი  
 თითქო ჰაერში დაიბადენ სატანის კერძნი,  
 მალე გაიპა დაფით-ვახტანგ-ხუტლუს ხსენება...  
 უბნელეს სერულებს შეფარვოდნენ და შენს ერთგულებს  
 ვედარ შეეპყრათ ასაცდენად ამბოხებისა,  
 შემდეგ მუხთლებმა გაიგეს, რომ ერის სიმრავლე  
 ტაძრებში მეფის დასალოცად დაჩოქილა და  
 გამოძერენ ხერელით, ავაზაკნი შემოიკრიბენ,  
 ნება დართეს მათ იმძინეარონ მდაბალ ვენებებით  
 და უწოდეს ამ უმსკაცობას თავისუფლება.  
 ტაძარში მლოცველს ჩამწედა მესად ხუტლუს ყიეინა  
 მოყმეს მახვილი ავართვი და ყიელით გავხტი,  
 მომყვენ რაინდნი, ჩვენ მიგვბატეს ყველა ტაძრებმა.  
 ღვთის სახლებიდან შევესიეთ ვერაგთა ბრბოებს,  
 განხეთქეთ ძალი ბნელ უკუნის, ვაიფანტნენ და  
 გაქრენ უკვალოდ ვით სადარო ჭარით ღრუბლები.  
 ხუტლუ, დაფით და ვახტანგ გაძერენ მთავარ კედელში  
 და მიაშურეს თათრებისკენ... მივხვდით მათ ზრახვებს  
 და დავედვენეთ, ვერაგებმა აქ შემოგვასწრეს.  
 ვიზრახეთ გზიდან გაბრუნება, ნაგრამ მოგვესმა,  
 რომ ღმობიერად შეგვეყარა ყაენი არღუნ  
 და მომლოცველთა ჟრამულში მოვედით შენთან.

დემეტრე —

ჩანს, ამ ძაძით შენ უმშურვალეს ლოცვის ვაშს გსურდა  
 დაშორებოდი შენს მიწიერ სიმშვენიერეს,  
 მაგრამ ძაძამი ახლებურად ხიზლავ სულს და გულს,  
 ბედნიერებას რომ ქმნიდეს ცა ხორციელისთვის  
 შეგვეერთებდა მთის მღვიმეში მუღმივად.

ელიზენდა —

მაშინ.  
 ღმერთი მზის მსგავსად შექს მიწაზე ჩვენგან მოფენდა.  
 რადგან მსოფლიოს მანათობელ მზის ცხელი გულში  
 არ იბოვება სიყვარული — ნაწილი ღმერთის,  
 უსიყვარულოდ გი სინათლე კელავ სიბნელეა.

დემეტრე —

ო, ჭეშმარიტად მზე უტრძნობი ცაში მოარე  
 და უმცირესი ნაწილაკი, უსულო მტკვერი  
 ნამდვილ ღირსებით ღვთის წინაშე თანასწორია  
 არარაობად ერთმანეთთან გატოლებული.  
 მე მიხსნა ღმერთმა აწ სიკვდილით დაბნელებიდან,  
 მომცა დღეები სიყვარულით შენთან საფრუენი,  
 მაგრამ არა სრულ ხანტაროდ შენთან მყუდროში  
 მეფე-დედოფლად დაგვადგინა — ერზე მზრუნველად  
 და ფიჭრიც, გრძნობაც, ლოცვაც გემართებს ერს შევალით,  
 ასე გაგვიყოფს სიტკბოს ცისა და მიწის ვალი.

ელიზენდა —

ვილოცოთ ღმერთმა არ დამუროს ჩვენთვის სიცოცხლე  
 ვეცადოთ ძალა რომ შევმატოთ ერთიმეორეს  
 აღთქმული დვაწლის გასაწევადა, ზოლო ნამდვილი  
 ბედნიერების მისაღებად დავიწახაზუროდ  
 ჩვენი ადგილი მაღალ ღმერთთან ცის სამოთხეში

დემეტრე —

კაცი სრულდება კაცად ოდეს ღირსსა ტოლს პოვებს.



- ელიზენდა — აგერ, შენს თეთრ ცხენს რად დაესხენ?  
 დემეტრე — არ ვიცი, მიკვირს!  
 ის ყაენმა მე შემაგება მშვიდობის ნიშნად  
 და დამილოცა...
- ელიზენდა — რა ანცია, რა სპეტაკია.  
 დემეტრე — ვისაც ყაენი სიკვდილს უსჯის მას შავი ცხენს და  
 ჯალათს უგზავნის.
- ელიზენდა — ცხენს თურჯნიან!  
 დემეტრე — არ ვუწყ რა ხდება  
 მოხადეს ძვირი მოსართავი...
- ელიზენდა — ის ყველაფრისგან  
 გააშიშვლეს და იკბინება... იგი გაუშვეს...  
 უდაბურ მთისკენ და გაფრინდა ისეთ სისწრაფით —  
 უკვე პატარა ჩანს, სულ მცირე, თეთრი გედვიით.  
 (შემოდიან ვეზირი და ნოინი თული)
- ვეზირი — ყაენი არღუნ ისევ გიხმობს.  
 დემეტრე — სად გააქარვეს  
 თეთრი ცხენი, მის ნაბოძები?
- თული — ჩქარა, ბატონო!  
 ვეზირი — შენი ტაიჭი იქ დაგხვდება, დიდი ყაენთან.  
 დემეტრე — არა, ის მთაში გააფრინებს.  
 ვეზირი — მთა და უდაბნოც  
 ყაენის არის, სად წაუვა, — ჩვენ ძლიერ ვჩქარობთ.
- თული — ო, წამობრძანდი. ნუ აყოვნებ.  
 (დემეტრე, ნოინი და ვეზირი მიდიან. ელიზენდა აქვით გაადევნებს  
 თვალს)
- ელიზენდა — არკეთილმზად შევიცანი, სად გაუხვიეს.  
 (შემოდის ბანოვანი და კუდიანი. ელიზენდა მათ ვერ ამჩნევს).
- ბანოვანი — (კუდიანს ელიზენდაზე) — ა, ჩემი ცოცხლად დამმარხველი!  
 კუდიანი — სახუმროს არ გაგს.  
 ბანოვანი — მაღალი ხუტლუ ამის თინით არ მცნობს მეუღლეთ,  
 დიდ გვაროვან არსს ბავშვით მტოვებს.
- კუდიანი — გარშემო ისმის,  
 რომ ყაენს ხუტლუ მიუღია თავის კარაგში.
- ბანოვანი — პატივცემულიც დაბრუნდა და ამ ასულს ეძებს.  
 რა კუდიანი ხარ ამისგან თუ ვერ დამიხსნი.  
 (ელიზენდა შემოფოთებული მიდის)
- კუდიანი — მე ყოველივე ვიცი, ვხედავ. ვფიცავ ტურის ტვინს.  
 მაქვს საწამლაღი უებარი.
- ბანოვანი — ჩემს მტერს არგუნე,  
 მაშ, რად გიფარავ კუდიანს მღვდელ-მონაზვნებისგან.
- კუდიანი — თუ დაგვიჯერა დარმა, წამალს გაგასაქმინებ.  
 (ბანოვანი და კუდიანი მიდიან. შემოდიან რუსუდანი, ერმანოზ,  
 დიდიმ, ვეაგრი, ფილიპე და გოგოტორ)
- ფილიპე — ჭკუა ამებნა ზარდაცეშულს, რა თვალი მოგვარ...  
 ვეაგრი — მეც მხოლოდ წამით ვიხილე და გავებრუნდი, მაგრამ  
 ვეღარ ვიშორებ გონებიდან.



- გოგოთურ — რა სამდიოსო  
აღმოსათქმელად!
- რუსუდან — ო, აღმოთქვით, — შეც მოკვარ თვალი  
კაცის ხელისგან შეუხებელ არსებას გვემდენ.
- ერმანოზ — არ გაგონილი სისასტიკე გვანახა მტერმა.
- დიდიმი — ასე შერცხვენა ერის ნიშნავს ცის დაძინებას.
- ევაგრი — ვახტანგი იდგამს თავზე გვირგვინს მტრის შეგინებულს.
- ერმანოზ — ო, იგი ყიდის სვინდისს, ღმერთს და თავის სამშობლოს.  
დავით და ხუტლუ აქეზებენ იქცეს კაინად.
- ფილიპე — ყოველ მონაზე საზიზღარი ის მონა არის,  
ვისაც დასვამენ მტრები ერზე და შეარქმევენ  
მეფეს ცარიელ სიტყვით, ყალბათ, იგი თავის ერს  
დაადებს ბორკილს უფრო მძიმეს, ვიდრე მტერს ძალუძს,  
და შემდეგ გახრწნილ ერს თვით მტრები მოხსნიან ბორკილს,  
არა იმიტომ, რომ უფლება კვლავ აღუდგინონ, —  
ერთგულ მონებად ეყოლებათ უბორკილოდაც,  
და ზნედაცემულს აბრძოლებენ მთელ გააფთრებით  
მის წინააღმდეგ, ვინც ეცდება კვლავ დაუბრუნოს  
თავისუფლება, რადგან ერს მტრის ხელ-ქვეშ შეეყრის  
და მოფრევა საზარელი მონური სენი:  
შიში საკუთარ კაცობის და თავისუფლების.
- გოგოთურ — შიში ბარს სჯაბნის,  
მთიურები კი შენეველ ვართ მკაცრ ბუნებაში  
წარღვანას, ზეავს, მებს, და ვეგებებით ურყევად სიკვდილს,  
მისთვის არ ვიცით მონობა და არ შეგვიძლია  
ჩვენი მეფის მკვლელს მდაბალ შიშით ვემონოთ. არა,  
მეფის ბედი დღეს ჩვენსა თავზე გადავიტანოთ.
- რუსუდან — მთების წიაღში ჯერ ღვთის სიტყვა არ შეღწეულა,  
მაგრამ ბუნების წესით მაინც გამოხენ მონობას,  
ჩვენ კი მტარგლობის უარყოფა აღთქმით მივიღეთ  
და საქმით ისევ მონები ვართ, რადგან მიღებულ  
სიბრძნეს სინდისი ვერ დაუგუგოთ.
- ფილიპე — მეფის ასულს,  
ამ ჭირში სპასპეტს მოეუსმინოთ.
- ერმანოზ — ჩვენ უფლის მადლით, —  
დიად ბრძოლისთვის განგეზუადეთ.
- რუსუდან — რარიგად, მითხარ?
- ერმანოზ — იმედი მაქვს რომ გაგიტაცებთ მეფეს მახლობელ  
შავ მთებისაკენ, ზოგი მაინც გადავრჩებით და  
მივალწვევინებთ სიმარგეში.
- რუსუდან — სულ რამდენი ხართ.
- ერმანოზ — დათვლა ცოდათ არ ჩაგვეთვალოს, მე ბადრაგი მყავს, —  
აღყიდან ჯარიც გამოვიდა.



- დიდიმ — გზად გაგვიძღვება გოგოთური.
- გოგოთური — ო, ჩემი რაზმის  
ფერხნი საფრენად მოემზადა.
- ფილიპე — საქმეს შევეუდგეთ,  
ციურ მესივით მტერს დაატყდით მოულოდნელად  
და ვით ელია ცეცხლის ეტლმა მოიტაცა და  
წაიღო ცოცხლად, აგრე მეფე თქვენც მოიფეთ.
- (ყველა მიდის. შემოყავთ მეფე დემეტრე. მტარვალს გვებანს და  
მის თანამემართ: შორით მოძმის თანამგზავნობთა გოლებს... უშეტესად  
ქალებს).
- გუებან — გრძნობიერ გვამზე ხელით სცემეთ, მეფეს საქვეყნოდ,  
ეს შეაძრწუნებს დამცირებით მას უფრო მეტად,  
ვიდრე წამება იარაღით,  
(შემოდის ვეზირი)
- ვეზირი — შეწყვიტეთ გვემა.
- გუებან — ნუთუ, ახალი ბრძანებაა.
- ვეზირი — ო, უმძიმესი!
- გუებან — ჩვენს ადათშია, როცა მეფეს გვემას კადრებენ  
არ შეიძლება შემდეგ მისი სიკვდილით დასჯა
- ვეზირი — ასე იყო და არის, ხოლო, დემეტრეს ამჯამ  
მზის შეგონებით მიუსაჯეს თავის მოკვეთა,  
და ბრძანებაა ჯალათებმა შეწყვიტოთ გვემა.  
(მოისმის გოლება)
- ხმები — სიკვდილი არგეს! ო, სიკვდილი! გვემაც სიკვდილიც!
- გუებან — (მეფეს) გესმის, მეფე რა მიგიხსაჯეს!
- დემეტრე — სული ცისაა,  
გვამს ვტოვებ, ტკივილს შით მოვიღვე.
- გუებან — სილარე ვიპყრობს.
- დემეტრე — ნუთუ ცხოვართა დასაფარად მგლებს არ ვქაღვევი.
- გუებან — შენი ფარამ სხვა მგელი პოვა, ჯერ მას შეაჭმევს  
სინდისს, შემდეგ — თავს.
- ვეზირი — დაგიტყიეს მოყვებმა ბჭენი,  
განძი მოგტაცეს, მტერსაც მისცეს.
- გუებან — აი, ისმინე,  
სწორედ ამ საქმეს გაყვირიან მედებეშენი.
- დემეტრე — დაყრუდეს ყური სორციელი, — რათა ვერ შეძლოთ  
ჭეშმარიტების ხმა დამიხშოთ.
- ვეზირი — სულიერ ყურში  
მოჩვენებული ხმები ბგერენ, — სიცრუე ისმის.
- დემეტრე — მინდა მესმოდეს ხმები ერის დამშვიდობების,  
ფიცის ხმა, მძიმე გზის დალოცვა, კეთილი სიტყვა.
- გუებან — ერი სიამით წვავს თავის ხატს, ძალა დაკარგულს,



- დემეტრე — ო, ღვთის რისხვა!  
(მოისმის აღშფოთებული ხმები)
- გუგუბანი — ბრბო სდევს შენს შვილებს, ხერგელში ვძებნენ ჩინოვნიკსა ჩასაქოლად, ფიცს ასე გიხდის.
- დემეტრე — ცრუობთ, ბოროტნი!  
(მოისმის დემეტრეს დატრეხვა)
- ვეზირი — ისმინე შენივ მოტიარლთა მწარე სიტყვები, გოდებენ რარიგ გიმუხთლა დღეს შენივე ერმა.
- დემეტრე — ნუ მცდით, დამეცით რვალი, ჩქარა, უსახურებო!
- ვეზირი — ჩქარობ აქციო სისხლი შენი ერის სიწმინდეთ. მაგრამ სისხლს დაღვრილს ბრბო ალოკავს, ვით ხარბი ძაღლი.
- დემეტრე — დამაშორეთ გვამს სატუსალოდ თქვენგან ქმნილს, რათა უხორცო სულმა ერის შემწვლელ სულებს ვებრძოლო.
- ვეზირი — თავს გაცლით მაინც ჯიუტი და მოუხრელი ხარ.
- გუგუბანი — მოუდრეკობით გეგზარ გვანცას, შენს მშობულ დედას.
- დემეტრე — ვით მაგონებს ბილწ პირით ნათელს!
- გუგუბანი — დღესავით მახსოვს, ყაენის კარზე დედა-შვილი დაგტოვათ მეფემ შეუბღალავი კავშირის და ნდობის საწინდათ. მაშინ ხუთის წლის იყავი და როს დედა-შვილი გამოდიოდით ჩარდახიდან თქვენ გადარებდენ ახალ მთვარეს და ვარსკვლავს გვერდით ამოდევნებულს. მაგრამ შეიპყრო დედოფალი მედიდურებამ, თავის მეუღლე წააქეზა ყაენის სამტროდ, ულუსში პოვა მუხანათად ზოგი ხათუნნი და შევიპყარით.
- დემეტრე — ცილს სწამებ.
- გუგუბანი — მე ვარ მონაწილე.
- დემეტრე — მონაწილე?
- გუგუბანი — ის მე ვაწამე. მახსოვს, უდრეკად გაუძლო ენით უთქმელ ტკივილს... რა იარაღით ვერ გაუტეხე, შენ დაგისმარე ამრიგად: მასთან საყვებელში შეგიყვანე და გაცქვრინე დედის წამებას აუტანელს. შენ ღრიალებდი. მშობლის გულმა ვერ გაუძლო შენს შემტყუნებას და, რაც მინდოდა დაუკლებლად დაეფრქვევინე, დალია სული ახეთ ქენჯნით.
- დემეტრე — ხუთის ძლივს ვიყავ... მახსოვს დღე შავი დღეინდელზე... — მაშ შენ იყავ ის ღვთის გარეგანი...
- გუგუბანი — ო, მე თვითონ ვაწამე დიად! დიად!
- დემეტრე — მას აქეთ სვამ... ჭამ...



- გუგუბანი — ამ მარჯვენით ვაწამე გვანცა.  
და, ახლა, ოცდაოთხ წლის შემდეგ იმ ხუთის წლის ბავშვს  
დედის წამებით შეძრწუნებულს, დღეს, მეფედ გაზრდილს,  
იმავე ხელით მის მტირალ ერის თვალ-წინ თავს მოგვევთ.
- დემეტრე — მაშ, ის ბნელი ხარ?!
- გუგუბანი — ამ მარჯვენით...
- დემეტრე — დედის მქენჯნელი!  
(დემეტრე ეცემა ხელზე გუგუბანს და მტრის რვალის გამოყენებით,  
პაუროვიე ააგლეჯს ხელს)
- დემეტრე — ამ ხელს წაფილებ ჩემ დედასთან...  
(დემეტრე მოწვევით ხელს გადაადგებს).
- დემეტრე — არა, ეს ხორცი თქვენთან იყოს. ჩემი სული  
ამის შინაარსს წაილებს და მიუტანს დედას.
- გუგუბანი — ვკვდები გუგუბანი! ო, არ მოგვედე, გესმით, კეთილნო.
- ვეზირი — ჩქარა, დოსტაქარს ჩააბარეთ.  
(გუგუბანს გაათრევენ)
- ვეზირი — არსად წამოგცდეთ.  
ო, რას იტყვის ცა და ქვეყანა. წარვუდგეთ ყაენს  
თითონ დანიშნავს ახალ გუგუბანს.  
(შემოდიან მღვლეარედ დიდიმი, ერმანოზ, გოგოთურ, გამოჩნდება  
მათი ჯარის ნაწილი).
- დიდიმი — ვით ჩვენ აქამდე, — აწ თქვენ ხართ ჩვენს გარემოცვაში.  
(უხმოლ და სწრაფად შემოეხვევიან ერმანოზის მოლაშქრენი ვეზირს,  
მის მცველებს და ფარებით გადენიან სცენის იქეთ).
- დემეტრე — მგონი შეთქმულხართ.
- ერმანოზ — გზა გავაპეთ.  
(შემოდიან ფილიპე და რუსუდანი).
- დემეტრე — გზა თავიდანვე  
გვექონდა და დავემეთ.
- დიდიმი — ეს სულ სხვაა.
- ფილიპე — იჩქარე მეფე!
- დემეტრე — მე მოვათავე ყოველივე.
- დიდიმი — შენ შეგრჩა ცეცხლი,  
აქ კართან ვნახეთ მოგლეჯილი შენ მიერ ხელი.
- ერმანოზ — დიდი ლაშქარი ყაენის აწ ვერ მოგვეწევა  
ვიფრენთ, მივასწრებთ მიუდგომელ სამშვიდობომდე.
- გოგოთურ — იქ კერპად გიცნობთ, ვიტრიალებთ შენი ბრძანებით  
მეზიან ღრუბლად მთაგრეხილსა და ბარის შორის.
- დიდიმი — მე მწამს განგების ნებით ნისლი ჩამოწევა გზაზე,  
ერმანოზ — გარდა ამისა ყველა ხედავს და იცხადებენ,  
რომ მხეზე ჩრდილი გაწოლილა, შავად იზრდება,  
და მტერი დევნას ვერ გაბედავს სრულ დაბნელების  
შივით მშფოთარე.
- ფილიპე — ჩქარა, მეფევე, ფეხი დახმარი.



- დემეტრე — უმალ კლდოვანი მთა შეისმენს და ფეხს მოიბამს
- ფილიპე — თუ ბედი გშველის რად კიუტობ?
- დემეტრე — ოდეს ყაენი  
მიხილავს ქედზე გამაგრებულს მთელ ერს მომისპობს,  
რადგან აქვს ხმალი დაბჯენილი სამეფოს ყელზე  
და ცნობს, რომ ერს ვერ შეირიგებს, სანამ მე ვცოცხლობ,  
ამიტომ მე თავს ვერ ვუშველი, ვერ ვინაცვალე,  
უთვალავ ერს ღვთით ჩაბარებულს.
- რუსუდანი — ჭეშმარიტება  
ხარისხს აფასებს და არა რიცხვს, მან იხსნა ნოე  
გამორჩეულად და მოსპო მთლად კაცობრიობა...  
თუმც კაცთ არ აკლდათ ხელოვნება და სიბრძნე, მაგრამ  
არ სწამდათ ღმერთი და არ კვებდა მათში სიკეთე.
- დემეტრე — კაცობრიობას სძლია ერთმა ნოემ სიკეთით  
მე რა ღირსებით წარუდგე ღმერთს.
- რუსუდანი — კაცთმოყვარე ხარ?!
- ფილიპე — ვრუსალიმის კარნი გახსენ ქრისტიანთათვის.
- დემეტრე — გახსენ, ვით მონღოლთ მოკავშირემ, მაგრამ იმ ომის  
შემდეგ ბრძოლებში ამოვწყვიტე ყაენის ნებით  
მშვიდი მცხოვრები ვევიპტელთა და უფლის რისხვით,  
ბოლოს, დაემარცხდი, დავლუპე სპა და ამიტორდა  
ათი ათასის ქერივ-ობოლი, თუმც მე უნებლად  
შინდაბრუნებულს ყაენისგან ქება მომყვა და  
განძი ნახვეჭი ერის სისხლით... ეს —სიკეთეა?
- ერმანოზ — ძნელ გარემოში ჯარს გმირობა ჩაადენინე  
და შენც დიდებით სამშობლოში მოგაღწევიანს.
- დიდიმ ხმები — ჩვენ ენატრობთ მათებრ მოვიზადოთ ვალი ზეცასთან.
- დემეტრე — მზად ვართ, მეუფევე!
- დემეტრე — მაშინ მტრის ხელში ტოვებთ ყველა თქვენს ნათესავეებს...  
ერს არ დარჩება სიწმიდეთა დამტირებელი,  
ხოლო ვიეთნი იტყვიან, რომ ერთმა ვერაგმა  
ორი დღის ცოდვილ ცხოვრებისთვის მისცა ბნელ უკუნს  
ერი ღვთისმშობლის წილსდომილი.
- ერმანოზ — ერის სახეთ ჩვენ გველინებით.
- დემეტრე — ჩვენ დადგეთ სიტყვა მთელს ერთან და ვერ გადავუხვევთ.
- რუსუდანი — ბრბომ გილალატა —გატყდა ფიცი. ავი ვამია.
- დემეტრე — მე დაუთქვი თითონ შევიანხო ფიცი სიწმინდით,  
გარნა ფიქრად არ მომსვლია, რომ სამაგიეროდ  
მთელი სამეფო სრულ წმინდანად გადაიქცევა.
- ერმანოზ — ათასი მოყმე, შენ მაგიერ მიმღები გულში  
სასტიკ მახვილის, განისვენებს უცხო მიწაში,  
მაგრამ რა ვნებით შეენატრით ჩვენ ცოცხალნი იმ მკვდრებს,  
ნუ გვატყვიანებ ჩვენს წახდენას.
- რუსუდანი — აჰა, გამოჩდა ელიზენდა ცისკრად. ის მეფეს  
ამ ცხოვრებისკენ მოაბრუნებს.  
(რუსუდანი და დიდიმს)
- ერმანოზ — თუმცა, კეთილნო...



- ასულში არ სჩანს რაც გვჭირდება ჩვენ და გვწყურია
- დიდიმი — აი, ფეხიც კი მოგკეცა, ძლივს გაიმართა...  
მას ვინმე ქალი მიემშველა და თანაგრძნობით შეასვა წყალი, თუ წამალი, მოსამაგრებლად.
- რუსუდანი — სანამ მეფესთან მოაღწევდეს მსურს შევესიტყვო.  
(რუსუდანი მიღის)
- დემეტრე — ჩემ მიმართ გულით კეთილი ხართ, მაგრამ რა დიდი ბოროტებაა თქვენს ზრახვაში, არც გესიზმრებათ.
- დიდიმი — შენ რას უწოდებ ბოროტებას?
- დემეტრე — მე დაგაჩლუნგეთ.  
კაცთა სისხლ-ზორციტ გვეკებავდით, ვით უბილწეს მხეცებს.  
და, შიშით შტქმნილ სიყვარულით, მთლად გავიწყებდით ნათესაეობა-მეგობრობას ჩემსა გარეშე.  
ვითარცა მფეფ ვამაყობდი სპის ერთგულებით,  
მაგრამ ნაყოფი დღეს მემწარა. თქვენ ვერ ცნობთ ჩემს ღვაწლს,  
რადგან ნამდვილი სიყვარული არა გაქვთ ერის,  
არც ნათესაეთა მიმართ გიჩანთ გულმომწყვაობა.
- ერმანოზ — დღეს მთელმა ერმა დაივიწყა სიმაართლე, რადგან გაჩნდნენ სიცრუის ნაყოფებად მოლექსენი და გვიჭირს სიმაართლე სიცრუიდან გამოვარჩიოთ.
- ფილიპე — მე საქართველო მიყვარს მისთვის, რაც მიინდა იყოს არა მისთვის, რაც ის დღეს არის.
- ერმანოზ — უბედურია —  
მტერმორეული.
- დემეტრე — თქვენს თანაგრძნობას იწვევს მარტო ჩემი წუხილი,  
მე კი ზღვა ერში წვეთი ვარ... ამ ზღვის ყველა წვეთი არის ჭურჭელი, რაშიც ღმერთის ნაწილი სუფევს.  
მაგრამ თქვენ მარტო ერთ წვეთს მსახავთ მთელსა ზღვად, რადგან თაყვანს სცემთ მეფეს ცოდვის მომგვრელს და არა ღვთის შუქს.  
თქვენ ცდილობთ ერის სიყვარული გადაამაგიწყოთ და გასათიშად მათწყებთ ბრბოს მუხანათობას,  
მე კი სიყოცხლით რაც ვერ ვთქვი მსურს საფლავით გითხრათ.  
(მეზოდან რუსუდანი და ელიზენდა)
- რუსუდანი — შენ ხუტლუს ხასამ რა შეგასვა?
- ელიზენდა — წყალი — გულწასულს.
- რუსუდანი — რად გითანაგრძნობს?
- ელიზენდა — დაინახა რარიგ მძულს ხუტლუ და სიამოვნებს, რომ ბოროტთან არ ვეჯობრები.
- რუსუდანი — მაინც წვეთ წყალსაც ნუ ენდობი მისი ხელიდან.
- ელიზენდა — აწ არც შემხვდება. (დუმილია) აქ რა ხდება?
- რუსუდანი — ცამ გზა მოგვკათ, და —  
მეფეს გონება გაუნათე ლამაზ სულ-ზორციტ,  
მიწიდან თდნავ ალაფრინე შენი სიტურფით და, ჩვენ, ვით ქარნი მხრებში ფრთებთ ამოგიდგებით.
- ერმანოზ — ნისლად ჩამოწვა ცის ღრუბელი და მზე თვალს ხუტავს.
- რუსუდანი — თქვენ ვერ მოდრიკეთ მეფე?
- ფილიპე — უფრო დაგვმორდა გულით.
- რუსუდანი — ვშიშობ შეხვეწნით კიდევ მეტად არ გავეთიშოთ,  
(ელიზენდა უახლოვდება დემეტრეს. სხეები მიდია)



- ელიზენდა — აქ გაჭირებით მოვალწიე.
- დემეტრე — გული თუ მოგყვა?
- ელიზენდა — მთელი არსება შენკენ მწვედა, და როს მოვედნი კითხვებს ვერ ვუყრი თავს,—
- დემეტრე — რა გითხრა, აწ დროს გარე მყოფმა
- ელიზენდა — ჩუმაღ გამანდეს, თითქო ეამი კვლავ მოგიბრუნდა.
- დემეტრე — სპამ აქ მომთხოვა, ქედზე ქვაბში ვიცხოვრო შენთან.
- ელიზენდა — მაინც ვერ მოვთხოვ, მეფვე, უღვთო ხერხით დაიცვა შენი სიცოცხლე და მით ჩემიც.
- დემეტრე — რა გულწრფელი ხარ, უხილავ სიტყვებს შენ ხილულად რომ აღმოფქვავდე ყოველი სიტყვა ანგელოზის სახით იქნება.
- ელიზენდა — სხვა სიცოცხლის კარს აღებ მსხვერპლით და ციურ ქღერით, სიკვდილის მცხს და ზარს ადუმებ.
- დემეტრე — ამ აღსასრულში  
ცა შენს უკეთეს ანგელოზს ვერ მომიგზავნიდა ზორცილგან ჩემი გაყრილ სულის ჩასაბარებლად, უკანასკნელი აღტაცებით მე ვიღებ შენგან ღიმილს, აღერსს და გამზნევებას ჯერ არ გაგონილს... დასასრულ — შენი თანაგრძნობით აღტყინებული ვიგრძნობ ერისთვის თავმოკვეთას ერის ამბორად... ო, შემოდი ჩემ სულში ყოველ სიმშვენიერით, უბადლო სიბრძნით, სულის ცისკრად.
- ელიზენდა — გემუდარები  
მე წმინდანებს ნუ შემადარებ... აქ აუტანელ ტანჯავს მოველი, თუ სიკვდილმა დაიგვიანა და მიპყრობს თრთოლა, შემინია კაცის...
- დემეტრე — რარიგად...
- ელიზენდა — ადამიანი იშვომ ქოთავს, რომ ჯოჯოხეთში, აღბათ, სატანა კაციტ ტანჯავს კაცს უმკაცრესად.
- დემეტრე — რარიგ გავიგო შენგან ვეზომ უსასო გმინვა...
- ელიზენდა — კაცი ბნელდება, ვით სატანა, როს ღვთის შუქს კარგავს, და უსპობს ვისაც დაძღვეს ყოველ წმინდა სალოცავს, მე აწ ვეძიებ მხსნელად სიკვდილს, ვეძიებ მისთვის, რომ დღეს შემეპყრეს მოედანთან ხუტლუს დამქაშთა და მიმათრიეს უწბილოსთან. სწორედ ისეთ ეამს, ოდეს აცნობა მას მტარვალმა ყაენისაგან, რომ შავი ცხენი გაუგზავნეს მეფეს სამგზავროდ, რითაც აწ ხუტლუს ჯავრი მასზე ამოიყრება... ო, მე და ხუტლუ იქ შვევებით გველთა აგზნებით, ის ცეცხლს ყრიდა ჩემ ჩასანთქმელად გველემშაპივით, მაგრამ დაგვემთხვა სასწაული, — მზემ იწყო კლება ბრბოს ფეთებაში მომიტაცეს შენთა ერთგულთა. გზად ხუტლუს ხასამ მომაწოდა, გულწასულს წყალი და მოვალწიე... მაგრამ მინდა მე არა მარტო დამშვიდობება, — შენ ცად მიხვალ ერის წმინდანად, შარავანდედით, მე კი ვრჩები აქ ხუტლუს ხელში, —

ვინც სატანაზე მეტად დამსჯის, მით რომ ჯოჯოხეთს  
 სულს სჯიან, აქ კი ვით ზორციელ ქალს, მის მოქმედებაში  
 შემბლაღავს მრუში მამაკაცი შეურაცხყოფით, მამაკაცი  
 ყოველ სიბილწეს აღშფოთებულ სულში ჩამარწყვეს  
 და შენს რჩეულ არსს ამაწივლებს გამჩენის გმობით.  
 ამ ავბედიდან მას სიცოცხლით ვერ გაუსხლტები  
 და მოველ, რათა შენ გაგყვე თან, მაგრამ რარიგად?  
 მე თვითმკვლევლობა ღვთის ურჩად მქმნის, შენ: — მკვლელი  
 გწმინდავს...

უთქმელ ქვეყნისკენ რარიგ ვივლით, ერთ გზით მე — ჩემი  
 სისხლით შესვრილი, შენ — წმინდანი.

- დემეტრე — შენ შემჩვიე, რომ  
 ელიზენდა — სიკვდილზე ავად გემუქრება სიცოცხლე  
 მას სურს  
 წამებით გამზრწნას და შემრიცხოს წაწყმედილებში.
- დემეტრე — მე განვიზრახე ჩემი სისხლით ცოდვის მობანა  
 და დედის სახეც მომეგება ჟამის ბინდიდან.
- ელიზენდა — ნუ მწამებ ამგვარ გაგიჟებას, თითქო შეგთხოვ ერს,  
 ხინდისს უმუხთლო, — ჩემთვის სული გამოიცვალო...
- დემეტრე — ისევ ციურ ხმას იღებ ველით კაცურ ძალაზე  
 ზედმატებულს. სპეტაკი ხარ ამ დიდ ქენჯნაშიც  
 აი, გქვები განმიფანტა დედის ნათელმა  
 თითქო დაეშვა იგი ახლა სასულეთიდან  
 და ჰაერში დგას ღვთიურ სახით... შენც რომ ხედავდე!
- ელიზენდა — თვალთ ველარა, — გულით კი ვგრძნობ.
- დემეტრე — გული ახელს თვალს  
 დედავ, შენ ზეცის შუქი გენთო დაზადებითვე,  
 ვით ტანის სითბო ბუნებრივი მთელ არსებაში  
 მისთვის ცხოვრება მაგრძნობინე ისეთ სიყვითეთ  
 ოდეს ვახსენებ: ღმერთს, სიყვარულს ბედნიერებას  
 იმ ჟამის შენი სიყვარულს და ალერსს ვგულისხმობ  
 და მჯერა ასე გრძნობენ სხვანიც დედა-შვილობას...  
 ვით თავის ნსგავსებს ერთმანეთთან გვაერთებს ღმერთი  
 და სიყვარული და ძმობა გვიჩნს ჭეშმარიტებად.  
 წმინდანო დედავ, ნუ მაკითხავ შენს ძეს დარცხვენის...  
 მე იმეამ გულით შემოგვიცე, რომ შურს ვიძიებ.  
 მას შემდეგ მე ზრდა მოვათავე, მეფედ ვეკურთხე  
 და ვცადე ქვეყნის მოძალადე ყავნთ დამსობა,  
 მაგრამ პატარა, საყვარელი შენი დემეტრე,  
 მამაცი მეფე, გზის გამხსნელი ღვთის საფლავისკენ  
 დღეს შენთან მოდის იმავე მტრისგან თავმოკვეთილი...  
 გარნა ნუ ტირი შენს პატარას, მე ამ სიკვდილის  
 ნაყოფად, დედავ, მომაქვს დახსნა ერის ცხოვრების  
 და ჩემს სახეზე ანთებული შუქი წმინდანის,  
 ხოლო საკვირველ განძად მინდა მოგვჯარო რძალი, —



- ჩემი სპეტაკი სიყვარული ამ ქვეყნიური...  
 ის ცოცხალია და ჯალათი არ ემუქრება,  
 მაგრამ ცხოვრება მას უჩემოდ მოერგება,  
 ვერც ვტოვებ ქვეყნად, და ვერცა ვყრი მის სულს ხორცისგან
- ხ მ ე ბ ი** — იჩქარე, მეფეე!..  
 თითონ მზეც კი ჩრდილს და ბნელს გვაძლევს!  
 ჩვენთან ცხოვრება ამჟობინე!  
 ჩქარა, დრო მიდის!
- დ ე მ ე ტ რ ე** — წმინდანო დედა, ეს ხმებია ჩემთა ერთგულთა:  
 სიცოცხლისაკენ მოწოდების. ისინი გვთხოვენ  
 მე და მშვენება მიწიერი გაცხვეთ მათ ქედზე  
 და ვატებთ ჩვენი საუკუნე ზურგს შედგმულ ცოდვით...  
 შენ მშობლის გული აგიდუღდა, კეთილო დედაე,  
 არა, გაშაგრდი, მიმართე ღმერთს, მისი წმინდანო,  
 შევედრე გზა დაგვილოცოს ქვეყნის მშველელთა,  
 იცნოს სიწმინდე ამ ასულის, ვინც ცივ დუმილით  
 უპასუხებს ჩვენს მომწოდებლებს ნეტარებისკენ,  
 ევედრე, რომ ის ღირსი არის მალაღმა ღმერთმა  
 ცით ცეცხლის ეტლი მოუჯანავოს და აიტაცოს  
 ცოცხლად ზეცაში ვით ილია წინამეტყველი.  
 წმინდანო დედაე, მზად არა ხარ...
- ე ლ ი ზ ე ნ დ ა** — ა, ვგრძნობ კეთილად  
 აღმიხდა, მეფეე, შენი ლოცვა.
- დ ე მ ე ტ რ ე** — მხიარული ხარ...  
 თუმცა... ფერი გაქვს გამოცვლილი.
- ე ლ ი ზ ე ნ დ ა** — მე ვგრძნობ წამალი,  
 რაიც შემასვა ხუტლუს ხასამ, უფლის შეწვევით  
 შემერგო ჯამზე გასაყრელად სულის და ხორცის.
- დ ე მ ე ტ რ ე** — სჩანს, ბნელმა იჭვმა სულმოკლეს ეს ჩაადენინა.
- ე ლ ი ზ ე ნ დ ა** — ო... მე მაშინვე ვიგრძენ, მაგრამ ვერ მოვიცალე...  
 ო, რარიგ მახრჩობს. დამიკავა ვეფლა სახსრები.  
 მთელ ტანში ცეცხლი მომკადა... აწ ჩემი სული  
 თავისუფლდება მის შიშისგან. შენი ვარ... შენი...  
 აი... მინდა მხნედ.. ძალა არ მაქვს.  
 (ელიზენდა კვდება)
- ხ მ ე ბ ი** — აყოლებს მეფე!  
 ნუ გაგეწირავს!  
 (შემოღიან რუსუდანი და ერმანოზ)
- ე რ მ ა ნ ო ზ** — მეფეე!
- რ უ ს უ დ ა ნ** — (შეკრთება) ელიზენდ... ა...  
**ე რ მ ა ნ ო ზ** — ეს მკვდარია?!
- რ უ ს უ დ ა ნ** — მზე სულ შავდება.
- დ ე მ ე ტ რ ე** — სულს ნუ იბნელებთ, ნუ მაცდურობთ, ერთურთს მისხედეთ.
- რ უ ს უ დ ა ნ ი** — უკანასკნელი ღონე ვიდეთ ვერ შევარკივთ.
- ე რ მ ა ნ ო ზ** — აწ მოვუაროთ აქ მეფისთვის ჩვენთან შეთქმულ ჯარს.  
 (ერმანოზ და რუსუდანი მიღიან. დუმილია.  
 შემოღის მტარვალი. შემოყავს შავი ცხენი. მტარვალი მიდის.)

დემეტრე — რაშო, დაეიხსნათ სპა და ერი ბოროტისაგან.

(დემეტრე ჯდება შავ ცხენზე ბინდიან ცაში გაიღუვებს, ეღიზინდას და გვანცას ნიშნები. დემეტრე სასოებით აღაყრობს, მიიყენებულს. ბნელდება. ჩირადლანი წამით გაანათებს წაქცეულ ცხენის და მეფის გეგზე მტარვალის მიერ აღმართულ სისხლიან ხმალს და შემდეგ უკან სიბნელეში, ვრცელ მანძილზე გაისმის ბრბოს ზარი და ძრწოლა.

ჟ ა რ დ ა



## სიჩილათური ლანდები

### მომხრობა

„...ვიამბობთ სიფრიადესა  
დავითის აღმაშენთასა...“  
უცნობი ავტორი.

...ირგვლივ დიდი ნისლი იდგა, წვიმიან ზაფხულისთვის ართუე უცნაური, უქარი ნისლი. ფარულად მავალ აბჯროსანთათვის ხელსაყრელიც.

რჩეულად შეთორილი და შექედილი გუნდი ქედ-ქედ გაჰყვა დიდგორს, ოდნავ ჩაივარა კალთაზე და ცხენები ააჩქარა.

მუქი ლანდები მალევე სოფელს წაადგნენ. ნისლიდან ფანდურის ხმა და უდარდელი ჟრიამული გამოდიოდა. შავ არაბულაზე მჯდომმა ზარადი დაუშვა, სახე იფარა. სხვებმაც დაუშვეს. სოფლის თავში, კლდესთან, სანახირე ხერგილა კარი გამოჩნდა. ნისლში ყველაფერი ოდნავ შეზვიადებული ჩანდა, ხმა კი მკაფიოდ გამოდიოდა.

...ჩანს შეამჩნიეს ლანდები, მთიულურად ლექსში „გაჩარხეს“...

...ნისლში გამოჩნდნენ ბარენი...

თრიალეთურა ლანდებად...

...არაუი, მწვადი, მარილი...

ფანდურს ვინ დაგიზარდება...

მაგრამ ლექსი შემფოთებულად, შუასათქმელზე გაწყდა. ახალგაზრდები მინც თამამად გადაუდგნენ მოსულთ...

— საით მიხვალთ, რკინის კაცებო?!

— ყინჩად შეეკითხა მეფანდურე, ხელი სიმებს გაპკრა, — სახესაც მალავთ?! ხომ სტუმრები ხართ?

მოსულნი სდუმდნენ.

— იქნებ მტრები არიან?... პომთაბარენი? — არც დაფარულად გადასჩურჩულა ტანაშოლტილმა მოზარდმა ასულმა.

— ცხენების ძუაზე ვატყობ, ჩვენებურები არიან! გახე, როგორ გამოუქვანწავთ!

აბჯროსნებმა უნებურად უკან მოიხედეს... ტანაშოლტილა სალამურივით აკაცანდა. მეაბჯრეებსაც გაეცინათ... სდუმდა მხოლოდ ყველაზე მალალი, უნატიფესად შეაბჯრული და მოწინავე. მერმე შეეკითხა:

— რა სოფელია?

მეფანდურემ მცდელად შეჰხედა...

— ლელობი.. სულ ერთია გეცოდინება...

— ვიცი.. მართალია.. — ჩაეღიმა მხედარს, — ეს ბილიკი, მთა-მთა, სათოვლე სერით, ბოლოს არმაზ-მცხეთას გადადის?

ახლა კი შედგა ვაჟი...

— სახე დამანახე და წვრილად გე-



ტყვი... გადაგყვებით კიდევაც, თუ ერის საქმე ითხოვს...

— მართალს ამოვს ყრმა! აჩვენე სახე! — ბრძანა პირველმა.

მეორემ, აგრეთვე ცხენკეთილმა და რჩეულად აღკაზმულმა, ზარადი აიწია.

ყველამ შეჰხედა კეთილად შევსაყავ-ცებულ, უღვაშაკოკრილ სახეზეწილ მხედარს.

— დემეტრე უფლისწულო!... დიდება შენდა ღმერთო!... წინ მიეგება მეფანდურე.

— რომელი ხარ? ნისლში ვერ გიცან?

— შეეკითხა უფლისწული.

— გუჯა ვარ, ირმებზე რომ განადირე საირმოში...

— მახსოვს, გუჯავ, ნიჩბურას თავზე!... ახლა მტერი შემოგვესია... ჩვენზე ნადირობენ!... შენისთანა საიმედო და მარჯვე ხალხი გეპირდება!

დემეტრემ, გუნდის მოწინავეს, მეფანდურის სრულსაიმედობა, ზელით ანიშნა.

გუჯამ იგრძნო საქმის სირთულე, აღარც დააყოვნა.

— მარჯვეთ გადაგიყვანთ...

— არა, ჩვენ არ გვწადს გადასვლა... პირიქით.. მტერი არ გადავიდეს ოღონდ!

— პირველმა რჩეულთაგანმა, თითქოს სიტყვიერი სამანი დასვა, უფლისწულიც შემოაბრუნა, — აბა გაჰხედეთ სათოლეს სერს, იქნებ იქ არ არის ნისლი?

დემეტრე და ნაწილი აბჯროსნებისა უმალ ნისლში გაჰქრნენ. დარჩენილმა მეთაურმა კი ყველა ერთ ლანდზე ამოძრავა...

— თქვენ, ახალგაზრდებო, ხევისბერი მომგვარეთ ჩქარა!... გუჯავ, აქ დარჩი!

სხვა ახალგაზრდები, გარდა ტანაშოლტილა ასულისა, გაიქცნენ, სოფელში... და სულ მალე, ნისლზე თეთრი და წვერი-ჩამონისლული ხევისბერი გამოჩნდა. მოდიოდა და გზაში ჭამარ-სატევარს ირტყამდა წელზე.

— დიდგორელო! მტერი მოდის... სოფელი უნდა აიყაროს.. სახიზარი გაქვს?

მოკლედ მოუტრა პირველმა აბჯროსანმა.

— საბრძოლოც მაქვს და სახიზარიც!... გააჩნია ვის ვებრძობთ და... ვინ მიბრძანებს? — წვერი კალქა თითებით დინჯად ჩამოივარცხნა ხევისბერმა.

პირველმა შეაბჯრულმა ზარადი აიწია...

— ჰოდა, აგრე ვეთქვა... შენი ჰირი-მე!... — შესძახა გაოცებულმა, — ყველას, ომში გამოსადეგს მოგცემ... სოფელს წაეიყვან...

— ახლავე!.. საქონელს დაჰყრი...

— ძაღლებს?

— ძაღლებსაც...

— მე თავად გამოვბრუნდები, ლელობელთ გაახლებ... ზურგის ჰრილობა არ იციან!

— ხვალვე, დემეტრე უფლისწულს მიჰგვარე დიდგორს უკან! გუჯას აქ დაეტოვებ, სოფელში ფანდურ-ბადურა კაცი მინდა! საგმირო საქმეა! ივარგებს?

ხევისბერმა მიმოიხედა ტანაშოლტილა დინახა.

— აბეშურას ჰკითხე... მისი დანიშნულია... მამა-ბატონო!

— აბეშურას? — მამა-ბატონმა სახე მოიბრუნა, მორგვალეებულად შემოსწორებული წვერი და გრძელი, უკვე ჰალარა უღვაშები უნებურად გამოაჩინა.

— ივარგებს! — წამოიძახა ნისლშიაც თვალუყუენამ, — ბიჭიც ჩემია და ფანდურიც!

მეც აქ დავრჩები! თუ მტერია და... ჩვენი მტერი უფრო ყოფილა! ჩემი — ორმაგად!

— რატომ უფრო? — ოღნავ შეწყრა უკვე იარაღში ჩამქდარი ჰირისუფალი. ხევისბერი აბეშურას შემოუბრუნდა, ხმადაკლებულად წასჩურჩულა...

— ვერ იცანი თუ?

..მაგრამ მეფემ ხელი აუქნია...

— შენ წალი!.. სოფლიდან მოთქმის ხმა არ გამოგონო! მტერი მანგლისს გამოსცდა უკვე!

ხევისბერი ელდანაკრავი გაბრუნდა

და გაუჩინარდა. დავითი კი ახალგაზრდებს შემოუბრუნდა...

— ორმაგადო?

— აბეშურამ თავი ჩაღუნა, მაგრამ სიტყვა კი აღიმადლა...

— ჩემ სამშობლოს შეილები, მებრძოლები უნდა გავუჩინო, ჩემს შეილებს კი სამშობლო შემოფუნახო!

— შენ უკვე შეილები გყავს?

— აბეშურამ სულ ჩაღუნა თავი, ტუჩებიც წამოხუტა;...

— მე უფრო მიმხედური მეგონე, ომის კაცო!.. მომავლებისა განა!

— კეთილი! შენც დარჩი, აბეშურაქალო!.. ბოდიშიც მომიხდია... ღმერთო, ნუ ამაღლებინებ ამათ ცოდვას! — დავითმა ფართო პირჯვარი ისახა, დაქვეითდა, ცხენი მებაბჯრეს დაანება, თავად კი კლდეზე წამოჯდა.

— მაშ რჩებით? თავგანწირული საქმეა!..

— ვრჩებით, მაშა?! — ერთად უპასუხეს ორთა.

— ღმერთმა თუ მოგვხედა და გავიმარჯვეთ... ჯვარს მე თავად, ჩვენ სვეტიცხოველში დაგწერთ!... თქვენ კი სწორედ მისი წმიდა სავალი უნდა დამიცვათ!

ნისლი შეთხელდა, შეიცრიცა... აქაიქ შეგვაპყვირვალედ ჩაიღეჭა. მთების მონახაზეები აჩნდნენ, მკაფიოდ შეუდგნენ ურთიერთ. დავითმა ერთიც შემოავლო თვალი გარემოს.

— ამაღას მოუბრუნდა...

— ლომინა სპასალარო ნიჩბურას სერს აპყვიო... საქარიანზე, კახა ერისთავს უთხარ — გხედავ-თქო! ლაშქარი ჩაფაროს ტყეში! — ლომინას მოსხლეტილ ცხენს თვალი აარიდა და ახლა ამბრია მებრძოლს უწვდინა, — — არიქა ამბრო! დიდგორზე ავარდი! ლაშქრის კუდი გარეთ დაგრაათ-თქო! ჯაჰვის ჩხრიალიც ისმის! ბაკურ სპასალარს ნახავ!

ესეც გაუშვა და შემოტრიალდა...

— ეს ვინ მოეხეტება ასე ღიად? ვისი გუნდია, გორგავ?

— ყივჩაღნი ჩანან! ზოგს ჩული ახუ-

რავს ჯაჰვეუ... — შეპბედა გორგა ჭანმა, — მაგრამ ყივჩაღნი საკურთხისზე არიან?! — შეეპედა გორგა, ჩემი განთქმული იყო თავისი ტანდრდობითა და შორი მშერთით... ციცი კავთელია! მუზარადზე ვცნობ, ზედ ხანჯლის წვერი აქვს მიჭედლილი, თავური სცოდნია!...

— ციცი! — ხელად დაცხრა მეფე, — მაგათ იციან თავისი გზა!.. დანაწილდით, დაიარეთ მთის კალთები, ხევის პირები... ჩასაფრებული ლაშქარი არსად ჩანდეს! დროზე ადრე ვერ გაიგონ ჩვენი აქ მოსვლა... უნისლოდაც ნისლი უნდა იდგეს დიდგორს!

განცვიფრებული აბეშურა და გუჯა თვალებს აცეკებდნენ და არსად კი არაფერი არ ჩანდა. მხოლოდ როჭოების შორეული კრიახივით ისმოდა ჯაჰვეებისა და იარაღის უნებური ჟღერა. ახალგაზრდებმა იგრძნეს, რომ უხილავი ლაშქარი უკვე ელოდა ჯერ გამოუჩენ მტერს. დიდგორზე ჯერ გაუფანტავ ნისლს, სარჩულად უკვე სულ სხვა, უფრო მჭახე ფერი ედო... დავითი კი აღესილად, მაგრამ ორმაგად ფიქრობდა... არა, კი არ იზნეოდა, თუმცა ერთმანეთში იხლართებოდა ფიქრი...

— „პველაზე დიდი ნისლი — ისტორიის ნისლია, შთამომავალს — წინაპარი რომ დარჩება უპატრონო ნისლად და ლანდალ! დიდ ბრძოლის წინ ყოველი „ნისლი“ უნდა სასწორზე აიწონოს, ხმლის აღესილ პირზე დაიდოს!... ღმერთო, გადაგვარჩინე ნისლებს!

ყველა რომ გაგზავნ-გამოგზავნა მეფემ, მებაბჯრეს თავისი მარჯაფა მშვილდისარი გამოართვა და ისიც განზე გააყენა, მონასპის გუნდთან ერთად. ახლა სამნიდა დარჩნენ, დავით მეფე, აბეშურა და გუჯა.

— ისრის ტყორცნაში როგორი ხარ, — გუჯა-ფანდურავ?

— ფანდურზე არანაკლებად, მეფეებატრონ!

— აჰა, ჩემი ნაქონი გქონდეს!... ერის საქმეს გაეალებ... აბეშურა მოგეხმარება! სოფელი წავიდა?

— წავიდა... — პასუხი აბეშურამ

გასცა, — ხევში ჩავიდნენ უხმოდ, უხილავად!

დავითმა თავი გაიქნია, მაგრამ სოფელი რაა, როდესაც მთელი სამეფოსა და ერის ბედი სასწორზე იდო.

— გააღეთ სოფლის სანახირო კარი... აქ დასხედით... მტერი რომ მოვა — აქ უნდა იყოთ!.. ლექსი, შირი, ტაშფანდურა!... მთავარია არ შეშინდეთ! — თითქოს დიდგორზე სრული სიწყყნარეა! არაფერი იგრძნონ! — აღფრთოვანდა აბეშურა.

— არა! თქვენგან სხვას ვითხოვ... ახლა აქ ყველა გზა და ბილიცი, ხევი და ყელი შეკრულია, ჩახერგილი, დასაგრული... მტრისთვის გაუვალა... — დავითს თვალები სულ დაეხუჭა, ისე ჰხედავდა თავის დაფანტულ, სამოცდაათათასიან ლაშქარს, გულშენაბყარად განიცდიდა, ჭერ არ დატრიალებულ ბრძოლათა ბრძოლას...

— ჩვენ შავ-მთების მხრიდან ველით გაუციხხავ, აურაცხელ მტერს... თუ გასცდა დიდგორს, — მერმე ჩაგვუღაპავს!

— მივხვდი! — თავი ველარ შეიკავა გუჯამ, — ყველაზე ცუდი დასაცავი სწორედ ლელოზ-სათოვლეს გადასავალია!

— ვაგლახ, ეგრეა!... სათოვლეს ქედზე ჩავსაფრე ლაშქარი... მეც აქეთ ვიქნები, მონასპით... მაგრამ აქ ყველგან გადაისვლებიან... ხეობითაც არის გზა ძეგვამდე... ტყიან მთითაც არმაზამდე... იქ არ გამომივა შეკრული ბრძოლა... ომი აქ უნდა მოხდეს!

დავითმა ისევ გაიმეორა, სამხედრო საბჭოზე ათასჯერ ნათქვამი. თითქოს აქაც, თავგანწირულ ახალგაზრდებთან ამოწმებდა და ამლიერებდა თავდაცვის ზრახვას. ახალგაზრდები კი მეფის ნდობით უფრო აღფრთოვანდნენ, მაგრამ ღრმადაც ჩაფიქრდნენ...

— ხეობით აქაც არის სავალი.. ხეობადულას ჩაყოლებით!

ქალარა მეფე, გუჯას ამ სიტყვებმა, თითქოს გაახალგაზრდავა და გაამხნევა, შერკინული ხელი ქვას დაჰკრა...

— მეც ეგ მინდა, მებრძოლო!

— გავიგე.. მივხვდი! — ლოყაზე ხელი იმტყიცა აბეშურამ, — ხევით არ წამოვიდნენ, მხოლოდ ქვევით... მისათვის აქ... დავრჩეთ... ვიტაშფანდუროთ!

— თითქოს განგებ გწადთ შეაკდინოთ, ამ სავალზე მოიტყუოთ!... თქვენს უკან დიდ ჩასაფრებაზე ეჭვი უნდა ააღებინოთ! — სიტყვა-სიტყვით ჩამარცვლა ომის ოსტატმა.

— საისრე მანძილზე რომ მოგვწვდებიან მერმე?

— მე შვილდი მოგეც... სტყორცნე და გაეცალეთ... მაგრამ ჭერ სოფელში, ძაღლები აუშვით, მერმე ხევში ჩადით — არა სათოვლესკენ!

— ძაღლები სათოვლესკენ ავარდებიან.. იქ გვაქვს ფარეხები!

— მით უმჯობესი! მხოლოდ ჭაჭვებით აუშვით ნაგაზები.. იყოს ჩხრიალი! — დავითმა შეაბჯრეს ორი მონასპა მოაყვანინა, — თქვენი ჭაჭვის პერანგები მიეცით, ალაღში ახალს ჩაიცვამთ!...

მეომრებმა აქვე გაიხადეს და გადასცეს.

— სამოსის ქვეშ ჩაიცვით!.. გამარჯვების შემდეგ ჩემთან მოდით საარაკო დანიშნულებო!... ფრთხილადაც იყავით... საიქიოს გზაც ახლა დიდგორზე გადის!

მალე დემეტრე უფლისწულიც დაბრუნდა და მამას მთელი გუნდით გაჰყვა. დიდხანს უშხერდნენ აბეშურა და გუჯა, დიდგორის ნისლში გაუჩინარებულ შეფეს. ნისლი კი ისევ შექტფრდა და ლელოზში დაბმულ ნაგაზების ყფა და ხელში შერჩენილი ჭაჭვის პერანგები რომ არ ყოფილიყო, მათთვის ყველაფერი ნისლის ზღაპრად დათქორდებოდა.

დიდი ლაშქარი ქართველებს უკვე ბრძოლის ველის ირგვლივ ჩასაფრებულნი ჰყავდათ, მაგრამ თვით „ბრძოლის ველი“ ჭერ მხოლოდ დავითის დიდი შუბლის არეში იყო. იქვე იყო მთელი საქართველოც, რომელიც გაერთიანებისათვის, თავის ტყვე დედაქალაქისათვის, თავისი დიდი გზისა და მზისათვის

იბრძოდა. საუკუნის კვანძი აქ — თრიალეთის, დიდგორს შეისვენა... ახლა დავითის შუბლია დიდგორი და თრიალეთზე ყველგან დადის მისი ლანდი ჩაფიქრებული...

აგვისტო ჯერ გრილი იყო, მერმე პირნისლიანი. მზე რომ გინაპირებდა, აურაცხელ ციკქნა მზეებად ბრწყინავდა ბალახოვან კალთების ნაეურებში. ხეობათა შორის გადასავლებზე დაწყვეტილ თასმებად ეციდნენ ბილიკები. გახეთქილ კლდეთა და უეცრად ჩასხლეტილ ხეობათა ფსკერიდან ამოწვერილი კენწეურობები მუქმწვანე იარებად იკლაკნებოდნენ. დიდგორნი, ღრეკილა სერნი და ღრმა ხევი აქ ისე იყვნენ ჩახლართულნი, რომ დავით მეფის მძლეობამდე შესიერებასა და ადგილის ეტიკებს თუ შეეძლოთ ერთხელ არეულ გზის გამოსწორება. დავითსაც ამისი იმედი ჰქონდა. ლაშქართწვევა ძლივს მოასწრო. მთელ საქართველოდან მოუვიდნენ დალესილნი, აღჭურვილნი, შეფიცულნი.. ზღვისპირეთი, საერთოდ დასავლისა და სამხრეთის მხარე, ქართლის საერისთავო, მთელი მთა და კახეთ-პერეთი... აქ იყვნენ ერისთავთა დროშონი, ყვიჩაღნი, მონა-სპა და ზოგნი როქისანნი — ალანნი და მოკედლებული ჯვაროსანნი...

...მაგრამ მოდიოდა მთელი ახლო აღმოსავლეთი... თურქნი—სელჯუქნი, არაბნი ..სპარსნი და რუმნი.. არაბთა მეფე დურბეიზ, სულთანი მალიქ-ტორღილი, ათაბაგები, ამირები დამასკოდან და ალაბიდან მოყოლებული... სპასალარად ჰყავდათ ცდილი მებრძოლი და შეუპოვარი მარბიელი — ელღაზი. მოდიოდნენ მუქართა და მუსერით... გზათა ბნევით. ლაშქრის წილი მოადგა კლდეკარს. თითქოს ციხის ასაღებად განეშზადნენ... აქ დახვდათ, ადრევე ასული დავითი. იგი მიხვდა, რომ ეს არ იყო მთავარი ლაშქარი. მაგრამ აქ იყო გასაღები მთელი ომისა! ჯიქის სპათა სპა კურდღლის კვალის ბნევით მოდიოდა! „არა, ისინი არც კლდე-კარზე მოიტანენ იერიშს, არც ამირას ტფილისში ჩავლენ! მანგლისი-

დან — დიდგორზე გავლენ, ეცდებიან ან კლდე-კარში, ან მცხეთა-ტფილისს შორის ჩამჩიხონ ლაშქარფანქრულ დასაღები თრიალეთზე! მალე დაწყვენ და საქმეს „დავითურად“ შეუდგა. და როდესაც დადასტურდა მტრის მანგლისს ყოფნა, უმალ ნიჩბისის სერზე ფარულად შეჭვავნა თავისი ლაშქარი.

...მაგრამ მტერი მანგლისს იღდა და არ იძროდა.

დავითმა დიდი მოჩვენებითი ალაღლაშქარი, მცხეთის გზით, მტკვრის პირპირ, დიღომს გააცილა და თითქოს ტფილისისაკენ გაუსია. ვინ არ იყვნენ ამ „ლაშქარში“... მოხუცები და ხეიბრები, ნაბადმოხვეული დედაკაცები... მხოლოდ მზეზე საბრკყვიალო შუბები და ფარები იყო ნამდვილი.. შიგადაშიგ, გაზხარული მუზარადებიც...

შურის ციხეზე, მერმე სალაღაკის ქედზე, კვამლის სვეტი ადგა. სამხედრო ხლართის „ისარი“ სწორი ნატყორცნი გამოდგა. მეორე დღესვე მტერი მანგლისიდან, შავ-მთებით, დიდგორისაკენ დაიძრა.

ახლა დიდგორზე ორმაგი ნისლი იღდა — ბუნებისა და დავითისა.

— ამ ნისლისა არ მეშინია.. მაფიქრებს ნისლის იქით რომ ღრუბელია! აქ უნდა შევაკვდეთ ურთიერთს! ან ჩვენ, ან მტერი! ისეთ ზაფანგს ვაწყობ — დასახვევი არც ერთს არ გვექნეს! ახლა გამოჩნდეს თავგამეტება და ვაეკაცობა!

მაგრამ დავითსაც „მთავარ ზაფანგთან“ ერთად, სუსტი ადგილიც ჰქონდა. ჯერ ერთი, ყველა მშვერავი ერთხმად მტრის არნახულ აურაცხელობას შიშნაკრავად გაიძახოდა. მეორეც, ლელობსათოვლეს სავალზე „აურაცხელ ლაშქრის“ გაფანტულად გადასვლის ჩაშლას, აურაცხელივე ლაშქარი სჭიროდა, დავითს კი ძირითადი ლაშქარი მაინც მთავარ სავალზე — ნიჩბისის სერებზე ჰყავდა ჩასაფრებული...

— „ახლა სარჩევია — დიდგორიდან რომელ გზას ირჩევს მტერი — ნიჩბისის სერს, ხეკორძულას ხევს თუ სათოვლე მთას?... კიდევ „გასაღებია“ საქმენელი

თუ გასაჩარხი? — „ნუთუ ჩვენი ისტორიული საქმიანობა — სხვისი გასაღებების ძებნა და მეტი არაფერი? როდის იქნება, რომ ჩვენ გასაღები ჩვენვე გვქონდეს!“

— „მე სათოვლეს ვარჩევდი... უფრო ძნელსააღია, მაგრამ უხიფათო! იქ „დავითის ლაშქარი“ ვერას დამაკლებს! გამარჯვება იქ არის სწორედ!“ — შინაგან ვაჭიჭურებით ედავებოდა და ამარცხებდა დავითი — დავითს.

„უნდა ჩავათრიო! ხეკორძელას უნდა ჩავათრიო მტერი! სხვა გზა არ არის! — და სთხზავდა ათასგვარ „ჩასათრევ“ ხერხებს... საბოლოოდ გადაწყვიტა სათოვლესკენ გადადგომა, უფლისწული და მონა-სკის დიდმარქაფა გუნდიც გაიყოლა.

ნისლი ჭერ კიდევ იდგა. ლელოზის სანახირო კართან ქალ-ვაჟი გალანდეს... სდუმდნენ და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ.

„ნუთუ ესენიც დაიბნენ!?“ — ახალი დარდი მოემატა დავითის გულისყურს... მაგრამ უეცრად ყველაფერი გამოიცვალა... ნისლიც კეთილ ხმებითა და ფერებით აღივსო... ვაჟმა ფანდურს ჩამოჰკრა ქალმა ექვანი ააწკრიალა... დავითისანნი შედგნენ.

მალე საამური ხმა მოედო ნისლნარს... უნებურმა მსმენელებმა სიტყვებიც კი გააჩჩიეს...

ჩვენს უკან — სვეტიცხოველი,

დედა და კელატარია...

...აქ დადგეს გმირი ყოველი

ნისლმორჩული დარია...

ქვეყნის გამომსწველს მოველით,

ქალო, შემოჰყარ ხარია!...

ქალი ათამაშდა... ექვნებისა და ხის სარაკუნების ხმა მოედო განაბულ გარემოს.

ახლა ამას, სოფლიდან, ნაგაზების გააღმასებელი ყეფა და ჭაქვის ჩხრიალი აჰყვა. ყველა სახტად დარჩა... თვით დავითიც. ფანდის ასეთ ჭადოგაკრულ აბრუნდეს არ მოელოდა. დემეტრე უფლისწული ხომ სულ გაგულისდა, ცხენი შეატრიალა.

— ესენი ვინ დარჩენილან? ახლავე გაჰყარეთ! მამა-მეფეს ლაშქარში არ უყვარს ასეთი რამ, — ისიც ასეთ დროს! მაგრამ დავითმა ყველა შეაჩერა.

— არა, შეილო! ახლა მე ყველაფერი მიყვარს, რაც ომში საშველს მომცემს... ამათ უკვე დაუწყიათ ბრძოლა! ერის სული, დღეს ესენია!... ჩვენს უკან სვეტიცხოველი!? ზურგის გრძნობაც — დიდი გრძნობაა, როდესაც მკერდს ამაგრებს! უნდა გავიმარჯვოთ! შენ დიდგორის სერ-სერ გამოხვალ მთავარ ლაშქრით... მე ხეკორძელასა და სათოვლეს მივხვებდე!

— ლაშქარს კიდევ გაახლებ... ცოტა გყავს!

— იი ჩემი ლაშქარი! — სოფლის კარისაკენ მიუთითა, — სულ ასეთები მყევანან...

— შენ კი თავი ბრძოლა გიწევს!.. ყველა აზიარეთ! აუწყეთ ყველას, რომ ზურგით, მართლაც სვეტიცხოველზე ვართ მიყრდნობილი! ზურგში დაჭრილს, თუ გადავრჩით, უღვაშს გაგპარსავ! ჭერ თრიალეთური ლანდები ვართ, ხვალ, ან გმირები ვიქნებით, ან განგმირულნი!

ყველამ უღვაშებზე გადაისვა ხელი. ნისლში მეტი არცა ჩანდა რა...

ზარადებიც ჩამოღშვეს და დაოთხვით მავალი ცხენოსნები მოიჭრნენ შავმთების მხრიდან...

— მოდიან! — ნისლის გადაყრამდე აქ იქნებიან! — შავ ძახილად გაისმოდა მათი გაბმული ხმა-ძახილი.

— შუბის ტარზეა ბრძოლა! დროზე აღრე არამც და არამც არ გამოუჩნდეთ! ბრძოლას ჩემი ნიშანი იწყებს! მე — სანიშნო მთაზე — სათოვლეზე ვარ!

მტერი დიოდა და დიოდა. პირველად მზეერავე ცხენოსნები ამოვიდნენ. არსად არავინ არ ჩანდა. ყველაფრის ქაჭანება იყო გამწყვდარი... არც ცხვრის ფარა, არც საქონელი... ერთი-ორი მოწანწულე ძაღლი გალანდეს. სერებზე თივის ბულულები მოსჩანდა. ერთი აშალეს კიდევაც. შესამოწმებლად. თივა არცთუ

დიდად, მაგრამ დამორგვილად, ჯაჭვე-  
ბით იყო შეკრული...

— დახე! ამ ქვეყანაში, ძალღებები აუშ-  
ვით და თივა ჯაჭვით დაუბამთ!

დავაკებაში საბანაკო ადგილი მოზვე-  
რეს, უკანაც აფრინეს მაცნე. მყისვე  
ცხენოსანთა დიდი, კრელა-კრელა ლაშ-  
ქარი ამოძუნძელდა. ახლა შეკრული  
მხედარ-ქვეითნი, დროშებითა და ჩალ-  
მებით გაწყობილნი, ამოგორდნენ, ამო-  
იყვიეს. მერმე აქლემოსანთა დიდი სპა,  
გრძელ შუბებითა და დიდრონ ფარებით,  
უცნაურ ხატოვანებით გამოჩნდნენ. მათი  
კუზი და თავი აირია უკვე შეთხლებულ  
ბურუსში. მოისარნი თითქოს ბალახი-  
ვით ამოიზარდნენ. საცდელად, აქეთ-  
იქით, ზევებში ისრებს სტყორცნიდნენ...  
ზოგმა უკვე დაბანაკება იწყო. ლალად,  
უშიშრად ვილოდნენ მძიმე აბჯროსნები.  
ჩაეანგებულნი რკინის ლაშქარი, გაუთა-  
ვებელ ურჩხულივით, ნამიან ბალახზე  
შეად მოლოდავდა და თითქოს მიწას  
კამდა. გავასქელ ცხენებს, გრძელი, ჩა-  
სალტული თოქალთოები მუხლებამდე  
სწვდებოდათ. ნისლში სპილოებს უფრო  
ამსგავსებდა. კობტა არაბულა ცხენებიც  
მოჯარდნენ. ზედ მორთულ-შემკული  
მხედრები ისხდნენ. მზეშეპარულ ნისლ-  
ში ბზინავდა მათი აბზინდები და საჭუ-  
რველი. მათივე უთავბოლო ალალი ახ-  
ლდათ. ასურულ ჭორებს, ჭედური სკი-  
ვრები, ფილაკვანები, ხალთა-გვაბანა-  
კები, მრავლად ეკიდათ.

ბანაკი ივსებოდა, იბერებოდა... მალე  
ვაკვებ ველარ დაიტია, ახლა კალთებს  
შეეკიდა ბანაკის ზღვარი. გაჩნდნენ მდი-  
დრული კარგები და სარაფარდები, საჩ-  
რდილობლები და შუთა სამკუთხედები...  
აიბურძგნა მთელი მიდამო... ნისლი კი  
გაიკრიფა, მაგრამ თითქოს მოძრავი  
ეკალ-ბარდი მოედო დიდგორის კალ-  
თებს.

სანიშნე მთიდან უმზერდა დავითი და  
თვალსა და გუჟანს სწორჯარათლს აღე-  
ბინებდა. დროშებითა და იარაღით სა-  
ზღვრავდა ლაშქარს.

— ხალიფას დიდი, მწვანე დროშა,  
მეორეც, სრულიად მწვანე, მაჰმუდ სუ-

ლთნისა, თუ მისი ძისა მალიკ-ტოდრი-  
ლისა, სათხედიანი ლაშქარე მცველად?  
ეს კი — დურბეიზ მეფისა, ანუ დედ  
დროშა, მწვანე ნარევი შავხავერდა...  
მძიმე და მსუბუქი აბჯროსნებით... ელ-  
ლახ-სპასალარის ალაში ლოჯა მთვარე...  
ესენი კი ათაბაგთა, ამირათა... სულჯუტ  
მრავალ ხელისუფალთა... — კიდევ მო-  
დიან? — ნათქვამი ხამაღლა მოუვიდა  
მეფეს.

— კიდევ მოდიან! სულ მოდიან! დიდ-  
გორი ველარ იტევს მოსულთ! — შიშ-  
ნაკრავად შესჩურჩულეს აქეთ-იქიდან.

დავითი მობრუნდა, თვალი გადააე-  
ლო, შემკრთალად განაბულ ლაშქარს.  
გულთმისანმა შეუმცდარად იგრძნო  
მათი თვალფათურაკი... ყველა თავის  
ჩონჩხს ჰხედავდა მტრის ბანაკში. ლაშ-  
ქარს ვარაუდების სიღარიბე დაუწუნა  
მებრძოლმა მეფემ...

— ახლა უკვე... რაც უფრო მეტია —  
მით უმჯობესია!... — ჭალარა მებრძოლს  
მიმართა, — შენ რაღას იტყვი, არჩევან  
— „ახალგაზრდა ბერიკაცო“?

— იმას ვიტყვი რომ მაგათ წყალი  
დააკლდებათ და ზეკორძულას მაინც  
გამონახავენ!

— შენ პირს შაქარი! — გაიბადრა და-  
ვითი, — მიჩუქნია არაბთა მეფის ცხენი!  
ფარულ ლაშქარში სიცილი ხელიკი-  
ვით გაძვრა, სულისკვეთებაც ამოასწო-  
რა.

...დაღამებამდე ერთხელ კიდევ შეამ-  
ჩინეს ბანაკის გარე მოძრაობა. გუდები-  
ანი მეღალენი ზეკორძულას ხეობისა-  
კენ გაეშურნენ, მაგრამ შუბოსნებმა  
არცინ გაუშვა. — როგორ ფრთხილო-  
ბენ?! არც ცეცხლს ანთებენ, არც წყალ-  
ზე ჩაუშვეს! დღეს არც საზვერავს გაუ-  
შვებენ შორს! — დავითმა ნაბადი მოი-  
ხურა, გუშაგების გარდა ყველა დასა-  
ძინებლად დაითხოვა და თავადაც იქვე,  
ქვის ძირას მიწვა... ჩუმად ამბრია და  
არჩევანი ღამის მზვერაგებად, მტრის  
ბანაკში გაუშვა, თავად კი შავ ნაბადის-  
ქვეშ თეთრად და ფიქრად გაათენა...  
ბრძოლის წინასწარი ნათარგი, ჭადრაკი-

ვით გაითამაშა... მაგრამ ვარაუდი ერთი იყო და ომის ჩამოდუღება მეორე!

...მერმე ჩვეული წიგნი დაისაკლეს... ჩუმიდ ითხოვა. „ქართლის ცხოვრება“ მოართვა საბა-ბერმა, მაგრამ სანთელი არ აუნთო...

— უბრძანო არს... შუქი და კარავი! — თითქოს ნიშნი მოუგო მბრძანებელს.

დავითს უფრო აელუსა გულ-ფიქრი... წიგნი თავქვეშ ამოიღო და „ზეპირად“ პეტურცლა — იკითხა!... პეტურცლა იკითხა!

გათენებისას, დიდგორის არეში, მამალმა იყივლა... სოფლელები არ იყვნენ, თორემ მამლები და ძაღლები სოფელში დარჩნენ.

სულ მალე ამბრია და არჩევანი მოცოდნენ, გვერდში მოუწვენენ მეფეს...

— დღეს ზვერვის დღე აქვთ... არ ჩქარობენ!

— ჯერ ვერ გარკვეულა — სად ვართ „მასპინძლები“...

— ამ უთენია, სამი დიდი გუნდი ფეხთრეკით დაიძრა... ერთი ნიჩბისის გზით, მეორე ლელობისაკენ, იქნებ აქეთ სავალად... მესამე კი ზეკორძელას ხეობის თავთან დადგა!

— წყალიც აკლიათ და საერთოდ... პაი დედასა! სიზმარ-ცხადად არიან!

— უნდა ავერიოთ თავგზა, ვიდრე გარკვეულან! — ნაბდიანად წამოჭდა დავითი, — ციცია კავთელი! სად არიან შენი გმირები?!

ახლო წოლილი ციცია, მუხლებზე წამოდგა...

— აქვე გაბლავან საფარში! ყველანი ეზიარნენ საბასთან... ყიჭჩაღებიც კი!

დავითს თვალწინ წარმოუდგა მთელი თავისი დაქსაქსული ლაშქარი, ზოგი კლდეზე, ზოგი ხევში, ზოგი სერებს უკან... ყველა თავშიშველი დგას შეაბჯრულ ბერების წინაშე და ზიარებას იღებს... ყველას დიდგორის მიწის თითო მუქი აქვს ხელში!

— შეშე ეზიარე ციციავ?

— მეც... ბატონო! ჩვენი გუნდის

ბრძოლა, მოგეხსენებათ, თავიდანვე განწირულია!

სანდერძო დროც აღარ დაგვრჩება! — დიდი მკლავები დონჯად შემოიყარა და თვალები ჩააპაქუნა, — თუ გული გულობს, თავდადებაც ფლავის ჭამაა! აი ჩემი ანდერძი!

— ანდერძი?!... უზიარები მე დავრჩი მხოლოდ! — ყრუდ ჩაიდუღუნა მეფემ.

— მეფეს რად გასურს ზიარება, აღსარებას მაინც არ იტყვი! მე კი ზიარებამდე და მის შემდეგაც ხმალაღალი და ენამაკვილაკი ვარ!

გულში მეფეს შაშრად მოხვდა, მართლაც განწირულ მებრძოლთ მოთავის შავი ოხუწჯობა... თითქოს ჩონჩხი ელაპარაკებოდა უკვე დანონჩხილ მეფეს...

„ჩანს ასეთ ბრძოლაში, ჯერ „ჩონჩხის თვალფათერაკს“ უნდა აჯობო, მერმე მტერს! — ფიქრობდა დავითი. მძიმედ, გულისხმიანად შეეკითხა ციციას..

— შენ რომელი უფრო გწადს — ჩემი აღსარება თუ ზიარება?

— გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება, უკვდავო მეფე! ყველა გაგვგზავნე სასიკვდილოდ, გაგვწირე... ოღონდ შენი თავიც არ დაინდო გამარჯვებისთვის, თუ არ გინდა დადუშულთა წყევლა და კრულვა!... ერთიც — დიდგორის ობლები უპატრონოდ ნუ დაგჩხებიან!

— შენ უკვე გაგიმარჯვია, კავთელი!

...და სულ მალე ორასი მეომარი მოცოცდა დავითთან და ირგვლივ ჩაქდა.

— დიდგორის ძმებო! თქვენ იწყებთ ბრძოლას... თქვენს შორის ზუთი ფრანგია-ჯვაროსანი ზუთი ალანი, ათი ყივჩაღი... დანარჩენი სხვადასხვა კუთხის ქართველები ხართ, რჩეულთ რჩეულნი! ხომ იცით რას ნიშნავს ასეთ ომში — პირველი მისვლა?! — დავითმა თვალი მოავლო ყველას მერმე ციცია კავთელს მოუბრუნდა, ყივჩაღური ქეჩის ჩული ყველას ჩამოურიგე, მოკლუფება ყივჩაღური ცხენები ხომ ჰყავთ?! ახლავე ორას დიდგორელის წოდებასა და სახელს გიბოძებთ! ყივჩაღურად იძახეთ ჩემი ლანძღვა! აბა, რომელი უფრო მაგ-

რად შემაგინებს! მშვილდები, ნიშნად მშვიდობისა, მაღლა ასწიეთ! ბანაკში შედგით... მერმე თქვენმა ვაჟაკობამ, ხმალმა და ციცამ იცით!

გათენებისას, მოკლე ბჭობა ჰქონდათ ბანაკში. ერთ ოქროშედილ კარავში შეიყარნენ ოქროშედილ სალმანსურში მჯდარი მეფე არაბთა დურბეიზ სადაყისძე, თავმომწონე სულთანი მალიქ-ტორლილი, შავ ზარნიშთან ზეიდალში გამოწვეპილი... მათ შემოსდგომოდნენ ნატიფად აღკაზმული ათაბაგები და ამირები.

კარვის კალთის შემოფრიალებით შემოვიდა საერთო სპასალარი ელლაზ ძე არდუხისი, ბრგე და შემძლე ვაჟაკი, კრემმდიდრად და ოდნავ დაუდევრად მორთულ-მოჭედილი. — მიკვირს, რატომ არაინ არ ჩანს? დავით „ტყის მეფე“ არც ისეთი მიაშიტია, რომ ჩვენი მოსვლა არ იცოდეს!

— მერმე სად არის შენი „ტყის მეფე“? — გაუკენწლა დურბეიზ-მეფემ. იგი ვერ ურიგდებოდა სხვის მოთავეობას.

— გამოჩნდება სადმე... უდროოდ დროს! ავხიფათა კაცია!

— მაშ რას გვიჩვენებ?... რასა? — ძლივს ითმენდა მალიქ-ტორლილიც.

— ერთი დღე შევიცადოთ... დავხვევროთ ირგვლივ სავალი... გავიგოთ სად არიან.. იქნებ თავს დაუხაროთ!? მერმე დავადგეთ ერთ გზას — ძირითადად. დანარჩენებზე კი დიდი მარბიელი გავუშვათ. მაღლობა ალაჰს, ლაშქარი არ გვაკლია!

— პირიქით — ტევა აღარსად არის! აქ რომ მოგწევდეს, დიდ ზარალს ვნახავთ! — არობროხდა ალაბელი ამირა, — დავითი განა მარტო „ტყის მეფეა“

— „მთის მეფეც“ არის!

ამ კლდეებსა და ხევებს გაგვაციოლეთ... წყალიც ასეთი ლაშქარს!

ელლაზი დააფიქრა ალაბელის სიტყვამ.

— არა, დავითის დიდი ლაშქარი

ტფილისისაკენ მიდის... აქეთ რომც მოგვიწეროს, ბევრს ველარ ამოიყვანს...

— რა სთქვეს ეტოკებმა? — მღვდელმწივე ბმა რა სთქვეს? — ახმანდნენ ამირები, — წყალი მაინც ვიპოვოთ... ერთი-ორი გუბე რას ეყოფოდა ახელა ბანაკს?

— ეტოკებმა სთქვეს — აქ დიდი გზა ნიჩბისზე ყოფილა მაგრამ გრძელი... უმოკლესი ორი გზაა — ხევე-ხევე და მთა მთა...

— ცხენოსნები და აქლემოსნები დიდ გზაზე გავგზავნოთ, ქვეითნი და შერეულნი — ხევითა და მთით! — დაასვენა დურბეიზმა. ყველა დაეთანხმა.

— ოღონდ ერთი დღე დაზვერვისათვის! — ბოლო მოაბა ელლაზმა, — წყალიც დაეძებნოთ, მაგრამ ფრთხილად!

გარედან ხმაური მოისმა... ძახილიც... მერმე მხვერავიც შემოვიარდა, მოახსენა.

— გამოჩნდნენ! გამოჩნდნენ!

— ბევრნი არიან?

— არა, ორნი!

— ორნი!? მხვერავებია ალბათ...

— არა, სოფლის ღია ბქესთან სხედან...

— რას აყეთებენ? — შეეკითხნენ თითქმის ერთობლივ.

— მღერიან... უკრავენ ფანდურს... ცეკვავენ... ერთი ქალია ვგონებ!

— მღერიან? ერთი ქალია? — ჩაფიქრდა ელლაზი, — ქართველებს ერიდეთ, მაშინაც როდესაც მღერიან! ცეკვა კი!... მაგათი ცეკვა — უკვე ოპია!

ელლაზ სპასალარი თავად წაჰყვა მხვერავებს. შორიახლოდან მიაყურადეს. არც საფარი იყო, არც ნისლი. არ შეეძლოთ, მოსულნი არ დაენახათ... აინუნშიაც არ ჩაუგდიათ, ლექსსა და ლაღობას თითქოს უმატეს კიდევაც...

— ენის მცოდნე! — მოითხოვა ელლაზმა და გვერდში ტფილისის ნამყოფი არაბი ამოიყენა.

კლდის თავზე კი, ღია ქიშკართან, ფანდურზე იქარგებოდა აკვირებული კილო...



— მოდი, თუ მოხვალ სტუმარო...  
 მობრძანდი სოფლის პირადა...  
 გუჯა ვარ, ცოტა ზუმაზა,  
 ზღაპრებსად ვეტყვი ზმირადას...

მოენემ გადაუთარგმნა და ისევ სმენად იქცა. განცვიფრებული ელდაზი, არც ყურს უჭერებდა, არც თარგმანს... დაბეჭითებით ადევნებდა თვალს გარემოს. გამოცდილ სმენას არც ის გამოჰპარვია, რომ სოფლის მხრიდან ძალღების ღრენა-ყეფა ისმოდა... მამლის ყივილიც ახსოვდა დაკვირვებულ სპასალარს... ეს ყოველივე არაერთხელ სმენია დასალაშქრავ სოფლის პირას, მაგრამ ტაშფანდურა!? ისიც გურჯი მთაში? ეს პირველიც იყო და დაუჭერებელიც...

— იწვიეთ მეფენი და ათაბაგნი! —  
 კაცი აფრინა სპასალარმა.

ტაშფანდურა კი ვრძელდებოდა... თანაც აბეშურა ჩუმად ამხნევებდა გუჯას...

— არ შეშინდე, ბიჭო... კილოს ნუ კვეცავ...

— არა, გოგო... შენთან სიყვდილისაც არ მეშინია... მე ის მადარდებს, რა გამოისრავს ამდენ მტარვალს? — თან ისეთი სიყვარულით შეჰხვდა აბეშურას, რომ გოგოსაც მოკვარა სიწითლე...

— იპ, განა მარტო ჩვენა და დავით მეფეა საქართველოში?... ერია, ერა! აი ნახავ!

— არა ჩემდაწილად რამდენია შინც? — ვაჟი ისევ აბეშურას შეაჩერდა...

— შენ გასაწყვეტს ჰკითხულობ, ბიჭო? — ეპვი აიღო მოხიბლულმა გოგომ...

— არა, გასაჩენს! შენ აღარა სთქვი!.. გასაწყვეტი კი ვიცი, რამდენი ისარიც მიბოძა მეფემ!... — თან „ნაპერწყალა“ ხმები გააღებინა ფანდურს...

— რა დროს ეგ არის, ციმფიავ!?  
 ომია, ომი!

— ეპ! ჩვენში ომ-სიყვარული ვერც მორიგდა, ვერც გარიგდა! შენი თავი არ მომტაცონ! — მერმე ვაჰხვდა ახალ-მოსულთ... დიდკაცობა მომდგარიყო და შორიახლოდან უსმენდა... გუჯამ

იგრძნო რომ მტრის ლაშქრის „დიდ-  
 ბობოლები“ იქ იყვნენ დასრულდა „ლაშქრ-  
 დურდა“...

სალხენი ნიორ-ნიირი...  
 ღია გვაქვს ქვეყნის კარები...  
 დაჩუქურთმული შაირით,  
 შემოსვლას გვემდარებოთ!...

მოენემ ესეც გადაუთარგმნა ყველას, თუმცა „დაჩუქურთმულმა შაირმა“ დიდ გაჰირვებაში ჩაავდო.

— ღია გვაქვს ქვეყნის კარები!? —  
 იკითხა დურბეიზ-მეფემ, ის ცოტა „გა-  
 უწყობელი“ იყო ლექსთან. მალიქ-ტო-  
 ლრილს კი ქალი მოეწონა, წინ გაიწია...

— მივალ და ვნახავ!... ჩემი ტყვე იყოს!

— ფანდია, რალაც ფანდი „ტყის მე-  
 ფისა“! არსად წახვიდე! მთა-მთა სავა-  
 ლი არ ვარგა — იქ არის ჩასაფრებუ-  
 ლი მეფე!

სოფლის კართან კი ახალი კილო გაჩნდა...

— დიდგორული ტაშფანდურა! — ხე-  
 ლები გაშალა და მოხდენილად ჩამოუ-  
 არა ქალმა.

— ახალგაზრდა ქალია! — სულ გა-  
 ფაციცდა მალიქ-ტოლრილი, — უჩად-  
 რო და უჩრდილო გურჯი-ხათუნ!

— ან დიდი გმირობით მოსდით, ან  
 დიდი სირეგენითა და სიმხბდალით! ალაჰს  
 ვფიცავ!... ერთი მოიყვანეთ! — ბრძანა  
 სპასალარმა.

ხუთიოდ მოისარი გაწინაურდა.

— მოდიან! — წასჩურჩულა აბეშუ-  
 რამ და უფრო დაუარა...

— დოქების დროა! — გუჯამ მიაწ-  
 ლდა კიდევაც. ქალმა გამოჩენილად მა-  
 ლლა ასწია და გადმოაბრუნა, წყალი და-  
 მლვარა... თითქოს მოსულთ დაანახვა და  
 მოაწყურა...

ვაჟმა ახალი ლექსი, უკვე სხაპასხუ-  
 პით წამოიწყა...

დიდგორის მხესთან სიწყნარე —  
 დავთვეი და ამისრულა...  
 ნეტავი რამ მოგვაწყურა —  
 წყარო გვაქვს — ხეობრძელაო!...

ორივემ დაავალეს ხელი ეფენებსა და  
 სარაკუნეებს, ერთად რაც ძალა და ღონე

ჰკონდათ შეაჩხრიალეს... სოფლიდან ისე გუნდად შეკიდებული ყეფა მოისმა, რომ „ბობოლათა დასი“ შეერთა.

— აჟი ვამბობდი! — ხელი ააბრუნა სპასალარმა, თან მოისართ შეუძახა — არ გაუშვით! მაგათ „ლექსად“ ვთქმევინებ ყველაფერს!

...მაგრამ ერთი სწრაფი ამბავიც მოხდა... ქალი გაიქცა სოფლისაკენ, ხოლო „მუდარა მასპინძელმა“, მშვილდი აიტაცა და საისრე მანძილზე მოსულთ ერთი და ორი ისარი ზედიზედ სტყორცნა, ორი მტერი იქვე ჩაყეცა... მერმე ისიც გაიქცა სოფლისაკენ...

ნაგაზები აუშვეს და მოკლეზე ხობისაკენ ჩაუხვიეს. მღვერებმა შორიდან ისრები დააყარეს, უწვიდინეს, მაგრამ ვერას გახდნენ, ჭაჭვის ფარულ პერანგოსნებთან.

— ეს მაინც გავიგეთ — წყალი ყოფილა ხეობაში! ჩავალთ წყალს ამოვიტანთ... დავზვერავთ კიდევ! — „ბობოლათა დასი“ შეჰმბედა მზვერავთათვმა, მაგრამ ვიდრე პასუხს მიიღებდა, ძაღლები ღრიანცილითა და ჭაჭვების თრევიტ გორზე შევარდნენ... დიდგორს გაედო ჭაჭვის ჩხრიალი და გააეებული ყეფა.

— არა, გორ-გორ გზა შეკრულია! იქით არ წავალთ! — საბოლოოდ გადაწყვიტა სპასალარმა.

— მამ ხეში? წყალი მაინც სწყურია ლაშქარს! — შეესიტყვნენ ბობოლაკეები

— არა, არც ხეში.. გული მიგრძნობს — საგორავეები ექნებათ სადმე!... მზვერავები მობრუნდნენ, ხევიდან „ბობოლათა დასი“ ცივი წყალი მოართვეს.

— „ცხელი ამბავი“ სჯობდა! — გაწყრა ელლაზი.

— უკვალოდ გაჰქრნენ! ხევი თავისუფალია! ღრმა, მაგრამ საკმაო კარგი სავალი!

— არა, არ წავალთ! — გაჩიქდა სპასალარი, — თქვენ არ იცნობთ გურჯებს! ნახეთ ქალი!

..ზედაც სხვა ამბავი დატრიალდა...

— გურჯი ცხენოსნები! იერიში! —

გაისმა ძახილი და ბუკ-საყვირის ხმა. ბანაკში ჩოჩქოლი ჩაეარდა, „მომბოლათა დასი“ სწრაფად გაბრუნდა, ლაშქარს მიაშურა.

ყველამ დაინახა, ორასიოდ ცხენოსანი მართლაც მოჰქროდა ბანაქისაკენ... როგორღაც ჯგროთ მოაქვენებდნენ პაწაწკინტელა, გრძელფაფარა ცხენებს...

— ეს რაღა? რა იერიში? — გაწყრა დურბეიზ-არაბი.

— ყივჩაღები არიან! ვცნობ მაგათ!... მაგრამ ასე ცოტა?! თუ გამოექცნენ გურჯი მეფეს! — ივარაუდა სპასალარმა.

— მშვილდებიც მალა აუწვევიათ! ნამდვილია! მოუშვით... ვნახოთ! — თავის მეწინავეთ გასძახა მალიქ-ტოღრილმა.

„ყივჩაღებმა“ კი ჩამოივაცეს თუ არა, ისრის ტყორცნის მანძილზე. სულ დაქვეითდნენ, თავიც ჩაზარეს... სელჯუკ-არაბულ ლაშქარში აღზნებულმა ხარხარმა გადააგრილა. დამბულობა უცხად მოეშვა... ყველა ახლოსანახავად მიეტანა მოსულთ.

ისინი კი თავჩახრილად და მშვილდდმართულად მოუძლოდნენ თავის ცხენებს. ბოლონი კოჭლობდნენ კიდევაც... ერთი კი სულ მოითრევედა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხს. წამოსხმული ქეჩის ჩულები სულ უკარგავდათ იერს.

უსაქმურა მობანაყეთა ბრბო მოეტანა მათ „გამარჯვებისა და კეთილმოალადების პირველ მერცხლებს.“

ბანაქის სავალის მოისართა წყებამ დაუბრკოლებლად გაატარეს. არც მიჯნის შუბოსნებმა შეაფერხეს. მერმე კი მაწანწალა მოლაშქრეთა „აშელილი ცომი“ უნებურად უფერხებდათ სავალს.. და სწორედ აქ მოხდა სრული გაუგებრობა და უეცარი ფერისცვალება. „ყივჩაღებმა“ ჩულები ერთბაშად თავზე გადააყარეს დამხვდურთ და თავ-ღამართული, მტკიცედ შეაბჯრული რაინდები — „პირველმერცხლები“, ხმალდახმალ ეკვეთნენ გარს შემოხვეულთ. შეიქნა უეცარი ყივილი და არეგდარევა. ურთიერთ მინარცხებულთ ბრძოლაშიაც და გაქცევაშიაც ხელი შეეშალათ.

ზოგი გონს რომ მოეგო, მოსულნი უკვე ცხენებზე ისხდნენ და მიწყობილად ჰკაფავდნენ „ხორცის რკალს“, მდიდრულ კარვებისაკენ სერელი გაჰქონდათ. ბანაკში დიდი ალიაქოთი და აღრეულობა ჩავარდა. ორასი დიდგორელი კი აშლილ ლაშქარს ცომივით ჰრიადა... კარვებთან დროშები დაბალთეს, კალობრძოლა დაატრიალეს, ბზრიალებივით ბრუნავდნენ, შიშა და სიკვდილს სთესავდნენ... ვიდრე ელლაზმა მარცხენა ფრთა არ შემოაბრუნა, ვერ აღადგინა შეწყობილი ბრძოლა.

ქართველებიც სწორედ ამას ელოდნენ, თითქოს მიწიდან სოკოებად ამოიზარდნენ, ხეობებიდან ამოდუღდნენ... სერ-სერ, ჯიქურიერიშზე წამოვიდნენ, შემობრუნებულ ფრთას ეძგერნენ, სულ გადათელეს მარცხენა ფრთა.

ახლა სამხრეთ ხეობიდან, ტყის ამოღწეულ კენწეროთა ვარჯიდან, ისრების მოულოდნელი სეტყვა წამოვიდა, ბანაკს მოსწვდა...

ისევ ელლაზ სპასალარმა იხსნა ბანაკი. ასე ერთ ლანდზე მოვარდნილ ქარბუქს, მედგრობა და შეუპოვრობა დაახვედრა.

— იერიშის ხმა!... ყველა ერთად!

ახმიანდნენ მივიწყებული ბუეები და ნალარები. ერთიანი დიდი რიხი შეიქმნა. მერმე რუმელი და ბალდადელი მძიმე აბჯროსნები მიუშვა...

— აჩხებთ ვინც ფეხში გედებათ! ვინც გარბის ჩვენიანი!... გურჯებს მისწვდით! ახლა კი შეტორტმანდა მთელი ბანაკი. ბევრი ჩაწვა მებრძოლ წყებათა შუა. გვაძებით დაიზვინა ბალახოვანი კალთები. გადათელილებს ახალი ლაშქარი ენაცვლებოდა.

მალიქ-ტოღრილმა ნაჯახიანი გუნდი შეუსია ხევისა და ტყისპირებს... დიდ მსხვერპლის ფასად — ხეები აჭრევინა.

ახლა გასწვრივ გაჰკრეს ქართველებმა, ვიწროდ დაჯორგილ შემოსეულთა ლაშქარს. მოკლულთა გარდა უამრავი დაჭრილ-დაკოდილი გაჩნდა, ბრძოლის აშლილ ლარით შემოფარგულ ბანაკში. ისედაც ნათმენი წყურვილი ჩავარდა

ყველას გულში. წყურვილისთანა ვადამდები კი არაფერია იქნებ... მხოლოდ შიში? სისხლსა და წყალს ურჩხილსა დაუდო... მერმე წყალმა აჯობა... რადგან სისხლი იყო, წყალი კი არა! ახლა შიში ჭლიბასავით ჩაქდა ჯაქვის პერანგში, დაიწყო უჩვეულო ზრდა.

ხმლის მოულოდნელ ჩახატხში, შუბთა სულ უეცარ ძვრებაში, წამდაუწყში განგაშში ფეთებაში და წყურვილში ჩააღამდა ერთმორწმუნე, მაგრამ მრავალენოვან სელჯუქ — არაბულ ბანაკს...

ახლა ღამეში იყო სულ გაურკვევი ბრძოლა. მთვარეს ისევ ამოჰყვა დიდი ხმალი და დაშნა. ბუბუნებდა ჩაბინდებული კლდე და მიწა. მერმე შემპარაკი, ჩუმი ბრძოლა გამქვინვარდა... ლანდები ებრძოდნენ ლანდებს. ხმაც ვავრცელდა, თითქოს ბანაკში „ორას მოკლულ თუ მოუკლავ დიდგორელს, ახლა ოთხასი შეემატა და ჰკლავენ ყველას, ვისაც წახელებენ!“

კიდევ ერთი „დავითის ხერხი“ ნაშუალამევს, მთვარე რომ თრიალეთს გადააგორდა, მერმე გამოირკვა... მალა სერებზე, თივის ბულულები უეცრად ალით აიჭორჩნენ და ამოძრადდნენ... მალევე შეგნისებულ ბანაკში ვეება ცეცხლის მორგვებად შეგორდნენ... დაცეცხლეს და დაშიშეს ყველა... თითო ანთებული ბულული, გრძელსაბლით, თითო დაფეთებულ ცხენს ება და ბანაკისაკენ დაგეზებულ მოქქროდა... ზოგს შუბოსანი მხედარი აჯდა, ბანაკშიც შეჰყვა და მიჭტური გზნება კვინიხამდე გაამახვილა...

ახლა კი ღურბეიზ-არაბმა იმარჯვა გრძელი შუბი დაახვედრა ერთ-ერთ ცხენს, ზედ წამოაგო, დაამხო და ლაშქარს შესძახა...

— ცხენებს ესროლეთ! ჰკარით!... ცხენებს! — თავად კი მეაბჯრის მოწოდებული გრძელ ბოძალით, ცეცხლიანი ბულული მალა აიტაცა და უფრო გაირიხა ხმა...

— ვისაც თვალს არ გიჭრით... მომ-

ყვეით, გზას გაგინათებთ!... მტერი აქეთ არის! — გაქცეულები შეაჩერა, ვაშობარუნა, ახალი სპა მოაშველა და ბანაყის შეაგულში მდგომარეობა აღადგინა.

გათენებისას ორივე მხარემ სულა მოითქვა. ქართველები ირგვლივ ახლო სერებზე, უკვე ღიად, საბრძოლოდ ეწყობოდნენ. დასავლეთ ხეობებიდან ქვეითნი ამოსულიყვნენ. სამხრეთიდან ცხენოსნები ჩამომდგარიყვნენ.

აღმოსავლეთით არაბთა და სელჯუქთა მობრუნებული თუ შეყოვნებული სპა მოიჩქაროდა. ბანაყიცი დიდი გადაჯგუფება-გადმოჯგუფება იყო ხანდაყების თხრა, ქვაყრილთა თუ ყორეთა დაჯვიანებული შენება, ახალ ბრძოლისათვის მზადება...

მხოლოდ ჩრდილოეთით, ხეობაც და ქედიც, სულ უკაცრიელი იყო.

— ჩვენი გზაც აქეთ არის!... და რაც უფრო მალე გავალწვეთ ამ მთას, მით უმჯობესი! — კბილებში სკრიდა მალიქ-ტოდრილი, — აქ ვერც გავიშლებით, ვერც ბრძოლად თუ დევნად გავყვებით იმ ჭამბაზებს! ხედავთ როგორ გვათამაშებენ! — დამწვარ კარვისპირს ფეხს დალილად და გაბრაზებულად სცემდა...

— იქით უარესია! არც მთა-მთა წავალ, არც ხევიწი ჩავალ! ვერ მომატყუებთ ცბიერი! — უძილობისაგან ჩაწითლებულ თვალებს აბრიალებდა ელღაზ სპასალარი, — მთელი ღამე „ცეცხლის ბულულების“ მეფე იყო, დღე „საგორაეებისა და ჩახერგილების“ მეფე იქნება ყველაზე ვიწრო ადგილზე, როგორ მოგვისწრო!?! დიდი ოსტატია! აფსუს... რატომ მაჰმადი არ სწამს! მთელ ქვეყანას დაგვიპყრობდა ეს ვერაგი ვაჟური!

ყველა გაბუსუნებული უსმენდა სპასალარს. მეფესა და სულთანს კი აპრეხილი ჰქონდათ ტუჩები... დავით მეფის, თუნდაც ასეთი ღვარძლიანი ქება საერთო სპასალარისაგან, მათ თავის დაგებად გამოეხსოვრათ.

— ახლა რაღა ვაკეთოთ!? ახლა!? —

ჩახრინწული ხმით აჩურჩულდნენ კმირები და ათაბაგები... უთქვამს დაღია! უწყლოდ ვეღარს... ცხელს ლაშქარი! ზარალიც დიდი გვაქვს! აქ სიმრავლის უპირატესობას აშქარად ვკარგავთ!

ყველა საერთო სპასალარს მიაჩერდა...

— მე ხაფანგში არ გავყოფ თავსა!... უმჯობესია მოვბრუნდები და ტფილისზე გავალ, იქიდან ვდიოთ დავითს! უკვე ცხადია, რომ გზას ვერ ვუჭირით... იმან მოგვიჭრა!.. სიმრავლე უნდა შევიწახოთ და გამოვიყენოთ!

უქანასკნელი აზრი ყველამ გაიზიარა... დურბიზ-არაბმაც...

— ჯერ შიში მივეცეთ სიმრავლისა! იქნებ დასავლეთის გზა მაინც დასთმონ? თორემ უკან დახევით შემოვლა დროსა და ლაშქარს გამოგვიჭამს... სულ თავის პაუზზე გვაომბენ! ერთი ჩვენი ვაიძულოთ საცდელი ბრძოლა! მერმე ვნახოთ...

მთელი ლაშქარი შეამზადეს... და უეცრად დიდგორზე გაუგონარი ღრიალიც აღგა. რამოდენიმე ასი ათასი მებრძოლი იარაღს აცლარუნებდა და ღრიალებდა. ცხენთა ჰიზინი, თურქთა დოლების დგანდგარი, ლოროტოტოთა და ნალარათა ხმა, ნაერთი გრგვინვა იდგა ქედად, არა დიდგორა... გაფრთხნენ ლაშქარს მოყოლილი ყვავ-ყორნები, გადაიხვეწნენ თრიალეთის ძერები და არწივები... მიწისძვრას უდრიდა — ხმის არნახული ძვრა!

შეძრწუნებული „მასპინძლები“ იდგნენ სერებზე და უნებური კანკალი ეუფლებოდათ. ხმლისაგან ფარი იცავედა, მებრძოლს, არა ხმისაგან! ყურის აპქებს კი არ ჰქონდათ საფარი!

დავითი, თავის ჩრდილო სამალაეში, კლდეზე გაწოლილი უსმენდა მტრის გაბელებულ ღმუილს და თითქოს ბნელი უფსკრულის ხმა ეძალუბოდა... ეს ვერ გავგო — განვილდ საუკუნეთა მეხი იყო ერთად ამდგარი, თუ ერთის მომავალი ბედისწერისა!?

დრო მიძიმედ ვიღოდა... მტერი არ იძროდა, ადგილზევე ბორგავდა და ღმუღოდა... გამომწვევად... ხმაალრეულად... თითქოს ბაქია გამარჯვებას ზეიმობდა... მგალობელ ერისათვის ეს აუტანელი იყო. ქართველებს არ სჩვეოდათ ასეთი ომი!

დავითის გამოცდილი თვალი გრძობდა ამას... ისიც იცოდა, რომ „ფანდურის ფანდმა“ გასკრა, გორგორ აღარ წამოვლენ სელჯუქნი, მაგრამ აღარც ხეე-ხეე ჩადიან!?

მამე დემეტრეს ლაშქარს დაადგება მიძიმე დღე... ან თუ გაბედეს და მოახერხეს, უკან გაბრუნება, ტფილისით სულ შემოთვლიან დიდგორს! მერმე რაღას გაბდება ამ ზღვა ლაშქართან!?!.. ეს „ღრიალი“ სულ „გააჩუმებს“ ქართულ სიტყვას!

— უნდა ვიღონოთ რამე! თუნდაც დიდსახიფათო!... ხევში უნდა ჩავიტყუო „მორიალენი“. იქ „ჩემი სიჩუმეა“? ეს იქნება ჩემი აღსარებაც და თავგანწირული ცდაც! იქნებ სიჩუმემ აჯობოს ღრიალს, წარღვნას სიტყვისას!

...დიღზანს, დიდზანს ამ ღრიალში, თავს ედავა დავითი და ბოლოს ისევ ღრიალმა გამოაფხიზლა... დიდგორისა და ნიჩბურას სერებზე, თავისი ლაშქრის მოძრაობა შენიშნა... წინ ცხენზე დემეტრე უფლისწული დაიხანა... გადამწყვეტ ბრძოლაში ჩასკლას აპირებდა ლაშქარი, ვიდრე შემზარავობა — ზარდაცემაში გადავიდოდა.

— აი რა შესძლებია ღმუღის? — წამოიძახა და წამოდგა, წამოიშართა... მთელი თავისი სიმაღლე და მეფური აღმურვილობა გამოაჩინა.

— ნიშანი ახალ იერიშისა! კვამლი და დროშა!

ჩრდილოეთიდან მეფის ლაშქარი აიშალა, ყველასათვის უეცრად თავს წაადგა მტრის ბანაკს. ღრიალმა უფრო იმატა. ახლა აქეთაც დაეწყო მტერი... იყო ზღვა ზუჩებისა, იარაღისა... ხმი-სა...

დავითმა გაარიგა ბრძოლა და მიძიმედ დაიძრა.

— ჩვენ ღმუღით, მხოლოდ გულისტქმითა და სულისკვეთებით!

ცოტა ირბად დაჰყენენ სერს, ხეკორძულას ხევის თავსაწყისს და მერმე ბანაკის კიდეს უპირდაპირეს...

დემეტრემ, ჩანს, გაუგო ზრახვა მამას და მანაც აქეთ დასძრა თავისი ლაშქარი... თითქოს ხევის სავალს ჰკრავდნენ ორივე მხრივ.

პირველი შეხლა საშინელი იყო. ღმუღის — ხრიალიც შეემატა. ცხენთა ბორგვა და რკინის ჭახანი. ბანაკს მოსწყდა გადათელილი კიდე.

ელღაზმა ოდნავ უკან დაჰხია თავისი ლაშქარი, მთის კალთა-ვაკეზე გამოიტყუა „ტყის მეფეც“ და მისი „ბოკვერიც“. დიდ მსხვერპლს არ ჩიოდა, ლაშქარი კიდევ თავზე საყრელად ჰყავდა... „გამეჩხრება“ იქნებ ერჩია კიდევ... მერმე მოაბრუნა თავისი „უმიძმესი“ — ცხენოსნები და აქლემოსნები. მდევრად კი არაბულა ცხენოსანთა დიდი გუნდი და ფეხმარდი სივასელები შეამზადა...

ბრძოლა არნახულად გაშმაგდა, ერთიანად ჩაიხლართა... შესხეულდა და შესისხლბორცდა.

ღურბეიზ-არაბმა მარჯვენა ფრთა გაშალა, ოდრიკალად იწყო დავითის ლაშქრის მოვლა. დავითმა ზუსტად მოზომა, მიუშვა, მერმე ჩაასწორა ბრძოლის ლარი. ზედ ხევის თავსაწყისთან, ცხარე დავლურში ამოიღო ხმა, დაჰკრა ყიყინა...

დემეტრემ ესეც ინიშნა, უმალ გამოიკაფა, მამასთან გაჩნდა... თვალი შეასწრო ელღაზმა, შეუძახა სპას... ომმა სულ დორბლი მოიდო... ჩაიკლანჯა და ჩაიკვერა...

მამა-შვილმა კი თავისი ნაბრძოლი ხმლები ურთიერთის ფოლადს ააღესეს და შეთათბირდნენ.

— შეილო, მოწონს შენი ილეთი და მიმხედურობას გიქვებ!... ისევე ადი სერზე, კლდესავით დადექ!...

— შენ, მამავე?  
— მე ხევში ჩავალ... მტერს ჩაიყო-  
ლებ... ისე არ ჩადის!

— ხეკორძულას?... საგორაევების  
მსხვერპლად?

— ბრძოლით ჩავალ... საგორაე-  
ვი... მერმე შენ იცი!

— მაშინ მე ჩავალ... მამავე!... ფეხით  
არის სავალი... მერმე...

— არა შენ არ ჩაგყვება მტერი...  
სხვა რომ აღარა ვთქვათ რა...

დემეტრე მიხვდა, მამის შემობრუ-  
ნება შეუძლებელი იყო...

— მეც ჩამოგყვები... მაშინ უფრო  
ჩამოგყვებიან!... სერის ლაშქარს აბუ-  
სერ-სპასალარს ვანდობ...  
ელლაზმაცა და დურბეიზმაც მძინ-  
ვარე ძალით შემოუტყეს... დავისა და  
არჩევის დრო აღარ იყო.

— ანდე!... ის შეგცვლას დრომდე!  
ჩქარა!

...მალე ისევ შეიცვალა უცხრად  
დატრიალებულ სასტიკი ბრძოლის სუ-  
რათი.

დავითმა თავისი ლაშქარი მტერს  
მოსწყვიტა და ხევში ჩაიყვანა. სერის  
ლაშქარი უკვე აბუსერის მოთავეობით  
მძიმე ბრძოლითა და შემოტევა-უკან  
დახვეით, გორზე შემადლდა. ხოლო  
დემეტრე უფლისწულმა, მონა-სპის  
გუნდით, ხევს ქენებით მიადწია და  
მტერს ჩაასწრო.

მდევარი კი ხევამდე მიჰყვა, მაგრამ  
შიგ ჩასვლა, ელლაზის გაფრთხილე-  
ბით, ვეღარ გაძებდა.

დურბეიზ-მეფე პირველი მიიჭრა  
ხევთან... ელლაზ-სპასალარი ახმობინა.

— ტყის მეფე, თავის ლაშქრით.  
ხევში ჩაივდა!

— ლაშქარი დახაც... გაქცეული...  
მაგრამ „საგორაევების“ მეფე! არ იქ-  
ნების ესე! არ დაიფრებ! თავი თუ  
მოსტრეს და საგორაევი მოაბეს!... ერთ  
ლანდად მეც მომეჩვენა... მაგრამ  
სურვილსა და სინამდვილეს ჭერ კი-  
დევ ვარჩევ!

— უფლისწულიც ჩაჰყვა... ჩემი  
თვალით ვნახე! — დაუმატა მოვარ-

დნილმა მალიქტორილმა. სხვა ათას-  
მა დაუდასტურა... ამირებმაცა... და  
მშვერავებმაც ალაპიკე შეაჯერებენ უფი-  
ციოთ.

— მაშინ ჩვენია გამარჯვება! ახლა  
უტრეებ ყოფას! — ხელ-ხმალი აღ-  
შართა აღფრთოვანებულმა სპასალარ-  
მა, სალალობოდაც მოიმართა, — ჩქა-  
გზაც იქით გვაქვს და დღეობითი!  
სისხლი და წყალი ერთად გვწყურია...  
წყალიც იქ არის და საგორაევიც იქით  
მიგორავს! შუბიც ზევიდან ქვევით  
უფრო გრძელია, ვიდრე ქვევიდან ზე-  
ვით! — მერმე ფიცხელი ბრძანებები  
გასცა, ლაშქარი ახლებურად გაანაწი-  
ლა — გორზე არ გაჰყვით ქართველთ,  
კედლად დადექით — ვერ შემოგბე-  
დონს!... ყველა ქვევითი ხევთან!.. ხმალი  
არ მინდა, არც სხვა იარაღი.. წერ-  
კეი! რკინის კეტები!... ქვეები მოარღვიეთ!  
მადლი ალაპს! ეს „ქონება“ აქ უთვა-  
ლავია! მოზიდეთ, მოაგორეთ ხევის  
პირთან... თქვენც აქ დაჭეუფდით! —  
ბზრიალასავით დატრიალდა ტანადი  
და თემომიმე ელლაზ-სპასალარი, არა-  
ბულაც ციბრუტივით დაატრიალა.

სულ მალე ხევის პირისაკენ საგო-  
რაევებს ათასები მოაგორებდნენ. მალ-  
ლიდან — ქვეითნი, ფუნაგორაებს  
დაემსგავსნენ... ქვევიდან კი არც ბა-  
ნაკი ჩანდა და თავად ჩასულნიც გაუ-  
ჩინარდნენ...

დავითმა ხევში, მარჯვნივ და მარ-  
ცხნივ მომალლო ნაპრალებს ააქრა  
ლაშქარი. ქვეითნი მაშინვე ავიდნენ,  
დელისპირა ხეების სიმაღლეზე, ავთ-  
ეფარნენ კლდეებს. ცხენოსნებს უფ-  
რო გაუჭირდათ, ვიწრო და ღრმა ხეო-  
ბაში, ვერა და ვერ ნახეს თავშესა-  
ფარი. აღარც მდევარი ჩამოჰყვა, რომ  
საგორაევების შიში გამქრალიყო.

ერთხანს სრული სიჩუმე გამეფდა.  
ზედა დმულილი აქ აღარ ჩამოდითოთა.  
ხეკორძულას საამო ჩხრიალი ვულს-  
ყურსა და გარესმენას ესალბუნებოდა.  
ზოგნი ჩაცოცდნენ, წყაროსა და სი-  
ჩუმეს ერთად სვამდნენ.

...მაგრამ ზაფხიც გაისმა და პირვე-

ლი დიდი ქვა ჩამოგორდა, ხეები ჩა-  
ლუნა და ქვევით, ხევის ვიწრო მუხ-  
ლში, ხტომით გაუჩინარდა.

— დაიწყეს!... ცხენებს ხელი უშ-  
ვით... აქეთ ამოასწროთ! — დავითის  
ძახილმა ძლივს გაატანა ქვების გრუ-  
ხუნში.

...მერმე აირია ქვა და სხეული...  
სისხლნარევი წყალი და ქვიშა...

ინც ამოასწრო, გაოგნებული უმ-  
ხერდა მარად ანკარა ხეკორძულის  
გვემას.

მალალი ხტომით, ხევ-ხევ მოჰქროდ-  
ნენ ხავსმოდებული ქვები და ფაფარ-  
აყრილი ცხენები... იქოლებოდნენ და  
იციციებოდნენ ხე-ბუბქაიოზი...  
თვალსა და ხელს შუა ხისა და კორძის  
აბჯარს იშინებდნენ ხეკორძულა. დღე  
ასლა უკვე მთლიან შავად დიოდა და  
ხოკავდა ყველაფერს.

შემაღლებულ კლდის ძირში, შეფა-  
რებულად ისხდნენ დავით და მისი  
ძე... ახლომახლოში მოლაშქრენი შე-  
ყუყულოყუენენ... უფრო ქვევით მეფეთ  
ცხენები მიემათ ფრიალოსთარა ეშში.

ახლა ირგვლივ, ყველგან ქვა იყო...  
მოძრავი თუ კლდეს შერდილი.

გაქვავებულ დავითს დროისა და  
სივრცის გამჭოლი ფიქრი შეეჭიდა...  
ახლო ალო და შორეული ჰერეტა  
ჩახებართა, ყველაფერს ლილოჭრელი  
სახე მიეცა... და თითქოს, ქვებთან ერ-  
თად, გაუთავებელ გრანულივად მო-  
გორავენ დაგორგლილი საუკუნენა!...

...დაიძრნენ ხმლებითა და შიშისე-  
ვებით ჩამოფურცლული დღეები... ჩა-  
მოფარცხეს ერის ჯაჭვისპერანგა თაყ-  
დადებულნი, დახეული მათი ბელნა-  
წერები, და რღვეული ტაძრები, ციხე-  
გალაენები... ერთად მოგორავს რვე-  
ული და სხეული... თალი და თარილი!

...თავი მალა ასწია, ფრიალოებში  
ჩამჭდარ ცას შეჰხედა გაქვავებულმა,  
ფიქრზე უანზღესად თავისი მოუშთაფ-  
რებელი ანდერძი ითხოვა.

შორიასლოს შეფარებულმა საბა-  
ბრმა ხმალი და ჯვარი მოართვა...

თავდაუხრებლად კალამიც ითხოვა

მეფემ... ხელშუბი და სანთელი მო-  
ართვა ბერმა.

მელანი ითხოვა... და <sup>ერკვენული</sup> ~~ქვევით~~ <sup>ქვევით</sup> ~~ქვევით~~  
სისხლნარევი, ამღვრეული ხეკორძუ-  
ლას წყალი ჰეშვით ამოუტანა...

— მე უდავითნოდ... ათით ვაზიარე  
შენი მხედრობა, დავით!

მეფემ თავი ძლიერად შეარხია და  
დადრიკა:

— ეპ, ქვეყანა ჯერ კიდევ ხმალზე  
ბრუნავს და რა ვქნათ!

...ზევიდან კი სულ მოგორავდნენ,  
მოგორავდნენ ლოდები...

ირიზად გადმომხტარი დიდი ფიქალი,  
ჯერ გაღმა კლდეს მიეხალა, მერმე გამო-  
ღმართს მიეფშენა და ბასრ ნატყეჩებად  
ქცეული, გაავებულ მგელის ზროსა-  
ვით, ცხენებს შეესია, ორივე მოსხლი-  
ტა. მეფემ თავისი ფარი აფარა უფ-  
ლისწულს, წერილი ნატყეჩები ფარ-  
საც მისწვდა... გაჰკაწრა... ცხენები კი  
შეშზარავი ჰიხვინით გადაიტანა შავ-  
მა...

— აი, ჩვენი ისტორია!... განიცა-  
დე!... მერმე ივარგე მეფედ!

— თუ გადავჩინოთ? — წასჩურჩუ-  
ლა შეიღმა.

— მეტი გზა არა გვაქვს — უნდა  
გადავჩინოთ! — მწარედ ჩაელია ჰე-  
ფეს, — ერთ-ერთი მაინც! არც შედ-  
რკომისა და არც შეცდომის უფლებაა  
არა გვაქვს!

უცრად ისევ დაუჭერებელი სიჩუ-  
მე ჩამოვარდა...

— ახლა კი დასძრავენ უთვალავ  
ლაშქარს! მაგრამ ფიქრი ნუ გაქეთ —  
წერილად მოვლენ! — ზეწამოდგა და-  
ვითი, — საჩებად უმჯობესია!

— ჩახერგილებს კი სულ ჩაიტანა  
შევი! — მიჰყვა დემეტრეს...

— მით უფრო!... დასახევი მაინც არა  
გვაქვს!

ამ ზღაბრულ სიჩუმეში, სულ ანაზ-  
ღეულად, გაისმა ექვინისა თუ ზიზა-  
ლაკის ხმა.

ყველა განცვიფრდა... გულს უხი-  
ლავ ნამად მოედო გამოუცნობი  
ღტოლვა...

ღელისპირა დაბალ კლდეზე. ქვედა ტოტემშემოღწილი, ერთი ურთხელა დარჩენილიყო.

— უთხოვარზე — გაუთხოვარი ზის! — შესძახა ალცანდრე ოზურგელმა.. მონასპელი ალცანდრეს ღიმილიანი სიტყვა ხელად მოედო ჩაღწილ ხეობას.

— უთხოვარზე — გაუთხოვარი! ღიმილმა მოსხლიტა გაოგნება და შიში.

— არა, ბიჭებო! ჩემი დანიშნულია! ხიდან ჩამოვიდა ვაყის ხმა, — რომ გავიმარჯვებთ! ჭვარის წერაზე სვეტიცხოველში გიწვევთ ყველას! მეფე დანიშნობდა! — დაყოლა და ფანდურსაც ხელი ჩამოჰკრა...

— აქ ყოფილან? ღმერთმა უწყველოთ მაგათი... გუჯა მართალია! — ხმა მისცა მეფემაც და ჩასვლა იწყო. მებრძოლებმა სული მოიდგეს და სამალაგებს ჩამოსცილდნენ.

— ზოგი კლდეს ეხუტებოდა და ზოგი კი დანიშნულსაო! ... ახლა ბედი არ გინდა გუჯას არ დასცემია საგორავი? — ალცანდრე მონასპელს ენა ებორკებოდა სიცილში...

ქვის სეტყვის შემდეგ, მიამიტმა ოხუნჯობამ და ფანდურის ხმამ სულ სხვა ცისარტყელა გააჩინა ხეობაში... გუჯამ კი ლექსიც გამოაბა...

— ხეობაძელა ხომ ჩვენც გვისვამს...  
 ვნახეთ გორება ქვისანი!  
 ...დალოცოს მტებით, ტფილისმა...  
 ბრძოლანი დიდგობისანი,  
 ...სიყვედილმა გვითხრა — აჲ კმაა!  
 სიციცხლემ — კიდევ არაო!  
 ვეშაპი შემოვეყარა —  
 — უხრები ჩამოჰყარაო!...

უეცრად, სიმღერა გაწყდა... ზოდან ისარმა იწივლა და ხევის ზედა მხრიდან პირველი მშვერავი ჩამოგორდა.

— ...ისარს ვკრავ წარამარაო! — კიდევ მოისმა ლექსის კილოში ნათქვამი სიტყვა. — მაინც ზვერვით მოდიანი... გუჯავ! შენ ყოფილხარ ისარ-ფანდურა! აბა, მომყვეით! — ერთიც დაიგრავინ

ვა მეფემ და ვიდრე ხეობაში გაჯავრებული ბანი ჩათადებოდნენ, მკვლელის ფსკერზე, მრავალმეტრე კედლელს ჩადგა.

ზევდენ ჯერ ისრების ტყორცნა და იწყო... მალე კი იარაღის ეღერითა და ბუბუნით პირგამხეხებული მტერი შვავივით ჩამოგორდა.

შეიქმნა ვიწროში, არნახული გამაგებისა და გარემოების რკნა. დავითი ორ ქვის შორის, გადალაჩებულად გადაადგა ამღვრეულ ხეობაძელას და ჩამოგორებულ მტერს მძიმე დაშნით ჩიქავდა. დემეტრემ ჭკროდ მოსულეებს შუბი ჰკრა, ვიწრო კლდესთან სანი ერთად წამოაგო... შუბი დაჰკარგა და ახლა ხმალი მოისწრო. მონა-სპა და რჩეულთ გუნდი თავზე ხელაღებულად იბრძოდნენ... მაგრამ მტრის მომრავლებული მკვდარიც იბრძოდა, ქვევით მოგორავდა. ცოცხალი ლაშქარიც თანდათან ჩამოხვავდა ხევში. დღე, შიეთ-მოეთ ზოდად მოიკლავებოდა... მათი შეჩერება აღარ ხერხდებოდა... ქართველები განწირულ ბრძოლით ითქვრებოდნენ და იხევდნენ ქვევით და ქვევით...

— თითო ნაბიჯი უყანი! ზურგოჩვენებლად!... ხევის მუხლამდე! — ბოლოს აბილებში გასცრა დავითმა და დარტყნილ იხმო... ერთიც ახვდა ხეობის და შორებულ თავს... მტრის ლაშქარი დიდ, ხორკლიან ენად გადმოწოლილიყო ხეობის ძაბრში. შედედებულ მდინარესავით დიოდა, განურჩევლად კაცი და ცხენი... აქლემიც კი... ყველაფერი ქვევით მოგორავდა, დიოდა ლელმპარულ ნიაღვარივით... წარღნის უეცრულ წინამორბედად.

— ჰხედავ? — სისხლიან დაშნით მიუჩვენა მეფემ, — ახლა დროა! აქით დაიძრა ძირითადი სპა... ლაშქარსა და საქართველოს შენ გაბარებ! ხელიდან არ გაუშვა გამარჯვება არამც და არა მც! რაც არ უნდა მოხდეს!... ადი გორზე... ხევის მუხლიდან ციკაბო სავალია... შენ ახვალ... იქ მაინც ვერ ავი-



დოდა ცხენი... ეჰ! სად ხარ ჩემო ახალგაზრდობავ?

— რატომ მიშორებ? — აიღეწა დემეტრე...

— საგორავეები ჩქარა! ჩაეფარცხოთ ხევი!... მერმე ჩვენია ლელო!

— მერმე თქვენ?

— ჩვენ აქ დაერჩები... შევაჩერებთ!... ნახერგალთან მაინც! ვიდრე ქვა და შვავი მოგვემდეს საშველს!

— მტრის საგორავეებს ძლივს გადავურჩით... და ახლა ჩვენ თავად ჩაგქალოთ? თუ ქვა გააჩრევს მტერს და მოყვარეს!?... ვერა, ვერ ავალ!...

— ძლივს ჩამოვიყვანეთ... გამარჯვება ბეწვზე ჰყიდა! ერთი კენჭიც ჰყარ! ადი გორზე!... მე გიბრძანებ, მეფე და მამა! საქართველოს მომავალი!

ბრძოლა ისევ ჩამოიზათქა... ხევის მღვლამდე დადრკნენ დაითისანნი.

მამა-შვილის დავა ყველა? გაიგო...

— ადი გორზე!... ადი გორზე! — ბრძოლის ქარ-ცეცხლში შესძახეს აქეთ-იქიდან, — ხედავთ თუ არა!... გესმის თუ არა!?... ადი გორზე! ... ადი დიდგორზე!...

ცოცხალი კედელი ეხეთქებოდა ცოცხალკედელს... წვებოდა.. ზოგი ველარ დგებოდა.. რკინა მაინც ეხეთქებოდა რკინას... და იყო ირგვლივ წყალი და სისხლი ერთად, მარცხი და სიმარჯვე ერთად! ...

დემეტრემ ხელი ამოუსვა ზეკორძულას, სახეზე ისხურა და შემობრუნდა... მამამ ხელი დაჰკრა მხარზე, უფლისწულის აღჯაზმულობას, აქვე, ბრძოლაში გახდილი გლეხური ჩოხა მოახვიო მღვარადივ გადააძრო, მებრძოლს ჯაქვის ჩაფხუტში გადაუცვალა...

— ახლო არიან, არ გიციონ! ხმალი კი შენი გერთყას... გაგა შეაბჭრე იახელ, ბილიკი ზეპირად იცის... რამან ბეჩოელიც წაიყვანე, კლდის კაცია!... მალეით ადით.. თან იჩქარეთ... ყველაფერი მოსწრებაზე! ახლა საქართველოში დიდგორის საგორავია მეფე! — მერმე მოძალებულ ბრძოლის წინა კ-

დეს მიეტანა და მებრძოლებში გაუჩინარდა.

მძიმე ბრძოლა-ბრძოლით ხერხის ძაბრიც ჩაათავდათ. ჩახერგილსაც მისწვდნენ. ქვებს ერთიანად გადაეთელა ხერგი. აქ ზეკორძულას ხეობას სათოვლეს ფართო ხევიც უერთდებოდა... იქიდან მტკერის ხეობაც ჩანდა.

დავითმა შეფრიალებული გული იაკა. სული მოითქვა, ფეხი დაჰკრა და პირჯვარი ისახა. შემორჩენილ ამალასა და ლაშქრის ნაშთებს გადახედა...

— აქ უნდა მოვკვდეთ!... ანთეთ სანთლები!... ციციავ, ნეტავ სად ხარ!? — მერმე გაახსენდა, რომ ციცია კვეთელი პირველ „ორასში“ გააგზავნა. შინაგანად უფრო შემავრდა, სასწაულად გადარჩენილ, შეაბჭრულ საბაბერს მიუბრუნდა, — საგორავების ნიშნის ცეცხლი სანთლით ანთე! კვამლი აუშვით! ახლა ყველაფერი ეს კვამლია!

ხეობიდან კვამლის სვეტმა თავი რომ ამოჰყო, მაშინვე მარცხენა კლდიდან, პირველი ქართული საგორავი ხევის შუაწელში ჩავარდა, მტრის ლაშქარიც წელში გაწყვიტა... ბოლომდე ჩაგორდა, სადაც სანთელანთებულ ლაშქარი იდგა და ხმალს სიკვდილ ვაშნაგებულნი იქნედა...

— მოვიდა მამველი ქვათა სპა! — დავითმა „კედელი“ გაჰყო და შეძლებისდაგვარად კლდეს გააფარა მავრამ ისე რომ, არც ცოცხალ მტერს უტია გზა... თუმცა აღარც მოდიოდა ცოცხალი მტერი. საგორავების გრუხუნი საოცრად მოძლიერდა. ჩქერივით მოდიოდა მარცხენა კლდიდან, მერმე დევურ ნაბიჯებით მოაბოტებდა დასხეულულ ხეობაში. მავრამ ქვედა ამბავი ზევით ვერ აღწევდა და ხევში ახალ-ახალი ლაშქარი ჩამოდიოდა.

ხეობაში გაჩენილ ცოცხალ ტიხარებში ზარდაცემული მებრძოლები უწყეოდ იდგნენ და ცის ვიწრო ზოლს დაჰვითებულად შეჰყურებდნენ, თავის ქვას ელოდნენ...

ბოლოს ხევში ჩამავალი ახალი ლა-

შქარი „ქვასანაყიდან“ ელდანაკრავი ამოვარდა და შემზარავი შიში დარჩენილებს მოსდო. ყველაფერი აირია ბანაკში.

დემეტრეს ლაშქარიც დაიძრა. დიდ, გადაშფევეტ შეტევაზე. ცხენოსნები ადრე მოიჭრნენ, პირველ ბრძოლაშივე არიეს, მოსრეს დიდძალი მტერი. ახლა ქვეითმა ლაშქარმა, მონასპამ, ყივჩაღთ გუნდებმა აქეთ-იქიდან შეუტეეს და სულ შეარღვიეს წინააღმდეგობა. მალიქ-ტორღილმა გრძელშუბა აქლემოსნები წამოაყენა. მაგრამ თავისმა, დიდ ტალღად ოტებულმა ლაშქარმა სვლა და მწყობრი აურია. მერმე მონასპის მოისარნი მოუბტნენ, აქლემები დაუისრეს. ახლა კი სრული არე-დარევა და უგზო-უკვლოდ თავის შველა, მოედო ბანაკს.

დავითს აქვე, ზევშივე მოართვეა ნაალაფარი, წვივებდასისხლული არაბულა. ბრძოლის ოფლი არც მოუწმენდია, შეჯდა, მეორე ზევზე მოვლით სათოვლე სერზე ავიდა, გადაჰხედა... ბანაკი უკვე ჰიანჰველებს არეულ ბუდეს ჰგავდა. კლაკნია ურჩხულს ხერხემალი მრავალ ადგილას ჩაწყვეტილი ჰქონდა. სადროშეების ლაშქრებს თვალი ჰკიდა მეფემ. ყველა ვაშად იყო მისული. უფლისწულის დროშა სულ წინ იბრძოდა... მამურ თვალჩუბინობით დემეტრეც იცნო. მტერი შავ-მთებისაკენ გარბოდა, აქეთ-იქით იფანტებოდა.

ზელი აღმართა მეფემ...

— დევნის ნიშანი ყველას!

სათოვლეზე კვამლის „სამთაგანა“ ერთად ავარდა. დიდგორთა ყველა მალღობზე საპასუხო „სვეტიკვამლები“ ადგა... მანგლისისაკენ და კლდეკარიისაკენ სერ-სერ გაჰყვა „სამთაგანა“ — კვამლი დევნისა.

— ახლაგაზრდებო! თქვენც ჩაღით საწყენლეს სერზე, დიღომ-ტფილისისაკენ არ გაუშვათ ნახსლეთი! — თავის ლაშქარსაც შეუძახა და მხოლოდ შემდეგ დასძინა — გმირკეთილებო!... მხოლოდ დროშა და ხანდაზმულები დამი-

ტოვეთ! — მერმე დაქვეითდა, ხავსმოდებულ ქვაზე ჩამოვარდა, სვეტნელი დალლა და ომგადაბლილ მზაყვდრთება, ?ხოლოდ ახლა იგრძნო... რამდენი ხანია არც წყალი უსვამს, არც უძინია, არც ულოცია ვგონებ. რამდენი ძალა, ერის კეთილი შვილი და სითბო გამოაკლდა... თითომ უხილავი სულის ნაწილაკი წაიღო... უფრო მეტიც... ყოველ მოკლულთან — კვდებოდა თითქოს... აი თუნდაც ის „საარაკო დანიშნულები“ სადღა არიან? ხეკორძელადან გამოსული აღარ უნახავს... ან ალცანდრე ოზურგელი?... ან საერთოდ ისინი, საგორავებს რომ დაუწუნენ და გამარჯვება მოიპოვენ!... ან ის „ორასი დიდგორელი პირველმისვლენი“! ან რამდენი უნდა მოიგონოს?! მეხსიერებაც დაწყვეტილ ჯაჭვის პერანგით შემორჩენია...

... და ახლა, გამარჯვება რომ მოიპოვა, საშინელი ამაოების გრძნობა მოეძალა მის სულის ჩამდგმელს. ზეადამიანური დაძაბულობა და დაღლა ჩამომძიმებულ ქუთუთოებს ძილქუშად თუ ომქუშად შეეჭიდა... ირგვლივ ყველაფერი ბრუნავდა, ღმუროდა... თითქოს თავიდან იწყებოდა ბრძოლა! ახლა უკუღმა, ქვევიდან ზევით — მიგორავდნენ მტერ-მოყვარის საგორავები... თან ყველა ერთად!.. სულში მძიმედ გადატანილ ომის გამეორებელი კორიანტელი იდგა. ყურში გაურკვეველი ბავაბუფი ესმოდა. ვერ გაეგო, საკუთარი მაჯისცემა იყო თუ სვეტიცხოველში, ახლახანს ჩამოსხმული და ჩამოკიდებული, პირველი ზარის ხმა ახლა უკვე გადარჩენილისა! საერთოდ ეს ეა, ეს მზე, ეს ქვეყანა და ერი გადარჩენილი იყო... ომი კი უკვე ლანდებში იყო წასული... თრიალეთურ ლანდებში!..

ერთიც იძალა... მოახლებულ მეაზრესა და მწიგნობარს ერთად უჩურჩულა...

— სვეტიცხოვლის ზარი ამოიტანონ დიდგორს!... დაბიზნული ხალხი დააბრუნონ... ზეალ მარიამობა... 15 აგვისტო, კვირა, 1121 წელი, ამიერთ

ყოველ ამ კვირას — დიდგორობას ვბრძანებ ერის ღღესასწაულად, თავდადებულთა მოსაგონებლად... — მერმე მოხუცა თვალი და გაინაბა... შეწყდა გრიალი ომისა... მიწა და ქვა დიდგორისა კი ჩურჩულებდა, სულ ჩურჩულებდა... „იმათ, ერის შვილთა მოიგეს ომი! თავი დასდეს და მოიგეს! ჩვენთვის, მიწისათვის, ერისათვის, ცოცხლად დარჩენილთა და გადარჩენილთათვის, მოიგეს!

დახუჭულ თვალთა ბროლზე კოთრიალეთური ლანდები უხმოდ ვიდოდნენ...

...როდესაც, ნახევარიოდ საათის შემდეგ, თვალები გაახილა, მის ირგვლივ ქვებზე, პირდაპირ მიწაზე, ისხდნენ მთელი დიდგორის ლაშქრის უხუცესები... ჩაჩქნები, მუზარადები, ჩაბალახები მოეხადათ... ისხდნენ და სასწაულოვით შეჰყურებდნენ თვალშილელს. აქ იყვნენ საბა-ბერი, ამბრია, გორგა ჭანი, არჩევანი, დიდგორელი ხევისბერი და სხვა მოხუცი სერის ლაშქრიდან... თვალის გახელა რომ შეამჩნიეს, ფეხზე წამოდგომა დააპირეს. დავითმა ხელით ანიშნა და ყველა ისევე დარჩა... მერმე დალილი, მკვრამ აღფრთოვანებული ჩურჩული გაება თეთრ-ჰალარა რკალს...

— ჩვენი წლოვანება რომ შეკრიბონ... რამდენიმე ათას წელს გადააჭარბებს!...

— ჰოდა ასეთი გამარჯვება საქართველოში არავის ახსოვს!...

— არც ცოცხალსა და არც მატიაწესს...

— მეტი რაღა ვთქვათ — შენი სიბრძნითა და სიყვარულით არის ყოველი!...

— ერის მამა და აღმამენებელი შენ ყოფილხარ!...

— გადავრჩით... აწ ყველაფერი ჩვენია საქართველოში!... მალე ტფილისიც!...

— აურაცხელი ტყვე და ნადავლი დაგვრჩია!...

— მრავალი მეფე, ამირა, ათაბაგი კიხილეთ ტყვეებად!

— ახალგაზრდანი ჯეფნაფქ-რნენ... გამოეჩვიონ!... კარგად იბრძოლეს!

— არ გაგვიჩიო ქართულმა ქვამ, მიწამ, დიდგორმა, ხეკორძულამ!... ღმრთისმშობელმა!

— ამ სათოვლეს, ომის სანიშნოს... დავითის მთა უწოდა ერმა!...

ყველა ნათქვამი ბერიკაცულ თარგზე დიოდა, თითქოს ერთი, გრძელი-თეთრ-ჰალარა წინადადება იყო. დიდგორელმა ხევისბერმა, თრიალეთური არაყი წვრალ ქარახსებში ჩამოასხა, ჩამოარიგა... ერთი დავითსაც მიაწოდა... შემოტრიალდა და ბერიკაცების რკალში ამოკეცილი ნაბადი დადო, ხელშეძრულად გაშალა... გასრესილი ეყვანი და გატეხილი ფანდური გამოაჩინა...

დავითმა იცნო და გული შეეკუმშა. ხევისბერმა ახლა თავისთვის დაისხა თრიალეთური... ხელი მიწას დაადო...

— ღმერთო ზეციერო და მიწაე ქართლო, შეივრდომე შენთვის აღსრულებულნი! — არაყი ოდნავ მოსვა, დანარჩენი მიწას დაასხა... ასევე გაჰყვა ჰალარათა რკალს ქარახსი და ჩურჩული...

— გული ენდო და ვინაობა ველარც კი ვკითხე დაწერილებით! — ხელი ნიეთებს რბილად გადაუსვა მეფემ, შენ კი გეცოდინება!

ხევისბერმა თავი ჩაჰხარა...

— აბეშურა ჩემი შვილი იყო... აწ დიდგორის შვილნი არიან!...

— შენი შვილი?!... მე კი ვერ მიეხვდი... ომმა წამართვა გრძნობა!... — მუზარადი მოიხადა დავითმა... ყველამ შეამჩნია, რომ თავზე მოჰარბებული ჰალარა ნისლად გადაჰკროდა... დიდგორისა და სათოვლეს ჰალარა იყო.

მარიამობას, დიდგორზე რომ ავიდა დავითი, გრძელი, ერთიანი საფლავი, ზედ წვეროზე მრავალჯვარედინად იყო

გაპრილი. დაღუპული ქართველი მო-  
ლაშქრენი გვერდი-გვერდ იწვნენ.  
ზოგს სულაბად ქეჩა ეხურა, ზოგს ნა-  
ბადი... ზოგს ფარი უფარავდა აჩეხილ  
თავ-პირს. დავითის ბრძანებით, აბჯარ-  
ჩაჩქანი ზედ შეარჩინეს გმირებს.  
ჯვარედინთან, ერთ ლორფინზე, ვით  
საქორწინო სარეცელზე, ორი გვამი  
ესვენა... ეუვანი და გატეხილი ფანდუ-  
რი იქ შეშატა ხევისბერმა. მეფემ თა-  
ვისი თეთრი, საზეიმო ნაბადი, საკუთა-  
რი ხელით გადააფარა... მერმე ორასი  
დიდგორელის მკერდშელეწილი გვამი  
იღო. მერმე კი სხვათა და სხვათა,  
გმირთა სახელოვანთა და უსახელო-  
თა...

საბა-ბერმა და მცხეთიდან ამოსულ-  
მა სამღვდლოებამ გამარჯვების პა-  
რაკლისს დაღუპულთა პანაშვიდიც  
ააბა. და როდესაც ყველაფერი გას-  
რულდა, დავითმა პირველი პეშვი მი-  
წისა მიიყარა გმირთა სამარეს.

მთელი ლაშქარი ჩაშოდგა, ჩამო-

უარა... მოჰქონდათ ლორფინები, ფი-  
ქალები... მიწის მიწა, მწველები, ცხე-  
ლებით, ფარებით... აყრიდნენ ჯვარე-  
დინა საფლავს.

მალღებოდა დიდგორი. კმუნკით  
ჰფიქრობდნენ დავითი და სხვა მო-  
ხუცი — „ნუთუ საქართველოს ყო-  
ველი მთა ასეთ ძვლებზეა შემტკიცე-  
ბულ-შემალღებული?“

მამის ნიშანზე უფლისწულმა მცხე-  
თიდან ამოტანილ ზარს შემოჰკრა...  
მძიმედ დააგუგუნა... მხოლოდ მამინ ხმა  
აღმოხდა მეფეს...

— ისე შემოჰკარი სვეტიცხოვლის  
ზარს, რომ დიდგორიდან ტფილისამ-  
დე გაატანოს ერის შეგნებითა და  
თავგანწირვით მოპოვებულმა გამარჯვე-  
ბის ხმამ... ძრწოდეს, ვისაც ეშინია,  
და უხაროდეს, ვისაც გულით გაეხარდე-  
ბა!

.....ირგვლივ კი ვიდოდნენ, ვიდოდ-  
ნენ თრიალეთური ლანდები...



მამია პარხანიძე

პე. მამულა!

პე, მამულო, საყვარელო,  
მალეა როდი მჩვევია.  
ოთხნი ძმანი შენ გიცავდით,  
ერთი გადავრჩენილვარ.  
ზოგი სადღაც მიმალულა,  
ალარ გამოჩენილა.

პე, მამულო, საყვარელო,  
მალეა როდი მჩვევია.  
ამად ვამბობ, გენაცვალე,  
მეც ყელამდე ჩემი ხარ...

ო, ვის გამო, სული ჩემი  
რისხვით გადამერწია?!  
ჩემი ძე კი მცველად გიდგას  
და სიცოცხლეს შენ გწირავს.  
ამად ვამბობ. — შენ ჩემი ხარ,

შენით ჩემი დღე ბრწყინავს.  
ოდენ ვინაც გიღალატა,  
არ გივლიდა აზიზად,  
და ცრუ ვნით ვინც ამალღდა  
ვით ბრძენად და ვაზირად,  
არ შეერგოს, არ შეერგოს  
წვენი შენი ვაზისა!

ვის ნამსუსი ქუდი მხურავს  
და შენ გწირავს ალალ გულს,  
წვით და დაგვით აღგამენა,  
კვლავ გიბრუნებს დაკარგულს,  
ვინაც ცამდე აგამაღლებს,  
გულს განკურნავს დადაგულს,  
შენ მისი ხარ, სამშობლოო...  
დანარჩენს კი დანა გულს...

• • •

ჩემო კერიაე, მოვალ, გამათბე,  
დედამ ლოცვა ცას აქ შექალადა.  
ჩემო ახალი ქვევრო, დამათვრე  
შენი ბავშვი და შენი ჭალარა.  
მიმქრალ ნაპერწკლებს გულით ავხვეტავ,

მერე ჩავბურავ სულის ქურაში.  
ვარსკვლავებში ვარ, ცას რომ ავხედავ,  
და სადღაც მივჭრი ზღაპრულ ქურანით..  
ლოცვად ღმერთი მყავს „ვეფხისტყაოსნის“,  
განა ყურანის?!

## მემობანს



ნუთუ დაღამდა?! მე დღე მგონია,  
გზა გამინათე შენი ჭალარით.  
შენ ზღვის მარილი გამოგყოლია,  
მინდა ზღვასავით იყო მაღალი.  
ჩვენ არ დავცვებით დამრეც ბილიკებს,  
არ გვინდა მტვერში ნაპოვნი გვერთხი.

სიჩუმე გვშენის, არც ვიჭილიკებთ,  
არა, არც ვინმეს ფეხქვეშ გავერთხმით.  
რად მინდა იყო ალვა მაღალი, —  
ჭექა-ჭუხილში მყავდე ნალველად.  
ჩვენ ვხვდებით ჩუმად, არა ნალარით,  
ღამეს ვუტოვებთ ღველფს და ნალვერდალს.

**ზურაბ ლორთქიფანიძე**

## იყოს დრო ღაქსის გარბიროლოგი...

ჩემი სტრიქონები ეტოლოს  
იმ რაინდს, გამწარებით ჩარბებს რომ  
იკნებტს,  
ეტოლოს გამძაფრებულ დღეთა ეტალონს.  
იყოს გულმღვრიე,  
გაზაფხულები მარტიდან მოჰქრის

და ფოთლავს შქერებს, სერებზე ღვობს...  
იყოს დრო ღაქსის მარტიროლოგი.  
ჩემი სტრიქონები მოდის  
ჩემს მძლავრ სხეულიდან ზათქით.  
მოჭალაქვსავით გააჩნია პასპორტი  
ზუსტი მისამართით.

## ღგას სურნეღგა მძაფრი ოზონის

შემოტმასნია ჰაერის კაბა,  
მოიისფერო ჰაერის კაბა:  
ალუბლის წითელ საყურებიან  
ხეებს და ღაწვი გახურებიან.

გამოჩნდა მთების ქაჩალი კეხი,  
ჰგავს ბუნებისგან ცაში მოსროლილს.  
წიწვიან ტყეში გახლიჩეს მებხი,  
ჩქეფს სურნეღგა მძაფრი ოზონის

## იძ. საღამ უხდა ბრძოღბი ანის

სულის ელღენი მძაფრ სივრცეს ერთვის,  
სადაც სისხლში და ნისლში ილტობით.  
ღეღამიწაზე ჯერ ხომ არცერთი  
ღღე არ მოსულა სრული მშვიღობით.

სიცხე არ გაკღდა და იქნება ღღეს ისე იწვიან,  
შენი ტყე-ველი, შენი ველი არ დანაზოგი,  
სიცხის გაზომვას ვერ ახერხებს სიცხის  
საზომი.

ბანანებიან მზარეს ტროპიკულს,  
მზეთა მეწამულ ქვასალესზე ფიცხად  
მოპირულს,

მტერო, შეეშვი!  
გამიარჯვებს მაინც სისწორე.  
ემ მორეულ და ცხელ ტრანშეებში  
შორიღან გული გაღმოვისროღე.

იმის მაგიერ კაცმა რამე მყნას,  
ფიქრებს რაიმე უილალოს;

გაჩენის დღიდან, ერო დღესაც ქვეყნად  
არ ჩაუვლია უიარაღოდ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## შენ. საპირთველო.

„გამინათლე მზედველობამ

სულისამ...“

დავით აღმაშენებელი — „ვალბანი“

სინანულისაო“

მოატაძრიანე, მოაციბიანე,  
მოაყანაიანე, მოაგაზხვეულე...  
ქართველს განუმაგრე ძველი ხერხემალი,  
გააერთხორცე და გააერთხხეულე.

ტანთ გადაიძვრე ჯაჭვის პერანგები,  
მთები გამოიწინენ ჯაჭვგადაცმულნი.

სული ამოიძვრე ცაში შენაღები,  
მიწაზე დაანთე ჩუმი ფეხაკრეფით.

ომში შევარდნილი ხანძარს იჩაღებდი,  
შენი ტყის ძმებით და შენი ყოვჩაღებით.

ჩამუხლების ეამსა, ეტრატს ხმლით  
ფურცლავდი,  
თვალს ღრმად ადვენებდი ფსალმუნებს  
გულადი.

ხმლითა და კალმითა უტევდი უღრანებს,  
სული უსვენარი სივრცეს შეუხამე.

შენ ათბობ უღვეველ დროთა ქვაბულებს,  
გვასწავლი უძღვეველ ბრძოლას და შრომას.  
მე ვხედავ: ტაძრებს შენგან აგებულებს,  
დაბზარულთ შენი სისხლი მოჟონავს.

მე ვხედავ: ქავ-ციხეთ გული რად უტირით,  
ან რაგვარ ეღვარებით ანთებენ თვალებს;  
შენს ლანდს, ტალღებზე მდგარს, ყოველ  
დილით

მტკვარი და რიონი

როს ჩამოატარებს.

ნუ დაგვემდურები ერთზე,  
მადლია, მადლია, მადლია;  
შენს თეთრ გვედფრზედა — თეთრ  
საძვალეთზე  
ამბორის გუნდრუკი მარადის ანთია.

## ბაზალეთის ტბა

ლეგენდად დარჩეს: ბაზალეთის ტბა...  
ქართველი კაცი  
სისხლის ტბიდან ამოიზარდა.  
უამინდობა გმირობით გვიჩაღვს,  
თავს დაგვდიოდა ომების ღვარი.  
ისტორიკოსო! ფრთხილად ჩაჰყევი ისტორიის  
გზას.

შემოქმეული არ მოგხვდეს ხმალი.  
მთებს მდინარეთა სათავე ეთქმის

ყველა მდინარე, ჩვენი მთის არის,  
და, დამატებად, ვაჟაკაცთა მკერდიც,  
იყო სათავე წითელ მდინარის.  
ჩვენი მარადი ემზღებმა იყო:  
ცალ ხელში ხმალი, ცალში გუთანა  
სივრცეს აპობდა ჩვენი ხმის ეჭო,  
ღიახ, აქვს ქართველს ხმა საკუთარი.  
ლეგენდად დარჩეს: ბაზალეთის ტბა:  
ქართველი კაცი  
სისხლის ტბიდან ამოიზარდა.

## უკვდავების საბალობელი გამგზავნება სამოქალაქო ომის წლებში

ხვალ ფილონოვოს მიაყვირებს მატარებელი...  
სწორედ იქიდან წაასვენებს მოსკოვს კიკვიძე,  
მისი სიცოცხლე — უცხო ზღაპარს სადარებელი  
აქ შეწყდა... მაგრამ როგორ დამცდეს სიტყვა სიკვდილზე —  
ამ ქვეყნად ყველა სიკვდილს როდი ჰქვია სიკვდილი.

მარწევს ვაგონი. ალბათ უკვე ჩავალ იქ დილით.  
ღია სარკმლიდან ღონიერი სუნთქვა სტეპების  
შემოდის, ძილი გამქცევია იმავე სარკმლიდან,  
თვალში მეყრება ვარსკვლავების თეთრი შესვლები  
და ფიქრი ჩემი თვალგაუწვდენ სივრცეს დაჰფრინავს.

ცხრაას ცხრამეტის ჩამესმება გრგვინვა-გნიასი,  
სამოქალაქო ომის დღეთა ვხედები მხლებელი  
და ვეწურები მეც კიკვიძის დივიზიაში...

ხვალ ფილონოვოს მიაყვირებს მატარებელი.

## ქიკვიძის ჩაიონის გამგზავნები

ჩემი გული თონა,  
შეგ აღმური ბორგავს.

სადღაც მარცხნივ დონია,  
სადღაც მარჯვნივ — ვოლგა.

უცებ მთვარე ამოვარდა  
წამწამს ახამხამებს.

ცა ვეება კალოა და  
ანიავებს ღამე  
ვარსკვლავების ხორბალს.

სადღაც მარცხნივ დონია,  
სადღაც მარჯვნივ — ვოლგა.  
სტეპი ისე სწორია,  
რომ ხელისგულს მოჰგავს.

ხელისგული?  
ხელისგული  
უფრო ოკრობოკროა,  
ზღვის მკერდივით დაცემული  
მიწაა თუ ოქროა.

თითქოს მწყერი ფართქალეებს,  
ჰქრის ნიავე ნელი,  
მტკავლის სიგრძე თავთავი  
თავდახრილი მღერის.

გამოგოგდა უცებ მდოგვის  
ყანა, ნამით ხველი,  
მთვარიანში თერად მოდის  
ვაციწვერას ველი.



და მიფრინავს თვალი ჩემი  
შორს, ღამეულ გზაზე,  
სტეპზე ჩანან სტანიცები,  
ვით გემები ზღვაზე.

აგერ ერთად მიირწევა  
შუქი ათი სოფლის.  
— ეგ ხომ დაბა კიკვიძია! —  
ხმა ჩამესმის შოფრის.

იმ შუქისკენ მივბრუნდით  
და მივჭრივართ კვლავ ქარად.

გამოიბა მტვრის კუდი  
მინდვრის გზაზე მანქანამ.

კიკვიძის რაიონის  
მამულეებზე მივდივართ,  
არც მტკვარი და რიონი,  
და არც ბონდის ხიდია:

მე კი მაინც მგონია  
ქართლში ვიღებ ხორბალს.

სადღაც მარცხნივ დონია,  
სადღაც მარჯვნივ — ვოლგა.



## ზუბრილოვასში სამთხველი

1919 წლის 12 იანვარს ამ სოფელში  
დაიღუპა დივიზიის სარდალი კიკვიძე

ხორცი და სული — რვალი და ქვიტკირი...  
დაინგრა... იმ წამსვე აშენდა თავიდან...

ის აქ დაეცა კაცური სიკვდილით  
და უკვდავებაში აქედან წავიდა.

## აგბობს ღერა საქართველო

როცა ჩემი გაზაფხული უკვდავებად იღვიძებდა,  
ბრძოლად გასულს ჩამესმოდა ზარ-ყიჟინაც კიკვიძელთა.

ვოლგისა და დონის მხრიდან გადმოჰქონდა ის ხმა ქარებს,  
დიდი დილა მისდგომოდა დარიალის ვიწრო კარებს.

შენ იმ დილის დროშის კალთას ომში მიაფრიალებდი,  
ბრძოლის ცვეცხლში ტრიალებდი და ცვეცხლივით ბრიალებდი

როცა ჩემი გმირი ხალხი ლენინის მზეს იფიცებდა,  
წრფელი ფიცი ჩამესმოდა კიკვიძის და კიკვიძელთა.

კიკვიძეო, ჩემო ძეო, სიჭაბუკე მახსოვს შენი,  
ჩემი მთების შვეარდენო, სიჩაუქე მახსოვს შენი.

მეცხრე ცას რომ ედებოდა ოცნებათა შენთა აფრა,  
ჩვეულებრივ კაცად წახველ... დამიბრუნდი უკვდავ ზღაპრად.

ჩემი სიზამქის სიზამქო

პეი,  
სიმაჰრის  
სიმაჰრო,  
შენ, წერეთელო გრიგოლო,  
შენმა მარანმა იმარნოს!  
სულ კვერცხი უნდა გვიგორო...

გვალალო კვერცხით  
წითელით  
სიძეც და სიძის სიძენიც,  
შენ არ გუგონოს ვითვრებით  
მაგ შენი ღვინის სიძველით.

შენ.  
ღვინოს როგორ დაიშლი  
ძირაგვეულის ვენახის,  
შენი ბადიშის-ბადიშის  
ვართ მწყემსები და შემნახნი.

შენ,  
წერეთელო გრიგოლო,  
გქონდეს სულ ქორწილ-ნათლობა,

რაც უნდა გამოიგონო,  
ვერ შესძლო ჩვენი დათრობა!..

სიციცხლემ  
სულ ვინ აბრუნა,  
განგებამ სულ ვინ აცხოვლა,  
სადღაა გრიგოლ ბაბუა,  
იმისი  
სული  
აცხოვნა!..

განათლდეს სული იმისი,  
ღისმა მარანმა იმარნა...  
აწ კვერცხი საღი, ყირმიში  
მიგოროს ჩემმა სიმაჰრმა...

ჩემი სიმაჰრის სიმაჰრო,  
შენ, წერეთელო გრიგოლო,  
ჩვენმა  
მარანმა  
იმარნოს,  
დაგვაქორწინოს,  
გვიგლოვოს...

ზ ყ ვ ა რ ი ლ ი

მისხისგან ნარჩევი  
ტყვარჩელობს  
ტყვარჩელი.

ტყვარჩელი  
ტყვარჩელად  
ყოფილა, დარჩება!

დიდება!  
ტყვარჩელი  
ვინც

ჯატყვარჩელა,  
ვინც შესძლო  
ავის და კეთილის გარჩევა!

პატრონად  
არასდროს კყოლიან ლაჩრები.  
და  
მისხის  
ნარჩევი  
ტყვარჩელობს ტყვარჩელი!

# მე ვარ შუმერი, მე ვარ ხალიბი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მე ვარ შუმერი,  
მე ვარ შუმერი,  
მე ვარ შუმერი,  
მე ვარ ხალიბი,  
არა, არავეს არ ვეშურები,  
არა, არა ვარ სულით ღარიბი.

მე მეძახიან ისევ ამირანს,  
გადმონიულია  
ქვეითს  
ხიხათა,  
უკვე დავამზე ყველა ამირა,  
ვინც ქველს ბოროტით გადამიხადა.

მამალმერთისგან ცვესელი ვისესხე,  
ავყვევი კიბეს ხისას, უკორძოს,  
იმ კიბით ისევ ავალ სისხამზე,  
რომ ღმერთს  
ის სესხი  
უკან  
ვუბოძო.

მე ვარ ხალიბი  
და მე ვხალიბობ  
კვლავაც ვხალიბობ  
მართლა ხალიბი,  
ვარ გაჩენილი მთლად უყალიბოდ  
და ხასიათი არ მაქვს ყალიბის.

მე ვარ შუმერი,  
მე ვარ შუმერი,  
ხალიბი ვარ და ვრჩები ხალიბად,  
არვის მივართვი აბრეშუმები  
და ვერც ვერავინ გამაღარიბა.

კმარა მტრის სისხლი რაც მომეგლისა,  
არა, არა მწამს ჯანგი სიბერის,  
მასხოვე: მიხზობდნენ ოდეს ვერისად,  
ოდეს ვიყავი  
კოლხი,  
იბერი.

ფაზისზე შევეკარ  
ტივი რა ტივი! —  
ცაცხვის მორები დავჭერ ხიხათას,  
დღესავით მასხოვეს ყველა პატივი,  
ვინ ვერ დამწიხლა,  
ვინ რა მიხათრა.

არ ვედარები არცერთ იკაროსს  
და შინც ცისკენ გავეწევ სისხამზე,  
რომ მყინვარწვერმა ჯანღი იკმაროს,  
ზეცა  
უკეთესს  
ვარსკვლავს  
ისსამდეს.

ხალიბი ვარ და  
ელირვარ ხალიბად,  
ვაზის ნაჟური ყელში წარყარობს,  
ვარ საკუთარი თავის ხალიფა,  
მტერს  
საჭურველი  
უნდა  
ავყარო!

სისხლი შუმერის,  
სისხლი ხალიბის,  
კვალად ვკოლხობ და  
კვალად ვიბერობ,  
დღეს ასე მოხდა, მაგრამ ზვალისთვის,  
ჩანს, ერთი ათად უნდა ვიბერო!

## სოფლის გზა

ფრთებს ახარბებენ ჩიტები ჩიტებს,  
ვსვამთ ზიარ ჭიქით, — რა უნდა

გვჭირდეს...

ჩემო სოფელო, ჩემო სიცოცხლე,  
ისევ და ისევ ძველ ბილიკს მივსდევ.

ცრემლი ცრემლსა ჰგავს, სიცილი—სიცილს,  
იწვის შუკვებში ნემო და ფიჩხი

და სიზმარივით გოგო და ბიჭი —  
მიხტიან გვარზე კვიცი და კვიცი.

გამართულ კვალში ღიღინებს მესრე,  
უყრება მიწა მის შიშველ ფეხებს,  
ისევ მიყვარხარ, როგორც მიყვარდი, —  
ეძახის გული გზად ყოველ შემხვედრს.

• • •

ისევ გეძებ და გეძახი,  
ისევ ლამაზი დღეაო.

შენზე ძვირფასი ამ ქვეყნად  
ან ვის რა დაკარგვიაო.

გამოწიდი, გამოანათე, —  
ყველაფერს შენი ჰქვიაო,

ჩემო ქორბუდა ირემო,  
ჩემო ლურჯთვალა იაო.

## ბორის მატრეველი

## უბლის ღამე

ძელურ სახლს იპყრობს ძილის ბურანი,  
ფიჭრი მიილტვის ბნელში წვალეებით;  
ზევიდად მოდის ღამე ურალის,  
უცხო ეშხით და იდუმალეებით.

და უჩვეულოდ მე გულს მიხარებს  
ეს მყუდროება სოფლის რუსულის;  
საამოდ თბილა ოთახში. გარეთ  
ღამე ტრამალზე წვეს გალუსული.

ამოდის მთვარე. ვით ოქროს მძივი  
ჭიატობს ნისლში და წყვდიადს ბზარავს,

ცეცმა მისი სინათლე ცივი  
ფანჯრების გასწვრივ გასროლილ შარას.

უცებ შარიდან გაყინულ მიწას  
ქარი ყრუ ძახილს შლეგივით ახლის  
და შემოაგდებს ოთახში ყინვა  
მთვარის დახატულ ცხენიან მარხილს.

და უჩვეულოდ მე გულს მიხარებს  
ეს მყუდროება სოფლის რუსულის;  
საამოდ თბილა ოთახში. გარეთ  
ღამე ტრამალზე წვეს გალუსული.

## წინ. ისტორიაჲ

გაშლილ ეტრატზე საუკუნის აზრებს, უმძიმესს,  
 ჩამქრალ გრიგალთა წყებად მალავს ქორონიკონი.  
 ფუსფუსებს ბერი, წამწამებთან მზე უციმციმებს  
 და ბილიკივით დაკლაკნილი გააყავს სტრიქონი.  
 ფუსფუსებს ბერი, ეჭიდება აზრების მარჭვალს  
 და იბადება მატინე დროის საშოდან.

გაშლილ ეტრატზე სული მისი ჩრდილივით დარჩა,  
 მიწას შეერწყა, რაც სულს განშორდა...

წინ ისტორიაჲ,

ქროლვა შენი იყოს დღევრძელი,

დასრულდა ჯამი მარტვილობის, აწ და მარადის.

მე როგორც ბერი, ახალ ეტრატს დავწერ ლექსებით,

შორს ხმლის ეღარუნი, ჯაჭვ-თორანი და მუზარადი.

შენს ლაქვარდებში, შენს ტალღებში ელვად ვიქროლებ,

მზის სხივით დავწერ ახალ დროთა ქორონიკონებს.

ხნულში ჩამდგარის გუთნისდედის ღიმილს აკვინძავ,

და ზედაც მირონს, მცირეოდენს, მოფენ აკენიდან,

მერმე ოცნებას ვესესხები სატრფოს, უკუთვნელს,

და დღეებს ჩემსას ნაწნავებით მოვაჩუქურთმებ.

ღამეს მთვარიანს შემაყვარებს შორი ურმული

და გათენებას, — დილის ცვარი, მზემოსირმული.

შენს ლაქვარდებში, შენს ტალღებში ელვად ვიქროლებ,

მზის ბილიკებად დავამწკრივებ შენს წინ სტრიქონებს.

წინ ისტორიაჲ, ქროლვა შენი იყოს დღევრძელი,

გასრულდა ჯამი მარტვილობის, რითაც გვზარავდი.

აჰა, სიმღერა, დამილოცე რაიც შევძელი,

ვით ახალ დროთა ჯაჭვ-თორანი და მუზარადი.

## სიზჷვა ნარსუღჷ

როგორ არა ვთქვა,

რაც ამ გულზე ტანგად მკიდიია,

გაეფეილ ძვალ-რბილს რაც მომირჩენს,

როგორ არა ვთქვა?!

რაც იყო, იყო, და რაც იყო, ისე დიდიია,

ჩემთვის მარაბდას აიწონის, ძმაო, მარაბდას.

და ჰა, შევძელი დავიწყება, საცაა თითქოს,



იარად შერჩა სხეულს ჩემსას, როგორ არა ვთქვა,  
 აბოლდა შიში და რაც მტკიცია ის პასუხს ითხოვს,  
 სანამდის გაძლო ბნელმა მაინც და მუხანათმა.  
 ალაპს ავედრებს, ვისაც რწმენა დაჰყვა მშობლისა,  
 ჯვარს აცვეს, თუმცა არ იყო ჭრისტე.  
 შავშეთს ნალები აჭედვინებს ნამდვილ ოპიზარს,  
 მერმე ყოჩივით ოქროში მისცეს.  
 და რწმენას მათას ნუსხა ერქვა, ყურანი ერქვა,  
 ზომავდნენ, ჩხრეკდნენ, იწონებდნენ ჭოროხს არაგვთან.  
 ბრუნავდა ცოდვა, მალოცებდა მზის ნაცვლად დელგმას,  
 არრა გვექონია საერთო რამ, როგორ არა ვთქვა.  
 როგორ არა ვთქვა,  
 რაც ამ გულზე ჭანგად მკიდია,  
 გაჟეჟილ ძვალ-რბილს რაც მიმრთელებს, როგორ არა ვთქვა...

## ობაღისკი შავი ზღვის პირად

აქ აღიმართა... მინარეთი დიდი ხნის წინათ,  
 ცალთვალა მოლამ ალაპს ძღვენი სწირა და სწირა.  
 ფაშვი გაიძლო და მშვილდივით მოზიდა წარბი,  
 ისროლა თვალი ერთად-ერთი და ისიც ხარბი.  
 და, იცით, მზერა მსუნაგისა ძირს სად დაეცა?—  
 აჭარა რაა, მთლად საქართო სურდა გარეწარს...  
 აქ აღიმართა ვედრებად და ლოცვად ერისთვის  
 უფრო მაღალი, უფრო მტკიცე ეს ობელისკი.  
 ვითარცა ხმალი კახაბერის, რკინის მკვეთელი,  
 რომ ჩვენ მამულში მტერთან ერთად ვერ დავეტევით!  
 სიხარბე იგი, ცალი თვალის, აქ დასამარდა  
 და მინარეთიც ყვავს ებოძა ცოდვის სავარძლად.  
 აქ აღიმართა ობელისკი, — ძალა ჭართველის,  
 ვით ხერხემალი მტრისა შუად გადანამტვრევი.

## მ ო ქ ს ე ე ა

სიკვდილის წინ ბაბუაჩემს  
 ყურანი დაუწვავს თურმე...

ალაპ,  
 ილ ალაპ,  
 კეთილ იყოს შეხვედრა ჩვენი,  
 მოვედ, გაუწყო რამ სამწუხარო.



მე მჭვია ემინ, შენ კი...  
 ვიცი, შენ ხარ „გამჩენი“,  
 „დიდ არს სახელი, ვისიც, უფალო“...  
 როგორც იაკობ, აღზევების ქამთან პირისპირ,  
 მკლავებორკილამდე, როგორც ღვთის წინ ამირან იდგა —  
 მოვედ, გაუწყო ვით დესპანმა, არცა მწიგნობის ხმით,  
 რომ მორჩა, მორჩა ამიერიტგან!  
 ჩვენ გავიყარნეთ,  
 არლა გვექნეს აწ რამ ზიარი,  
 არცა მოხარკედ მახსენებდე აწ და მარადის.  
 შეგენდოს ცოდვა, ო, რამეთუ შხამს მაზიარე  
 და საკუთარი რწმენაც წამართვი.  
 მაგრამ, გასრულდა,  
 როდი დაგრჩით ღვთის შემყურენი,  
 ჭეშმარიტების მე ვარ დესპანი.  
 მომირთმევია. აჰა, მიიღე შენი ყურანი  
 და მიითვალე მარჭვალ-მარჭვალ შენი თესპანი.  
 არლა დამარცვლავს ჯიში ჩემი სხვის დასამარცვლავს,  
 არლა აიღებს ჭოროხისწყლით ჯილაგი აბდესს!<sup>1</sup>  
 განმარიდებდე, ჰყავს პატრონი შენს ცრუ სამართალს,  
 ალაჰიც, ქრისტეც მე უკუვადგე!  
 დამხობილია ყველა ჯამე, ყველა მეჩეთი,  
 არლა ეხვევა სული ჩემი ცოდვის მინარეთს.  
 აჰა, ყურანი, გაყრის ჩვენის ნაღდი ბეჭედი,  
 წყველიმც იყოს, უმისობას ვინც შეინანებს!

<sup>1</sup> აბდესი — განწმენდის რიტუალი, ლოცვის წინ.

## ლია ასათიანი

მე ვერ ავიტან მწითურ ლექსებს,  
 გაჭლენთილს ღვინით.  
 და საჭართველოს,  
 მენადიმის თვალით დანახულს.  
 კრძალვით ვიხსენებ  
 და თაყვანს ვცემ  
 ყოველთვის იმათ,  
 ვინც ჯანსაღ ხელით

■ ■ ■  
 არტურ ლახტის ბსონას

შემოაღო ქალაქის კარი.  
 ვისაც ფრესკების ჩუმი კრთომა  
 რაღაცას ვტყვის,  
 ვისაც სამარხის დანახვაზე  
 ძალუძს ანთება,  
 ვისაც მყინვარი  
 უფრო ათბობს,  
 ვიდრე ანდები,



ბარში შოთა და  
 ზთაში ვაჟა მოელანდება.  
 მე სიხარულით ვხედვები სტუმარს,  
 კარებს რომ აღებს,  
 თან მოაქვს სითბო  
 ნეგობრისა

და აზრით სწვდება  
 იმ ძველთა ძახილს,  
 საუკუნეთ მიღმა რომ სდუმან,  
 იმ ძველსაც ხედავს  
 დღეს რომ მაღლა მიემართება.

## უკომპარომისოდ

როგორ დამლელვად, როგორ დამლელვად,  
 ელავენ დილით ლამპიონები.  
 და ელანდება მთელემარე თბილისს  
 გაფითრებული იასამანი.  
 მომწვანება, ბნელში შენიღბულს,  
 გამწირი განზრახ შეიხსნის ლილეებს.  
 და შემოდგომის გადაშენებას  
 მაცნობებს თოვლის ფარფატა ფთილა.

წამოვა ფიფქი, ფრთხილი და ჩუმი,  
 დაფარავს ფერებს მსუბუქი ფრთებით,  
 და შვაშფოთებს შიშინით შეშა  
 ღუმელის დუმილს სამარისებურს.  
 მე ვერიდები მას, რაც არ ვიცი,  
 ის კი მიტყუებს კვლავ საუბარით....  
 და ფართო ქუჩით გაურბის ქალაქს,  
 გარინდებული გარეუბანი.

## ბოგენი

მე ფეხშიშველი გავეყვები ნაპირს  
 და ტერფებს დამწვავს მხურვალე ქვები.  
 როგორც ლიმონის თხელი ნაჭრები  
 იტივტივებენ მგდუზები

და შორი გზიდან მომავალ გემებს,  
 თეთრად რომ სჩანან პორიზონტზე,  
 როკვით, ყიჟინით მივეგებები.

**მურმან ხურცილავა**

## ისეთი ბიჭები ყოფილან...

შინმოუსვლელ ბიჭებს — ხიფუნ  
 ხურცილავას, ხეტა მიჭავას, შოთა შიჭავას.

ხარს წამოაჩოქებდნენ თურმე,  
 ისეთი ბიჭები ყოფილან;

შთვარის დაირაზე უკრავდნენ თურმე,  
 ისეთი ბიჭები ყოფილან;





მათი ბეჭეები მიწაზე გაკრული  
არავის უნახავს თურმე,  
ისეთი ბიჭები ყოფილან;

აღიონამდე წყრთიან ყანწებს  
ატრიალებდნენ თურმე,  
ისეთი ბიჭები ყოფილან;

სოფლის ვარსკვლავა გოგოები  
შორით იწვოდნენ თურმე,  
ისეთი ბიჭები ყოფილან;

მათ ტყვია როგორ გაეკარაო,  
უკვირდათ თურმე,  
ისეთი ბიჭები ყოფილან;

ღიმილი მათი  
აგერ დღესაც აკლია სოფელს,  
ისეთი ბიჭები ყოფილან...

## თ რ ვ ღ ი

სიმონ ჩიქოვანს

ჩამოდის თოვლი — სითეთრე ყოვლის,  
სიმშვიდე სულის,  
მომგვრელი თრთოლვის,  
მიდიხარ შენთვის, მიდიხარ მარტო...  
ო, როგორ გინდა გესროლონ თოვლი.

ო, როგორ გინდა გესროლონ გუნდა,  
ქალიშვილების ტკაცანი გესმის,  
შენთან თამაში არავის უნდა,  
შენ უკვე გუნდას არავინ გესვრის.

თოვლი მარტოდენ ჭაბუკებს შვენივს  
(ვინ მოიგონა ამგვარი წესი),

გაჭარალავდი, რიდი აქვთ შენი  
და თოვლს ამიტომ არავინ გესვრის...

ჩამოდის თოვლი — სითეთრე ყოვლის,  
სიმშვიდე სულის,  
მომგვრელი თრთოლვის,  
აგავს აბრეშუმის უნახეს ქსოვილს  
ვგ სიფრიფანა ფარდები თოვლის.

მიდიხარ როგორც ღამენათვეი,  
და თუ გესროლეს თოვლი გუნდებად,  
გკონია ჯეცებ გაიმართები  
და სიყმაწვილევც დაგიბრუნდება.

გ მ რ ი მ რ ა...

ათასწლეულთ ბურანში,  
ათასწლეულთ უღრანში,  
ტვერში ჯერეთ უვალში —  
თხის ტყავით შემოსილი,  
ჯოგითა და ნახირით,  
ვაზით, ხორბლით, ანბანით,  
ვეფხის ტყავით — უმტკიცეს  
ფართითა და მახვილით  
მოდიოდა იბერი,  
მკვლევ სისხლი სდიოდა,  
ურიცხვი მტრის — მომხედურის  
ნაისრალი სტკიოდა.  
უკვდავების წყაროთა  
პატრონს —

წყალი სწყუროდა,  
ხორბლის მთესველ მეომარს  
უფრო ხშირად შიოდა.

ცეცხლი ერტყა ყოველმხრივ,  
ცეცხლში მდგარსაც სციოდა,  
მდულარე კუპრს ასხამდნენ,  
იმის ხორცი შხიოდა.  
ათასი მტრის ისარი  
ათასი ხმით წიოდა,  
ათასწლოვან ღამეში  
ბუ საზარლად კიოდა.  
მაინც იდგა ამაყად,  
ჩაინც არას სჩიოდა,  
ოცნებისას თვალთაგან  
ლურჯი ცრემლი სცვიოდა.  
გაზაფხულზე ყოველთვის  
სიხარულით სტიროდა.  
იმის გულში მოყვასის  
ბეჭდზე ზრუნვა ჰღვიოდა.  
სახეს მარად ღვთიური  
შუქი გადასდიოდა.

გ ა ი ს ი

დილის საარით, დაფდაფთ ბრახუნით,  
ცისკრის ტახტრეწვით,  
ველზე კრწანისის, —  
თავის ამალით, თავის მსახურით,  
ოღნავ შემთვრალი მოდის მაისი.  
მქუხარე შუქთა ფერადი ტალღა  
დღეს მხოლოდ მისი ნებით არსებობს;  
ყაყაჩოების ბრიალა ალყა  
უეცრად შეჰკრა თბილისს გარშემო.  
უცხო რაინდი მოდის კრწანისზე  
ახანძრებული ვარდების ქარში,  
მზეს მან უბრძანა და მზეც  
ქარისებრ

ველზე მოფრინავს წითელი რაშით.  
რა გადარევით და მხურვალეებით  
აავსო დილა — ქალის სხეული,

ალაგზნო ჩიტის ლურჯი თვალეები  
ლაგვარდს ორივ ფრთით შემოხვეული.  
და მხოლოდ ერთი — სხვაზე უხნესი,  
ეს ნარიყალა მუდამ ამაყი,  
დამსგავსებია გადამხმარ მუხას  
და მორგვია საწყალს ბალახი,  
და, თუკი მხარზე ემთხვევა სხივი  
ცინხეს ჰგონია მეფის ასული.  
მე კი გიჟივით რაღაცას ვყვირი,  
მეწამულ ფერით თავებრუდასმული.  
და ვგრძნობ — ვარდისფერ წამწამთ  
ფახულით

მოსული დილა სისხლში მინთია...  
მე ახლა ვიცი ეს გაზაფხული  
სხვა გაზაფხულთა მჯობი რითია.

## პალესტინის ქართული მიწა

ირაკლი აბაშიძეს

წინაპრის კვალი...  
 არ ჩანს არავინ!  
 მოწყენილ ჩრდილებს რა უნდა ეთქვათ.  
 იქ, სული —  
 თბილი მზის აგარაკი  
 შუადღის თვალით იწეის და ფეთქავს.  
 პალესტინურ ცის უცხო წიაღში  
 სხვივს ანათებდა დილის რუსთველი:  
 ხარობდა სიტყვა ხატის წინაშე  
 სხვისთვის უცნობი,  
 სხვისთვის უთქმელი.  
 ...დაუწყვეტია ნუგატს არტახები,  
 ჩამკვდარი ბული უდაბნოს ბელაგს,  
 ჯამს ჩაუვლია მწარე ქარდები  
 საყდარისათვის,  
 სივრცეებს ზვერავს.  
 მოუღრეცია გრიგალს კისერი,  
 ამოხანძვრია მონასტერს ხაზა...  
 წამოვა მიწა,  
 წინაპრისფერი,  
 ადრეგამომქრალ სინათლეს ნახავს...  
 აგერ,  
 კედელზე.

გამოჩნდა,  
 მგონი,  
 გზა გაუნათეთ,  
 ჩქარა სანთლები!  
 სულისხმა —  
 მშრალი უდაბნოს ღოში  
 გებჯინებოდა მძიმე თათებით.  
 გამოვიშვირა მხურვალე პეშვი,  
 აქ,  
 გული ისე უცემდა საყდარს —  
 გადაგავიწყდა წყურვილი შენი,  
 ხსნას მოულოდი მონასტრის კართან.  
 ასე რამ მოსპო  
 ეს ეკლესია,  
 ეს მტვერი ასე რამ გაახარა...  
 ერთო წყვდიადში —  
 თეთრი მესია —  
 შოთა რუსთველი ღვთისანაბარა!  
 დუმდა გუმბათი —  
 ჯვარი ჯვარცმული —  
 ჩამქრალი ძუძუ ამორძალეების.  
 პალესტინიდან მიწა ქართული  
 მოგავილებდა ცხელი თვალბით.

## ღ ე რ ი ს ა რ გ ი

ო,  
 რა თბილია, დედავ, ეგ ხელი,  
 როცა ახლოა სამშობლოს გულთან,  
 ადამიანის აღზრდაა ძნელი,  
 გზიდან აცდენას სულ ცოტა უნდა.  
 ადრე გწვევია შემოღამება —  
 თმაში ჭაღარის ცივი ფესვია...  
 უნს სიმაღლეში ერთო სამება:

უძილო ღამე,  
 ცა,  
 ეკლესია.  
 რა მცირე ყოფნის სიცოცხლეს კაცის —  
 გერქვას ღვთაება!  
 გერქვას მესია!  
 სამშობლო აკვნის მიწას თუ გასკდი,  
 ყველა სიკვდილზე უარესია.

# ს ა რ ჯ ი ს მ ა

## საენკი ნოველი

თეთრხალა ხარჭივმა ერთი კვირის წინ გადაიხადა უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ფურების ჯოგი დაისაყურა. ოთხი წელიწადი იბრძოდა თეთრხალა პირველობისათვის და წლევედღამდე ფურების აღერს ვერ ეღიბა. შაკარი და შეუვალი კანონი აქვს ცატეხია მწვერვალებს, მარადიულ მყინვარებს და მზის საბრძანებელს. ან პირველობა, ან დაღუბა. მყვირალობის შემდეგ მეორე ხარჭივია არ არსებობს. ყველა დანარჩენი ან უფსკრულშია ჩაჩხილი და ობებების ვაუშაძარ გულს ახარებს ან ცოცხალმკვდარი კლდის ქიშხა შერჩენილი, უფრო მხდალები ცალ-ცალად დაეხეტებიან დევნილნი და ქარისაგან მოტანილი ფურების სუნით დარტყიანებულნი.

თეთრხალას ჩქების ქახანი ოთხი შემოდგომა ისმოდა მწვერვალებში და გულგრილი კლდეები და უწყსკრულები ოთხ მყვირალობისას იამენდნენ და იმეორებდნენ მის თავგანწირულ ხმურს — სიცოცხლისათვის, სიყვარულისა და შემყვიდრებობისათვის. ოთხი წელიწადი ეკიდა თეთრხალას სიცოცხლე ბუნებზე, რომ არწივების საბუდარში მისი ნაშაყარი გამრავლებულიყო.

ერთი კვირაც არაა თეთრხალა ამაყად დაბიჭვებს თვალისმომკრეღ სიშეთრისა და მზის საბრძანებელში და მბრძანებლობს. ბუნების აღერსით გარემოებელი ხარჭივი თავაწიული ღვას ყველაზე მაღალ ქიშხე, თვალს უსწორებს შუეს, მეტე დასცქერის ზევიდან და ირჩევს თავისი ჟივის გადასარჩენად ფურს. თეთრხალამ ოთხი წლის სამართლიანი და თავდაუზოგვენი ომით მოიპოვა უფლება, რომ ამ ფეხდაუდგმულ მწვერვალებს დაუტოვოს შთამომავლობა.

მთელი თერთმეტი თვე დადიოდა ხარჭივების ჯოგი ერთად. ერთად ჰყოფდნენ, ერთ მთავრე მყარის წყალს სვამდნენ, ერთმანეთს დაჩაფიბ-

დნენ და იცავდნენ მტრის თვალისაგან, ერთმანეთს უყოფდნენ შერბობის მიერ მაღალ კლდეებში გადაშალულ თივას, ერთად ეჩინათ და ერთმანეთის სითბოთი თბებოდნენ. მყვირალობის ქარი მოიტანდა ტენის ამმღერე ფურების სუნს და აფორიაქებდოდნენ ხარჭივები, ქამის მაღაც ეყარგებოდნენ და ერთმანეთის სიყვარულიც, სანუცარი მთავრე წყლის წყურვილიც კი ქრებოდა, რომლისთვისაც ყოველდღე თავს სასწორზე ღებდნენ და ჩნდებოდა დაუწყრული მთელი წყურვილი ფურისა.

აბლაკლებოდა მდებრი და უხმობდა მამის შთამომავლობისათვის. ბლაოდა ფური სიყვარულისა და ტვიცილისათვის, შიშისა და წვადებისათვის. წებდა და წრიალებდა დედის სხეულში ფოთრი გაჩენისათვის, რომ შობილიყო ტანკეთი და ეხილა ქერ უხილავე ბრდელია მნათობი.

წრიალებდა მამის სისხლში ჩაბუდებულ ფოთრი შექმნისათვის. იგი თერთმეტი თვე იყო მიძინებულ, თერთმეტი თვე თვლემდა და უცდიდა ზაფხულის მიწურვას, რომ შემოდგომაზე ერთბაშად აფორიაქებულიყო, ავმღერია სისხლს, დაებერა ძარღვები, აფირდნილიყო ტენში და მოეთხოვა გაჩენა და სიცოცხლე.

იწოდდა ხარჭივების ჯოგი და იწყებოდა სულსმეშვეველი წყურვილი მდებრისა, სადაც ასე დაუოკებლად მიისწრაფვოდა ფოთრი გადასასახლებლად.

მაგრამ ყველა ფოთრი არ იყო გაჩენის ღირსი. როცა ის შუეს იბილაედა, თუ ვერ ივიდოდა იქ, სადაც მგლის მუხლი ვერ ააღწევდა, თუ ის კლდიდან კლდეზე ვერ გადახტებოდა როცა მდებარი გამოუდგებოდა, თუ იმ სიმაღლეზე ვერ დაღებოდა, სადაც მონადირის შორს მსროლელი თოფის ტყვია ვერ მისწვდებოდა, ან არც უნდა გაჩენილიყო, ის ვერ გადაარჩენი-

ჯიშს და დაღუპვება შთაშობებლობას. არ უნდა გაჩენილიყო, რაკი ის დიპერდა ადგილს დედის საშობი იმ ფოთრისას, რომელიც მგლის მუხლს მოღლიდა, ვადაფრინდებოდა იმოდენა ნაბრალზე, რომ შდევარს ხაპაშპრალს დატოვებდა და იმ მწვერვალის ქიმზე აღმართული შეხუდებოდა მზის ამობარწყინებას, სადაც მონადირე ტყეის ვერ მიაწვდენდა.

ყველა მამრის სისხლში აყანყებული ფოთრი მოითხოვდა ვაჩენას და მამას ძილსა და მოსვენებას ართმევდა. ყველა ფერის სხეული მოითხოვდა სამემკვიდრეო ფოთრის ჩასახვას და გულსაკლავად აპეტულებდა მდღვრს.

თეთრხალა ვაზაფხულზე — მზის განახლებისას დანიშნა და როცა დაინახა ხასხასა ლურჯ ცაზე ანთებული ცეცხლის წითელი ბურთი, რომელიც ჭათათა თეთრ მწვერვლებს ოქროს აურიოდა და დედის ცრემლიან თვლებში აღმასებნს ანთებდა, ბედნიერებისაგან აღტყინებულმა ახალშობილმა შეიყურებრტემა, მოკლე კედლი გააქციონა და ზაიაკონა, რითაც მადლობა უთხრა მამას შექმნისათვის, დედას შობისათვის, მთას ვერცხლისათვის და მზეს — თავზე ბღუჩა-ბღუჯა რომ აყრიდა ცხელ ოქროს. შეიყურებრტემა თუ არა, მაშინვე დაუტოვა ლორწოვანი თოთო ჩლიქები, წინა ფეხები განზე გაქცეა და მიწას სისწირით დანარკა. მუხლის გამართვად ვერ მისაწრო, რომ ფოთრებადევნებულ ფერების ჯოჯს ორბები დაეცა 'და ეს უსუსური პაწაწინა ჩიხვი ვაჩენისთანავე კინალამ უფსკრულში გააქანეს. სამ დღეს არ გაუვლია, ფრანელთა მგებნე მოითხოვა თავისი მეფერო წილი და თეთრხალა ისევ ბუნწზე ვადარჩა, რომ ზეარავად არ შესწიროდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, მერე დიდხანს შურათების გადაფრინსაც კი ეშინოდა ქვეყნად ახლადმოვლენილ ფოთრს, როცა შურთში ზარს დარეკავდა და ჯოჯი კისრისტებით ვარბოდა, რომ მიწა ვაეთხარა და თავისაფარო ეპოვა, უბედურ ახალშობილს ეკონა, დედის, მთისა და მზის მებრ მოყვარე არა ჰავდა.

მტერი და მოყვარე ხშირად ერთმანეთს ტუტუბეზივით მგავს და ახალშობილს კი არა, წლობით დამძიმებულ ხანდაზმულსაც უტირს მისი ვარჩევა.

შურთში რამე ნიშნის აძლევდა, ხიფათი ვაჩხლოვდებოდა და თავა უმჯველეთო, ამას მაშინ მიხედა. როცა ნუგბარ მარილიან წყაროზე ჩაიყვანა ჯოჯმა და დედამ შეიღს წყლის სატყეში თავისი თავი დაანახა, ისევ შეიყურებრტემა და ისევ გააქციონა პაწაწინა კედლი ფოთრმა, ისევ ზაიაკონა, რომ მადლობა ეთქვა შემოქმედისათვის, რომ ასეთ მშვენიერ ჩიხვად შექმნა და ჭიადლუად, ხელიკად ან ჯოჯოდ არ ინება მისი ვაჩენა. აი, მაშინ იყო, რომ დარეკა შურთში ზარი და ჩიხვები კლდეს თავქუდმოგლეჯილი შეესივნენ, მაგრამ როცა იტუბა ზედბზედ კლდდან ლოდებოვით ჩაყვიდნენ ფერები.

ვინც ამ ჯოჯობეთურ გასროლას ვადაურხა, ცხრა მთა ვადარბინეს და თავი როცა სამშვიდობოს დაიგულეს, ეგონებოდა მშინწე-ტყარა-ვინ მოგვწევდებო და გულს სხაგულს მძაპრუნეს, აპეტელდნენ ოზლად დარჩენილი ფოთრებში დედა რომ ვერსად იპოვეს. ხან ერთ ფერს მიაწყდნენ, ხან მეორეს, დაბინდებამდე გულსაკლავად კიანებდნენ და მთასა და ცას შესთხოვდნენ დედა დაგვიბრუნე, რაკი ვაგვიჩინე, კიდეც დაგვარჩინეო.

საკოდავები, ღამით ფოთრებში შევრაცნენ და ოზლის ვანკიხვა მოითხოვეს, მოწყალემა გაიღვთ, ცოტა რამე ვეიწილადეთო...

თეთრხალას დედა ვადარჩა. ფოთრმა სიხარულით კი არ შეიყურებრტემა, მებრე — სამადლობელი შეპეტელა უზუნაესს, მაგრამ მაშინვე სავსე ცერში მონაწილე გაუჩნდა.

როცა შენი მოკეთე ან მოყვანა იღუბება, ნე ვაიხარებ ზემო ჯერი ჯერი არ დამდგარაო. იმ ავადმოსაგონარ დღეს თეთრხალას დედა სანაჩეკოდ მაინც მოუკლეს.

დღეებს მაინც მისდევდა დღეები, ფათერაკს ფათერაკი, ვაზაფხულს ცხელი ზაფხული მოყვია, ზაფხულს შემოდგომა.

თეთრხალას გამოუცნობი, იუხსნელი სევა დარწმუნა. იგი თავს ევლად და მარტობულად ვარწმუნდა, შეურაცხყოფილადაც კი, იგი ამ ფერების ჯოჯში დაიბდა და წამოიზარდა და მაინც ეგონა, რომ სხვაგან უნდა ეცხოვრა, ათოქოს სხვა ჯოჯს მიაღწენ ძალისხალათი, თავისას, ნამდვილს მისწყვიტეს. რაც დრო ვადიდოდა, ეთრად უფრო ახლობელი უხმობდა და ეძახდა. თეთრხალა ვანაბირდა, დედასაც კი გაუფრბოდა და თითქოს უფრო თავისიანთან მიუწედა გულო.

ბოლოს, ვერ აეხსნა, მაგრამ სჯეროდა, რომ ის უკვე სხვაგან იყო. და ერთ დღეს, როცა მწვერვალეში ხარკიხვათა ჯოჯის რქათა ტყვი ვამოიღანება, თეთრხალამ იზერა ფეხი და ისე მოუტრცლა თითქოს დიდი ხნის შემდეგ „შან“ მიეჭრებოდა.

დედის ხმა მოესმა.

თეთრხალა ერთი შედგა და მოიხედა ეს ხმა აბე ვაწყერომა იყო, აბე დატუქვა, ფან დამბრტენდიო. ეს ძახილი უფრო ვარდაუვალისნაძე გელისტკივილი იყო, თუ ვუხს დლოცევა.

უვლავდ მალა შემომდგარმა ხარების შუაწინავემ გამჟოლად დაუსტივნა, მაგრამ ჯოჯი კი ახსად გაქცულა, ყველამ თავი აიღო, მიხებდმოიხედეს; და როცა მათევენ ვამაღვბით მოხეჯალი შენიშნეს, შხერა მიაპყრეს და ვაიჩინდნენ. ფოთრმა რქებით დამძიმებული ხარების წინ დადგა.

არაფინ დამრულა, თავი მიაბრუნეს და კვარცხლბეკზე აღმართულ, გაქავებულ მწწინავს ახედეს. მუწინავეს ჯერი ცხვირის წესტრები ვაუფართოვდა, შხერა ნება-ნება მოატარა მწვერვალეებზე და როდის-როდის ინება ნამობრჩინე-

ბა. თეთრხალა ამირებდა თვითონ მისულიყო და შემოდარებოდა ნება მიეცა — აქ, ამ თეთრი მთებივით გულგრილ და კლდის ქიმებივით რქა-ღატოტად, უკარგბა, ამაყი ხარების ნაკვალევითააონ ედევნა. შეტბუნებულმა ფეხი ვერ მკიცვალა. ახლა მას წინამძღოლის შეფერი სურვილი და სიბრძნე განაგებდა.

მეწინავე რომ მოახლოვდა, თეთრხალამ უკან დახევა და გაქცევა დაამირა, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა ასე იოლი. ბოლოს კი თვალი მოახლოებულის შეზღს მიაშტერა და კინაღამ იბღა-ვლა, როცა წინამძღოლის თვალებს ზემოთ, ღია რუხ, ოღნავ მეწამული ზოლების შუა, ფოთრის ნაკვალევის ტოლა წაბლისფერა მოათეთრო ნიშანი დაინახა. ფოთრის სულ დაეფიწყდა ვის წინ იდგა და ყველა ჩიხი მოათვალეობა. არავის არ ქქონდა ეს ნიშანი, არავის, ვარდა თვით თეთრ-ხალასი. იგი ამაზე ნატყარასაც ვერ გაბედავდა და ახლა ერთი შეხტომა და შებღაულება ქვეყანას ერჩია. როგორ უნდოდა სამადლობელი, სამადლობელი ეთქვა ყველაფრისა და ყველა-სათვის, რასაც, და ვისაც ეს შეეძლო მოეხდინა.

მეწინავემ ჭერ ფოთრის თვალშმა შეხედა, მერე ოღნავ ზემოთ შეტბულე დაიხერდა, მაგრამ ეს მხოლოდ თეთრხალამ შენიშნა. მერე ერთი ნაბიჯით კიდევ წამოაწია, ჰაერი მოყნოსა. ნაც-ნობი სუნე იგრძნო, რომელიც ჩვეულებრივ ჩიხვის სუნისაგან არც კი განიზრევა. მერე ორი-ვე უფრო წინ წამოსწია და ფოთრის საოცრად აქრქობდა გული. კარგა ხანს უვლო უფრო, რომ თეთრხალას სისხლის ჩხრიალში თავისი სისხლის ხმა გაეგონა, რომელიც საერთოდ, ჩიხვის სისხლისაგან არაფრით განსხვავებდა. ბო-ლოს ფოთრის ცერა თათავით საააცილოდ ამო-ფშვიკო რქებს დახედა. უკან დაიხია და გამო-ქვანა. ფოთრის გული კინაღამ ვახუცდა, მაგრამ მოახლოებულმა მეწინავემ ფეხი დაასო და ფოთრის თავისი ეშველებელა რქები და-ქრა, თეთრხალა დახარბაცდა, მაგრამ, რომ ვეო-ნა ტენიმა ამოახსო, როგორღაც მოხდა, რომ ისე ფეხზე იდგა დ თვალის სინთავლი დაბო-რუნდა, მაგრამ სმენა დაუტბო ანდენი ხარის რქათა ქახანმა, თითქოს მთები მთებს ასდებო-და და ხეებები გრიალებდნენ.

თეთრხალა იმ დღიდან ფოთრი აღარ იყო. თეთრხალას ბედნიერება დიდხანს არ ვაგრძე-ლებულა, იმავე ზამთარს, დიდთოვლობისას წი-ნამძღოლი რამდენიმე სხვა ხარჩიხვთან ერთად ზევაემ დაიტანა და თეთრხალაც კინაღამ გააყვა, ისე დაზაფრა მისმა დაღებუემ. იქიდან წასულა-საც კი არ ამირებდა, მაგრამ დარჩენილებმა შუაში ჩაიყენეს, იქაურობას მოაცილეს.

მერე, როცა ცრემლისა, შინშილისა და სი-ცივის შემდეგ ისე გაზაფხულდა და ცხოველ-მყოფელმა ზემე მრახანე ზეაეები ციხფერ ნა-კადულეზად აქცია, თეთრხალამ იმ უღსკრულში ჩაბერგილი წვეილ-წყვილი რქები იპოვა და, რა

თქმა უნდა, მამანევე იცნო ის, რაც მისა წინა-რისაგან დარჩა. მერეც არ დაეწყებია ეს აღ-ვლილი და ის დატოტეილი ამაყი ხარჩიხვის რქე-ბი — მაშის ფარი და ხმალი.

თეთრხალას განიხიდან მეორე შემოდგომ-ზე თეთრხალამ სისხლში განენისათვის ფოთრი და ფურებისაკენ დაადგა გზას, რომელნიც ასე ახლოს იყვნენ და თვალეში წყალამდგარნი უტყეროდნენ, ზურგზე რქებგადაწყობილი, წინ წამოშვერილი ტუნით ეძახდნენ, მაგრამ არც ისე ახლოს აღმოჩნდა ფურების ჭოგი, როგორც ეგონა. თეთრხალას მაშინ სწორედ ის ზაჩიხ-ვი გადაუდგა, რომელიც მთელ ზამთარს უყოფ-და კლდეში გადამალულ შურთხების ნაბღარ თივას და მგავე წყალზე გზას უთმობდა, რომ ახალგაზრდა ჩიხვს წყურვილი მოეცა. ის ხარ-ჩიხვი, რომელიც ასე ზრუნავდა თეთრხალაზე. მაშინ, გამეტბებით დეაქასა და მიწაზე დარეტი-ანებული დაავლო.

ეს დარტყმა მაშის დარტყმას არ ჰგავდა. თეთრხალა რომ გონს მოვიდა, მის ახლო-მახლოს აღარავინ იყო. ფურების ჭოგს ასდევ-ნებოდნენ და თუ მამანევე არასოდეს რომ მარ-ტო საღ-საღამათიც არ დაუტოვებიათ, ახლა რეტლასმული დაეგდოთ და გზას დასდგომოდ-ნენ.

თეთრხალა წამოდგა, მაგრამ ორი ნაბიჯი გა-დადგა და ისევე ჩაიყეცა. ვერაფრით ვერ გაეგო რა ლევის წყრომა იყო მის თავს, რა მოხდა, რატომ აღარავინ არ დაიწყო. ის ღამეც იქ გაა-თია მარტოღამატომ. მეორე დღეს გაქცევა ნაკვა-ლევს, მაგრამ ჭოგები მადლა წასულიყვნენ. თავისიანებისაკენ გელოც კი აღარ მიუწევდა. ყველამ ასე რატომ გაიძეცა. გზოდან გადახვე-ვასაც კი ამირებდა, მაგრამ მაინც იქით მიიქა-როდა, სადაც აღმათ თავყმას მთელს არავინ შეარჩენდა.

ორწოხეზბიდან შევაეებზე რომ ვავიდა, შე-ჩერდა. იქაურობა მოათვალეობა. აქ ჭოგს უნდა შეესვენა და ბალახი ეძოვა, მაგრამ ეტყობოდა ბარი არავის დეაკარებია. ბალახი კი ერთიანად მოეკავათ. თეთრხალამ გუმანით იგრძნო, რომ ქვებსა და ჩამონახა ღორღს ბუნება თავისა წესით და რიგით ალაგებს, აქ კი ყველაფერი არეულ-დარეული დაუტბდა.

ვერც მეორე დღეს დაეწია თავისიანებს, რომ მღებიც ისე მადლა-მადლა მწვერვალეებისაკენ წასულიყვნენ. ვერ კიდევ უმწიფარ და თავ-რქა დანაღვურ ქიხვის ძალა აღარ შესწავდა ეგლო. ყველაფერზე ხელი ჩაქვნი, ყველაფერი შეს-ძელდა და მოუნდა როგორმე იქამდე მიედწია, სადაც უღსკრულში ჩაბერგილი წინამარის რქები ეგულეობდა. 'საღამომდე ძლივს მოიტანა და ის ღამე იქ გაათია.

გამთენიისას, ნაცნობი, გამყოლი სტეენა მო-ესსმა და ფეხზე წამოაგდო. ეგონა, მადლა ქიმზე წამომართულ მეფერ წინამძღოლსაც დაინახა-

და, მაგრამ მის წინ ნაბეგვი და დაბზარულა წყვილი ჩაბრვილი რქა ვედო.

მისამდე დღეს თეთრხალამ წახა კლდში გადაჩხილი კოჭლი ხარჭიხვი, რომელსაც ყოველ ახალგაზრდა ჭიხვივით უფროსილდებოდნენ და უფლიდნენ, ახლა კი სვეებისთვის მიეტოვებინათ. იმავე დღეს თეთრხალა მეორე კოჭრულ მოძმესაც გადაეყარა ისევ სავიების და ყორნების კერძად მოძულეულს.

ამის შემდეგ, თეთრხალას ნაკვალევს კი აგრიო. იგი მისი ჭოგის გაელას იმით არჩევდა, რომ იქ ერთი ერთი კოჭლი, რომელიც წინა ფეხის დანადგარს უჯანს ვერ უწოდებდა, და მეორე კოჭრული, რომელიც წინა ფეხის ნაკვალევს უჯანს ფეხისას ვერ უსწორებდა. ახლა ესენი აღარ იყვნენ და ღმერთმა უწყობდა, რომელი ჭოგის კვალობაზე უნდა ევლო. აღარც გზის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ საიდანღაც მოიტანა წიგმა ისევ ფურების სენი და ჭიხვის ტყვიულები დააიწყა და დადლილობაც. მალე რქის ყახანიც მოისმა ხეველიდან და თეთრხალას ბილიც არ უძებნია კლდეს ისე აწყვა.

ჭიხვთა ქიდილის ხმას, გარინდებელი, სიჩუმეს მომზარებული მწვერვალები ერთმანეთს სტაყებენ და შორს მიავით. დიდხანს მოუხმა თეთრხალას ბეტილი კლდიდან კლდებზე, სანამ ბრძოლის ადგილს მიადევდა, მაგრამ მანამდე ხმაურით მიწყდა და არც იქ დახვედრია ვინმე სულაერი. ისევ ნაკვალევს უნდა გაჰქილებოდა, როცა ფურის სენში სისხლის სენაც გაერია და ქარაფისავე წავიდა, ქარაფს ქვევით. კლდის შევრალიღ დიდი მსხვილი რქებთან ეკლდა ჭიხვი და სულს დაფავდა. ჭიხვი მისი ჭოგისა არ იყო და თეთრხალას მტრად იქით აღარ მიუხედავს. მალე ქარის მიმართულუბაც შეიცვალა. სხვა მხრიდან მოიტანა ძალიან სუსტი შორეული ფურის სენი და იქით მიბრუნდა, ზევში რომ წავიდა, ქარი მიწყნარდა და უცებ შიშვლილი იგონა, ახლა მოაგონდა, რომ იმ საბედისწერს და რატომცნის მერე არაფერი ეკამა და ბალახს და ხავსს დაუწყო წიწყნა.

კარგა ხნის მერე შემთხვევით იპოვა თავისი ჭოგი, მაგრამ რაღა ჭოგი სულ ოთხიოდე ხარჭიხვი თუ იყო, და მამინაც სწორედ სამკედრო-სასიციოცხო შეტაკების ხმამ მიაცვანა. აი, იქ დაღუბდა ის ხარჭიხვი, რომელმაც თეთრხალა დაღუპა და დააგლო, დიდი ბრძოლა იყო, ურუბრად ღირდა. მისი ერთ ღროს მოკეთე და მერე მტერი, ისე იბრძოდა, თეთრხალას მასზე გუდიც კი მოუბრუნდა, მაგრამ, როცა ბოლოს და ბოლოს მინც დაამარცხა რქადიდმა, რომელსაც უმუბლე სისხლა ჩამოსდიოდა, თეთრხალას ვგონა იქვე გადმოხურული კლდის ძირს მიტანსილი ფურებისავე გზა გაეხსნა, მაგრამ იმაგადახლია რქადიდი ამაყად დაღბა.

იქით კი მიიხედა, სადაც თვალში წყალმორეული მდედრის ჭოგი ვერუბოდა, მაგრამ ფეხი

არ მოუტვლია. კიდევ იყო ორი ხარჭიხვი, რომლებიც ახლა ერთმანეთისავე გაეჭიან და მანამ აკლეს ერთმანეთს თავიკრებენ წინ-წინადა და, სანამ ერთ მათგანს მოწყნარებდნენ, სხვას და თავის რქას შორის ყური არ მოაყვა და დაღუწილ ცხვირპირთან ერთად ყურიც არ გააგლიჯა. ბოლოს, კიდევ ერთი მღვიერი დარტყმის შემდეგ, რომელიც დიდხანს ისროდა მწვერვალებზე, ქარაფზე ჩაფხოკილდა, სადაც ხევიდან სიბნელე ამსულვიყო და მერე აჩანენ იცის იქ ცოცხალი დარჩა თუ ისიც დაიღუპა.

რქადიდი აუღლევებლად უცქეროდა ამ ბრძოლას და ცალი თვალი ფურებზე ეკირა, საითაც გაქცევას აპირებდა თეთრხალა და ბრძოლის დამთავრებას უცდიდა. ბოლოს გამარჯვებული, რქადიდისავე მიბრუნდა, აუარა ჩაუარა და შეჩერდა. თეთრხალა კი ფურებს ჭოგისავე წაბეჭუნდა. გამარჯვებულმა რქადიდს რომ ბრძოლა ვეღარ შეხედა, მოტრიალდა, გამოეჭანა და თეთრხალას სუსტ რქებს ერთხელ კიდევ დაეჭახა... მერე ერთმანად გაქრა და უწყურვებული წურვილიც, მწვერვალების სითეთრეც და მეუწმული ცის დასალიერიც.

რამდენიმე დღის შემდეგ გადაეყარა, გადაეყარა კი არა, მიიყვანა წურვილის სენმა იმ თვალუწვდენელ მწვერვალთან, სადაც ასეღა აღარ შეეჭო თეთრხალას და სადაც მხოლოდ რქადიდი იღვა მდელიდრად, ქვევით მდედრის ჭოგი შესეოდა.

ამის მერე მალე ჩაჩუმდა თეთრხალას სისხლში გაჩენას მომართებული ფოთრი და რქადიდმაც თითონ მოძებნა თეთრხალა, მერე სააღერსოდ წაებესკავა და ერთად დაიძინეს.

ღლით საიდანღაც ყურგაბეული და რომელიც სრულიად უცხო, ჩლიქმოტეხილი ხარჭიხვები შემოუერთდნენ. მდედრი სულ დაიგაწყეს და ბალახს და მთავე წყალს მიეძალდნენ, მერე ასეთივე მცირე ჭოგს შეუერთდნენ. ბოლოს, როცა ზაფხული მიიწერა, მამრი ფოთრი მათთან მოედინა და ყველაფერი ისე განმეორდა, როგორც პირველ წელიწადს. ისევ აცივდა უღმერთოდ და ისევ გაქირდა მეუცლის ამოუსება. მთავე წყლიანი ხეები ისევ თოვლმა და ზაფხვმა დაფარა... ისევ ერთმანეთის სითბოთი ათევედ წლისოფნა დაემეგნ და ელოდნენ მზის გახელებას, წლის მობრუნებას, ზაფხულის მიღევას და ტინის ამღვრევას.

მოვიდა შემოდგომა, თეთრხალას სისხლში ისევ აჩანდა გაჩენისმოწყურებული ფოთრი. ფურებს თვალში წყალი ჩაუდგათ. მუხლმომარგებულმა თეთრხალამ ვერ ორი ახალგაზრდა ჭიხვი დაღუპა და კლდიდან გადააგლო, მერე მესამეც, რომელსაც მთელი ზამთარი თეთრხალასა და ურუგაბეჭეწილ ჭიხვს შორის ეძინა, რაკი მცივანა იყო. ბოლოს სამკედრო-სასიციოცხოლოდ შეება ჩლიქვატეხის, რომელსაც ჩლიქი, რა თქმა უნდა, ახალწარდილი ჰქონდა, მა-

გრამ ბრძოლა წააგო და ქაიფზე დაქანებული სულ უმნიშვნელო შეერისლს რომ რ გამოხდებოდა და ერთი ნაბიჯი კიდევ ჩაუტრებულყო მის სისხლში, აფორიაქებული ფოთრი სამედამოდ დაღუპდებოდა.

მეორე დღესვე წამოეწია თავისიანებს, მაგრამ იქ ზღოწმაცხილი აღარ დახვედრია და ბრძოლა შარშან შემოერთებულ ერთ ბებერ ხარჯიხთან მოუხდა, რომელიც ჰკუთითა და გამოცდილებით ჩაგრაგდა, თეთრხალამ სიმარდითა და მოწინალობით აჯობა და დაამარცხა, მაგრამ მისგან ძალიან ბევრი რამ ისწავლა.

ყურგაფხრეწილი იმ წელსაც შეხვდა რქადიდს, მაგრამ ბრძოლას ბოლომდე არ შერჩა, თავი აარიდა და გადაიხვეწა. რქადიდმა მაინც თერ დაისაუტორა ამ წელს ფურები. შემოურთებელი კოვის მეწინავემ რქამახვილამ გამოთავტრა. ისე მოხდა, რომ მაღლიდან გამოქანებული რქადიდი რომ დაეჯახა, რქამახვილამ თავი ქვევით დახარა, ცხვირი კლდეს დაჰკრა და რქადიდი ზურგზე შეუთარდა. რქამახვილამ ვერ გაუძლო დარტყმას და სიმშობის, წაიქცა თავი გვერდზე გადაუვარდა და ზედ დავა რქადიდი მტყლით. იმდენი აზაფერი მოხდებოდა, რომ მაშინვე ფეხზე წამოვარდნილყო, ამასობაში, მოწინააღმდეგე გაფხარკალდა წამოდგომას მოვასწრებო, თუ რა მოხდა, შარშან ფურების მფლობელი, სვებედნიერი ხარჯიხი გამოიფხავა.

სად იყო და სად არა, ისევე გამოჩნდა ყურგაფხრეწილი, რქადიდი აღარ იყო, მაგრამ რქამახვილასთან ბრძოლა მაინც არ ინდომა და თეთრხალას ეძგერა, მალე მოერია და თეთრხალა თავის გადარჩენას მისგან დაღუპულ ბებერს ჯიხეს უნდა უმაღლოდეს, რომ ცოცხლობ გადასაჯარდნს ერიდებოდა. მეორე მხარეს ხეებში გადაუძახა, სადაც მუწინგარის ვიწრო ნახრალში ჩაეარდა და მეორე დღეს თავი ძლივ დააღწია, მაგრამ ძალაგამოცდილს სულ დაეკარგა თავისიანება და სანამ ისევ წამოეწიოდა, ამასობაში ქარიშხალი ატყდა, ქვეაუცენაში მოხუცა. როცა ისევ დაამარცხა ბილიც განთებოდა და ჰაერი მოყნობა, უკვე ფურის სუნი აღარ აღიზიანებდა, ბრძოლას ჟინი ჩაქრობოდა, მხოლოდ თავის ტყვილის, რქების ძირების ბტეულის და შიშხილის გრძობა ჰკლავდა.

შესამედ ღისხლის უვილინას თეთრხალა უსამეულოდ დიდ ძალას გრძობდა და ვისიც მუტად ეშინოდა, პირველად მისი დამარცხება და გზიდან ჩამოშორება მოინდოდა. დანარჩენებს იოლად მოეუვლიო ეგონა, მაგრამ მოტუდვამ, მასზე სუსტებთან და ბებრებთან უნდა გამოერთობილიყო და მტერი გამოცდილვამ ეწინააღმდეგა ის კი ადგა და პირდაპირ იმ ხარჯიხს ეძგერა, რომელმაც ისეთი გამპრობაობა და გამბედაობა გამოიჩინა, რქამახვილას მეწინაეობა წაართვა და გოგი ჩასაფრებული მონადირეების თავდას-

მას ორჯერ ააცილა. ნახევარი დღე მაინც გაუძლო თეთრხალამ მეწინაევის და ბოლოს მაინც შეუძღ, ახალმა მეწინავემ უფსკრულნი მძირზე მიავლო და გადაუძახა, თეთრხალამ წყურფრებზე რომ მიექანებოდა, როგორცაც მოახერხა და ისევე, მოპირდაპირე კლდეზე მოისყდა, იქაც არ იყო სადმე დასაღვობი, მაგრამ იქიდან ისევე უკან გადმოხტა, ბოლოს მაინც ძირს ჩაეარდა, ზევიდან რომ პირდაპირ წამოსულიყო, ქვევით სული არ დაუვებოდა.

თეთრხალი გადარჩა, მაგრამ ჩლიქები სულ დაიმტვრია, მთელი ტანი ისე დაუბეგვია. იქვე, სადაც დაეცა, მთავე წყლით გაეღწნითიო კლდის ძირი რომ არ უყოფილიყო და მთელი კვირა მარილიან ლოდებში არ ელოცა, მის სისხლში გასაჩენად ჩაბუდებული ფოთრი მეოთხე გაუხუხულზე აღარ იღზეუდებოდა.

მეოთხე წლის მობრუნებასთან ერთად თეთრხალას სისხლში გასაჩენად იღზეუებული ფოთრი მოითხოვდა სამართლიანი, ვაჟკაცური ბრძოლით მოგებულ უფლებას დედის საშობი გადასასახლებლად.

თეთრხალამ ერთ ფეხმარდ, თავის ტოლსწორს ჯიხეთან გადაიხადა პირველი ბრძოლა და ერახელ, როცა უფსკრულის პირას მიავლო და შესძლო ისევე დატყუებოდა, რაყო თვითონ მას უკან საშობროება ან ელოდა მოწინააღმდეგეს კი ერთი ნაბიჯი და ფეხქვეშ მიწა გამოეცილებოდა, აეკლდა თეთრხალას სისხლში სამართლიან გაჩენას მოწყურებული ფოთრი და მამას უკან დაახევიანა. ფეხმარდას საშუალება მისცა ამოესუნთქა და გამოქანება შესძლებოდა. ბრძოლა რომ დამთავრდა, თეთრხალას შერკინების სურვილი ახრამებდა, რაყო ნიაგი სულ ფურების მხრიდან უბრავდა, მაგრამ მან იცოდა ან სხვის მსავით ბრძოლაგადასახადს უნდა შეხვედროდა, ან ხვალამდე დაეცადა. ახლა მის სისხლში აჯანყებული ფოთრი უფრო წინდაუდელი ჩანდა.

მეორე დღეს ორი ბრძოლა გადაიხადა. ერთი ისევე შამაცურად იბრძოდა, როგორც წინა დღეს ფეხმარდა, ნახრალში ჩაეარდა და ლოდებში და ლოდებში დაფარეს. ასეც ჯობდა, უორნებისათვის არამი იყო. მეორე კი ისევე ყურგაფხრეწილი იყო, რომელმაც ახალგაზრდა გამოუცდელი ჯიხე დაამარცხა და, რაყო თეთრხალაზე ნაელბე ენერგია დახარჯა და თანაც ნაბრძოლი ვარო შეეძლო ეთქვა, თეთრხალას ვეკეთა. აკვლდა თეთრხალას სისხლში ფოთრი, უსამართლოდ მიპირებულ დაღუპვას და ჩემს წილ მზეს სხვა დასაუცუთრებესო, მაგრამ თეთრხალამ ბრძოლა მიიღო და პირველი შეჯახება მაინც ძალის მოსინჯვა იყო. მერე ისე თავგამებოთ გაექანა, უკანა ფეხებზე აღიშართა და რქა რქაზე ისეთი ძალით დასცა, მწვერვალებში მების ტუხასავით გაისმა. მოწინააღმდეგე ჩაიყვია, მაგრამ მაშინვე წამოვარდა და ამის შემდეგ ორჯერ



გამოქანდა კიდევ თეთრხალა, ორივეჯერ გვერდ-ზე გაუჭტა. შესაშედ რამ სიფრთხილე არ გა-მოჩინა, შეიძლებადა თავი ვერ შეეკავებინა და უფსკრულში ისე გადავარდნილყო ყურგაფე-ხრწილად გვერდზე დარჩენილიყო და ფოთრ-ნასასახლებლად თვალწყაღმორგული ფერების ქოგოც. ამის შემდეგ, უფრგაუჭტრწილმა ბრძო-ლა მოაღუნა და ბოლოს ქაბაფისაკენ დაიხია. გამარჯვებულმა გამოდევნება დააპირა, რომ სა-ბოლოოდ თავიდან მოეცილებინა ეს არაწმინდა, მაგრამ როგორ, ეს მართო ამ ბრძოლას კი არა სჯავს, შარშანდელ და შარშანწინდელ ომსაც გაუფასურებდა.

იმ ღამეს, გამოთენისას ისევ მოესმა თეთრხა-ლას გამჭოლი სტევნა შეფერი წინამძღოლისა და ისევ ფეხზე წამოაგდო.

უქანასწელი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელე-ბულა, მაგრამ ის ისეთი ფიცხი და თავგამეტე-ბული იყო, ბოლო დარტყმა, რომელმაც მოწი-ნაღამღვეგ დაღუნა, თეთრხალასაც ცალი რქა გა-უტეხა. თვალდასაყრე ისე დაუბნელდა, არ დაუნ-ხავს მეორეს რა ბედი ეწია. თეთრხალას რომ არ სციოდნოდა ეს უქანასწელი ბრძოლა იყო, თავს ასე ვერ გაიმეტებდა. იცოდა და იყო გა-დამწვევით დარტყმა და შეიძლებადა თავგან-წირება. წინ კიდევ ერთი უმნიშვნელო კინკა-ლიაც რომ ყოფილიყო ამ ძალით დარტყმას ვერ გაუბდავდა. მან ოთხი წლის ბრძოლით იცოდა ასეთი დარტყმა მართო მტერს არ ახეჯებს.

თეთრხალას უსაშველო მტკივნეული დარტყ-მის შემდეგ რომ თვალში სინათლე ბინდებუნდად დაბრუნდა და ნათელი დაინახა, გარს შემოქარ-იული ფერები გაარჩია და თავი დიდხანს სიზ-მარში ეგონა, იგი ოთხ წელწიდან მყვიარლობი-სას თუ თვალს მიღუღავდა ამ სიზმარს ზედაე-და, რადგან ამ დროს, არც დღე და არც ღამე მის სისხლში აღზევებულ ფოთრს არ ეძინა.

ახლა გაჩნდნას ასე მონატრებული ფოთრი ზე-იმობდა, რადგან მასთან ასე ახლოს იყო დე-და — ვხა მზისაკენ!

თეთრხალა ცინებლ მზეს შესცქეროდა და დაღლილი სხეული უდაგაგებდა, რომელზეც გაარს შემოხვეული ფერები შეაგე ოფლს ლო-კადუნენ.

ხარჩხის დღეიდან შეეძლო დაეჭვებინა, რომ ამ სოჭიბეებს და ცის მნათობს მისი შთა-მოძავილე ნახავდა და მისი ქონი აღარ დაიღუ-პებოდა. ახლა ის უზომოდ დაღლილი იყო და საშინლად სტკიოდა რქა, რომლის სიმძიმესაც ვეღარ იტანდა. ის მართო ბრძოლებით კი არ იყო დაღლილი, ახლა მას ამდენი ფურის აღურ-სიე ღლიდა, საშინლად უძმობდა სხეულის ამდენი შთამომავალი, რომელიც მის სისხლში, გულ-სა და ტეინში დაბრიალებდა.

თეთრხალა დაწვა იქვე, სადაც გაიმარჯვა და მტკივანი რქა ღოდზე ჩამოღო. სხეულში ჩა-ბუღებული ფოთრი მიყუნიდა და დაელოდა,

მას არ უნდოდა მამის დაღლილობა და ტკივი-ლი გამოლოდა.

ძალა რომ მოიკრიბა, ფერებს დაეხედა და კლდის გავვალ ბლიკებს იქით გაუხედა, სადაც უფსკრულში ჩამბობილი წინაპრის რქები ეგუ-ლებოდა. ბოლოს კი, რაცა იჭურრობას ტოვებ-და რომ მალა წასუღიყო და სულ სხვა სიოც-ნებო ცხოვრება დაეწყო, დაუსტენა. დაუსტე-ნა ისე გამჭოლად, ყველა ფურს თვალი მასზე დარჩა, ყველამ რქები ზურგზე გადააწყო, ტე-ნი მისვედ წამოსწია. ეს სტევნა მისთვის უჩვეუ-ლი იყო, თითქოს დღეს პირველად დაესტეინოს.

იმ დღეიდან თეთრხალას ჩვეულებრივი ხარ-ჩიხვი არ ეტეშოდა.

იგი არასოდეს ისე ფრთხილი და წინდახედუ-ლი არ ყოფილა, როგორც ეს დღეები, არასო-დეს ისე არ ჰყვარებია სიციცხლად და არ და-ჩერებია უკვდავება, როგორც ეს ერთი კვირა. არასოდეს არ ჰქონია მწვერვალს ამდენი აღმასი და მთას ამდენი საშკაული, არასოდეს არ ყოფი-ლა მნათობი ასე ცხელი, აღერსანი და ჩახახა როგორც ამ დღეებში. იგი სულ მალა-მალა მიიწედა ქერ გუვალ, ფეხდაუფდებელ სიმაღ-ლეებზე ადიოდა და აწყავდა ფერები, რომ ფოთრს ძალა, გამკრიახობა, ევაკაცობა გამო-ყოლოდა. იგი წინასწარ გრძობდა მისი ვაბზე-რული რქა მომავალ წელს ვეღარ მოიპოვებდა ქონის გამარჯვების უფლებას და რაც თეთრხა-ლასი მთის ღონე და მზე იყო დაგროვილი ამ დღეებში უნდა გადაეცა შთამომავლისათვის.

ხარჩხის გული უშვლიდა ქვევით დაშვებულ-ყო სიმაღლე, სიმაღლის სურვილი ეძახდა შეი-ნიღან და თვალი ისევ მარადიული სითეთრისა და ფეხდაუფდელი სილაბისაკენ რჩებოდა, მაგრამ ეს ყოველდ მშვენიერი ფერის, მით უმე-ტეს მყვიარლობისას დღემი ორჯერ-სამჯერ თუ არა, ერთხელ ზომ მიიღე უნდა ჩაიყვანოს შე-ვე მარტილიან წყალზე და თეთრინე ხარხად სუას, რომ ფოთრს მაგარი ძვალი, მუხლი და რქა დაებუდოს. აი, ისეთი რქა, უფსკრულში რომ იყო ჩაებრკილი.

ფრთხილად, თეთრხალა, ფრთხილად, რამდენი ქვევით დაიწეე, იცოდე მტერი გაგმირაელ-დება, არავის არა ჰყავს ქვევინად იმდენი მოშურ-ნე, რამდენიც სიმაღლის მოტრფილეს. ზომ არ გვონია შენი მუხლით, ქანით, რქითა და სისხ-ლით მოგებულ ომს ავი ზრახვით არავედ შეხე-დავს, ან შენს ფერების ქოგს თვალს არავედ დაადგავს.

ნურც ის გვონია, რაცა რქა — შენი ხმალი და ფარი, სამუდამოდ დაიხიანე, ეინმე დაგზოგავს და მახვილს თუ ზურგში არა, გულში მიიწე არ ჩაგეყვს. მართალია, მთა და მზე მუღამ ამის ჩას-ჩინინებს და ჩასძახის მის შეილებს, რომ ეს არ ჩაიდინონ, მაგრამ ბევრის თვალი და ყური დაბ-შულია მთისა და მზის მოსამენად, ბევრის სი-სხლში ჩაბუღებული ფოთრი რა დაგიღვეს რა

გზით გაჩნდება, ოღონდ გაჩნდეს, არ დავიდვს რაკი ჰგონია ვარსა და ნებეს შუე ერთნაირად ათბობს და ერთნაირად ეცუთვნის.

თეთრხალას წინათგანმობა გამართლდა. მკავე წყაროზე რომ ჩავიდნენ და ფური წყალს მივიძალა, თეთრხალა კი მალღობზე იდგა და პერს ყნოსავდა, ხარჭიხვის სუნი იგრანო, ეგონა, ალბათ წყლის დასაღვეად იყო ჩამოსული, ახალი წასულია და სუნი ჭრავი არ ვაფანტულია, რაკი ხევენი ნიაფი სუსტად უბეჭავსო, მაგრამ ეს ასე უნდოდა თეთრხალას და თავის შობცყეუბა სცადა, რადგან ზიფათის სუნი ცხვირზე აღტრ მისმა ვაბზარტლმა რქამ იგრანო, რომლის ძირში მექწითლად მიმობოზდა მღვრიე სისხლი.

მღვრისათვის ნიშანი არ მეთუა, წყლის დაღვეა აცალა, მაგრამ თეთონ კი მაინვე ვაუქრა წყურვილი.

ფურებმა რომ წყაროს პირზე კენტრუში და ნებეჯრობა დააბირეს, მაშინ კი იფხვინა თეთრხალამ და გამჟოლად დასტენა. სხარტი ნახტომით ჭოგი მეორე მზარეს გადაიყვანა, რომ მალა და გზით არ წასულყოფო რა ვხითაც ჩამოვიდა, თუ ვინმე კვალში ჩადგა აცდენოდა, რომ ციკაბო ბილიკი ვინმეს არსად გადაეღობა.

სიმაართლე ვულუბრყვილობაა, ორიდან ერთი კი არა, ასიდან ვეღლაზე საიმიდო და მწელი გზა რომ მოძებნოს იმ სისხლმა, რომელშიც თუ ის ფოთობა ჩაბუღებულე, რა ვხითაც არ უნდა გაჩნდეს, სულ ერთია. მან ათასი გზა იცის, რომელიც შენ არ დავესიზმრება, იგი აზით ჭობნის შენს სიმაართლეს და შენზე მეტ მსუფე ბალახს ძრვს.

მალე ნიაფიცი დაიძრა, თეთრხალამ კარგჯუ ვაპრჩია ხარჭიხვის ნაცნობი სუნი და რქა ასტკივდა. ის იყო ხევი აპარეს, რომ ჭოგი მარტობელა მოხეტიალე ხარჭიხვს გადაეყარა და თეთრხალამ თვალნათლე დაინახა ყურგაფხრეწილი, კარგად ნაპატევი და ღონიერი წამომდგარიყო კლდის ძირში, და სადეც ჭოგ უნდა ვაველო, იმ ბილიეს არ ჰყვეთავდა, მაგრამ ისე ვერ ვაივლიდა, რომ მოინდომებია რქა არ მოეწვდინა.

თეთრხალას რქის ძირში ჭრილობა ვაუესნა და სისხლი თვალის ვასწერიც შეუბლს ჩამოჰყვა. ფურები მეწინავეს შეაჩერდნენ.

მაშინ რატომ ქარაფზე არ ჩავეყვი და უფსკრულში არ ვადაეჩხებე — ინანა თეთრხალამ, მაგრამ იცოდდა მის სისხლში ჩაბუღებულე ვაეკაეურ ვაეენას მონატრებულე ფოთრი ამის ნებას არ მისცემდა.

«თუ ვაპირებუბა შემატყო, შევეცოდები ეა ჭიშკი საბრალეობი ვაჩნდებიანო», — მეწინავე ვესს დაადგა და ყურგაფხრეწილს ისე ნაუარა ზედაც არ შეეხდა. შიში არ უტრძენია, არც ამის ნება არ ჰქონდა, შთამომავლობაში მხდალები მომრავლებობა.

ჭოგმა რომ ჩაიარა, მეწინავემ ვაიგონა, რომ

მის სამწყსოს კიდეც ოთხი ფეხი მიემატა, მაგრამ არ მოიბუდა, მართალი არ იყოსო. სინამდვილეს თვალე რომ ვეწესტეო, ამით ვერ ვადაასხვავებრბ, ჩემო მეთრხალას კლდის კედელი რომ აათავა და ქარაფზე ვავიდა, რქიდან ჩამოსულმა სისხლმა თვალში ჩამოწვეთა, ყურგაფხრეწილი უკან მოსდევდა ჭოგს და რუხწითელი ფერისა ჩანდა.

ვახეთქილმა რქამ ფეხი ახ მოიცივალა, მაგრამ ჭიშმა და ცალმა რქამ თავის ვაიტანა. მეწინავე უკან ვაბრუნდა, ფურებს ჩაუარა და რუხწითელი ხარჭიხვის პირისპირ დადგა, რომელიც ბოლო ფურს ზურგზე ყნოსავდა.

თეთრხალას სისხლის დენამ უმატა თუ არა, რქის ტკივილმა ვაუარა და როგორც კი უკან ნაბიჯი ვადადგა, ყურგაფხრეწილმა ვადაინაცვალა და ფურს იქითა მხრიდან დაუდგა, ბალანი ალოკა და თეთრხალამ ვაიგონა დედის საშოში ახლად ჩასახული ფოთრი ვადაჩრენას მოიხილვდა.

ორი მამა არ ჰყოლია თეთრხალას, არც მის ჭიშს, რაც თავი ახსოვს და ვერც მის შემკვიდრს ეუღლებობდა ორი მამა. მეწინავე რომ უკან მოწვევებოთ ვაქანდა, ფური ბრძოლის ველს ვაეცალა, მაჰლობლად დადგა და თვალში აღმასი წყალი ჩაიყვნა.

თეთრხალას მოსიწყული ჰყავდა ყურგაფხრეწილი და ასეც რომ არ ყოფილიყო, ახლა მის ვამობლე რქას ზედმეტი ღაწაღწეო შეეძლო. დარტყმა უნდა ყოფილიყო სამკველან-სასიცოცხლო. ისიც წინდაწინ ივარაუდა, ტკივილს ვაეუბლებ, — იცნობდა თავის ჭილაეს, — მაგრამ თვალე დამიზნებლდება, დაჯახების შემდეგ უკან უნდა დაეიბოთ და სანამ ისეც ვაპოევექანებო, მანამ იქნებ სინათლეც დამიბრუნდესო.

«მაგრამ ახლაც თუ ისე ვეერადე ვამიტა, არ დაუზოგავ და მეცელში ამოვრავე. ფოთრი ჩასახულია, მე უიარალო ვარ». — მაგრამ ახლა სხეულში მამის სისხლი აუჭანყდა და ვამოქანდა.

ყურგაფხრეწილმა იცოდდა, რაც შესთავაზა, უარი უთხრეს, ახლა ბრძოლა ვარდებული იყო, მის სისხლში ჩაბუღებულ ფოთრსაც, რაც არ უნდა დაეფოძოდა, უნდოდა მზე ეხილა, რაკი ეგონა, იგი ვარდსა და ნებეს ერთნაირად ათბობსო.

მწვერვალეებში უკვე მიჩუშებულე იყო მყვირალობის ვამს ატეხილი რქათა ჭახანი. სიჩუმით თავგაბებრებულმა მწვერვალეებმა სიხარული აიტაცეს ძლიერი დარტყმა და ვაიციკლდნენ.

თეთრხალას ვარაუდი ვამართლდა, შეტაკების შემდეგ, თვალთ დაუბნელდა და უკან ისე დაიხია ვერაფერს ხედავდა. როცა უკან ფეხი კლდეს მიაპენა, რომლის იქით ველარ წავიდოდა, შეყოვნდა, სანამ სინათლე არ დაუბრუნებოდა, მაგრამ ვაბზარული რქის ძირიდან სისხლმა იძალა და ცალი თვალე სულ დაუღუშა.

ყურგაფხრეწილიც არ ჩქარობდა, ეტყობოდა

ასეთ ძლიერ დარტყმას არ ელოდა რვაგაბზარულ და, რაც მთავარია, სისხლიდან გაჩენას მონატრებელი ფორტგაოცილი ხარჩებისაგან და ახლა უკეთეს ადგის ირჩევდა, რომ ზევის-პირზე არ მდგარიყო. ახლაც ბეწვზე ვადარჩა. აქ არ უნდა მიეღო ბრძოლა, მაგრამ თავიდან ფურს ამოეფარა, გონება ამწვვრა და ვერ მოისაზრა გვერდზე გამბტარყო. ახლა ამ დარტყმამ გამოაფხიზლა და მისმა ფოთრმა მოინდომა, რადაც არ უნდა დაგიფდესო... ამ დროს მეორე დარტყმა მიიღო და სწორად იქითვე დაატყინა რასაც ერიდებოდა. სანამ თეთრხალა უკან იხევდა, მოასწრო უფსკრულისაკენ გადახედა, მაშინვე აფართხალდა სისხლში ფოთრი; არ დამლუპოო. თუ უკან დაიხია — დაამწვიდა ყურგახტარეწიში ფოთრი, — აი, იქამდე, საიდანაც წვლან გამოქვანა, ამასობაში მოვახერხებ ადგილის გამოცვლას, თორემ აქ სამ-ოთხ ასეთ დარტყმას ვერ გაუძლებო.

თეთრხალას ოთხი წელი ტყვილიდ კი არ უკლავს თავი, რომ ახლა არ სკოდნოდა — თუ ამას აარჩევთ უკეთესი ადგილი და ამოსუნთქვის საშუალება მიეცე, მერე რომ მომაგრდება, თუ გგონია რქას შეგახვევს და თვალში აღმასწავლავარ ფურების ჯოჯს დაგლიოცავს, რომ შენმა შთამომავლობამ ლერჯი ზეცა ძოვოს და მზეს ეკიდოს.

უკან დახევა არ ივარგებს, მაგრამ თვალში სინათლეც ზომ გინდა, მით უმეტეს ასეთ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ეშმაკმა იცის როლის ვიმუხთღებს, გიგანებს და უფსკრულში გაქანდება. იქვე უნდა გაჩერებულყო, რომ ყურგახტარეწილს უკეთესი ადგილი არ მოეძებნა.

იქვე უნდა დალოდებოდა თვალში სინათლის დაბრუნებას და ის ვერ გახედავდა იდგილიდან ფეხის მოცვლას. რაკი არ ეცოდინებოდა როლის აღმასწავლებელი მოწინააღმდეგე, როცა იგი ასე ახლოს იყო.

როგორც კი ბინდებუნდა ისევ გამოლანდა წითელი ხარჩიხე, თეთრხალა ორ ფეხზე აიზიდა და მიასკდა, ისევ დაახევინა უფსკრულისაკენ. არაფრით არ ეგონა ყურგახტარეწილს, რომ ასე ახლო მანძილიდან ასეთ ძლიერ დარტყმას მოიღებდა. ეტუბობდა მან ბევრ ბრძოლას აარიდა თავი და ახლა რაღაც აკლავდა. აკლავ ის, რაც მოწინააღმდეგემ ბევრი ბრძოლით შეიძინა.

თეთრხალამ ისევე როგორც რქის ტყვილი დამოლა, როგორმე თვალის დაბნელება უნდა მოითვალის, ჯიშ უნდა მიეხმაროს და თვალში სინათლე დაუბრუნოს, თუ არა ამ ვაიფერამ რომ აქედან ამოასწროს, მერე ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს და, ამ გახეთქილი რქის ძირიდან მამის სისხლი ისე მოთქრიალებს მალე განახერხდება და ყველაფერი დაიღუპება წარსულად და მომავალიც.

ამჯერად, თითქოს რომ ვერაფერი უნდა გაიჭრია, უფრო მალე და კარგად დაინახა მთლად

წითელი ხარჩიხე, მეორე თვალშიც წიფდის სისხლი. მეორე რქის ძირიც ვაუწყებდა ფეხს სატანა მართლა გაწითლდა... უცხემველოდ დაიჭარა და ადგილიდან აიარა. დაჯახებამ მთებზე ისე გადაიხტინა თეთრხალა უკან აღარ დაწევლა, ეგონა, სინათლე რომ დაამბრუნდება აქ მისი ნაკვალევიც აღარ იქნებაო და ზევიდან გადაიხევის ზმას გავიგონებო, მაგრამ როცა თვალში სინათლე მოთვლიდა, ერთხანს მართლა ვერაფერი გააჩნია, რაკი ყველაფერს, მთას, მყინვარს, ცას და მზეს შეწამული ფერი ელო.

მან იცოდა მხედველობას რომ ელატა, სმენა არ ელატებდა, იცოდა კლდელად გადაჩეხილი მტრის ამბარზენ და სასიხარულო ზმას ერთად ამოსახებებს უფსკრული.

ყურგახტარეწილი ქვევით ქიმზე გარზენილიყო და მთელი ტანით ძაგაგებდა, მაგრამ ზევით ამოსვლას აღარ ცდილობდა, უკეთესი ადგილი არ ეძებდა, მალე თითქოს დაამწვიდა და ბედს დამორჩილდა, ბრძოლაზე უარი სთქვა რაკი დაინახა, რომ თავზე ვადმომდგარი თეთრხალას სისხლი ორივე რქის ძირიდან ღვარად ვადმოსდიოდა. კლდეზე წურწურით თენებოდა და ქვევით ზგას მოიკვებდა.

სხვა დროსაც უთქვამს ბრძოლაზე უარი ყურგახტარეწილს, მაგრამ მაშინაც იცოდა რატომ ამბობდა უარს და ახლაც, მაშინ თეთრხალას რქებს ნაბერწყლები სცეოდა, ახლა სისხლი მოთქრიალებდა და მალე დაჯარგავდა ჯიშის ნაბოჭებ ნიუსა და ძალას და მთელი ხელის ვანძირკვავ არ დასტირდებოდა ამ მთისა და მზის მოლაღატეს, ისე სითეთრის საბრძანებელში თავის ნაშვირს მოამრავლებდა. თეთრხალა კი ამ რქებით ვეღარასოდეს დაიბრუნებდა პირველობას.

ახლა ამ ციკაბოზე ვადამუშავა და ერთი დარტყმა ყველაფერს დაამთავრებდა, მაგრამ დაამთავრებდა ორივესათვის.

ახლა როცა ასე მარგებლებად იქცა მყინვარები, როცა ამდენი ფერი აღმასწავლავარადგარი, ზურგზე რქებგადამწყობილი შეჩერებოდნენ თეთრხალას, როცა ასე ცხელი და აღურსიანი ვახდა ოქროს მნათობი, მწელია ადგე, დაეშვა ერთხელ კიდევ, როცა წინდამინი იცი, რომ უკანასკნელად უნდა ვაინვარდო და აღმასის თვალწულიანი მდებრის ნალოკი სხეული ორბებს და შვე ყორნებს ჩაუყარო ზევიში, რომ დაძლენ და მასავით შვეი ბაზალები დაძლიონ.

იჩქარე, ეძახდა ახლად ჩასახული ფოთრი. იჩქარე, ეძახდა წინაპრის სისხლი, რომელიც რქების ძირებდენ მოთქრიალებდა. რქები კი, მამის ფარი და ხმალი, უფსკრულში ეყარა.

იჩქარე, ვადავარჩინე და ვადარჩი!

თეთრხალა უკან აღარ დაწევლა, მან იცოდა მთელი ძალა და სიცოცხლე ერთბაშად უნდა დაეხარჯა...

ამ დაჯახებას დიდი ზარ-ზეიმით შეხედნენ მწვერვალები და საგლობელი უთხრეს მზეს.

## თვითგველეზი

არაბანი

ნაწილი მორბო

ოქროს ფირივით მეფინება დახუკუ-  
ლი თვალების ქუთუთოებზე ახლახან  
ამოსული მზის სხივები. თავქვეშ ხელებ-  
ამოდებული ვწევარ ზღვის პირას და  
ვესმენ რა ბოხი ალერსით მიერეკება  
ტალღა ნაპირისაკენ ხმამრავალ კენჭებს,  
რომელთაც ადრე მოსულნი არ უთმო-  
ბენ ადგილს მზის ქვეშ... და ვიდრე ტა-  
ლღა განაწყენებული შრიალით უკან  
გადაგორდება და სუნთქვას მოიკრებს...  
უფრო და უფრო დაობენ ერთმანეთში  
ფერადი კენჭები... მერე, ისევე ბოხი  
ალერსით მიერეკება კენჭებს, ჭაფის თე-  
თრარშიამოვლებული ტალღა... და  
კვლავ ერთმანეთში დაობენ და შფოთა-  
ვენ კენჭები...

დამნაშავე ბავშვივით, რომელიც ვერ  
უსწორებს თვალს მშობელს, მეშინია  
გაეახილო თვალი და გავიხედო იქით,  
მარჯვნივ, სადაც ზღვის ნაპირამდე მო-  
სული პატარა ქედის გადაღმა უნდა  
იყოს საქართველო. საქართველო, რო-  
მელსაც მე ასე უწყალოდ გამოვექეცი!..

ეს თითქოს საოცრებად მეჩვენება,  
მაგრამ აჭვეა, სულ რაღაცა თორმეტო-  
დე კილომეტრის დაშორებით.. და დღეს

იქ დიდი დღესასწაულია — პირველი  
იანვარი....

ხოფაში ჩვენ გუშინ მოვედი, ვერ  
კიდევ მზის ჩასვლამდე, თითქოს სპეცია-  
ლურად იმიტომ, რომ უფრო მეტად  
დაგვემოდა ისედაც აშლილი ნერვები.

ადრე, ჩვენს მოსვლამდე, ამ პაწაწინა  
სასაზღვრო პორტის ქუჩებში მიეყარ-  
მოეყარათ მოწამლული ხორცის ნაჭ-  
რები.

მე გაგონილი მქონდა, რომ თურქეთ-  
ში წარმოუდგენელი რაოდენობით გა-  
მრავლებულიყვენ უპატრონო ძაღლე-  
ბი, და რომ ეს ისეთივე ეროვნული  
უბედურება იყო, როგორც ავსტრალია-  
ში კურდღლები.

მე ისიც კი მქონდა წაკითხული, ერთ-  
ხელ როგორ წარეკეს კონსტანტინოპო-  
ლის ყველა უპატრონო ძაღლი უკაც-  
რიელ კენძულზე, სადაც დამშეულმა  
ცხოველებმა ერთმანეთს განადგურება  
დაუწყეს. ძლიერი ჭამდა მასზე უფრო  
სუსტს, და ბოლოს როგორ შეერკინა  
ერთმანეთს ორი დარჩენილი გოლიათი...  
მერე კი, არსებობისათვის ამ ეპიკურ  
ბრძოლაში მრისხანე გამარჯვებულს, რა  
ეულად და საცოდავად აღმოხდა სული  
შემშლისაგან.

მაშინ, იქნებ კიდევ მიტაცებდა ეს უხიაგი რომანტიკა. ახლა კი აშკარა სიბრაღულით შევეცქეროდი — ეს „ადამიანის მეგობრები“ როგორ ებრაოდნენ სიკვდილს... ზეიადად, როგორც ეს სჩვევიათ მხოლოდ პირუტყვებს, რომლებიც არაუისგან ელიან არც შევლას და არც თანაგრძნობას.

რა თქმა უნდა, უპატრონო ძაღლებს სპობენ არა მხოლოდ აქ, არამედ მთელ მსოფლიოში და ყველაზე ჰუმანური განზრახვით — ადამიანებზე. ზრუნვის გამო... მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, ეს ჰუმანურობა, რომელსაც ადამიანი თავისი ზეგანვითარებული არსების უმაღლეს გამოსახულებად თვლის, რატომ ეხება მხოლოდ მას? ადამიანი მართო ხომ არ არის მის ირგვლივ არსებულ ბუნებაში!

იქნებ ეს აზრები უფრო შეეფერებოდა „ცხოველთა მფარველი საზოგადოების“ წევრს, რომელიმე შინაბერას, მაგრამ თავში მომდიოდა ჩემს უსუსურობაზე სიბრაზის გამო, როდესაც კუჩუჩრებდი, როგორ ებრაოდნენ გაუბედურებული ძაღლები შეუწინაღებელ სლოკინს და სხეულის სიმძიმეს, როცა მიწაზე დაცემულები უზომო გაჭირვებით კვლავ წარმოდგებოდნენ ხოლმე და მოდუნებული თავების შეუთანხმებელი მოძრაობით ცდილობდნენ წასულიყვენს საღდაც... გაშორებოდნენ ადამიანებს და სიკვდილს.

— და მაინც, ადამიანს უნდა რცხვენოდეს! — ეთქვი მე.

— რომელ ადამიანს? — იკითხა სტეკომ.

— საწამლავი მთავრობის ბრძანებით იქნება დაყრილი. — დამიწყო ახსნა ომარმა.

— ხანდახან ადამიანი ძაღლზე უარესია. — უფრო გასაგებად ვთქვი მე.

— ჰო, — დამეთანხმა ტოგო. — იქ, სადაც ხვირი არა აქვს, ადამიანი ძალიან ბოროტია.

ხოფაში კი მშვენიერი განწყობილებით მოვედი იმიტომ, რომ ეს იყო სიარულის უკანასკნელი ეტაპი. ჭერ

კიდევ დილით, როცა კლდოვანი უღელტეხილის ქიშკე დაბალსა და დაგტეხილ ფიჭვებზე კონწიალით მუხუფავდებოდა ავობლით, რადგან წიწვმოფენილ ფერდობზე ფეხები გვისხლტებოდა, ჩვენს წინ კილით კიდემდე გადაიშალა მუქი ფირუხოვანი ზღვა.

ომარმა ზღვა პირველად დაინახა და როცა იგრძნო, ინტერესით საესე ჩვენი მზერა, შეეცადა მდგომარეობის სიმალღეზე ყოფილიყო.

— არაფერი ისეთი არ ყოფილა... — ტუჩებმორეცილმა, აგდებულად გადმოისროლა მან. — მე უფრო დიდი მეგონა.

არა ნაკლები სისულელე იქნებოდა, რომ ზღვას გამოეჭომაგებოდი და არ ვუპასუხე.

მერე ჩვენ დავეშვიტ მთებს შუა მიწყვედულ ველზე და მთელი დღე მივდიოდით ბალახზე... ჰო, ჰო, ბალახზე მარად მწვანე მცენარეთა ბუჩქებს შუა. მთელი მკერდით ვისუნთქავდით ზღვიდან მონაბერ სიოს და, რაც მთავარია, თავს დაგვეკავაშებდა უკვე ნამდვილი, და არა ხარის გაყვითლებული ბუშტის მსგავსი მზე.

მე მომეწონა ხოფა თავისი რამდენიმე ათეული პატარა სახლით, ზღვაში ხის წვრილი ხიმიჩქებით გადაბიჭებული მისადგომით და ნაირფერი კენჭებით მიშობნეული შორს მიმავალი პლაჟით.

მოხელემ, რომელმაც ჩვენს მცველს ქაღალდები გამოართვა და უკან გაისტუმრა, გვითხრა, რომ სტამბულში წასასვლელი გემი ორ დღეში ჩამოდგება, და მანამდე თქვენ თავისუფლები ხართო.

— ოღონდ არ დგავიწყდეთ, რომ საზღვარი აქედან თორმეტ კილომეტრზეა. — მეტი დამაჩერებლობისთვის თეალები დააქყიტა მან და გაგვისტუმრა.

მერე იყენენ ის ძაღლები, ზღვა... და ეს წყეული მთის ქედი, რომელიც ფარავდა ჩვენი საქართველოს ნაპირს...

სახლ-კარზე ზრუნვას გადაჩვეულებ-

მა, ჩვენ მხოლოდ შებინდებისას ვიგრძენით, რომ ღამის გასათევი უნდა გვეშოვა.

ფურნეში, რომლის დიდი და ბოსლისმაგვარი შენობა ზოფის განაპირას იდგა, მოგვეცეს ნება, სულზე ოც ყურუშად ღამე გაგვეთია.

უნდა შემოგვევლო კოშკის მსგავსი, უზარმაზარი ღუმელისათვის უკანა მხრიდან, მერე, მიდგმული კიბით, ნახევრად სიბნელეში, აესულიყავით და შევმძვრალიყავით ოვალურ ნაპრალში. აქ სტეპკოს ვერავინ დაასწრო, რადგან იგი ყოველთვის პირველია, თუ საქმე უამას ან ძილს ეხება. მის შემდეგ შეძვრა ომარი, მერე მე და მერე ტოგო. და ასევე თანმიმდევრობით მაშინვე მარჯვენა კედელთან მივწეკით, რადგან მჭდომარენიც კი აგურის ჰერს ვახლილით თავს.

ასანთი არც ერთ ჩვენგანს არა ჰქონდა და ამიტომ სრულ სიბნელეში მოგვიხდა გაგვესუფთავებინა ჩვენს ქვეშ თბილი ქვიშა რაღაცა ძვლებისა, ძონძებისა და ქალღღებებისა.

ჩვენ მარტო არ აღმოვჩნდით. მოპირდაპირე კედელთან ვიღაცამ დაახველა და არყის ოხშივრის ტალღები გადმოგვაფრქვია.

დახუთული ჰაერისაგან და ჭუჭყისაგან მაზიდებდა და თან კიდევ საოცრად გააქტიურდნენ მკბენარები. მათი არაჩვეულებრივი გაუმადლობით მივხვდი, რომ ჩვენი მუღმივი თანამგზავრების დასახმარებლად, იერიშზე ადგილობრივი მობინადრეებიც გადმოსულიყვნენ.

სიჩუმე, რომელიც საჭირო იყო, რომ დაღლილი სხეულის შემდეგ არანაკლებ დაღლილი აზროვნებაც დაგველაგებინა, უეცრად დაარღვია ტოგოს აღელვებულმა წამოძახილმა:

— ბიჭებო, ჩვენთან დღეს ახალი წელი დგება!

— წადი ერთი... შენც...

— მოიცა... რომელ რიცხვში ვიყავით ჩვენ ყარსში?

— მართალია, დღეს ოცდათერთმეტი დეკემბერია.

— რა სულელები ვართ, კინალამ გამოგვეპარა.

— ჰო... ახლა იქ, ჩვენთან...

— დედა...

ყველა თავის მოგონებაში გადაეშვა. კვლავ დაახველა მეზობელმა მოპირდაპირე კედელთან და არყის მძაფრ სუნში გაგვხვია.

მე ჩემიანებზე ვფიქრობდი და სიბნელის წყალობით შემეძლო გრძობებისათვის თავისუფლება მიმეცა. არავის დაუნახავს როგორ მომდიოდა წვეთწვეთად ღაწვებზე ცრემლები და ყურის ბიბილოებიდან ქვიშაზე წვეთავდა. დიდი გაპირებით დავიოყე მტანჯველი სურვილი ცხვირით ჰაერი შემესრუტა. მაგრამ ჩემამდე ეს გააკეთეს მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ...

ახალი წლის ზარ-ზეიმი იყო...

ქვევიდან ისმოდა ხელების თანაზომიერი ტყაპუნი ცოშზე, ვარცლის კაკუნი საყრდენზე და ერთი და იგივე ხრინწიანი განკარგულებების გამცემი ხმა.

კრინტი არავის დავვიძრავს.

„კი, მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, მე ზომი...“ მაგრამ რარიგ არ ვცდილობდი ჩემი თავგადასავლისათვის მიმეცა ჰეროიკულ-რომანტიკული ელფერი, და ეს ყველაფერი დამემთავრებინა „უცხოური დიპლომის“ მიღებით და შინ ტრიუმფალური დაბრუნებით... მაინც არაფერი გამოდიოდა. ნამეტანი დახუთული ჰაერი და ჭუჭყი იყო აქ...

ბოლოს, ფარულ ჯიბეზე იდაყვი მაგრად მივაბჯინე და მაინც ჩამეძინა.

არაჩვეულებრივმა სიციხემ გამომალეძა. ეტყობოდა, უკვე დიდი ხანია, გაეხურებინათ ღუმელი და ცოში შეელაგებინათ, რადგან ფურნეში სრული სიჩუმე სუფევდა.

ქვიშას ხელი მოვეუსვი, ძალზე გახურებული იყო.

ტოგოსაც, ჩემს მარცხნივ რომ იწვა, გასჭირებოდა, რადგან ღუმელზე შესასვლელის ოვალურ ფონზე მოჩანდა მისი მჭდომარე სილუეტი.

— არც შენ გძინავს, ტოგო?

სილუეტი გაქრა, და მერე, ცოტა მის-  
გან მოშორებით ქვიშა ახმაურდა. მე ხე-  
ლი ტოვოსაქენ წავიღე — მას არხეინად  
ეძინა.

სწრაფად წამოვჯექი და თავი ქერს  
მაგრად შევახალე, მაგრამ ცარიელი  
ოვალის გარდა ვერაფერი დავინახე.

ისევ დაახველა მოპირდაპირე კედელ-  
თან მთვრალმა, არაფრით არ შეიძლე-  
ბოდა ეს ის ყოფილიყო. „აღმათ დამე-  
სიზმრა“, — გავიფიქრე და უკვე და-  
წოლას ვაპირებდი, როცა კვლავ ახმა-  
ურდა ქვიშა, ვიღაცა ნელა მიცოცა-  
და გასასვლელისკენ.

ბოზღვით გამოვეკიდე, მაგრამ ვიდრე  
შევისგან აფართხალებულ ტოვოზე გა-  
დავძვერი, ქურდი უკვე კიბეზე ჩადიო-  
და. მე მოვასწარი მხოლოდ ნაპრაღში  
გამეყო თავი და დამენახა, როგორ მო-  
უხვია ქურდმა ლუმელის კუთხეს.

თახჩაზე მდგარი ჭრაქის შუქზე მაინც  
შევნიშნე, რომ იგი ჯმუხი იყო და ჩამო-  
ფხატული ქუდიდან კეფაზე ჩამოყრილი  
თმა ჩალის ფერისა ჰქონდა.

ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ ერ-  
თადერთი ასეთი ფერის თმიანი ადა-  
მიანი, რომელიც ჩვენ თურქეთში ვნა-  
ხეთ, იყო ყარსელი თარჯიმანი იუსუფი,  
რომელიც შემდეგ იუზეფი, სოლოვეც-  
კის მონასტრიდან გამოქცეული პოლო-  
ნელი პოლიტიკური პატიმარი აღ-  
მოჩნდა:

პირველი, რაც მე გავაკეთე, ფარული  
ჯიბე მოვისინჯე, მერე კი გამოღვიძებუ-  
ლი ბიჭების შეკითხვებს ვუპასუხე. ჩემი  
ეჭვი, რომ ეს იუსუფი იყო, ბიჭებისა-  
თვის არ გამიხვლია, რადგან ვიცოდი,  
მაინც არ დამიჯერებდნენ. შემდეგ ყვე-  
ლანი ქვევით, ჭრაქის სინათლისკენ ჩა-  
ვედი.

ფქვილში ამოგანგლული საში ბაბაზი  
კუთხეში ცარიელ ტომარაზე ხვრინავდა,  
მეოთხე კი ლუმელთან ტაბურეტზე ჩა-  
მომჯდარიყო, თავი ვარცლის კიდზე  
მიეყრდნო და ისე ეძინა.

ყველამ, სტეპკოს გარდა, ჩვენი სამა-  
ლაკების შემოწმება დავიწყეთ, და აქ  
ტოვომ შენიშნა, რომ მისი პალტოს

მარცხენა იღლია გაქრილი იყო, სწო-  
რედ იქ, სადაც მას ფარული ჯიბე ჰქონ-  
და. ქურდმა, ჩანს, ზუსტად იცოდა ფა-  
რული ჯიბის ადგილი.

თენდებოდა. ბიჭები კვლავ ლუმელზე  
აძვრნენ, მე კი აქეთ, ზღვისკენ წამოვე-  
დი. რანაირად აღმოჩნდა იუსუფი აქ  
ჩვენზე ადრე, საიდან შეეძლო სცოდ-  
ნოდა ფულის შესახებ, ანდა, ისიც კი,  
თუ სად ინახავდა მას ტოვო?

თანდათან ნათდებოდა და გამკვირვა-  
ლე ხდებოდა მღვრიე ლეგა ცა, ვერცხ-  
ლად აელვარდნენ მაღლა, ზეცის შორე-  
ულ სიღრმეში აქამდე უხილავი ღრუბ-  
ლები. აი, ამისთანა ღრუბლებზე ჩამომ-  
ჯდარს ხატავენ ხოლმე შიშველფეხებ-  
ჩამოშვებულ, წვერებიან ღმერთს... ეშ-  
მაკს კი, აი, იმისთანებზე, დაბლა და-  
შვებულ ტყვიისფერ ღრუბლებზე, რომ-  
ელთა ნაპირები ახლა მუქ ნარინჯის-  
ფრად იწყებენ შეღებვას...

სიხარულითა და ღელვით ველოდი  
მზის ამოსვლას და რაც უფრო და უფრო  
ნათდებოდა, მეჩვენებოდა, რომ ვონე-  
ბაც მინათდებოდა.

ერთადერთი, რაც მე ახლა მიყვარდა,  
ეს იყო მზე. დიადი, შეუდარებელი და  
უბაღლო მზე!

მზეს შეიძლება თაყვანი სცე, რადგან  
ის ამას იმსახურებს... მაგრამ თაყვანი  
სცე ადამიანის მსგავს არსებას — ეს,  
მტყნარი სისულელეა.

ადამიანმა ხომ იმიტომ გამოიგონა.  
თავისივე მსგავსი ღმერთები, რომ მერე,  
გაიოლებოდა მათი თანამონაწილეებად,  
გახდომა...

ახლა მე უკვე აღარაფერი აღარა  
მწამს... თუმცა ვიცი, რომ ეს ძნელია,  
მაგრამ ეს ასეა, და ვერაფერს ვერ ვი-  
ზამ. ამ პრიმიტივ ომარსაც კი ნაკლებ  
უჭირს, ვიდრე მე, რადგან მას რალაცა  
სძულს... და რალაცა, შეიძლება დიდი  
სისულელეც, მაგრამ სწამს.

რანაირად მოხდა, რომ იუსუფი... ჰო,  
ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის.  
ისიც, რომ მან წაგვიყვანა თავისთან და  
ყოველნაირად ცდილობდა ჩვენს დათ-  
რობას, ისიც, რომ რალაცა ტრანსპორტი

შემოგვთავაზა ხოფაში წასასვლელად, სულზე ას ლირად, და ჩვენ რომ ერთმანეთში ვთათბირობდით, დაასკვნა ფული ექნებათო. და ტოგოს ეს საძაგელი ჩვეულება — შეუშინებლად (როგორც თვითონ ეგონა) ხელის წავლება იმ ადგილზე, სადაც ფული ჰქონდა შენახული.

ყოველგვარი ექვის გარეშე, ეს იუსუფი იყო, ჯერ კიდევ მაშინ, თავისთან რომ წავგიყვანა, ბებუთის მარჯვედ ხმარებას რომ გვასწავლიდა და ჭურღების უხამს პანტომიმებს გვაჩვენებდა, მე ვავიფიქრე, რომ იგი სისხლის სამართლის დამნაშავეს უფრო წაგავდა... მაგრამ სოლოვიდან გამოქცეულის შარავანდედმა სძლია ამ შთაბეჭდილებას.

ჩვენ ხომ, ჩვენი სტუმართმოყვარე თანამემამულის, გზის ოსტატის სახლის შემდეგ ხუთჯერ მეტი მანძილი გამოვიარეთ და სოფლების ერთფეროვანებასთან ერთად ბევრი იმისთანა რამეც ვნახეთ, რისი გახსენებაც კი ქრუანტელს მგვრიდა.

ყარსისკენ მიმავლებმა ჩვენ გავიარეთ არდაგანი, თოვლით დაფარული პატარა ქალაქი, რომლის ქუჩებში აქა-იქ ჩარკობილ ბოძებს სიბუნელში რამდენჯერმე ზედ წავაწყდით, ვიდრე ეანდარმერისი შენობას მივაგნებდით. იქიდან კი გარიყრაზე წამოვედით, როდესაც მოთეთრო ბურუსში, ოდნავ შეიძლებოდა რაღაცა სახლების გარჩევა.

თუმცა მთავარი ამბები არდაგანში ყარსიდან დაბრუნებისას მოხდა, მაგრამ არდაგანში პირველად ყოფნისასაც არ აგვეცა პატარა ინციდენტი.

ეანდარმერისი ყაზარმაში, სადაც ჩვენ მცველმა ღამის გასათევად მიგვიყვანა. მოწყალეებით დაგვრთეს ნება, ცემენტის იატაკზე ღუმელთან დაწვოლილიყავით იმ პირობით, თუ ჩვენ ცეცხლს ვუმუდმებდით.

წესიერად გასწორებულ, ერთმანეთის მოპირდაპირე კედლებთან ჩამწყობიერებულ ეანდარმთა საწოლებს შუა, ვიწრო გასაველში თუჯის პატარა ღუმელი იდგა.

მთელი ღამე რიგრიგობით, კეთილსინდისიერად ვყრიდით ღუმელში ნახშირს, დილით კი... მაგრამ აქ უკვე მწველია დადგენა, რადგან მერე თითოეული ამტყიცებდა, ჩემი რიგი არ იყოო.

ჩვენ შემზარავმა კვილმა გამოგვავლევია, რომელსაც მოჰყვა არცთუ ძალიან პატივსაცემი წიხლები.

გაცოფებული უფროსი ეანდარმი, საცვლების ამარა, ანთხევედა ლანძღვავინებას და თან ჩამქრალ ღუმელზე გვანინშნებდა.

რადგან ერთმანეთზე მიკრულები ორ დაგებულ პალტოზე ვიწექით, და დანარჩენი ორი პალტოს კალთა, ჩვენ რომ გვეხურა, მაგრად ჰქონდათ ჩაბლუჯული ერთი მხრიდან სტეპკოს და მეორიდან — ომარს, ამიტომ პირველები ისინი წამოდგნენ და ომარს იქვე მაგარი სილა მოხვდა, მერე ეანდარმმა სტეპკოს გაუქნია ხელი გასარტყმელად, მაგრამ სტეპკო მკვირცხლად ხელქვეშ გაუსხლტა და იატაკზე გაშხლართულმა ჩამქრალ ღუმელს დაუწყო ბერვა.

გაქნეული ხელით ეანდარმი მიუტრიალდა სახტად დარჩენილსა და საცოდავად თვალეზმობამხამე ომარს, მეორედ გააწნა სილა, სქელი კურტუმის ქნევით საწოლთან მიიბრინა და ლოგინში შეძქრა.

ვიდრე სტეპკო კარგი ცეცხლფარეშით ღუმელს უტრიალებდა და თან ამაოდ ცდილობდა დაეფარა თავისი დაუსრულებელი კმაყოფილება, ომარს სულ უფრო და უფრო უწითლდებოდა ცხვირის წვერი.

შემდეგ ამას მოჰყვა გზა ყარსისკენ. ორმოცდაათგარდუსიანი ყინვები... და თურქეთის გულიანი გლეხების უწინდებური სტუმართმოყვარეობა.

იყო ისეთი სოფელიც, რომელშიც ჩვენ ღამე გვათითებ მხოლოდ იმიტომ, რომ გზა აგებდა.

— ესენი თურქები არ არიან... დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდი ბანდიტები არიან! — გვიხსნიდა მცველი, როდესაც შებინდებისას ვუახლოვდებოდით თუმცა თოვლის სუღარაგადაფა-



რებულ, მაგრამ მინც უღიმღამოდ გამომყურე სოფელს. — დამე მორიგეობით უნდა ვიფიზლოთ თორემ შეიძლება ყელეები დაგვაქრან ყველას.

სოფელი მინც ძალიან ღარიბი აღმოჩნდა, ხოლო ხალხი კი საოცრად სიმპათიური და იმდენად კეთილიც კი, რომ ძველთაძველი ზანდუკის ძირიდან ამოიღეს ჭუჭყიან ქონძებში გახვეული შაქრის ხუთი ნატეხი და დაქინებით გვაიძულეს გვეჭამა.

მე ვერაფრით ვერ გავიგე რა ეროვნებისანი იყვნენ, მაგრამ ისე დავიჭერე მათი ჩვენდამი კარგი დამოკიდებულება, რომ, როდესაც ჩემი მორიგეობის რიგი დადგა, მშვიდად მეჭინა.

აი, ამ სოფლის მომდევნო სოფელში კი, აშკარა კომარული ამბავი დამემართა.

იქაურობა მთავორიანი იყო, განიერი და ღრმა ხევეებით, სოფელი კი, რომელსაც საღამო ხანს მიუუახლოვდით, საკმაოდ მაღალ, შაქრის თავის მსგავს მთის წვერზე იყო მიკოსებული.

აღმათ, ფერდობის კალთაზე წყარო ანდა მდინარე იყო, რადგან სოფლისკენ მიმავალი აღმართი მთლიანად ყინულს დაეფარა.

ჩემს სიცოცხლეში ეს პერველი შემთხვევა იყო, რომ სიამოვნებას არა მგვრიდა გაყინულ ფერდობზე სრიალი. ბოლოს, როგორც იქნა, ავედით ამ სოფელში და ყველაზე დიდი მიწურის კარს მივეუკუენეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ უკვე იატაკზე ვისხედით, ფაფით სავსე ვეება ჯამფილის ირგვლივ, რომლის შუაგულში ქარვის თვალივით ანათებდა გამდნარი ერბო.

სქელი და მწვანე კვამლის გამო კარგად მოჩანდა ჯამფილის ირგვლივ შემომსხნდარ ოჯახის მრავალრიცხოვან წევრთა მხოლოდ მუხლები და ზედ დაწყობილი ხელები.

ვილაცის ბებრულმა ხმამ მოწყალების გაღებისათვის დალოცა ალაპი და ხელები ჯამფილისკენ ამოძრავდნენ. თითები ჯამფილის ნაპირიდან ფაფის

ლუკმას იღებდნენ და ეშურებოდნენ შუაგულისკენ, გამდნარ ერბოში ჩასაწებად.

ეს იყო ჩემი საყვარელი კორკოტი და ვაპირებდი კიდევ მიმეზლო მისთვის კუთვნილი, როდესაც ჩემი მზერა უნებლიეთ გაჰყვა გაძვალტყავებულ თითებს, რომლებმაც ერბოში ჩაწობილი ფაფა პირთან მიიტანა... და აქ, კინაღამ გული შემიღონდა.

თითები ფაფას სტენიდა... თავის ქალის ფართოდ დაღებულ პირის ღრუში!

როდესაც ისევ გავბედე იქითკენ გახედვა, კვამლის ბოლქვებში დავინახე გრძელი, გამოშვლებული კბილები, მათ ზევით ცხვირის ადგილას ჩაშავებული ნაპრალი, გამოწეული წარბების რკალებს ქვეშ ღრმად ჩამჭდარი წყვილი თვალი და სრულიად ტიტველი თავის ქალა.

რადაც საშინელ ავადმყოფობას გამოეხრა ადამიანისათვის ნახევარი სახე და თან ცოცხალი დაეტოვებინა.

მე დავაკეტრდი კვამლში გახვეულ ოჯახის დანარჩენ წევრთა სახეებს, ყველა ნორმალური იყო.

ბიჭებს კი არაფერი შეუმჩნევიათ, ისინი ერთმანეთს ჭამის სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ და სრულიად დავიწყებოდათ ელემენტარული ზრდილობა.

ჭამა უკვე აღარ შემძლო და ეტყობა რაღაცით ვანიშნე, რომ ცუდად გავბდი, რადგან თავის ქალის წყვილი თვალი ერთხანს დაქინებით მომაჩერდა... შემდეგ კაცი წამოდგა და აჩრდილივით კვამლში გაუჩინარდა.

დანარჩენები კიდევ დიდხანს განაგრძობდნენ ჭამას, დაბოლოს სულ უფრო და უფრო ნელა იხრებოდნენ ისინი ჯამფილისკენ, ვიდრე სტეპკოს ხელმა ერთობ მოხერხებულად არ მოწმინდა ფსკერზე დარჩენილი ფაფის ნარჩენი.

არ მინდოდა ბიჭებისთვის მეტყვა იქით გაეხედათ, რომ ხასიათი არ გაფუჭებოდათ. ისინი უამისოდაც მაინცადა მაინც ვერ გრძნობდნენ თავს კარგად. იმიტ მიხედვით, თუ როგორ უმრგვალ-

დებოდათ მათ თვალები და იკრებდნენ პაერს, გასაგები იყო, რომ გადატვირთული კუჭები თავისუფალ სუნთქვას უშლიდა. მათ გამოცდილებით იცოდნენ, რომ დილით, წასვლის წინ იშვიათად თუ ვინმე გვაკმევდა, მერე კი მთელი დღე უნდა გვევლო.

დილით მე თავიდანვე ჩამოვრჩი, ყველა დანარჩენი კი, თითქოს ჯიბრზე, წუხანდელი კარგი ვახშმის წყალობით, ძალიან მხნედ მიიბიჯებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, ჩემს წინ მიმავალ სტეპკოს ზურგი მაინც სულ უფრო და უფრო მწორდებოდა. მაგრამ როცა იგი მოსახვევში პატარა ბორცვს მთლიანად ამოეფარა. მე ჯერ ბიჭებზე ბრაზი მომივიდა, მერე კი ერთმა აზრმა გამიელვა, არდაგანიდან მოყოლებული ძეხორციელი არ შეგვხვედრია გზაში... და ახლა რომ მარტო დავრჩე...

როგორც იყო, ბორცვამდე მივხანხალდი და შემოვეუარე მას, მაგრამ ბიჭები და მცველი თითქოს მიწას ჩაეყლაპა.

ჩემს წინ გაიშალა განიერი ხევი. ხოლო მისკენ მიპავალი ბილიკი ორ ტოტად იყოფოდა და თითოეული მათგანი იქარგებოდა თოვლით დაფარულ ვეება კლდეებს შორის.

შევჩერდი და დავიძახე ერთხელ, მეორედ, მესამედ... პასუხის ღირსი მხოლოდ ექომ გამხდა.

და აქ ვიგრძენი საშინელი მარტოობა..

ჯერ მარჯვენა უზარმაზარი კლდის შუა ჩაკლავნილ ბილიკს გავყევი, მაგრამ როცა ზედ ჩამოყრილი სრულიად შეუღალახავი, თოვლი დაეინახე, უკან, განშტოებისკენ დაებრუნდი. მერე მარცხნივ, აზიდულ კლდის შუა ლაბირანთს გავყევი და თან ვწყველიდი ჩემს ცარიელ, თითქოს ხერხემალზე მიკრულ მუცელს, რომლის გამო მუხლი მეკვეთებოდა და ჩვეთან გამოსულმა, შორს, დაბლა, ბრამის მთლად ნაპირას მწყრივად მიმავალი ბიჭები დაეინახე.

დაღმართზე, მავთულზე მოსიარულე ჯამბაზივით, წონასწორობისათვის ხელ-  
„მნათობი“, № 9.

ებგაშლილი ჩავდიოდით... მაგრამ, მაშინაც, როდესაც უკვე სწორ გზაზე ვაველი, ბიჭებს ვერაფრით ვერ დავხვდები.

ის საძაგლები კი, ერთხელაც არ შეჩერებულან, რომ ჩემთვის დაეცადათ.

უპ, დამაცადონ, რა დღეს დავაყრი... მე იმათ ვერცხვი... და დავიწყე უკვე აღარ მახსოვს ხმამალა თუ ჩემთვის, ამოლაგება ყველაფრისა, რაც კი გულში მქონდა.

— შენ, — მიემართე ომარს. — კაცად მოგაქვს თავი და უნამუსო დედაკაცივით ამხანაგს განსაცდელში სტოვებ.

— თავი დამანებე ერთი!.. აქეთ გამოქცევისას განა არ იცოდი, რომ აქ მხოლოდ ძლიერნი და უღმობელნი ინარჩუნებენ სიცოცხლეს...

— კარგი, როგორც კი გამოვეყოლები, მე შენ უღმობლად მიგთეთქვავ, იმიტომ, რომ შენზე ძლიერი ვარ...

თავისივე ლოგიკით დამარცხებულმა ომარმა ველარაფერი მიპასუხა და მე ტოვოს მიემართე:

— როგორ არა გრცხვენია!.. ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ და ისე მიმართე, როგორც...

— შენი საუკეთესო მეგობარი ახლა მე კი არა, სტეპკოა.

— არა, მე ის მხოლოდ მეცოდება.

— ჰო და, შეიცოდე, ვინ გიშლის!.. ხედავ, სამაგიეროს როგორ გიხდის, ზურგით იმდენი რომ ათრივ...

— ახლა ლაპარაკი შენზეა და არა იმაზე.

— მე... მე შენ არც კი შემომინევიხარ. შენთან ყველაზე ახლოს სტეპკო იყო და სწორედ ის უნდა მოგხმარებოდა. მაგრამ თუ... მაშინ მეც, რაღა თქმა უნდა...

— კარგი, მე მოველაპარაკები სტეპკოს.

— რა საჭიროა! მასთან ლაპარაკი იგივეა, რაც მოსთხოვო ვალი იმ ადამიანს, რომელმაც არ იცის დაბრუნება.

— კარგი იდეაა, „მოსთხოვო ვალი“. ეი, სტეპკო! სტეპკო!.. თავი ისე გიკვი-

რაც, თითქოს არ გესმოდეს, შე გაიძვე-  
რაე!

— არ შეიძლება ცოტა ზრდილობი-  
ანად ილაპარაკო? რა მოხდა, რა ამბა-  
ვია!

— შეიძლება უფრო ზრდილობიან-  
დაც... თქვენობითაც კი. საქმე არსშია  
და არა ფორმაში. ერთი მითხარი, თუ  
შეიძლება, რატომ არ მიბრუნებთ ჩემს  
ვალს?

— იმიტომ, რომ, ტილების გარდა,  
არაფერი მბადაია.

— მე სხვაზე მოგახსენებთ. იმაზე,  
რასაც ისე ხელგაშლილად გასესხებდით  
ხოლმე. ადამიანობაზე!... მე თქვენ გა-  
თრივით, მაშინ, როცა დადლილობისა-  
გან მუხლს ძლივს ვიმაგრებდი... იმდენ-  
ნი დღე!..

— როცა მექნება ფული... ესე იგი,  
ღონე, მაშინ ზურგზე წამოკიდებულს  
გათრევთ მე თქვენ, რამდენსაც ინე-  
ბებთ... ახლა კი, მე, ფიზიკურად არ შე-  
მიძლია დაგიბრუნოთ თქვენი ვალი.

— თუკი მე ახლა მჭირდება?!

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, ცოტა  
მოცდა დაჭირდებათ. მე ახლა დიდ  
ეკონომიურ... ესე იგი, ფიზიკურ გაჭი-  
რებაში ვიმყოფები...

— კი, მაგრამ, მაშინ ხომ მეც...

— რადგან მაშინ მასესხეთ, მაშასა-  
დამე, შეგეძლოთ!.. მე კი ახლა არა-  
ფრით არ შემიძლია, ბოდიშს ვიხდი  
მაგრამ დრო არა მაქვს...

— შენ დიდი გაფუჭებული ვინმე  
ყოფილხარ, სტეპო!

— არც შენა ხარ ნაკლები... ფეხებზე  
ძლივს დგახარ და ფახიფუხობ!.. შენ  
ახლა ორი წლის ბავშვიც კი... რაო,  
ხომ არ გინდა ცხვირ-პირი ამოგინაყო?

— აა, მომენტით სარგებლობ?

— მერე, სწორი გგონია რომ შენ  
ყოველთვის ჩემზე ღონიერი ხარ... და  
მუდამ სარგებლობ ამით?! მაშ, თუ  
ასეა, რატომ არ შეიძლება, რომ ერთ-  
ხელ, როდესაც მე შენზე მეტი ღონე  
მაქვს, მეც ვისარგებლო ამით?

აქ მე უკვე ვერაფერი ვუპასუხე...  
ისინი კი შორს იყვნენ, თითქმის მთე-

ლი კილომეტრით, უნდა ავჩქარებუ-  
ლიყავი... ფეხი დამისხლტა და შევეშ-  
ხლართე. არასოდეს არ ავიწყებდათ,  
თუ ასეთი სასიამოვნო იქნებოდა წო-  
ლა.. მერე კი ისე ძნელი, ფეხზე წამო-  
დგომა... და სიარული... სიარული...

ყარსი, თურქ-სელჯუქთა მრისხანე  
ციტადელი თამარ მეფის ლაშქრის  
მიერ 1204 წელს დაპყრობილი, ახლა  
მშვიდობიანი, პატარა პროვინციული  
ქალაქია, და მხოლოდ მთავარ მოედან-  
ზე მდგარი მისი ერთი შენობა ფანჯრე-  
ბიდან გამოშვერილი საკვამლე მიწების  
გამო, საბრძოლოდ გამოიყურება.

ჩვენ შიდა კიბით მეორე საართულ-  
ზე ავედით და ვიდრე გამოხილ კარს  
ხელს ვკრავდით, სახიდან ჩამოვიცი-  
ლეთ ძონძები, თავებიდან — ოდეს-  
ღაც წითელი ბლდადები, ხოლო პალ-  
ტოებიდან ღილების შემცველი კანა-  
ფები.

საკმაოდ დიდი მისაღები ოთახის სა-  
მივე მხარეზე სამუშაო კაბინეტის კარი  
იყო, მეოთხეზე კი, დაჭირბულული, შუ-  
ქის ძუნწად გამტარი ფანჯრები.

უცნაურად მომეჩვენა, მართალია გა-  
ზინთული, მაგრამ მაინც ფიცრის იატაკი.

ამ იატაკზე გაცილებით უკეთ დაიძი-  
ნებს კაცი, ვიდრე ცემენტზე, გაიეღ-  
ვა აზრმა და მხოლოდ შემდეგ მივხვდი,  
რომ ეს „ძალღური ფსიქოლოგია“ იყო.

მცველმა შევეიყვანა კაბინეტში, სა-  
დაც საკუთარი ღირსებით აღსავსე, მაი-  
სის ღრუპს მსგავსმა ჩინოვნიკმა მრის-  
ხანელ შეიკრა შუბლი, თავიდან-ფეხე-  
ბამდე აგვათვალაიერ-ჩაგვათვალაიერა და  
მერე, სტრიქონებზე მარცხენა ნეკზე  
გრძლად წამოზრდილი ფრჩხილის გა-  
ყოლებით დაიწყო ჩვენი ქაღალდის კი-  
თხვა.

— ამით თურქული იციან? — ჰკითხა  
მცველს.

მცველმა ჯერ გაცოცხებით აიჩინა  
მხრები და მერე ჩემზე მიუთითა:

— თქვენთაგანს რომელს ჰქონდა  
ნაგანი? — მკითხა სიხვეთ თვალეზდა-

ვიწროებულმა ღრაქას მსგავსმა ჩინო-  
ნიკმა.

ენის შესწავლისას მუდმივი სურვი-  
ლი მქონდა თურქულად მელაპარაკა,  
მაგრამ ახლა ეს სურვილი სრულიად  
გამიქრა.

— არ მესმის. — ვუთხარი მე.

— თქვენგან რომელს ჰქონდა ნაგა-  
ნი? — დაიყვია სიბრაზისაგან სახეან-  
თებულმა ღრაქამ.

— არ მესმის. — ვთქვი მე.

— ამას არ ესმის. — უთხრა და შე-  
მოხედვით მანიშნა, რომ არ შეეწყუხე-  
ბულიყავი.

— მაშ, შენ რაღა ეშმაკად... — ღრა-  
ქამ მუშტი ასწია, სავარძელში შეტრი-  
აღდა და ზურგს უკანა კედელს მიუკა-  
კუნა.

— მე შემძლია წავიდე? — ჰკითხა  
მცველმა. — აი, ხელი მომიწერეთ.

მცველმა გზაში მითხრა, რომ ყარს-  
ში ვიცი ერთი სახლი, სადაც ძალიან  
ლამაზი ქალები არიანო. როდესაც გა-  
დიოდა, მისი გაბრწყინებული თვალები  
შეტყველებდნენ, რომ იქ მიეჩქარე-  
ბოდა.

კაბინეტში შემოვიდა ხნიერი, ავად-  
მყოფური შესახედაობის კაცი. თვალებ-  
ის საცოდავი ხამხამით მან მოისმინა  
დაგვიანებისათვის უფროსის ტუქსეა და  
მერე განკარგულების შესასრულებლად  
გაიქცა.

ღრაქას სიტყვებიდან მივხვდი, რომ  
მან ეს კაცი ვაგზაუნა თარჯიმნის მოსა-  
ყვანად, რომელსაც სახელად იუსუფი  
ერქვა.

ჩვენ ვიდევით და ველოდით. დალლი-  
ლმა სტეპკომ მიზანში ამოიღო კუთ-  
ხეში მდგარი სკამი, შეუძინველად მი-  
უხლოვდა მას და ის იყო ჩამოჯდა,  
რომ ღრაქას აღშფოთებულმა ღრიალმა  
იძულებული გახადა წამომხტარიყო და  
ჩემს ზურგს ამოფარებოდა.

ქოშინით დაბრუნდა ვაგზაგანილი კა-  
ცი და თქვა, რომ იუსუფი იქ არ და-  
დაო.

ამან გამოიწვია საცოდავი თანამშრო-  
მლის ხელმეორე გაათახგა და შემდეგ

ამას მოჰყვა ძალიან ეფექტური პაუზა,  
რომლის დროსაც ღრაქა ფიქრობდა.

— სთხოვე აბდი-აღა ეფენდი. ბო-  
დიში მოიხადე, რომ ჩვენ თვითონ არ  
ვეახელით... მაგრამ ამ ღორებს იქ  
ვერ...

თანამშრომელი გაგების ნიშნად თავს  
უქნევდა, ზიზლით შემოგებედა, როდესაც  
უფროსმა ღორები ახსენა და საჩქა-  
როდ ვავიდა.

მე აბსოლუტურად ყველაფერი გაეი-  
გე, რასაც ამბობდა ის გაბღენძილი  
კრეტინი, მაგრამ მაინც ზოგჯერ სჯობ-  
ია ნამდვილად არ გესმოდეს, ვიდრე თა-  
ვი აჩვენო, რომ არ გესმის.

კარი გაიღო და კაბინეტში მედი-  
დურად შემოვიდა ძალიან მაღალი,  
მხრებეწირო და თქმობგანიერი ჰერმე-  
ფროდიტის სახის კაცი.

თუმცა იმის გამო, რომ იგი ქოსა იყო,  
ქირდა მისი ასაკის დადგენა, მაგრამ  
კანის სიყვითლითა და ნაოჭებით მა-  
ინც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ხან-  
ში შესული იქნებოდა...

შემოსული ჩაცმული იყო იმ სინატი-  
ფით, რომელიც აქვს ზოლზე ამ საუკუ-  
ნის დასაწყისის სამიჯნურო როლების  
შემსრულებელ პროვინციელ მსახიობს.  
ცელულოზის გაშეშებული საყელო  
ბანტით, შავი კიტელი და ზოლებიანი  
შარვალი. მხოლოდ დაქდაჯა ყვითელი  
ფეხსაცმელები ცოტა ამოვარდნილი  
იყო სტილიდან.

ღრაქა წამოხტა, რვევრანსებით მიიყ-  
ვანა შემოსული თავის სავარძელთან,  
დასვა და დიდი ამბით მობოდიშება და-  
უწყო.

— ბოდიშს ვიხდი, რომ შემოგებდეთ  
შეწუხება, აბდი-აღა ეფენდი; მაგრამ  
ვიცი, რომ სტამბულში თქვენ ტრია-  
ლებდით მაღალ საზოგადოებაში...  
უცხოელებთან...

— არა უჭირს, არაფერია!... — წყა-  
ლობით შეიწყინა აბდი-აღამ და მთელ  
მეტრზე გამოყო მაგიდის ქვეშიდან თა-  
ვისი გრძელი ფეხები. — აბა მაშ, რო-  
მელი ენა გჭირდება?

— რუსული.

— ა, ა, ა... შეიძლება.. მე სტამბულში ერთ რუს ბარონესას ვიცნობდი... რა ერქვა.. მის ერთი სალონი ჰქონდა... მომაგონდა, ჰერტრუდა ფრანცევანა! როცა მუშტარი ბევრი ჰყავდა, მაშინ თვითონ ეხმარებოდა ხოლმე ქალებს მუშაობაში... აბდი-ალამ ენა მოისვა იისფერ-წითელ ტუჩებზე და შემდეგ ჩვენ დაგვიწყო თვალღერება, ეძებდა, რომლისთვის მიემართა. მისი არჩევანი ტოგოზე შეჩერდა.

— გამარ-ჯობათ... — ტოგოზე მიშტერებით თქვა მან.

— გამარჯობათ. — თავაზიანად უპასუხა ტოგომ, მაგრამ აბდი-ალამ ხელი აუქნია, რომ შეეწყვეტინებინა ლაპარაკი.

— გამარ...ჯო...ბათ... რამდენი... ფული, წამო, დავიძინოთ... შლაფენ... ტოგო დუმდა.

— ამათ მგონი რუსული არ ესმით. — უთხრა აბდი-ალამ ღრაქვას. — მაგრამ მე კიდევ ვცდი.

— თუკი არ შეწუხდებით, პატივცემულო!

გრძელი ხელის ფართო ეცებით აბდი-ალამ ანიშნა, რომ ეს მისთვის სრულიად არაფერს ნიშნავდა და კვლავ მიაშტერდა ტოგოს.

— შენი დედა... — თქვა მან.

— შენი დედაც და... — აღშფოთებით უპასუხა ტოგომ.

— მაღლობა! — თქვა აბდი-ალამ.

— ბებიაშენიც! — თითქმის წამოიყვია ტოგომ, რომელიც საოცარ ვაეკაცობას ავლენდა ხოლმე ყველაზე მძიმე პირობებში.

— მაღლობა!... — აბდი-ალამ კმაყოფილებით ჩაიციხა და მიუბრუნდა ღრაქვას. — მგონი ესმით.

— მაშ ჰკითხეთ, რომელ მათგანს ჰქონდა ნაგანი.

აბდი-ალა დიდხანს ფიქრობდა, ვიდრე წინადადებას ააწყობდა.

— შენ ნაგანი?.. — ჰკითხა მან ტოვოს და როდესაც პასუხი არ მიიღო, თითოეულ ჩვენგანს იგივე შეკითხვა მოგვცა.

ჩვენ მხრებს ვიჩეხავდით და ტურქულად ვეუბნებოდით, რომ ჩვენი გვესმობდა.

ზიზლიჩოთიქა

— ამათ ესმით, მაგრამ არ უნდათ ლაპარაკი. — მიბრიცა თვალები აბდი-ალამ გვერდით მდგარ ღრაქვასკენ. — ესენი მე ვერ მომატყუებენ... მე ასევე კარგად კიდევ ხუთ ენაზე ვლაპარაკობ!..

ალბათ ღიმილის დაფარვა ვერ შეეძელი, რადგან ღრაქვამ დაიყვირა და ხელით კარისკენ გვანიშნა.

ჩვენ გამოვედით და კედელთან მერხზე ჩამოვსხედით.

კაბინეტის კართან წინ და უკან დადიოდა მაღალი, მოზღენილი, შვირფასქურქიანი კაცი, რომელსაც „ცარსკის“ ჩექმებზე ახალთახალი პრილა კალოშები ეცვა.

— ეს, ალბათ აქაური მდიდარი ვინმეა. — მითხრა სტეპკომ. — ეჰ, ნეტავი მე მომცა ამისი ქურქი.

— აფსუსია ქურქი... შუაზე გადაჭრა დაგვირღებდა.

— მერე რა? მონაქერისაგან შენ ქურთუკს შეიკერავდი. — სულგრძელად გამოიმეტა ჩემთვის ქურქის მონარჩენი სტეპკომ.

— ბრაუნინგის შესახებ არაფერი უთქვამს? — იკითხა შეწუხებულმა ტოგომ.

— იქნებ არც იცის ამის შესახებ.

— დამშვიდდი. რადგან არ იკითხა, არ იცის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ბრაუნინგი ნამდვილად მთორმეა მიითვისა.

კარი გაიღო და კაბინეტიდან გამოვიდა საკუთარი ღირსებით აღსავსე აბდი-ალა. ძვირფასქურქიანი კაცი აედევნა მას და უკადრისი პირობებით წელში მოხრილი გზა და გზა რაღაცას ეუბნებოდა. აბდი-ალა არამც თუ არ შეჩერდა, მისკენ არც კი გაუხედავს.

ასე გაიარეს მთელი მისაღები ორივე მაღალმა, ერთმა მედიდურად ყელმოღერებულმა ჰერმეტიკით, მეორემ კი ჩასხმულმა, ლაპაშმა, მაგრამ

არა ნაკლებ საზიზღარმა თავისი მოწყობის საქციელის გამო.

თავის კაბინეტის კართან აბდი-ალამ უხეშად რალაც უთხრა ქურქიან კაცს და ცხვირწინ მიუჭახუნა კარი.

მე მეგონა, რომ შერცხვენილი ქურქოსანი წავიდოდა, მაგრამ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მან მშვიდად გაიარა მისაღები, შემდეგ კი მოვიდა და ჩვენს მერხზე ჩამოჯდა.

სპექტაკლი ჩვენთვის დამთავრებული იყო და დავიწყეთ რესტორნის ვიტრინაზე ნანახი კერძების ხარისხის განსჯა.

— თქვენ ქართველები ხართ? — მოულოდნელად, გამართული რუსული ენით მოგეშართა ქურქიანმა კაცმა.

თურმე მას ბავშვობა თბილისში გაეტარებინა, სადაც მის მამას მეიდანზე მალაზია ჰქონოდა. თვითონ კი აქ, ყველის ქარხნის მეპატრონე ყოფილა, საქმეები კარგად მისდოდა და ახლა საამქროების გასაფართოებლად ქარხნის გვერდით მდებარე მიწის მიღება უნდოდა.

თავის მხრივ მან თბილისზე გამოყოფის დაგვიწყო, მაგრამ ჩვენ პასუხს აღარ დაუცადა და გაეშურა კაბინეტიდან გამოსული აბდი-ალასკენ.

მომორებით წასული აბდი-ალა გაჩერდა და ჩვენ გავხდით მოწმენი ისეთი საოცარი საქმიანი ლაპარაკისა, რაც კი ოდესმე გავანილი გვექონდა.

— თხუთმეტი! — თქვა — აბდი-ალამ.

— შვიდი. — უთხრა ყველის ვაჟარმა.

ისინი იდგნენ როგორც დიდი ხნის უნახავი მეგობრები, როდესაც თითოეული ცდილობს ხოლმე ზრდილობის გულისათვის სიტყვა მეორეს დაუთმოს.

— თოთხმეტი! — წინანდელი სიმშვიდით თქვა აბდი-ალამ.

— შვიდი. — ჭიუტად გაიმეორა ყველის ვაჟარმა.

და აქ აბდი-ალამ სახეში შეაფურთხა.

ასეთმა მოულოდნელობამ მე შემაკრთო, მაგრამ ყველის ვაჟარს წარბივ არ შეუხრია.

— რვა, — თქვა მან.

— ცამეტი! — უთხრა აბდი-ალამ და ცვლავ შეაფურთხა სახეში.

ყველის ვაჟარი დუმდა და აბდი-ალამ ისევ ლაზითანად შეაფურთხა.

— ცხრა! — თქვა ყველის ვაჟარმა.

— თორმეტი! — უთხრა აბდი-ალამ.

— ათი! — მშვიდად გამოთქვა ყველის ვაჟარმა.

აბდი-ალამ აღშფოთებით ამოიხრია და თვალები ჰერს მიაპყრო.

— თერთმეტი! — უკვე სიბრაზის პაროქსიზმამდე მისულმა აბდი-ალამ რალაც სადისტური კმაყოფილებით ცვლავ მიაფურთხა სახეში ყველის ვაჟარს.

ყველის ვაჟარმა ძალიან მშვიდად და დაჯერებით უარის ნიშნად თავი გააქნია.

აქარხლებულმა აბდი-ალამ წინ წამოსწია თავისი საზიზღარი ტუჩები.

— ახლა ნამდვილად აქლემისებური ფურთხი იქნება. — წაეჩურჩულე ბიჭებს, მაგრამ შევეცი.

აბდი-ალას ღიმილით სახე ვაებადრა... და უკვე ხელს ართმევდა მასზე არა ნაკლებ ბედნიერად მომღიმარე ყველის ვაჟარს.

მერე აბდი-ალამ რალაც უთხრა ყველის ვაჟარს, მან დასტურის ნიშნად თავი დაუქნია და ერთმანეთს დაშორდნენ. აბდი-ალა მედიდურად გაემართა თავისი კაბინეტისკენ, ყველის ვაჟარმა კი ამოიღო ცხვირსახოცი. სახის წმენდას შეუდგა და თან წინ გაგვიარა-გამოგვიარა. შეამჩნია, რომ ჩვენ მას მივშტერებოდით და მხიარულად გაგვიღიმა.

— აბა, როგორ არის საქმე? — ყასიდად შევეკითხე, თითქოს არ ვიცოდი ვაჟრობის შედეგი.

— ყველაფერი რიგზეა! — გამჭირდავი ღიმილით აბდი-ალას კაბინეტისკენ გააქნია თავი ყველის ვაჟარმა.

— მერე, ხვალ რომ იტაროს? — რა

<sup>1</sup> ყოფ. თათრის მოედანი, აწ. ვ. გორგასალის სახელობის მოედანი.

ტომდაც უსიამოვნების მიყენების სურვილით შევეკითხე მე.

— რას ამბობთ! სიტყვა სიტყვაა, დედაკაცები ხომ არა ვართ, ეს ვაჟაკური მორიგებაა! ნახვამდის, ბედნიერად!

— ბედნიერად!

ყველის ვაჟარი ზვიადად მიაბიჯებდა თავისი კალოშებიანი „ცარსკებით“ ფიცრის ქუქუჩიან იატაკზე.

— მე ხომ გითხარი, საზღვარგარეთ დიდი საქმეები კეთდება-მეთქი! — ალტაცებით თქვა ომარმა.

— ჰოო... — მრავალმნიშვნელოვნად დაუდასტურა სტეპკომ.

— არა, მე მირჩევნია შენი საპირფარეშოების ორმოები ამოვტუმშო, ვიდრე სახეში მაფურთხონ. — ირონიით ვუპასუხე, რადგან ყველაფერ ამის გამო ცოტა მაზიდებდა.

— რატომ... ყველის ვაჟარი ხომ მდიდარი კაცია. ვერ დაინახე, როგორ ეცა! — ვერ მიხვდა ომარი.

— და თან რა ჩასუტებული იყო. მე რომ მქონდეს ყველის ქარხანა... — როგორც ყოველთვის, მისცა თავი ოცნებას შურიანმა სტეპკომ.

— შენ ქარხანა არასოდეს არ გექნება! — ჩაიბურტყუნა ტოგომ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შეფურთხების გარდა, სხვა ერაფრისთვის ივარგებ!

— ნუ გეშინია... აბა, ერთი მქონდეს ფული..

ასეთი ლაპარაკი ვის არ მობეზრდებოდა.

— გაჩუმდით, თქვე იდიოტებო! — დაველრიალე მე.

ბიჭები გაჩუმდნენ. თავები მოიქექეს და ფიქრობდნენ ჩემზე, ნეტავი რა დეკლარათაო, მერე ჩათვლინეს.

მე კი მწარედ ვფიქრობდი, რა საოცრად დაბალი ინტელექტის ხალხი მერტყა ირგვლივ, რომელიც მართმევდა მე ყოველგვარ უპირატესობას... თუმცა ვერც გამეზარებინა ამ პირობებში ეს ჩემი უპირატესობა რაში შეიძლებოდა უოფილიყო გამოხატული.

მხრებში მოხრილმა მოხუცმა კაცმა, რომელმაც გვერდით ჩაგვიარა... ნაბიჯი შეაჩერა, იატაკზე დადგა და მხარის ცარიელი ვედრო და თუთუნი შემოგეთავაზა.

ყველამ, გარდა სტეპკოსი, რომელსაც ფიზიკურად არ შეეძლო მუქთაზე თავის შეკავება, უარი ვუთხარით.

ვიდრე სტეპკო საშუსუნის წითური თუთუნის არაჩვეულებრივი სისქის სიგარეტს გაახვევდა მოხუცმა გვითხრა, რომ ჩვენ სტამბულში გვაგზავნიდნენ, იქიდან კი საფრანგეთში, ანდა ბრაზილიაში, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტებს.

— ბრაზილიას არ დათანხმდეთ. იქ უცხოელებს ისეთ ადგილებში ასახლებენ, რომლებსაც ევროპიდან გამოქცეული დამნაშავენიც კი ვერ იტანენ. და იქ წასულთა დიდი ნაწილი უკვე ამოწყვეტა ტროპიკულმა მალარიამ.

მოხუცმა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოიხადა, აიღო ვედრო და წაცუხცუხდა, მე კი ბიჭებს მისი ნათქვამის ახსნა დაეუწყე.

თანდათანობით, რაც უფრო ერკვეოდნენ მდგომარეობაში, ბიჭებს სახის გამომეტყველება ეცვლებოდათ და ბოლოს გაუხდათ ისეთი, როგორც მაშინ. ბატის ხორცილ გამოძღომისას რომ გეჭონდა.

მართლაცდა, ეშმაკმა იცის, რა ხდება ირგვლივ... აქამდე რომ მაწუხებდა ნაგანის საკითხი, ის სრულიად არაფერი იყო ტროპიკულ მალარიასთან შედარებით.

მე წამოვდექი და სიარული დავიწყე. ფანჯრების დაკირბლულ მინებს დახეტილი ამაღამიანი შავი ფერი დაკრავდა. დამტვრეული ნათურა ჰერქვეშიდან ძუნწად ფანტავდა დაკარივლებული მისაღები ოთახის იატაკზე გაფენილ წრეებს და თეთრ ლაქებად ანათებდა მერხზე მჭდომი ბიჭების სახეებს.

მე ამოვიღე ჩემი უნივერსიტეტის წიგნაკი, სადაც მეწყო დედაჩემისა და მამაჩემის სურათები. დავედი ნათურის

ქვეშ, ბიჭებისკენ ზურგით და დიდხანს დაეცქეროდი... არა, რასაკვირველია, მშობლებს ეს არ უნდოდათ ჩემთვის...

აღბათ დაევიწყდი აქაურებს, რადგან დაიწკრილა ზარმა და ყველა კარიდან ერთდროულად გამოკვიდნენ თბილად ჩაცმული და თავშეფუთნილი ჩინოვნელები.

მე ჩვენი კარისკენ გავიქეცი.

თავზე უზარმაზარი კრაველის ქუდიანი, ქურჭში ჩაფლული პაწაწინა ღრუბა იდგა და უყურებდა თავის წინ მწყობრში მდგარ სამ მათხოვარს. როცა მიუხახლოვდი, იგი ისე დაიღრჩია თითქოს მე ვყოფილიყავი ყველა მისი უბედურების მიზეზი. მერე ხელით გვანიშნა, რომ დაგვეცადა და წავიდა კისერმოდერებული, როგორც ეტყობოდა, ხალხში ვიღაცას ეძებდა.

დაბრუნდა იგი ვიღაც პირქუშ და უქმაყოფილო ტიპთან ერთად, რომლის ერთადერთი მისანიშნებელი ყაბალახიდან გამოშვერილი ვეება, ბალნიანი ცხვირი იყო.

დიდცხვირა, ეტყობოდა ჭერ უარობდა. რადგან ღრუბა ინერციით განაგრძობდა ყვირილს.

თავის მხრივ, როცა ღრუბა მიტრიალდა და წავიდა, ცხვირამ მართალია ჩუმი ხმით, მაგრამ მთლად დასრულებული ღრუბა შინაარსით, ლანძღვა-გინებით გააცილა იგი.

მე ჭერ არ გამეგონა ასე რთულად აგებული თურქული წინადადებები და ვეცადე მაშინვე დამემახსოვრებინა, რადგან ვიცოდი, რომ ეს ენის შესწავლის ერთერთი საფუძველი იყო.

ჩვენთან კი იგი საოცრად ენაძვირა აღმოჩნდა და კრინტიც არ დაუძრავს, ვიდრე ერთი ცუდად განათებული ქუჩიდან მეორეზე გადავიდოდით, და ბოლოს, ვიდრე არ ამოვყავით თავი უშენ ადგილზე განმარტობებულად მდგარი სახლის სადარბაზოში და დაეარაბუნეთ ერთერთ კარზე.

ჩვენს გამყოფს პატარა შელაპარაკება მოუხდა ერთ მთვრალ აყლაყუდასთან, რომელიც ლამფით ხელში გა-

მოვიდა და არ გვღებულობდა რფიტობური ქალაღის გარეშე. კერძო აყლაყუდა მოლბა, გაგვიყვანა და რეფენს ბოლოში.. და კარცერში ჩაგვეკეტა.

მეორე დილას ცხვირამ ასევე უხმოდ დაგვებრუნა მთავარ სამმართველოში.

ახლა თარჯიმანის მოლოდინში, რომელიც არა და არ მოდიოდა, ჩვენ გვეწონდა სალაპარაკო მასალა, უფრო სწორად, სტეპკოს გათამაშების მიზეზი.

ამის საქმით საბაბი კი მან თვითონ მოგვცა. რასაკვირველია, იქ, კარცერში, არ შექმნილა მისთვის სასარგებლო ვითარება...

უკანასკნელი ნაღვერდალი უკვე დიდი ხანია ჩამქრალიყო პატარა ღუმელში, ჩვენ კი ორ, გადაქეუულ ტაბურეტზე წყვილ-წყვილად ჭდომელა გვეძინა, როდესაც მთვრალეების ყვირილმა, წივილმა და გინებამ გამოგვადვიდა.

შემდეგ გაიღო კარი და ჩვენს კარცერში ორი მთვრალი როსკიპი შემოაგდეს.

როგორც ეტყობა, დანარჩენი კარცერები არა თბებოდა, მე ამას უფრო მივხვდი, ვიდრე გავიგე, როცა იმ ქალების მომყვანებისა და აქაური უფროსის დავა გავიგონე.

მართალია, იმ უკუნეთში ძნელი იყო მათი სახეების გარჩევა, მაგრამ ომარმა და სტეპკომ ამ დასპირტული ორი ღამის პეპელას მიმართ საოცარი გალანტერობა გამოიჩინეს... და ჩემი და ტოგოს ადგილები ტაბურეტებზე მათ დაუთმეს. მერე კი ისე გაერთნენ იმ კახებთან, რომ სრულებით დაავიწყდათ... ჩემი და ტოგოს არსებობაც კი...

ჰოდა, ახლა მე და ტოგომ გადავწყვიტეთ მოვავგონოთ მათ, რომ კარცერის სიბნელეში თუ აღამიანი ვერაფერს ხედავს ყოველ შემთხვევაში, ეს მის მიხნც.

— უპ, ეს წყუელი, რა მაგრა იკბინება! — წაებაქე მე ომარის ხმას.

— ჩემი კი ისეთი ნაზია... იკბინება, მაგრამ სრულებით არა მტკივია! ტოგომ ისე მიამსგავსა სტეპკოს ვნებამორე-



ულ ხმას, რომ ჩვენ სიცილით დავიხოცენით.

ეს ყველაფერი ნამდვილად სასაცილო გახდა მაშინ, როცა ინათა და დავინახეთ, სტეპკოს დუღიყინა რა გათქვირებული მაიმახი დედაბერი იყო და თანაც პირში აღარცერთი კბილი არ შერჩენოდა.

— ჰო, მართალია სტეპკომ მითხრა „ისე იკბინება, რომ სრულებით არა მტკიავო!“... — ხარხარებდა ომარი.

სტეპკოს მეავე ღიმილის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, ვიდრე ჩვენ სიცილით ვიგუღებოდით.

მოხუცმა, გუშინ რომ ბრაზილის შესახებ გავგაფრთხილა, გავლისას გაკვირვებით შემოგვხედა, ალბათ ჩათვალა, რომ „პოლიტიკურ ემიგრანტებს“ არ შეეფერებათ ასეთი მხიარულებაო. მან ნახშირით სავსე მძიმე ვედრო უფრო მალღაც კი ასწია და რამდენჯერმე შემოტრიალდა ჩვენსკენ, სანამ არ გაუჩინარდა რომელიღაც კარში.

შემდეგ ჩვენ ღრაქასთან გამოგვიძახეს, საღაც ჯმუხა, ჩალისფერთმიანმა თარჯიმანმა იუსუფმა კარგად გამართული რუსული ენით დაგვიწყო ღრაქასთვის საინტერესო შეკითხვების მოცემა.

თარჯიმანი აღმოჩნდა პოლონელი იუსუფი, ისეთივე ემიგრანტი, როგორც ჩვენ ვიყავით და, რალა თქმა უნდა, ჩვენს მხარეზე იყო.

ნაგანის საკითხი იუსუფმა რამდენიმე წუთში მოაგვარა იმ მოტივით, რომ „იქითა მხარის“ ნაგანი სამხედრო ნადავლს წარმოადგენს და ამისთვის კი არა სჯიანო.

ღრაქას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დათანხმებულყო, ამას ისიც დაემატა, რომ ომარმა სთხოვა თარჯიმანს გადაეთარგმნა თურქულად ბოლშევიკებმა მამა დამიხვრიტესო, და სტეპკომაც იქვე იგივე თქვა თავისი მამის შესახებ.

საერთოდ, ის, რომ სტეპკო თავის მამას მიატმასნებდა ზოლმე ომარის მამას, ომარს ეს მაინცა და მაინც არ მოსწონდა, რადგან ართმევდა მას წამებულის

შარავანდელის ნახევარს, მაგრამ რა უნდა ექნა, სტეპკო, მასზე რა უნდა ელაპარაკებინა ალფრთოვანებით ტყუილად... მათდა სამწუხაროდ, ღრაქა ამით სრულებით არ დაინტერესებულა და „სამართლიანი შურისძიების წყურვილის“ გათამაშებულმა პანტომიმამ მრისხანედ რომ აკყეცენ ზოლმე თვალებს და აკრაქუნებენ კბილებს, ამოდ ჩაიარა.

ერთადერთი, ვინც ჩვენდამი თანაგრძნობით განიშტვალა, ეს იყო თარჯიმანი იუსუფი. მან ღამის გასათევად თავის ოთახში წაგვიყვანა, რომელიც იმავე დროს მისი აბრების სახატავი სახელოსნო იყო.

იუსუფის ნაყიდმა ერთმა ბოთლმა არაყმა უფრო შეათბო ჩვენი ურთიერთობა; მერე ჩვენც დავიხარჩეთ... და ღამე გვიანობამდე ვილოთეთ.

მაშინვე ცოტა საეჭვოდ მომეჩვენა, რომ იუსუფი ერთთავად ცდილობდა გავგო ფული ბევრი გვექონდა თუ არა.

რა თქმა უნდა, ქურდი, რომელიც ტოგოს გაძარცვას ცდილობდა და პალტოც გაუტრა, „ჩვენი მეგობარი“ იუსუფი იყო.

მას რომ ბედმა უმტყუნა, ეს ფაქტია, მაგრამ რა მოხერხებული უნდა იყოს კაცი, რომ მოისაზროს ყარსიდან, ასეთი შორი მანძილიდან, ოპერაციის ჩატარება.

იუსუფთან ქეიფის მეორე დილას კვლავ გზას გავუდექით, ჩვენი მიმართულება, უკან, არდაგანისკენ იყო, სადაც უნდა გავგეხვია დასავლეთისკენ, გაგვევლო ართვინი და მოვსულიყავით აქ, ზოფაში.

კვლავ დაგვიდგა გაათრებული ბრძოლის დღეები დაღლილობასთან, სიცივესთან და განსაკუთრებით შიშობილთან, რადგან ღარიბი გლეხური რაციონის ის ნაწილი, რომელსაც სოფელში გულთბილი მასპინძლები გვიწილადებდნენ, ნამდვილად არ იყო საკმარისი.

არდაგანში მიმავლებს მთელი დღეები სულ ისა გვექონდა სალაპარაკო, როგორ ვიყიდით იქ პურს, ყაურმას და

ისე გამოვძღვობოდი, რომ სუნთქვაც კი გაგვიჭირდებოდა.

ჰოდა, აი, როგორც იქნა, აგვიხდა ოცნება. მაგრამ ვატიკული კუჭებით ვისხედით ღუმელთან და გამტერებით გავცქეროდით ვიწრო და ვრცელი შენობის ორივე მხარეს ჩაწყვილებულ საწოლებს, და მოუთმენლად ველოდით როდის ჩაწვებოდა უკანასკნელი ეანდარში. რომ ჩვენც დავწოლილიყავით იატაკზე, ღუმელთან.

რა თქმა უნდა, სხვა პირობებში ამ მისწრაფების მთელი შეუსაბამობა სასაცილოც კი იქნებოდა... მაგრამ ახლა აბსოლუტურად აუცილებელი იყო დავწოლილიყავით. ეს იყო დაქანცული სხეულისა და პათოლოგიურად გადატვირთული კუჭის იმპერატივი, ულტიმატუმი ინტელექტის მიმართ, რომელსაც უნდა მოეწყო ეს დასვენება...

რას იზამ, ვცდილობდი გამეშართლებინა თავი, ყველაფერი შედარებითია, როგორც ადამიანში, ასევე მის ირგვლივ... იქნება ეს მისი მისწრაფებები ან თუ გინდაც ანატომია, რომელიც უნდა ითქვას. მისწავლია, და რომლის მიხედვით ადამიანის კუჭს შეუძლია ჩაითოს ერთი მეთაფი ნაწილი იმისა, რაც ეს-ეს არის ჩვენ კუჭში ჩაეტოვ.

და ბოლოს, როცა თითქმის ყველა ეანდარში დაწვა, გარდა ერთისა, რაღაცაზე ღიღს უხეშად რომ იყრებდა და უფროსი ეანდარისა, თავის ნივთების ყუთში რაღაცას რომ ეძებდა, უცებ ხმაურით გაიღო კარი და შემოვარდნილი სუსხის ბურუსში ვერ ერთი ნაბღოსანი კაცი გამოჩნდა და მერე ოთხი ეანდარში.

მუჯღუგუნს რომ არ წაექცია, ნაბღოსანმა რამდენიმე ნაბიჯი გაიბრინა და ფართოდ გაბოტილი შეჩერდა.

ალბათ მას ნაბღის ქვეშ ხელები გაკრული ჰქონდა, რადგან არც კი უცდია თავიდან გადმოვარდნილი ფაფახის აღება. ყველაფრის მიუხედავად, შესახებაობა მას ძალიან ვაჟაკური ჰქონდა. გადაპარსული თავი, ხუჭუჭი მოვლილი წვერი, ჩინებული ნაბაღი... იგი მთიელ-

თა ცხოვრების რომელიღაც კინოფილმის გმირს მაგონებდა.

ოთხივე ეანდარშია გასართობი მელს მიაშურა, პატიმარი კი ისევ გაქვავებული იდგა კართან. ძარღვიანი კისრისა და აზიურ ჩექმებში გამოკვეთილი წვეების მიხედვით ჩანდა, რომ იგი ფიზიკურად ძალიან ღონიერი უნდა ყოფილიყო.

ღუმელთან მდგარი ეანდარები გავეებული კრეჭითა და ხელების ქნევით უფროსს რაღაცას უყვებოდნენ პატიმარის შესახებ. მე გავარჩიე, რომ ისინი რაღაც გარეკილ ცხენებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ დამეჭერებინა, რომ ასეთი ვაჟაკი შეიძლებოდა ცხენის ქურდი ყოფილიყო... მით უმეტეს, ამისთანა ყინვაში.

ასევე სუსხიან ბურუსში გამოჩნდა: ხრი ქალი, ალბათ პატიმრის ცოლი და შვილი. დარცხვენილმა ქალებმა კარი ღია დატოვეს, რამაც ეანდარების აღშფოთებული ღრიალი გამოიწვია.

ქალებს ეცვათ ფერადი ძაფებით ნაქარგი კოხტა ტყაბუჭები და დიდი შავი თავშლები ჰქონდათ მოსხპული. ძალიან მაინტერესებდა რა ეროვნებისანი იქნებოდნენ.

დაბნეული ქალები აქეთ-იქით იყურებოდნენ, როგორც იქნა დაინახეს პატიმარი და მივიდნენ მასთან. მაგრამ აქვე გაისმა უფროსი ეანდარის მუქქარე ხმა და ისინი სწრაფად მოაშორეს პატიმარს, რომელიც კვლავინდებურად ერთ ადგილზე უძრავად იდგა.

უცრივ ქალიშვილმა უფროს ეანდართან მიიბრინა და მის წინ მუხლებზე დაემხო.

ახლა უნდა დაწყებულყო „შეთუნახავი მოსულის მიერ მამის გადარჩენის“ კლასიკური სცენა, როგორც ეს ზღაპრებშია ხოლმე, როდესაც ასულის სილამაზით დატყვევებული მბრძანებელი...

მართლაცდა, იატაკზე მოსხლტილმა თავშალმა, როგორც სურათიდან მოხსნილმა ფარდამ, დაგვანახა საოცრად ლამაზი სახე თექვსმეტოდე წლის ქა-

ლიშვილისა. იგი სწვდა უფროსი ქან-  
დარმის ხელს და კოცნას ლაპობდა.

შემცბარმა ქანდარმმა ჭერ ხელი გაი-  
თავისუფლა, მერე გაიღიმა, მიუბრუნ-  
და თავის ხელქვეითებს, ორაზროვნად  
ჩაუტრა თვალი და მუხლებზე დამხო-  
ბილ ქალიშვილს წამოყენება დაუწყაო...  
იღლიებში გაყრილი ხელებით დაუფა-  
რა ქალწულს ნაზად აკოვრილი მკერ-  
დი.

პო... ზღაპარს სწორედ იმიტომ ჰქვია  
ზღაპარი, რომ არაფერი აქვს საერთო  
ცხოვრებასთან.

უფროსმა ქანდარმმა ვერც კი მოას-  
წრო ხელების გაშვება და წელში გამა-  
რთვა, როცა შავი გრივალეით ეფგერა  
მას ნაბადაფრიალებული პატიმარი და  
მუხლის ძლიერი დარტყმით შორს გვე-  
რდით გადაისროლა.

ვიდრე უფროსი ქანდარმი კენესითა  
და გინებით წამოდგებოდა, ყველა მისი  
ხელქვეითი, რომლებიც ჭერ კიდევ არ  
დაწოლილიყვნენ, პატიმარს ეცა.

— ღმერთო ჩემო, ახლა კი დაიწყე-  
ბა!.. — ისე ხმამაღლა წამომცდა, რომ  
შეშინებულმა სტეპკომ ხელი მკრა. მაგ-  
რამ შევეციდი, პატიმარს მხოლოდ ხელი  
სტაცეს და მაგრად ეკორათ. ამ დროს  
კი უფროსი ქანდარმი ქალებს ძალზე  
ენერჯიულად გარეთ მიერეგებოდა.

როგორც მომეჩვენა, პატიმარმა შეე-  
ბით ავოისუნთქა, როდესაც ქალები გა-  
ყარეს და კარი დაიხურა, მერე კი სრუ-  
ლად მშვიდად შესცქეროდა ახლა უკვე  
ლანძღვა-გინებით მისყენ მოპავალ  
უფროს ქანდარმს.

პატიმარს მოხადეს ნაბადი და გახა-  
დეს ტყაპუტი. მიუხედავად იმისა, რომ  
მას ხელები უკან ჰქონდა გაკრული, იგი  
გააფთრებით იცავდა თავს, მთელი სხე-  
ულით ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს  
ტრიალებდა... და რაღაცით გაყოფე-  
ბულ კამეჩს მაგონებდა.

მერე პატიმარი იატაკზე დააგდეს,  
ჩექმები გააჭრეს, ფეხები ქამრით შაშ-  
ხანაზე გაუკრეს, ისევე როგორც მაშინ,  
მესაზღვრეთა სოფელში, პლაცზე, პა-  
სანსა და მის დამქაშებს... ოღონდ ტე-

რფებზე უკვე ფოლადის ზუმბას ურტყა-  
მდნენ... მხოლოდ უფროსი ქანდარმი  
და უფრო მეტხანს, ეფფფფფფფფფფფფფფ

როდესაც ტრფებიდან სისხლმა წა-  
მოხეთქა, პატიმარი აიძულეს ფეხზე  
დამდგარიყო და საწოლებს შუა გასასე-  
ლელში ერბინა... ყველა მწოლიარე ქან-  
დარმი თავის საწოლზე წამოხტა, ლეი-  
ბისქვეშიდან თითო წყებლა გამოაძრო  
და ცალი ხელით წყებლამომარჯვებული,  
მეორეთი კი საწოლის ზურგზე დაყრდ-  
ნობილი ელოდა...

მიხაკისფერი ტრიკოტაჟის საცვლებში  
ისინი გაქცეულ გავადაშვებულ მაიმუ-  
ნებს ჰგავდნენ. და ისევე მაიმუნებებით  
იღრიჯებოდნენ, როდესაც მსხვერპლი  
მათ გვერდით ჩაურბენდა ხოლმე და  
მთელი ძალ-ღონით ურტყამდნენ...

ჭიუტად თავჩაღუნული ღონიერი მხა-  
რბევის ქნევით პატიმარი ნაყრისფერ ია-  
ტაკზე ბუქვიდით ასვამდა სისხლის ნიშ-  
ნებს. ვიდრე ისინი მთლიან ზოლად არ  
იქცნენ.. და ამ დროს, რაღაც ვაჟკაცუ-  
რი ყიყინით, ერთი ქანდარმი პირდაპირ  
ლოგინიდან პატიმარს ზურგზე შეახტა  
და ჩაებლაუჭა.

ერთი ორჯერ ვილაციის წყებლა პატიმ-  
რის ზურგის ნაცვლად სტვენით დაეშვა  
ქანდარმის უკანალზე, რამაც მისი აღ-  
შფოთებული ყვირილი და დანარჩენ-  
თა საერთო ხარხარი გამოიწვია...

მერე პატიმარი დაეცა... „მხედარი“,  
რომელმაც ფეხზე დადგომა მოასწრო,  
ერთი პირობა გამოტოლი თავზე ადგა  
პატიმარს, ვიდრე არ მოხვდა, გადაეღა-  
ჯებინა და გვერდით გამდგარიყო...

გონებადაკარგული პატიმარი ასევე  
გათორეის კარცერში, ჩვენ კი გვიბრძა-  
ნეს სველი ჩვრით იატაკი მოგვეწმინდა.

როგორც იქნა, მოვესწარით იმას, რა-  
საც ამდენხანს ველოდით და თავშემტე-  
ვით დავეწქეთ, რომ ეკონომიით გამო-  
გვეყენებინა იატაკზე ორი პალტო; ღუ-  
მელისათვის თვალყურის დევნება მე  
სულ ბოლოს მერგო და არ დაეფარავ,  
ჩემი ხევედრით კმაყოფილს, მალე დამე-  
ძინა.

დამესიზმრა, რომ გმირულად ვიხსენი

ის მშვენიერი ასული და მისი მამა ამ ოცდაათი ეანდარმისაგან, რომლებიც რატომღაც ოთხით დადიოდნენ- ტურე-ბივით ღმუოდნენ და ხანდახან ღრუბტუნებდნენ კიდევ.

მერე მე და ის ასული ვსეირნობდით რომელიღაც სამოთხისებურ ადგილებში, ძალიან რომ წააგავდა ჩვენს ფენიკუ-ლიორს, და ვნებიანი ხევენა-კოცნის შემდეგ ასულმა ნახად დახარა თავი ჩემს მკერდზე, მე კი მის მშვენიერ თმებში ჩაფალი სახე და ვიხრჩობოდი გრძობებით... და ჰაერის უცმარობით გამე-ღვიძა.. სტეპკოს ქალამნის გადაცერცნი-ლი ნაწილი მაგრად მაჭერდა ცხვირ-პირზე და ქალამნის გვერდზე დარჩენი-ლი ბალანი კი ლოყაზე მიღიტიწებდა.

მთელი ძალღონით ავკარი ხელი სტე-პკოს ფეხს, რომელიც ომარს სახეში მოხვდა. თავი მოვიმპინარე და დიდხანს შესმოდა ეანდარმების შიშის გამო ჩაყუ-ჩებული, მაგრამ სიბრაზისაგან ავანკა-ლებული ომარის ხმა, რომელიც აუწყებ-და სტეპკოს, რომ მისი პარაზიტული არსი ძილშიც კი უცვლელია.

ღუმელთან მთელმარე ტოგოს გამო-ელვიძა და მითხრა, რომ შეედეგომოდი ჩემს გუშაგობას.

სინანულით დავუთვე ტოგოს ჩემი ად-გილი ცემენტზე, რომელიც ვერა და ვერ გავათბე და ღუმელში ნახშირი შევეყარე. ეტყობა, ჩამთვლიმა, რადგან ახლა ბნელ კედელზე ლეგა ოთხკუთხედებად ისახებოდა ფანჯრები და თითქოს ჰაერ-ში ჩამოკიდებულყო ანფილადა საწო-ლებისა, რომელთა ფეხები ჭერ კიდევ არ ჩანდა. ჩემი უყურადღებობით საყვე-ღურით შემომცქეროდა ჩამქრალი ღუ-მელი.

— თუ უფროსმა ეანდარმა გავარ-ტყა, როგორც მაშინ ომარს. მე თავს შევიკავებ და არ ვუპასუხებ — რაც შეიძლება და მეტი დამაჭრებლობით ვუთხარი ჩემს თავს. არც მთლად დარწ-მუნებულმა, რომ ეს ასე იქნებოდა.

მსწრაფლ შევეუდექი მდგომარეობის გამოსწორებას. ჩემს ბედზე ნაცარში პატარა ნაკვერჩხალი შემორჩენილიყო.

რომელიც უმალ გავაღვივე და დავემსგა-ვესე მკედლის გრდემლში მრისხანედ მოგუგუნე აღს.

მერე ნახშირის მოსატანად მომიხდა წასვლა დიდსა და ცარიელ ოთახში, რომელსაც აგურით ამოლესილი ფანჯრები ჰქონდა და აკლდა კარის ნახევარი-საი-დანაც მოჩანდა დათოვლილი ეზო და საპირფარეშოებისაყენ გაკვალული ბი-ლიკი.

ვედრო აჩქარებით გავავსე ნახშირით, რადგან უპალტოოდ ძალიან მციოდა და უკვე ვაპირებდი მის წამოთრევას, რო-დესაც დავინახე რკინააკრული კარი, რომელსაც გისოსიანი ფანჯარა ჰქონდა. ყოველგვარი ეჭვის გარეშე ეს ის საპა-ტიმრო იყო, რომელშიც გუშინ პატიმა-რი შეაგდეს.

ყოველი შემთხვევისათვის ვედროთი ხელში მიეუახლოვდი და შევიხედე. ჭერ არაფერი ჩანდა ზედ ჰერის ქვეშ ჭვა-რედინად ჩასმული რკინებიანი, მოთეთ-რო ფანჯრების გარდა. ფანჯარაში ხან-დახან იჭრებოდა თოვლის ეული ფიფქე-ბი და დიდხანს ეშვებოდა მაღალი და ქუჭყიანი კედლის გასწვრივ, ვიდრე ფანჯრის ჰრილის ანარეკლისებურად მოეფინებოდა იატაკს და რალაცით მა-გონებდა საფლავის დათოვლილ ქვას.

და კიდევ ის, რომ ამ ქვაზე ეწყო თოვლით დაფიფქული ყვავილები... დიახ, დიახ, მე არ ვცდებოდი, წითელი და ვარდისფერი ყვავილები... ანდა ეს რალაცა ცდუნება იყო...

მე ჩაშტერებით დავაცქერდი რალაცა შავს, თოვლის თეთრი კვადრატის იქით რომ მოჩანდა... და დავინახე გვერდზე მწოლიარე, ჭიუტად მკერდზე თავდახ-რილი პატიმარი... და თოვლით დაფიფ-ქელი ყვავილები რომ მეგონა, ეს მისი ნაწამები, დასისხლიანებული ფეხები იყო..

ღუმელთან დაებრუნდი... თბილოდა... მშვიდად ეძინათ თავიანთ საწოლებში ეანდარმებს... იქ კი, კარცერში იწვა იმ მშვენიერი ასულის მამა და თოვლი მის ფეხებზე არა დნებოდა იმიტომ, რომ მიცვალებული იყო... მოკლული იმ ად-

ამიანების მიერ, რომელთაც ეს სრულებით არა სჭირდებოდათ... მოკლული ისე, უბრალოდ. ერთი წიხლის გამო... და გასართობადაც...

დილით უფროსმა ქანდარჰმა დაინახა, რომ ხელში სამართებელი მეჭირა და მოითხოვა გამპარსეო. მე უარი ვუთხარი, მოვიმიზეზე, რომ სამართებელი ბლაგვია და არც საპონი მაქვს-მეთქი. უფროსმა ქანდარჰმა სამართებელი თითზე მოისინჯა და მიბრძანა დაუყოვნებლივ გამეპარსა.

ბოლოს და ბოლოს იგი სტეპკომ გაპარსა, მართალია უსაპონოდ, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად და აშკარა სიამოვნებით. მე მივხვდი, სტეპკო სიმაპათით იყო ქანდარჰის მიმართ განწყობილი იმ სილისათვის, რომელიც მან გააწნა მის უბოროტეს მტერს, ომარს... ან, იქნებ ეს იყო შეუენობი, ყოვლად უსარგებლო მლიქვნელობა.

მერე კვლავ გზა, სოფელში ღამეების თევა. მოულოდნელად გამჭრალი ყინვები და აქა-იქ, თოვლიდან განთავისუფლებული, საიამოვნო სურნელების მქონე მიწა.

ისიც ხდებოდა, რომ ყოველდღიურად განმეორებულ შთაბეჭდილების მოსაწყენ ერთფეროვნებას გვიფორიაქებდა რაღაცა ახალი და დაუეწიყარი, როგორც მაგალითად თებზე მდგარი ეკლესიის ნანგრევი, ცად აზიდული კლასიკური ფასადით და, მშვენიერი ქართული ორნამენტური ნახევრად ჩამონგრეული კარიბჭით.

ჩვენ ამ კარში შევედით და თვალწინ, უკანა კედლის ნაცვლად გადაგვეშალა შორს, დაბლობზე გაშლილი ველის სანახაობა, რას წარმოიდგენდით, რომ ასეთ სიმაღლეზე ვიქნებოდით.

უკან იპავე კარით დავბრუნდით და ჩაეყვით ეკლესიის გვერდით მიმავალ გზას, თუმცა სავალი გზისთვის ეს ყველაზე მოხერხებული ადგილი იყო. „შეიძლება ხელკუონ ჩვენი ტაძრები, მაგრამ არა ჩვენს მიერ გაყვანილი გზები! — ჩემი წინაპრებისადმი სიამაყის გრძობით აღვსილმა, კავიფიქრე მე.

მერე, ველზე ჩამოსულები დიდხანს მივიდოდით ფართო და მდედრეჭრე-მორონის დაქანებული ნაპირზე. ვიდრე კარდავინახეთ მოწინააღმდეგე მხარის ფერდობზე აკრული ართვინი.

ქალაქის აღმოსავლეთის ნაწილზე მოჩანდა სასაფლაო, რომელიც, გადაწყვიტეთ, რაღაც არ უნდა დაგვედომოდა, გვენახა, რადგან გვითხრეს, ადრე ის ქართველების სასაფლაო იყო.

კარგა ხანს მოუენდით გამყოლის დათანხმებას, რომელსაც არ უნდოდა გზიდან გადახვევა, და ბოლოს სასაფლაოზე აღმოეჩნდით.

მართლაც და, ზოგიერთი საფლავის ქვის გვერდებზე ჯერ კიდევ შეიძლება და ქართული წარწერების ამოკითხვა... მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ეს ყველაფერი ვერ აღვიქვი ისე, როგორც ვფიქრობდი. შიგნით რაღაცა მქონდა ჩატეხილი... ანდა, ჩაფლული ამდენ მოზღვავებულ მოვლენებში...

ანდა იქნებ მე ვერ შევიცოდე ისინი, ვინც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, და ისიც უნებლიეთ გახდა ემიგრანტი... როგორც მე თვითონ..

მერე კვლავ გზა, ზედ საზღვართან თიხნარ ფერდობებში გამოთხრილი მესაზღვრეთა საგულშაგოები, ვილაცა წაბლისფერთმიანი უფროსი, რომელმაც სულელი და უვიცი ლაწირაკები გვიწოდა, შემდეგ სიარული ხშირ ტყეში და დაბლა პატარა მდელზე დიდრონი მორებისაგან აგებული ფორტი, სწორედ ისეთი, როგორიც მაინ-რიდის რომანებშია, რომელსაც უკვე გვიან ღამით მივეუახლოვდით, და ვეება ხეებს ამოფარებულები, ფორტიდან გამოსროლილი ტყვია რომ არ მოგვხვედროდა, ვუცდიდით ვიდრე ჩვენი გამყოლი ხმას მიავედენდა და გარნიზონში ვილაცას გააღვიძებდა.

და აი, ახლა მე აქა ვარ, ხოფაში... ზღვის პირას თავქვეშ ხელუბამოდებულ ვიწვეარ და ვთბები მზეზე... და სულ ახლოს, აგერ იმ პატარა ქედის იქით... არა, ამაზე ნუ ვიფიქრებთ, თორემ შევიშლები... არადა, ამაზე ხომ ვიფიქრობ-

დი მთელი ოცდათორმეტი დღე, რაც გზაში ვიყავი... ვფიქრობდი მთელი დღეები, როცა სასაზღვრო სოფელში ვიყავი... ვფიქრობდი იმ მომენტებიდან, როდესაც უკან დაგვრჩა მდინარის ვიწრო ზოლი, ჩემსა და სხვის ქვეყანას რომ საზღვრავს...

ბიჭები ალბათ მეძებენ, რომ ვისაუზმოთ.. განსაკუთრებით სტეპკო, რომელიც შეთვისებულა ჩემთან ქაშას წმინდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით. ვგრძნობ, რომ ჩემი მხრიდანაც ეს ცოტა ულამაზოა, ბალდევით რომ მყავს გამობმული.. მაგრამ ვიცი, რომ ძალღისგან განსხვავებით ადამიანი სიკეთეს საშაგეეროს სიავით უხდის და ვაშვიდდები. ვერავეინ დამდებს ბრალს, რომ მე ამას გამოჩინებისათვის ვაკეთებ.

რა თქმა უნდა, ბიჭები თურმე მეძებდნენ.

— აი, თურმე სადა ყოფილხარ, ჩვენ კი შენს ძებნაში მთელი ზოფა შემოვიარეთ.

ტოგო გულიანად იღიმებოდა, რაც ცარიელ კეპზე ცოტა გასაკვირიც იყო. მე ომარს გავხედე, მასაც ნამდვილად რაღაცა ძალიან უხაროდა, თუმცა ცდილობდა ეს დაეფარა. ბოლოს ვედარ მოითმინა და გაიცივნა, ძალიან ხმაშაღლა და ცოტა ისტერიულად.

— სტეპკო სადღაა? — რატომღაც შევეშინდი მე.

ორივემ გაიხედა პლიაცის მხარეს დაქანებულ ფერდობისკენ, რომლის ძირში სტეპკოს პალტო გაეხადა და ტორეადორივით აფრიალებდა.

მე წამოვბტი, რომ უკეთ დამენახა და ვამეგო მისი ასე ერთობ უცნაური საქციელის მიზეზი.

ნამდვილად, ტორეადორთან შედარება სრულიად დასაბუთებული იყო — პალტოს აფრიალებაზე სტეპკო გვერდით ხტებოდა თითქოს გახელებულ ხარს გზას აძლევსო, მერე ამას მოსდევდა კვლავ პალტოს აფრიალება და გვერდით გადახტომა.

— რაო, ხომ არ გაგიყდა?! — ვკითხე

ბიჭებს, რადგან მშვენივრად ვხედავდი, რომ ყველაფერ ამას სტეპკო აწყვეტდა არა მარტო მთელი სეროზისკოლოზით, არამედ გააფთრებითაც კი.

— არა, ეს... ხა, ხა, ხა!... — მუცელზე ხელი იტაცა ტოგომ.

— ეგა.. ხა, ხა, ხა!.. დახოცილ ძაღლებთან მივიდა... და დაესიენენ! ხა, ხა, ხა... — თითქმის კიოდა ომარი.

— ვინა, ძაღლები?

ომარი სიცილით იგუდებოდა, მე კი ტოგოსკენ მივბრუნდი და ველოდებოდი, ვიდრე ისიც ცოტა დამშვიდდებოდა.

— სტეპკო მივიდა იქ, სადაც მოწამლული ძაღლები ყრია, ხა, ხა, ხა! ჩვენ კი შორიახლო მივდევდით. — დაიწყო დამწერილებით ტოგომ, როცა ცოტა დამშვიდდა. — სტეპკომ გვითხრა, გუშინ ერთ მომაკედავ ძაღლზე ლამაზი საყელური შევნიშნე...

— თითქოს მაგის მეტი სხვა ვერავეინ შენიშნავდა!... უკვე გაავებულად ჩაურთო ომარმა.

— აძვრა იმ დახოცილი ძაღლების ხროვაზე... და ერთბაშად ისე გამოიქცა, რომ!.. ვხედავ, მთლად შავი ფერი დასდებია რწყილებისაგან სახეც კი არ უჩანს!.. — ტოგო კვლავ ახარხარდა და იმავე დროს გაოცებული მიყურებდა, რომ არ მეციინებოდა.

— რა გაციინებთ, განა არ იცით, ლემის შხანაშაში რწყილები სასიკვდილოდ სახიფათოები არიან... სტეპკო იქნება კიდევ ჩაძაღლდეს... ესე იგი, სული განუტეოს. — ახლა ბიჭებს ვაშაყირებდი... ლემის შხამი კი მე სულში მქონდა ჩამდგარი და ალბათ მთელი სიცოცხლე გამყვებოდა.

ტოგომ სიცილი შეწყვიტა და უნდობლად შემომყურებდა.

— ჰოდა, ჩაძაღლდეს! — რაღაც ლაღი მხიარულებით თქვა ომარმა.

მართალია, მას ეზიზღებოდა და სძულდა კიდევ სტეპკო. მაგრამ მისი სასიკვდილოდ ასე იოლად გამეტება მინც ნორმალური არ იყო.

ჩვენ მივედით სტეპკოსთან, რომელიც ჭიუტად განაგრძობდა „პასების“

და „ვერონიკების“ კეთებას — პალტოდან რწყილებს იბერტყავდა და გვერდზე ტეგებოდა.

მე რომ დამინახა, მან ძალიან საქმიანად, თუმცა წყვეტილი ფრაზებით, რადგან ბრძოლას განაგრძობდა, ამიხსნა:

— აი, პალტოს დაებერტყავ, მერე, ჩაეცივამ და დანარჩენ ტანისამოსსაც გავაყრევივინებ...

მაგრამ, კაცი ბჰობდა და რწყილები იციანოდნენ. სტეპკოს ხუთჯერ მოუხდა გაემორებინა თავისი ჩაფიქრებული სტრატეგემა — სპრინტი დაბლა და ყრილი ტანისამოსიდან პალტოსკენ და პალტოდან ტანისამოსისკენ, ვიდრე იგი, როგორც სამხედროები იტყვიან, „არ მოსწყდა მტერს“.

ღარბოდა სტეპკო ხან პერანგის ამარა, რითაც ძალიან ჰგავდა ტოგაწამოსხმულ რომაელს, ხან შიშველ სხეულზე პალტოს ამარა, გეგონებოდათ, საყვარლის ქმარს წაუსწრია თავის ცოლთანო, ხან კი ადამის კოსტუმით...

გარეშე მტერზე სამხედრო ეშმაკობით მიღწეული გამარჯვება, სამწუხაროდ არ იძლეოდა მისგან მტერზე გამარჯვების გარანტიას.

იმავე საღამოს სტეპკო სერიოზულად გახდა ავად. სიცხე რამდენი ჰქონდა ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ყოველგვარი ექვის გარეშე. ძალიან მაღალი, რადგან ქამაზე უარი განაცხადა.

ღამე სტეპკო ისე შფოთავდა ფურნის გახურებულ ქვიშაზე, რომ რჩევისათვის ხაბაზებთან მოგვიხდა ჩასვლა.

ყველაზე მოხუცმა, კინკრისოქალარა და ბავშვივით ვარდისფერლოყება ხაბაზემა გვიჩიოდა სტეპკო არყით ჭერ გარედან დაგვეზილა და მერე შიგნითაც ჩაგვესხა, თან რაც შეიძლება ბლომადა.

მოხუცმა აგრეთვე არყის საშოვნელ ადგილზეც მიგვითითა — პირადად მანთან.

ტოგათ, როგორც გულში ვიფიქრე მოკრალურ სიმაღლეზე აღმოჩნდა და შემომთავაზა მონაწილეობის მიღება აუცი-

ლებელი წამლის ყიდვაში, ომარამა კი უფრო კატეგორიულად, ვიდრე ყოველთვის, „შანტაისტის მკურნალობისთვის“ თანხის გაღებაზე უარი განაცხადა.

ჩვენდა საბედნიეროდ ლუმელზე სხვა არავინ იყო, თორემ იფიქრებდნენ, რომ ეს სამკურნალო პროცედურა კი არა, რალაცა ორგია გეჭონდა. საქმე ის არის, რომ ფიზიკურად შეუძლებელია ადამიანს თუ გარედან თუ შიგნიდან არყით ეუქიმო ისე, რომ შენ თვითონ არ შეიგრძნო მისი სამკურნალო თვისებები.

ომარი, რასაკვირველია, მოხსნილ იქნა მკურნალის მოვალეობიდან, მან ყასიდად თავი მოიშინარა და საღამო გვერდით სიბნელეში ფშვინავდა, ვიდრე მე და ტოგო სტეპკოს პასიური დახმარებით ვამოწმებდით უკვე სპეციალურად სამედიცინო პერსონალისათვის ნაყიდი მეორე ბოთლის სამკურნალო თვისებებს.

რასაკვირველია თუ მსუდველობაში მივიღებთ სტეპკოს მდგომარეობას, ყველაფრისთვის, რასაც იგი ლაპარაკობდა, შეიძლებოდა გვეწოდებინა ავადმყოფის ბოღვა, მაშინ, როცა რასაც მე და ტოგო ვლალადებდით — „მეგობრობა სამარის კარამდე“, „თავგანწირვა“, „ყველაფრის პატიება“ და რალა თქმა უნდა, „მეგობრობაში წვრილმანობის უარყოფა“, ყოველგვარი ექვის გარეშე, დიდებული სადღეგრძელოები იყო.

რამდენი ოხვრაც არ აღმოხდა თავის კუნძულში ომარს, ჩვენ მაინც არ მივიპატიეთ. ეს გადააჩვენეს მას. ასეთ წვრილმანობას.

მეორე დღეს ფურნიდან გამოვედით საქმაოდ გვიან და პირველი, რაც დავინახეთ ეს ნაპირზე მდგომი გემი იყო.

ჩვენი გემი დილაადრიანად გადიოდა, როდესაც თვალწინ ცუდად გარეცხილი ზეწარივით თალხი ნისლი ჩამოწოლილი იყო და გვიშლიდა დაგვენახა ის, რასაც თითოეული ჩვენგანი ფარულად ნატრობდა.

დიდხანს ვიდევით ფალშბორტზე ჩა-

ბლაუტებულები იმ იმედით, რომ დაგვენახა „ჩვენი მამა-პაპათა მიწა-წყლის“ ნაპირი მაინც, მაგრამ ამოდ... ეს წყევლი იღბალი თვალბში მხოლოდ თავის ჭუჭყიან თეთრეულს გვჩრიდა...

ყოფიდან გემის თანამგზავრი თოლოები, რიტმულად ქანაობდა ფეხებქვეშ რკინის გემბანი და სამანქანო განყოფილებიდან ისმოდა როგორ მიმოდიოდნენ ბარბაცები... საკუთარ სხეულს კი მივსებდა რაღაცა ძალიან მძიმე და უსიამოვნო, რომელიც მიკრავდა სუნთქვას, მიკუმშავდა გულს და სისხლით მივსებდა თვალბს.

მე ვიცოდი, რომ ეს ცოფი იყო. ცოფი უძლური, და ამიტომ კიდევ უფრო მტკივნეული ცოფი, რომელსაც შეუძლია მოგაკვლევინოს პირველივე შემხვედრი... ანდა, საკუთარი თავი.

და მაინც, როდესაც უკვე საკმაოდ შორს ვიყავით, ამომავალმა მზემ გაფანტა ბურუსი და ჩვენ დაეინახეთ იისფერი ნისლით დაბურულ სიშორეში კაცასიონის ქედის ცაში შეჭრილი ქათქათა მწვერვალები.

კიდევ დიდხანს, როდესაც აღარაფრის გარჩევა აღარ შეიძლებოდა, ჩვენ მაინც იქით ვიყურებოდით, მერე კი სხვადასხვა მხარეს დაეიშალენით. მე შევედი საღებავთა შპორის და ადამიანების ჭუჭყის სუნით სავსე ტრიუმში, სადაც ხის ნარზე დატოვებული გვქონდა ჩვენი ქონებები და ორი ვეება პური.

ნარზე რაღაცა ხმაურობდა და ქაღალდს აშრიალბდა. ეს ვირთაგვები იყვნენ, რომლებიც ჩემი მიხლოვებისას აუჩქარებლივ სადღაც სიბნელეში გაიპარნენ.

არც კი მიმიტყვევია ყურადღება მონარჩენი პურისთვის, ისე ავედი ნარზე. განმარტოებულს მინდოდა გავრკვეულიყავი ჩემს გრძნობებში, უფრო სწორად, საბოლოოდ დამერწმუნებინა თავი, რომ დაგბრუნდები, უსათუოდ დაგბრუნდები! განა რა შეიკვალა, ყველაფერი ისევ ისეა, — ხალხი, სახლები, ქუჩები... მხოლოდ მე ვარ აი, აქ... მარტოდმარტო, ყველას მოწყვეტილი.

საკუთარი თავისადმი რთულმა და ამალბებულმა სიბრალულეს გრძნობამ ამავსო და გარკვეული შეგბაც მომგვარა... მაგრამ სამწუხაროდ, გემისათვის ამ შეუსაბამო ნარის ქვეშ ვირთაგვების ატებილმა ჩხუბმა და წრუწუნმა, ნათურამ, ქანგის ლაქებიან ჭუჭყიან პერს რომ ანათებდა და სრულმა უპაერობამ, არ მომცა საშუალეება დიდხანს მიმეცა თავი ამ სიამოვნებისათვის. წამოვდექი და გემბანზე გავედი, რომლის მარცხენა ქიშზე ბიჭები იდგნენ და გასცქეროდნენ ჩვენს გვერდით გადაშლილ და თითქოს კვალდაკვალ მომდევნო თურქეთის ნაპირს.

პირველი დღეები სულ გემბანზე გავატარეთ. დავყურებდით ხოლმე როგორ კვეთდა გემის ბასრი ცხვირი წყლის მოლივლივ ზედაპირს, ან კიდევ დიდხანს თვალს არ ვაშორებდით კიჩოს უკან თეთრ ბაბთად გაქიმულ ქაფის ფართო ზოლს. განსაკუთრებულ სიამოვნებას გვევრიდა, და შეიძლება ითქვას, ალტაცებაშიც კი მოვყავდით ჩვენ გემს დროდადრო ამგზავრებულ მკვირცხლ დელფინთა ნავარდს.

აი, მეზღვაურებისადმი რწმენა კი, ცოტა არ იყოს, შემერყა, ისინი გარეგნულად უფრო წააგავდნენ შავ მუშებს, კუშიტი დამაბულობით გლზეებს და ყველაზე ნაკლებად იმ „ზღვის მგლებს“, მე რომ ვფიქრობდი.

ეს პირველი არ იყო, როცა მწიგნობრული რომანტიკა ცხოვრების სინამდვილესთან დამპირისპირებისას საპნის ბუშტივით სკდება, მაგრამ მაინც გული მეთანაღრებოდა.

იანვარი იდგა და ამინდი კი ზაფხულივით მზიანი იყო, ზღვა კი უზარმაზარ ლურჯ ხალიჩას წააგავდა.

ჩვენ ტრაპიზონსა და რიზეს ჩავუარეთ და მივედით სამსუნში, სადაც თამბაქოს დატვირთვა დავიწყეთ. ოთხივეს ძალიან გვინდოდა ნაპირზე ჩასვლა, მაგრამ ნებართვის თხოვნა ვერ გავებდეთ. უფლებება რომ არ მოეცათ, ძალიან გვეწყინებოდა.







ვი ახლაც თუ დაიწყებენ ბიჭები იმის მტკიცებას, რომ „ზღვისთვისა ვართ განენილებიო...“ და ბოლოს მე თვითონ ისე ცუდად გავხდი, რომ დაუყოვნებლივ უნდა გავსულიყავი ჰაერზე.

როცა ჩამოვბობდი და ჭრ კიდევ ნარზე ხელჩაბლაუტებულმა ბიჭებს გადავხედე, დავინახე გაყვითლებულ-გალურჯებულ მომაკვდავთა სახეები და სამი წყვილი ჩემსკენ მომართული ძალიან სევდიანი თვალი.

— რა მოხდა... ვანა ეს რწევია?! — წარმოვთქვი მე შორეული ცურვის კაპიტნის ტონით და იმავე დროს ვფიქრობდი, როგორ მივსულიყავი კარამდე ისე, რომ არ შერყეულიყო ჩემი ავტორიტეტი.

ბარბაც-ბარბაცით მივედი რკინის კარამდე, გაჭირვებით გავაღე და გავედი. თენდებოდა, ვეება მუქი ტყვიისფერი, თეთრარშიაშემოვლებული ტალღები ხან უფსკრულის ძირში უჩინარდებოდნენ, ხან კი მთებოვით აღიმართებოდნენ ხოლმე გემის თავზე. სახეში ძლიერი ქარი მცემდა, წყლის წვეთებს მაკურებდა და ძალიან ციოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნება მომიხდა, რაღა თქმა უნდა, საამისოდ ძალიან ვაყვაცური იერი მივიღე.

როდესაც ნარებს მივუახლოვდი, ბიჭების საცოდავად ტანჯული თვალები კვლავ მომაშტერდნენ.

— რა მკვდრებივით გაშოტილხართ!... აგდებულად დაეულრიალე მათ.

ბიჭებმა თვალები ჭერისკენ გადაატრიალეს, მე კი მარჯვედ ავკვერი ნარზე.

დღე უფრო საშინელი დადგა, რადგან შტორში უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამოდ ვცდილობდი გამეჩერებინა ჩემი კუჭი ტოპოგრაფიული ანატომიით მისთვის განკუთვნილ ადგილზე. როცა იგი ხან ყელში მეტყინებოდა, ხან კი ფეხებში მიძლიოდა. მე მაინც ვახერხებდი არ გამეტება იტიბარი და ვეხმარებოდი ბიჭებს ჰაერზე გასვლაში, ან

მომქონდა მათთვის გემის ამყარებელი წყალი.

რაც მოვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო... მთელი დანარჩენი დღეები შტორში არ დაწყნარებულა, მე კი განვაგრძობდი ნებაყოფლობითი ძიძის როლის თამაშს და იმავე დროს ვწყველიდი ჩემს თავმოყვარობას, რომელმაც მაიძულა ეს ჩამედიანა და ბიჭებს, რომლებიც ვერასოდეს ვერ დააფასებენ ასეთ თავგანწირვას.

ბოსფორი კარგი იყო თუნდაც იმით, რომ აღარ გვარწევდა. ურობაშად გამოცოცხლებული ბიჭები გემბანზე ამოძვრნენ, თითქოს ვერც კი შემამჩნიეს მე, მათი მწყალობელი, და დაიწყეს აქეთ-იქით ყურება. მართლაცდა სანახავი ბევრი რამ იყო. ბოსფორის ორივე მალა ნაპირზე მიმოფანტულიყო მშვენიერი ვილები და ბევრი მათგანი მარმარილოსი იყო.

ბიჭები, როგორც ყოველთვის, აქაც ვერ შეთანხმებულაყვენ — ვილა, რომელიც ერთს ყველაზე ძალიან მოსწონდა, არ მოსწონდა ორ დანარჩენს.

მთელი ჩემი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში, პირველად შევხვდი ნამდვილ ფუფუნებს. არ დავფარავ, უნებლიე შურის გრძნობით გავიმსჯეალე ამ მარმარილოს ვილების მფლობელთა მიმართ... მაგრამ შემდეგ ვაიძულე თავი მომეცილებინა ეს სრულიად უსარგებლო ფიქრი.

დავა კი ბიჭებს შორის სულ მწვავედებოდა. კამათობდნენ არა არქიტექტურაზე, არამედ იმაზე თუ, — რა ფერის მარმარილო უფრო ძვირია და რა ვლირებოდა მარმარილოსგან აშენებული ვილა.

მათ ალბათ მოსწონდათ ყოფილიყვნენ სხვისი ქონების შემფასებელნი... თუმცა თვითონ კი შესახედაობით, თავიანთი გაცვეთილი ქალამებით, ჭუჭყიანი, დაძენძილი ჰალტოებით, ყოველად უმსგავსო კეპებით და ზედ დამატებით გაუბარსავი, დატანჯული სახეებით — პირდაპირ მათხოვრებს ჰგავდნენ.

რა თქმა უნდა, მე მათგან არაფრით არ განვსხვავდებოდი. სხვაობა ჩვენს შორის შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მომავალში, როდესაც გაირკვეოდა, სადა და რა გზით მიჰყავდა თითოეული ჩვენგანი, ღმერთმა იცის, რა ტექტონიკური ძვრების შედეგად გაჩენილ ამ წყლის სრუტეს...

თავდაპირველად სტამბული ჩვენ თითქმის არ გვინახავს, თუ არ ჩავთვლით შენობების სახურავებს, შებოლილ მიწებს და მალა ამართულ მინარეთებს. შემდეგ ესეც აღარ მოჩანდა, ჩვენ გავაჩერეს ყველაზე შორსა და ალბათ ყველაზე მოუხერხებელ ადგილზე.

ქვის ყორე, ხის ჩაშვებული სახლკანტორა, და ძალიან გრძელი, მტკრი-თა და მჭკარტლით დაფარული პაკაუ-ზები.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მაინც მოახდინეს ადამიანებმა, რომლებიც ყვიროდნენ, ხელებს იჭნევდნენ, იძლეოდნენ განკარგულებებს, მუშაობდნენ... ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი იყო... და თავი რატომღაც უხერხულად ვიგრძენი.

ალბათ ჩემზე იოკებდა ადამიანთა ხმაურიანმა და მიზანსწრაფულმა აქტიურობამ... იმ შინაგანმა ღირსებამ, რომელიც აქვს ხოლმე ყველა გამრჯე ადამიანს... და აქვე მომინდა ყველასათვის დამემტკიცებინა, რომ მე ვერაფერი შემაშინებდა...

ამაყად მკერდმოღებულმა მე პირდაპირ სახეში გავუცინე ჩემს ირგვლივ გარშემორტყმულსა და ჯერ უხილავ ქალაქს. ბიჭებმა გაოცებით გამოიხედეს და მე შევეცადე დამეფარა უხერხულობა.

ნეტავი რა მეპართებოდა?... ნუთუ ეს არასრულფასოვნების კომპლექსი იყო... როდესაც თავის თავისადმი მტანჯავად ურწმუნო ადამიანი ერთბაშად უაზროდ მოურიდებელი ხდება და ამით ცდილობს დაუმტკიცოს ყველას, რომ მასზე შეუპოვარი ამქვეყნად არავინაა.

უკვე ორ საათზე მეტი გრძელდებოდა გემის განტვირთვა, და კარგა ხანია რაც

მეზღვეურთა ნაწილი გაბარსული და გამოწყობილი ნაპირზე ჩავიდეთ, ჩვენ კი კვლავ ვიდევით გემის კაპიტანს, რომ კაპიტანის თვალწინ ყოფილიყავით, რადგან ყველას დაეავიწყდით.

ბოლოს კაპიტანმა მიგვიხმო, დაგვანახა თავის ზურგს უკან მდგომი პატარა, შეუხედავი მოხუცი კაცი და გვითხრა, რომ მას გავყოლოდით.

როდესაც ჩვენ სანაპირო პორტის მოკირწყლული ქვაფენილით მივდიოდით, მოხუცმა გვითხრა, რომ თქვენს წასაყვანად კოლა ეფენდი უნდა მოსულიყო, მაგრამ იგი ახლა ძალიან მოუცლელიაო.

მერე ტრამვაიში მოხუცი სულ ერთ-თავად რაღაცას მიაშობდა, მე კი თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევდი და თანჯრიდან გავეკებოდი მუშათა გარეუბნის უცნობ ქუჩებს.

როგორც იქნა, ვნახე ნანატრ სტამბულს, რომლის ერთი ნაწილი აზიურია, ხოლო მეორე ევროპული: ვნახე ქალაქს, სადაც არის მრავალი მეჩეთი და უდიდესი აია-სოფია; ქალაქს, სადაც პიერ ლოტის გმირებს, ზღვის ოფიცრებს ასე ლამაზად უყვარდათ პარამხანის ქალები: რომლებიც რომანის დასასრულს არა ნაკლებ ლამაზად კედებოდნენ.

მე მოთმინება არ მყოფნიდა, რაც შეიძლება მალე გამეცნო ქალაქი, რომელშიც ახლაც ათასობით ცხოვრობდა სამუშაოდაკარგული საჭურისი და ვაინაჩრულ სიცოცხლეს ატარებდა ათიათასობით სამშობლოდაკარგული ემიგრანტი...

საჭურისები და ემიგრანტები... რა შეიძლება ჰქონდეთ მათ საერთო, რატომ მომავონდნენ ისინი ერთად... იმიტომ, ხომ არა, რომ საჭურისები დაკოდეამდე ნორმალური ადამიანები იყვნენ, ისევე, როგორც ემიგრანტები თავიანთი სამშობლოს დაკარგვამდე!...

ჩემდა საბედნიეროდ ტოგომ მომწყვეტა ამ ფიქრებს.

— შეხედე, ოთარ... ფეხბურთის აფიშა. — მითხრა მან.

ეს ხომ სულ ახლახანს იყო. მახსოვს

აუდიტორიაში ლექციებზე ერთმანეთს ვეუბნებოდით სასიხარულო ამბავს — ჩვენმა ნაკრებმა მოულოდნელად თურქეთის ნაკრებს 3:1. პო, ეს სულ ახლახანს იყო... და მე მაშინ ჩემს სახლში ვიყავი. უკანასკნელ გაჩერებას მივალწვიეთ. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ლამაზი ქუჩებით სიარულისას რაიმეზე ფიქრი უკვე შეუძლებელი იყო.

— შეხედე, აგერ იმ მაღაზიას!.. არა, აი, ამას!.. — მომმართავდნენ წინადადებებით და კონტრწინადადებებით ტოგო და სტეპკო. დუმდა მხოლოდ ომარი, რადგან ჩვეულებად ჰქონდა ყველაფერი, რაც მისთვის უცნობი იყო, მოეთავსებინა წინასწარ წარმოდგენილის ჩარჩოებში. ახლა კი, ამდენი შთაბეჭდილებებისათვის ეს ჩარჩოები იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ იგი დაიბნა.

— შეხედე, რა კოსტუმებია!.. რა საათები! რა განქეულობა! — აღტაცებით ამბობდა ტოგო და თან მაღაზიიდან მაღაზიაზე გადაჰქონდა შხერა. — ფეხსაცმელები, რამდენი ფეხსაცმელია!.. ამ ქალქში ყველაფერია, რაც გინდა გულო და სულო!

— ეს ხალვის ქალაქია! — გადაჭრით განაცხადა სტეპკომ.

მთლად მინებში და სარკეებში ჩასმული მაღაზია, გაქედილი იყო მარმარილოს მაგილებით, რომლებზედაც ათფუთიან პირამიდებზედ ეწყო ხალვა — თეთრი, ვარდისფერი, ყვითელი, მწვანე, მიხაკისფერი...

მე კი უფრო მომწონდა ავტომობილები, სხვადასხვა ფორმისა და ფერის, რომლებიც თავიანთ მონიკელებული ნაწილის ელვარებით ნელა არღვევდნენ ხალხის ბრბოს როგორც ჭინჭველების ბუდეში ჩაყვანილი ხოჭოები. და აგრეთვე, ელვანტური ხალხით სავსე კაფეები, რესტორნები; რომელთა ვიტრინებში იწებოდა მორებივით სქელი მწვადები და თეთრქუდიანი მზარეულები ბასრი დანით აძლიდნენ მათ გარეთა, შემწვარ ნაწილს...

მოხუცს, ეტყობა, მობეზრდა ლოდინი ყოველი ვიტრინის წინ. ვიდრე ჩვენ მას

ვათვლიერებდით, მან გვერდით გადაუხვია და პარალელური ქუჩეზე წაგვიყვანა.

მეზღოვითქმანა

ეს იყო ერთმანეთის მსგავსი უფერული, მკიდროდ დახტრულდარაბებიანი, უეზოო და სრულიად უკაცრიელი მდიდარი და ლამაზი ქუჩების უკანა მხარე. მთავარი ქუჩის სიმდიდრისა და ბრწყინვალეების შემდეგ ეს ქუჩა უხალისობისა და მოწყენილობის განსახიერებად მოჩანდა.

— მედალის მეორე მხარე. — ვუთხარი ჩემს გვერდით მომავალ ომარს.

— რომელი მედალის?

— აი, იმისი, რომელსაც ერთი მხარე ოქროსი აქვს, მეორე კი ნეხვისა. — ხელით ვანიშნე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ქუჩა.

— რასაკვირველია, — რატომღაც გავხარდა ომარს. — ყველა ხომ მდიდარი ვერ იქნება... ვილაცამ ხომ უნდა იმეშაოს, ემსახუროს...

— აი, როცა ვამდიდრდები! — აღლომბით დავიწყე მე. — ვიყიდი დიდ სახლს და უსათუოდ ლაქიად დავიჭირავებ. შენ გამიწმენდ ფეხსაცმელებს, გაიტან ხოლმე ლამის ქოთანს და ასეირნებ ჩემს ძაღლს.

ომარი ჯერ სახტად დარჩა, მერე კი გამჭირდავად გაეღიმა.

— შენ არასოდეს არ ვამდიდრდები. — მითხრა მან.

— რატომ?

— რომ ვამდიდრდე, ფული უნდა გიყვარდეს.

— მე მიყვარს. აბა; ფული ვის არ უყვარს?!

— შენ ხარჯვა გიყვარს, ფულს კი კაპიკ-კაპიკ უყვარს შეგროვება.

წინ მომავალი მოხუცი გაჩერდა პატარა, კედლებდახეთქილ და ქუჩვიან ვიტრინიან მაღაზიასთან, ტოგოსა და სტეპკოს რაღაც უთხრა და შიგ შევიდა.

— გვითხრა, აქ დაიცადეთო. — წაიბურტყუნა ასეთი მიღებით განაწყენებულმა ტოგომ.

მაღაზია ფეხსაცმელების სახელოსნო აღმოჩნდა, მაგრამ ხარაზების ნაცვლად

ვიტრინასთან კოსტუმში გამოწყობილი ვილაცა ორი კაცი გაცხარებით ნარდს თამაშობდა. მოთამაშებებმა ერთი კი შემოგვხედეს და მყისვე განაგრძეს კამათლების გააფთრებელი ჭანჭყარი, დაფაზე გავორება და საოცარი სისწრაფით კოჭების გადასმა.

წაგო გამხდარმა კაცმა, პიჯაკის ჯიბიდან უხალისოდ ამოიღო ფული და ნარდზე დაყარა. სქელმა და სახელადავამ ღმილით მოხვეტა ფული და სწრაფად ჩაიტენა შარვლის ჯიბეში, რისთვისაც მას ზურგის რაღაც უცნაურად გამოხუნქვა დასჭირდა.

მოხუცი დინჯად ადევნებდა თამაშს თვალს და სრულებით აღარ ვახსოვდით თავისი მოყვანილი ოთხი ჩამოკონკილი არსება.

ჩვენ კი, როგორც გვითხრეს, ველოდით... და გარედან ვადევნებდით თვალს თამაშს, ორივე კარგად თამაშობდა, მაგრამ რატომღაც ყოველთვის სქელი აგებდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, ჩამოხვიდე სტამბულში იმისათვის რომ, ნარდის თამაშს უყურო? — მართებულად წაიბუზღუნა ტოვომ.

მართლაცდა, ძალიან დიდხანს ველოდით კაცს, რომელზედაც, ცოტად თუ შევრად იყო დამოკიდებული ჩვენი ბედი. სად უნდა გამჭრალიყო ის, ემიგრანტთა მთაფრობის წარმომადგენელი?

გულგრილად გვივლიდნენ გვერდს ქუჩაში იშვიათი გამწვულ-გამომვლულები და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ. მხოლოდ ერთი მოხუცი მახოზავარი ქალი შეჩერდა ცრემლმორქულო, ნახევრად უსინათლო თვალებით შეგვათვალიერა და გზა განაგრძო.

— დაგვინახა რასაც წარმოვადგენთ. — გაიცინა სტეპკომ.

— ეტყობა, ვერაფერს ხედავს, — აღნიშნა ომარმა, რომელიც ვერ მიხვდა სტეპკოს ზუმრობას.

ვიტრინის იქით მოთამაშებებმა ხელების ქნევა და ყვირილი ატეხეს, მერე უეცრად დაშოშინდნენ და ახალ პარტიას შეუდგნენ. მოხუცმა კი დასამშვი-

დებლად თავი დაგვიქნია იმის ნიშნად, რომ დიდხანს ლოდინი აღარ მოგვინდებათო.

კიდევ ორჯერ გაიხიჩქა წელში სქელი და ფული შარვლის ჯიბეში ჩაიღო. ბოლოს კი გახუნქვა აღარ დასჭირდა, რადგან ფული არ მიიღო და თამაში ამით დამთავრდა. მოთამაშენი ქუჩაში გამოვიდნენ. სქელი უმაღლვე წავიდა, მეორე კი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა კარებში და მერე მოგვიახლოვდა.

— გამარჯობათ, ბოდიშს ვიხდი, რომ პორტში ვერ დაგიხვდით... თქვენ, ალბათ, შიშვლით კუჭი გიხმებდათ... — გვითხრა მან ქართულად და ხელის ჩამორთმევა დაგვიწყო.

ხელის ჩამორთმევისას სტეპკო წარმომადგენელს ზრდილობიანად შესტკეპროდა თვალებში და სევდიანად უღიმიოდა, რითაც აგებინებდა, რომ მართალია ეს ასეა, მაგრამ მე შენ ამას სულგრძელობით გაპატიებო.

ჩვენ, დანარჩენებმა კი დავეწყეთ მტკიცება წარმომადგენელს, რომ ეს არაფერი იყო.

— ახლა, პირველ რიგში ჩვენ დავნაყრდებით.. მერე კი სასტუმროში მოგაწყობთ. — გვითხრა წარმომადგენელმა.

ბიჭებს დაძაბული სახეები დაუმშვიდდათ. მართლაც, ეს ზომ ჩინებული იყო — აღმოჩნდა ამქვეყნად აღამიანი, რომელიც ზრუნავდა ჩვენზე. ვინ იცის, რამდენჯერ შეგვინიშნავს ჩვენ ერთმანეთის თვალებში სევდა, და ამის მიზეზი ყოველთვის იყო შეგარძნება, რომ შენ ამქვეყნად არავისთვის არა ხარ საჭირო... თურმე ეს ასე არ ყოფილა.

წარმომადგენელმა მიხვედრილად ავვათვალიერა-ჩაგვათვალიერა.

— პო... ხვალ ტანსაცმელზე მოგვიხდება ფიქრი. — თქვა მან.

— რა თქმა უნდა... — მორიდებული კეკლუცობით დაუდასტურა სტეპკომ, რომელსაც უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მუქთად ჩააცმევდნენ, რადგან ესეაა შესთავაზეს უფასო საჭმელი და თავშესაფარი.

ნოყიერ ვახშამს ჩვენ უკვე სურნელოვან ყავას ვაყოლებდით და ცოტა გადაკრულშიც ვიყავით, როცა წარმომადგენელმა ერთობ დემოკრატიულად შემოგვთავაზა, რომ უბრალოდ, „ბატონო კოლა“ დამიძახეთო, ზედსართავ „პატივცემულოს“ ვარეშე, რომელსაც სტეპო თავისი მომავალი მწყალობელის მიმართ ერთგული ხელქვეითის გრძობებით აღვსილი წამდაუწუმ ხმარობდა.

თავაზიანობისათვის აუცილებელი პაუზის შემდეგ დაეთანხმდით.

— პოდა, ძალიან კარგი, — ასანთის ღერით კბილს იჩიჩქინდა წარმომადგენელი და მივხდი, რომ ეს უფრო სერიოზული ამბავის პრელუდია იყო.

— ასე უბრალოდ მომართვას... მე ვერასოდეს ვერ შევძლებ, პატივცემულო! — ჩააშტერდა წარმომადგენელს თვალის კაკლებში შეწუხებული სტეპო.

ბუერის მნახველმა წარმომადგენელმა კეთილად გაუღიმა თავის თაყვანისმცემელს და გადავიდა მისთვის საინტერესო საკითხზე:

— თქვენ ვალუტა ღირებით გაქვთ თუ დოლარებით? — და პასუხი რომ არ მიიღო, დაუმატა: — მე ჩემი სადილის საფასურის გადახდა შემიძლია... მე აქ ნისიადაც შენდობიან.

— რასა ბრძანებთ? ჩვენ ღირები და დოლარები გვაქვს. — გონს მოვედი მე.

— ამაზე შეწუხდებით. — დაუმატა ტოგომ.

— წელან ხომ დაინახეთ, რომ თამაშში ბედმა მიმეხებლა... — ერთობ ალაღმართლად წარმოთქვა წარმომადგენელმა. — და საერთოდ ვინც კი თქვენამდე აქ ჩამოსულა, ფულს უკვე აღარ ინახავდა... უაზრობა იქნებოდა.

— ჩვენ თვითონ გვინდოდა რამენაირად თქვენი პატივისცემა, — დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოსცრა ომარმა.

მე სულ სტეპოს ვადევნებდი თვალს. მისთვის ეს ყველა ილუზიის გაცრუება იყო. ტყუილად ფიქრობს ზოგი, რომ პარაზიტები აბსოლუტურად უსულო არსებანი არიან და განცდები არა აქვთ.

ისინი სხვებზე ნაკლებ როდი განიცდიან.. ოღონდ სულ სხვა მიზნების გამო.

სტეპო, როდესაც ძალიან განაწყენდებოდა ხოლმე, ქედმაღლურ და ამჟამად შესახედაობას იღებდა.

ამჟამად თავაწეული, იგი ზიზღით მოკუტული თვალებით უქმხად უყურებდა წარმომადგენელს და დუმდა.

ასევე ამპარტავნულად ქედმაღლური იყო სტეპო წარმომადგენლის მიმართ, როდესაც იგი დაგვემშვიდობა ოტელის ოთახში, სადაც მან მოგვაწყო გაჭიანურებული და ბარაქიანი ვახშამის შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ ამ მოკლე დროში წარმომადგენელმა, თავის მხრივ, დაფასა სტეპო. რესტორანში ანგარიშის გასწორებისას მან დაინახა, რომ სტეპო სრულიად უკაბიკოდ იყო, და ამ მომენტიდან ისე უყურებდა მას, თითქოს სრულებით ვერ ამჩნევდა.

ჩვენი ოთახი დერეფნის ბოლოს იყო, უფანჯრო, მაგრამ საკმაოდ სუფთა, იდგა ორი ძალიან განიერი საწოლი, მათ შუა პატარა ტუმბურა, სარკიანი კარადა და ოთხი სკამი.

თეთრი, ქათქათა ზეწარგადაფარებული ზამბარებიანი საწოლი პირდაპირ ნეტარება იყო, რომელზე ოცნებაც კი დაგვევიწყდა, მაგრამ როგორ ჩაეწოლილიყავით ამ ჩვენი ჩამოყვანილი მკებენარებით?

საბედნიეროდ, ნათქვამია, გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან გამოჩნდებოდა... და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ დელიშობილა, ერთმანეთის ხელისკვრით ვცდილობდით დაგვეკავებინა ადგილი სარკიანი კარადის წინ, რომ კარგად დაგვენახა ჩვენი მუსკულატურა... ჩვენი ტილებიანი ტანისამოსი კი ზროვად ეყარა კაფელის იატაკზე.

— შეხედე! შეხედე!... შენმა ტანსაცმელმა მთელი ერთი მეტრით გადაინაცვლა. — მივმართე ჭუჭყიან ტყავგადაკრულ ჩონჩხს, რომელსაც ომარი ერქვა.

მარტო ის არ ცდილობდა სარკის წინ ადგილი დაეკავებინა, რაშიც აბსოლუტურად მართალი იყო.

— ფრთხილად, ტილებმა შენი ტანსა-

ცმელი დერეფანში არ გაიტანონ. — უთხრა სტეპკომ ომარს და თან თავის ბიკიპსებს და ფერდების დაჭიმულ კუნთებს სარკეში ითვალისწინებდა.

— რამდენიც არ უნდა გაიბლინძო, სწორედ იმ სიმაღლე ხარ, რომ მე ერთ აღვილზე მაყოცო! ჰა, ჰა, ჰა!.. — თავის პასუხზე თვითონვე გაეცინა ომარს.

— რანაირი ჩონჩხი არ მინახავს, მაგრამ ფეხები მაინც ყველას ერთი სიგრძისა ჰქონია...

— ეგ უკვე ნამეტანია, ადამიანის ფიზიკურ ნაკლს დასცინო. — ტოგოს უნდოდა ომარს მიჰქომაგებოდა, მაგრამ მთლად კარგად ვერ გამოუვიდა.

— მაშ, ეგ ჩემს სიმაღლეს რას დასცინის?... დაიწყო თავის მართლება სტეპკომ, როცა შეამჩნია, რომ მეც მის წინააღმდეგ ვიყავი.

— როგორ არა გრცხვენიათ, თქვა ტოგომ. — ამოდენა ვირტუოზობა პატარა ბიჭებივით ექცევი!

იგი იდგა ფეხებმოგრეხილი, მხრებდაქანებული და ბავშვივით ვარდისფერკანიანი.

უეცრივ ვიგრძენი, რომ მიყვარდა იგი, მისი ბევრი კარგი თვისების გამო... და რომ მძულდნენ სტეპკო და ომარი.

ტანსაცმლის ფარული ჯიბეებიდან ამოვალაგეთ ფული, ბალიშების ქვეშ ამოვდეთ და შეეძვერით წარმოუდგენლად რბილსა და სუფთა ლოგინებში.

დაძინება დიდხანს ვერ მოვახერხეთ... თეთრ ქათქათა ზეწრებზე ძალიან მკვეთრად ჩანდნენ ეს მცოცავი არსებანი. ჩვენ ბლომად ველიტეთ, მაგრამ ბოლოს ძულელებული გავხდით ხელი ჩაგვექნია... და ტკბილად ჩაგვეძინა.

□ ბაბრძულა იმინა □

## კანო ურჯუყელაშვილი

# ფერიხვალობა

რომანი

ნაწილი მორადი

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ირმა გულჩათხრობილი ვახდა, ოთხკედელშუა ჩაიკეტა, გარეთ ნაკლებად გამოდიოდა, ყველას გაურბოდა, სანატორიუმში თავმოყრილ ქალებს, დილადაც საღამომდე ეკვლიტებქვეშ რომ ისხდნენ და მუსიკობდნენ, დასაანახავად ვერ იტანდა.

ირმას შურდა, რომ ქმრებისაგან განებობრებული ცოლები უდარდელად ატარებდნენ დღეებს, საფიქრებელი არაფერი ჰქონდათ, ემყოფილნი, უზრუნველნი და ბედნიერნი იყვნენ.

მათ გამოხედვასა და სიტყვა-პასუხში ქედმალლობა იგრძნობოდა. თითქოს უნდოდათ ეთქვათ: საღ შენ და საღ ჩვენი?! შენი საქციელის ქალი როდი იმსახურებს ჩვენი გვერდით ჯდომასო. არც იმამი ეპარებოდა ეჭვი, რომ ისინი მასზე უკარობდნენ, ჰკიცხავდნენ. ამას განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა, როცა ქალებში მზიარულიბის შეუღლეს შეასწრებდა თეილს.

თითქოს მის ჟიბრზე მორთულ-მოპრანქულ ლამარა მთელ დღეს სანატორიუმში ატარებდა. დამსვენებელ ქალებთან ნაცნობობა ვააბა, ვინ ქმრის მანქანით ბაზარზე წაყუვანა, ვინ სოქოში, ვინ კიდევ—რიწაზე. ირმა ვი ერთხელაც არ მოიკითხა, ერთხელაც არ შეეხმურა: როგორ ხარ, რას საქმიანობ, შენც ხომ არ ისურვებ ჩვენთან ერთად გასეირნებასო.

რას დეძებს, ლამარა და მასავით მოკლილი ქალები, საცა ვინდა იქ წავიდნენ, თუნდაც გაუკორნი, გაეკუბონ, მიწასთან გაასწორონ.

გული იმაზე უყვდება, იმით არის დამწვარი-დადაგული, რომ ვია მთლად შეცვლიდა.

მის დანახავზე შეიღმა გაიციხა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ მაინც დაჩაფრული, საბარალო ეჩვენა. ეტყობა, უდედობას მძიმედ განიცდიდა.

ბავშვის ნათქვამმა სიტყვებმა, მამა ცოდოაო, თითქოს გულში რაღაც ჩასწყვიტა, საშინელ-სასოწარკვეთილებაში ჩავლო. როგორ უნდოდა, ბავშვის მტყუველ, საყვედურით საესე თვალებს ვაჰქციოდა, ქვესკნელში ჩამქერალიყო, არარაობად ქცეულიყო. ეგონა, შეიღის ნახვის წყურვილს მოიკლავდა, დამშვიდდებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით, ეს გრძნობა უფრო გაუცხოველდა. და აი მას აქვთ დღე არ ახსოვს ისეთი, რომ შეიღზე არ ფიქრობდეს, რაღაც შიშისმომგვრელი ნაღველი დაეუფლა. სინდისი ქვენისი, აღარაფერი იზიდავს, აღარაფერი იტაცებს, აღარც ჩაცმა-დახურვა უნდა, აღარც სხვა რამ ბედნიერება, ცხოვრება არარაობად ეჩვენება, სოკვლილი ენატრება.

სანებლიძე თითქოს მიხვედრილია, რა უბედურებაზე ტროალებს ირმას გულში, ვიაზე სიტყვას აღარ სძრავს. ეფერება, ელერსება. სულ იმის ცდაშია, რაიმე ასიაშოვნოს, ათას რამეს თავახობს, მაგრამ მას არაფერი ახარება.

ვერც საქის მართვამ, ვერც უსახლჯრო სივრცეზე სწრაფმა ქროლავამ, ადრე გაგივებით რომ უყვარდა, ვერ განაცდევინა ჩვეული სიხარული. პლაზე მეოფი ადამიანები თველს აყოლებდნენ. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველამ იცოდა მისი აშბავი, ერთმანეთს თითო



უჩვენებდნენ: ეს ის ქარაფშეტა ქალბატონია, მარგალიტებით შვილს და ახალგაზრდა ქმარს ფუფუნებით ცხოვრება და ორი თავის ხნის მა- მაყაი რომ ამჯობინაო.

ელიზბარი დღითიდღე თავს უკეთ ვრწმობდა. მომარტა, ძალ-ღონე მოყვრება. მასში ისევ გა- იღვივა სიცოცხლის წყურვილი.

საშინლად გაქანებდნენ დღეები, ზღვაზე ელარ სძლებდა, გული თბილისისაყენ მიუ- წევდა.

მარგალიტამ, როცა ელიზბარმა თავისი განზ- რახვა გაანდო, უპასუხა: ჩემთვის სულერთია, როგორც გერჩიოს ისე მოაქციო. სინამდვი- ლეში კი გულით ეწადა თბილისში წასვლა, რადგან ზღვის ჰაერმა ცუდად იმოქმედა მოხუც- ზე, თავის ტყვილები დასჩემდა, მზეზე თავბრუ ეხვეოდა, ერთი-ორჯერ ცხვირიდან სისხლიც წასვდა.

სახლის პატრონის ცოლმა იგი მეზობლად მცხოვრებ ექიმს გაასთავა. წნევა გაქვს დაბალა, შენთვის ზღვა მიენებელიაო, უთხრა ექიმმა და გაგრძიდან წასვლა ურჩია.

ელიზბარის გადაწყვეტილებმა რომ ვაივო, ვე- რიყო ვაქს შეეკოთხა:

— ნუ მომერიდებო, სიმართლე მითხარი, იქ- ნებ ბინა არ მოგწონთ? სხვა დაიჭირავეთ! ან თუ ცოტას მოიყვლით, სანატორიუმ „საქართვე- ლოს“ დირექტორი შემპირდა, პირველი რიცხ- ვიდან საჯურს გამოგიანახავო.

— გული აღარ მიწერდება, სჯობია წავიდე! სამინისტროში დროზე რომ არ გამოცხადდეს, ვაითუ სამუშაოთა მწარმოებლად სხვა დანიშ- ნონ, — მიუგო ელიზბარმა.

— როგორც ამჯობინებ, ისე მოიქეცი- ოღონდ ამ საღამოს პროფესორთან მივიღეთ. ორი დღე ჩამოვიდა, სანატორიუმ „იერიანი“ ისვენებს.

მშვიდი საათის შემდეგ ვერყო და ელიზბარი პროფესორს ეწვივნენ.

მკერძანლა დაინახა თუ არა ელიზბარი, შესძახა:

— აი, რას ნიშნავს სწორი მკერძანლა! გა- მოყანმრთლებულხარ, გასტუმრებულხარ, კისერი ბელსავით დაგმსხვილებია. — და ვერიკოს რა- დაც ორპირიონად შესცინა.

— სიმართლეს ბრძანებო! რასაკვირველია ბეჭრად უკეთ არის, — მიუგო ვერიკომ, თით- ქოს ვერ მიხვდა პროფესორის სიცილის აზრს.

— ცოტა კიდევ თავს სუსტად ვგრძნობ, პრო- ფესორო! — თქვა ელიზბარმა.

— აი ასეთები ხართ ავადმყოფები! რაც არ უნდა განიერნოთ, შიანც ექიმს თავს აბრა- ლებთ, ცოტა კიდევ შეუძლოდა ვარ, ცოტა კი- დევ თავს სუსტად ვგრძნობო.

პროფესორის სამოთხიანი „ღუქსი“ ეთავა-

ფართო მისაღებ ოთახს საზღვარგარეთელი ძვირფასი ავეჯი ამშვენებდა. ბრელიურ ექვთიმო და ჰერკლით გამოჭედილ ჰერფანდო სხვა მარკის ოცამდე კონიაი ელავა. ზღვისყენ გამაული ფეხრის აქეთ-იქით გერმანული პი- ნინო და ფერადი ტელევიზორი იდგა.

პროფესორმა ელიზბარს გამოჰკოთხა, თავს როგორ გრძნობდა, მერე მაქა უნახა, გულსაც მოუსმინა და მხარზე ხელი წასცხო.

— მუშაობა კი არა, კოსმოსში შეგვიძლია გა- ფრენა. ჟერჯერობით ნუ დაღუვ, ნურც მოსწევ. ცოტა ხნის მერე კი ესეც შეიძლება.

პროფესორმა ნერწყვი გადაელაბა, კეფაზე ხელი მოისვა, კონიაის ბოთლებს თვალი გაუ- შტერა და თავმომწონედ ვერიკოს შეეკოთხა:

— ქალბატონო, მოგწონთ ჩემი კონიაყების კოლექცია?

— დიდებულო! — გაიღმა ვერიკომ.

— გაიგეს, რომ კონიაყებს ეაგროყებ და ხან ეინ გამომიგზავნის, ხან ეინ. — და კუთხეში მი- დგმული მაციყარი გაალო, კონიაი და ატმით საესე ენა გამოილო.

— როგორ გეყადრებათ, რატომ წუხდებით? — თქვა ვერიკომ, წამოადგა და ელიზბარს თვა- ლით ანიშნა უყან გამოყევიო, მგრამ მასპინძე- ლი წინ გადაუდგა.

— თავად როგორ გეყადრებათ! სტუმართმო- ყვარობისა ცოტა რამ მეც ვაშეგება. თქვენის- თანა ხალხს უმატიყეპულოდ ვერ ვავისტუმ- რებ.

— პროფესორმა კარადიდან თეფშები, დანები, ჭიჭები გამოილავა და სტუმრები მაგიდასთან მი- იწვია.

ვერიკო უარობდა, ღრო არ გეაქვს, გეჩქა- რებოო, მგრამ მასპინძელს არაფრის ვავონება არ უნდოდა.

კონიაი დაახა, ჭიჭას აყანალებული ხელი წაატანა და შესძახა:

— მეგობრებო, ეს მოლით და ჩვენ შეხვედ- რას ვაუმარჯოს! აბა, მომიჭახუნეთ ჭიჭა.

— გმადლობთ, არ შემოძლია დალუვა! — თქვა ელიზბარმა.

— ვითომ რატომ? — და პასუხს არ დაელო- და. — ორმოყდაათი გრამი კონიანი, თუ არ გარეგებს, არც ვაუნებს?! ვაუმარჯოს ჩვენს შე- ხვედრას, ვაუმარჯოს! — და სასმელი ერთბაშად გადაყრა.

ვერიკომაც გამოსცალა ჭიჭა, ელიზბარმა კი ოღნავ მოსვა.

— აბა, ხილით პირი დაევიმონეთ, კონიაყს ატამზე ძალიან არაფერი უხდება! — თქვა მის- პინძელმა და ჭიჭები ევლავ შეავსო.

სტუმრებმა ატმის ვათლაც ვერ მოასწრეს, რომ მასპინძელმა ჭიჭა ასწია და წარმოთქვა:

— ეს თქვენ ვაგიმარჯოთ! — და ამყერადაც ჭიჭა ერთი ვადაყერით გამოყალა. მერე პაპი-

როს მოჲყიდა, გემრიელად გამოქაჩა და ჭიქა ისევ შეივსო.

— ძალას არ დაგატანო, რამდენიც გესიამოვნებათ, იმდენი მიირთვიო!

ამერად თავისთვის ჩაილაპარაკა ეს მე გამო-მარქოსო, და კონიაი უცებ შესვა.

უკანასკნელი მასალების მიხედვით 1921-1970 წლებში კაპიტალურმა დაბანდებას საქართველოს სახალხო მეურნეობაში შეადგინა 14 მილიარდ მანეთზე მეტი, ხოლო მრეწველობაში იგი 4 მილიარდ 549 მილიონ მანეთს უდრის. (იხ. საბჭოთა საქართველოს 50 წელი. სტატისტიკური კრებული, თბილისი 1971, გვ. 10, 202-203).

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდამ გამოიწვია ძირითად ფონდების მნიშვნელოვანი ვაჭაროება, პროდუქციის გამოშვების გადიდება, ერთენული შემოსავლის ზრდა და მშრომელთა მსახურის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.

სამამულო ომის შემდგომ წლებში ახალ მძლავრ აღმავლობას მიაღწია საქართველოს მრეწველობამ და აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. 1957 წელს შეიქმნა ელ-მავალსაშენებელი ქარხანა, რომელმაც ამჟამად აითვისა ახალი მძლავრი სამაგისტრალი ელმავლის ელ-10-ის წარმოება. თბილისში ამოქმედდა ისეთი მნიშვნელოვანი ქარხნები, როგორცაა: „ელექტრო-ავტომობილი“, „ელექტრო-მარაჟი“, „ჰიდრომეტრელსაწყობი“, „ელექტროგამშვები“ და მრავალი სხვა საწარმო, რომელთა პროდუქცია გამოიყენება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც იგზავნება. მწყობაში ჩადგა ქუთაისის ს. ორჭონიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ქუთაისის მცირეგაბარტიანი ტრაქტორის ქარხანა და აგრეთვე სხვა საწარმოებიც. მსხვილ მანქანათმშენებელ, ლითონდამამუშავებელ და ხელსაწყობთმშენებელ მრავალ საწარმოთა აგებით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საკუთარი

მანქანათმშენებელი ბაზა. მანქანათმშენებელ მრეწველობამ მოკლე დროში აითვისა რეკონსტრუქციული ზარბუზი და მანქანების მრეწველობაში მეცნიერებმა და ინჟინერებმა მრეწველობაში შექმნეს და წარმოებაში დაინერგეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრედი მანქანა — „საქართველო“, ფართო განვითარება მიიღო ჩვენს რესპუბლიკისათვის სპეციალური და წამყვანი დარგისათვის ტექნიკური ბაზის შექმნას; მეცნიერება-მედიცინისათვის საკურო მანქანებისა და მოწყობილობის წარმოებას, ჩაის მანქანათმშენებლობის და სხვ. საქართველო ჩვენს მომხმ რესპუბლიკებს აწვდის ელმავლებს, ზარბუზებს, ავტომანქანებს და აგრეთვე სხვა სახის მანქანებსაც.

ომამდელდგომ პერიოდში რუსთაველში აშენდა მეტალურგიული ქარხანა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს წარმოადგენს. ამ საწარმომ 1961 წელს წარმატებით განახორციელა საგლიანო დგანის კომპლექსური ავტომატრიზაცია, რომლის ეკონომიკური ეფექტიანობა წლიურად 2 მილიონ მანეთს აღემატება. 1966-1970 წლებში რუსთაველს მეტალურგიულ ქარხანაში ამოქმედდა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი.

ზესტაფონის ფეროშენადნობითა საწარმომ აითვისა ფეროშენადნობის შენადნობთა გამოშვება. აღნიშნულ ქარხნების აღნეობით საქართველოში შეიქმნა საკუთარი მეტალურგიული ბაზა.

წარმოიშვა ქიმიური მრეწველობის უდიდესი საწარმოები — რუსთაველს ქიმიური კომბინატი, სინთეზური ბოჭვის ქარხანა, მინერალური სისუქების წარმოება, ქუთაისის ლითონფონის ქარხანა და სხვა.

დიდ განვითარებას მიიღო ქვანახშირის, მარგანცის, აგრეთვე სამთამადნო წარმოების მრავალმა დარგმა.

წარმოების საშუალებათა მძლავრ განვითარებასთან ერთად დიდად განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, აღნიშნული მრეწველობის მრავალი საწარმო, რომლებიც მოხმარების საგნებს უშვებენ, დასრულებული არიან ადგილობრივ ნედლი მასალის გამოყენებით. ამჟამად საქართველოში 90-მდე ქარხნის გადამამუშავებელი და ჩამომსხმელი ქარხანა მუშაობს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულ იქნა 77 ჩიკაფობრიკა. უკანასკნელ ხანებში განხორციელდა შავი და მწვანე ჩაის კომბინირებული წარმოება. მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში საერთო პროდუქციის მიხედვით კვების ინდუსტრიას მავალი პროცენტი უჭირავს. ამ დარგის ისეთ პროდუქციას როგორცაა: ღვინო, ზაი, მინერალური წყლები, ეთერზეთები, კონსერვები, თამბაქო და სხვა არამარტო ადგილობრივი, არამედ საერთო-საკავშირო მნიშ-

ენელობა აქვთ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში ჩაის წარმოების ძირითად ბაზას წარმოადგენს. მთელი ჩვენი ქვეყნის მოთხოვნას ჩაიზე ძირითადად საქართველო აკმაყოფილებს.

კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მრავალრიცხოვან საწარმოებიდან, რომლებიც შეიქმნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, უნდა მოვიხსენიოთ თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატი, თბილისის ხორციის კომბინატი, შაქრის ქარხანა, ბორჯომის წყლის ქარხანა, გორსა და კოდში მეფრინველეობის ფაბრიკა-გვიანტები, რომლებიც მწყოებში ჩადგა მეცხერს ხუთწლედის პირველ წელს და მშრომელებს ყუველწლიურად მიაწვდიან ათასობით ტონა ფრინველის ხორცისა და მილიონობით კერძს; თბილისის სართავ-სატრიაკტაჟო კომბინატი, თბილისის კამკოლ-მამულის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, გორის ბამბულის კომბინატი, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და აგრეთვე სხვა სამრეწველო გაერთიანებანი და კომპლექსები.

1970 წელს საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქტია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 85-ჯერ; ხილი 1940 წელთან შედარებით 8-ჯერ. სამრეწველო პროდუქციის ასეთი კოლოსალური ზრდა ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოაღწია გვიანტურ განვითარებას. აღნიშნული ფაქტი თავის მხრივ მოწმობს წარმოების სოციალისტური სისტემის უდიდეს უპირატესობაზე კაპიტალისტურთან შედარებით.

საბჭოთა სოციალისტური წყობილების პირობებში საქართველოში შეიქმნა ახალი ინდუსტრიული კერები რუსთავში, ქუთაისში, კიანთრაში, აკრაში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთში და აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

თუ საქართველო მოკლე დროის პერიოდში გადაიქცა მსხვილი და მძლავრი ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი მექანიზირებული სოფლის მეურნეობის, მაღალი სოციალისტური ავლტურისა და მოწინავე მეცნიერების რესპუბლიკად, ეს შედეგია არა მარტო თვით ქართველი ხალხის დამაბული შრომისა, დიდი ნიქისა და შემოქმედებითი ენერჯიისა, არამედ, მასთან ერთად ჩვენი მოძმე რესპუბლიკებისა და ყველა საბჭოთა ხალხის ძმური ურთიერთდამხრებისა და მეგობრული თანამშრომლობისა. საქცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“ ნათქვამია:

„მრავალი წლის ცხოვრებისეული გამოცდი-

ლებით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი დარწმუნდა, თუ როდენ უხვი ნაყოფი მოაქვს მათს შეკავშირებას საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, რა უწყობლობის შექმნა ლობებს სახავს იგი მომავლისათვის.

მატერიალური საშუალებებისა და ღონისძიებების კონცენტრაციამ, საბჭოთა ხალხის უნაგარო ურთიერთდამხრებამ შესაძლებლობა მოგვცა შევექმნა ყველა რესპუბლიკაში მიაღწავანითარებული მრეწველობა და მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა“.

ამას დამაჩრებლად ადასტურებენ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები და სტატისტიკური ცნობები.

ახალდგია სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც ჩვენში 50-იან წლებში დაიწყო, კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის განხორციელებასთან ერთად მიმდინარეობს. მისი ერთ-ერთი მთავარი და არსებითი მოთხოვნა ახალი, თანამედროვე მანქანური ტექნიკით ყველა დარგის საწარმოს ზედახალი აღეჭრება. საწარმოო პროცესების ფართო ავტომატიზაციას ამჟამად ადგილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურებში, ნაწილობრივ მეტალურგიულ წარმოებაში, ასევე სხვა დარგის საწარმოებშიც. ტექნიკური პროგრესი (ავტომატური ხაზები, უწყვეტი საწარმოო ნაკადები, კომპლექსური მექანიზაცია, მოწყობილობათა განახლება, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება და სხვ.), სულ უფრო იჭრება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მრავალ დარგში, რის შედეგადაც მნიშვნელოვანად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ასე, მაგალითად, ხუთწლედის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება 37 პროცენტით ამაღლდა, რამაც, თავის მხრივ, მრეწველობის საერთო პროდუქციის ნამატის 77 პროცენტი მოგვცა.

საწარმოთა მართვის ავტომატიზებულ სისტემაში მეტად დიდი გამოთვლითი ტექნიკის როლი. „საკენერჯოს“-ში, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში და სხვა საწარმოებშიც მოქმედებენ ელექტროავტომატური მანქანები, რომლებიც უდიდესი სისწრაფით ასრულებენ მრავალ რეპარაციას.

ჩვენს რესპუბლიკაში 1961-1970 წლების განმავლობაში ეროვნული შემოსავალი 92 პროცენტით გაიზარდა. 1970 წელს იგი 4,3 მილიარდ მანეთს უდრიდა. ამასთან დაკავშირებით იზრდებოდა მშრომელთა რეალური შემოსავალი. 1966-1969 წლებში მოსახლეობის რეალური შემოსავალი 20 პროცენტით გადიდდა. ამჟამად დაგეგვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასულ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი 800-ს აღემატება. 1970 წლის აგვისტოსათვის მათ საერთო პროდუქციის 84 პროცენტი გამოუშვეს და

მრეწველობის შთელი მოგების 83 პროცენტი მიიღეს. აღნიშნული საწარმოები მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს იძლევიან.

ჩვენი რესპუბლიკა სულ უფრო მზარდ მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის ეკსპორტში. საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიიღწია საწარმოო ძალების განვითარების ისეთ დონეს, რომ მას არათუ არ შემოაქვს მანქანები საზღვარგარეთიდან, არამედ პირიქით, თვითონ გააქვს მანქანებისა და მოწყობილობის მნიშვნელოვანი რაოდენობა როგორც დემოკრატიულ, ისე მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საბჭოთა საქართველოს სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია სავსებრტოდ იგზავნება საბჭოთა 70-ზე მეტ ქვეყანაში. ეს, თავის მხრივ საქართველოს მშლავრე სამრეწველო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკვენებელია. მრეწველობის ზრდის მხრივ ჩვენმა რესპუბლიკამ უკან ჩამოიტოვა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყანა და დაადგა მაღალინდუსტრიული განვითარების ფართო გზას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი ხალხის დიდი მონაპოვარია საკუთარი, მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრების შექმნა, რომლებიც წარმატებით წყვეტენ და ანბორციელებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახეულ რთულ ამოცანებს.

ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეშოთა კლასი. 1970 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მეშოთა-სამსახურეთა რიცხვი 1928 წელთან შედარებით მ-ქერ გადიდდა. მეშოთა კლასის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად ამაღლდა აგრეთვე მისი ტექნიკურ-კულტურული დონე.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა კიდევ უფრო მშლავრ აღმავლობას მიიღწევენ ახალ ხეობლედში, რომლის პირველი (1971) წლის გვეზა უკვე წარმატებით შეასრულა ქართველმა ხალხმა (1971-1975) ხეობლთან გაგმის შესახებ სკვპ 24-ე ურილობისა და ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს კოლოსალური მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და შედგომა განვითარების საქმეში. ახალი ხეობლარი გვეგმის ამოცანები ასახევენ საბჭოთა კავშირში შეშავალ ყველა რესპუბლიკის გიგანტურ მასშტაბებს.

საბჭოთა საქართველოში მეცხრე ხეობლედში სამრეწველო პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 39-42 პროცენტით, უფრო სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, კიმიური მრეწველობა და სხვ.

უნდა ამოქმედდეს ენგერის ჰიდროელექტროსადგურის სიმშლავრები და ვარციხის ჰი-

დროელექტროსადგურის კასკადის პირველი ელექტროსადგური. დაიწყება ენგელის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლმანქანმშენული რივიტებისა და მასთანჭრამქმ სამშენებლო თბოელექტროსადგურის ახალი აგრეგატების ამუშავების შემდეგ 1975 წელს გამომუშავებული იქნება 15,5 მილიარდი კილოვტსაათი ელექტროენერგია. უნდა დამთავრდეს მანდელის სპილენძამაღიღრებელი კომბინატის მშენებლობა, ამენდება ფაიფურის — ქანანერის ქარხანა, ლენის პირველადი გადამმუშავების 14 ქარხანა, ჩაის 10 ფაბრიკა და სხვ. ახალ ხეობლედში დასახლდია მრავალრიცხოვანი დონისობება, როგორც მიიმე მრეწველობის სხვა დარგების, ისე მსუბუქი და კვების მრეწველობის, ასევე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის კიდევ უფრო მაღალ ნაფუბრზე ასყვანად.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთაზე საქართველოსთან ერთად დიდ ინდუსტრიალურ განვითარებას მიიღწეეს საბჭოთა სოშხეთმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკამ და ყველა საბჭოთა ხალხმა.

რეოლუციამდელი სოშხეთის მრეწველობა ძირითადად წარმოადგენილი იყო კონიაკისა და ილაეერდის სპილენძსადნობი ქარხნებით, ტყავეულისა და მექანიკური წერილი საწარმოებით.

საბჭოთა წყობილებს დროს სოშხეთმა მოიპოვა გიგანტური წარმატებები. სოშხეთის სამრეწველო საწარმოთა რიცხვი ამჟამად 700-ზე მეტს აღწევს. იგი იძლევა ეროვნული შემოსავლის 70 პროცენტს. სოშხეთში შეიქმნა მსხვილი თანამედროვე მანქანათმშენებელი მრეწველობა, ელექტროტექნიკური მრეწველობა, ზესელი ხელსაწყობმშენებლობა, ავტომობილაციის საშუალეობა წარმოება, რადიოელექტრონული წარმოება, ელექტრული მრეწველობა და აგრეთვე სხვა საწარმოები. როგორც ცნობილია, სოშხეთს „ძალური ტრანსფორმატორების, სამკედლო-საწიხები მანქანების, ცენტრიდალური ტუმბოების წარმოებით შემაქო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირში. მცენარეთა დაყვის კიმიური საშუალეუბების, კელსტიკური სოდის, ავტოსაბურავების გამოშვებით — მეოთხე, ხოლო ლითონსაპრევი ჩარხების, ელექტროძრავების, ხელსაწყობების, ავტომობილაციისა და გამოსათრული ტექნიკის საშუალეუბება წარმოებით — მეხუთე ადგილი“ (6. არუთინიანი, საბჭოთა სოშხეთი 51 წლისა, იხ. ვაზ. „თბილიასი“, 29.XI 1971 წ.).

1970 წელს სოშხეთის მრეწველობის პროდუქციამ 181-ქერ გადაპარბა 1913 წლის დონეს, ხოლო 1940 წლის დონეს 9-ქერ, მნიშვნელოვნად განვითარდა სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ახალ ხეობლედში აღნიშნული რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს 60-65 პროცენტით, გათვალისწინე-



ბულია მანქანათმშენებლობის, ზუსტი ნარჩმ-  
 შენებლობის, რადიოტექნიკის, ელექტროტექნიკის,  
 ენერგეტიკისა და აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების ფართო განვითარება. უნდა ამუშავდეს რაზდანის სამთო-ქიმიური კომბინატის მთელი რიგი საწარმონი, ნავარაუდევია ატომური ელექტროსადგურის აშენება ახარატის ხეობაში, რომლის პირველი რეაქტორის ორი ბლოკი 1974 წელს შევა ექსპლოატაციაში. ზანჯურში უკვე შენდება ჰიდროელექტროსადგურის ეორტანის ასკადი. ასევე დაწესებულია სუფთა რკინის დასამზადებელი საცდელ საწარმოს მშენებლობა. რაზდანში აშენდება გამამდიდრებელი ფაბრიკა.

ინტენსიურ განვითარებაში მიიღებს ქიმიური მრეწველობა. მასალის სადგურში უნდა აშენდეს მეტად მსხვილი კომბინატი, კიროვკანში გაფართოვდება სინთეზური ბოკოს გამოსამწევებელი საწარმო, ამუშავდება ზოდის ოქროს მადნის კომბინატი და აგრეთვე სხვა საწარმონი.

მნიშვნელოვნად იზრდება ეროვნული შემოსავალი. მასი ზრდის საშუალო-წლიური ტემპი შეადგენს 8,2 პროცენტს.

ქვე კიდევ 1967 წელს ქ. ერევანში ამუშავდა 6 მილიარდ ელექტრონული სიმძლავრის წრიული ელექტრონული უდიდესი ამქაჩებელი, ხოლო 1971 წელს მათემატიკური მანქანების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შეწყობა შექმნეს ელექტრონული გამოსათვლელი მანქანები „ნაირი“. იმავე საველეო ინსტიტუტის მეშვეობის მიერ 1970 წელს შეიქმნა ახალი მანქანა „ნაირი-3“. იგი საბჭოთა ეავშირში პირველ უნივერსალურ ელექტრონულ გამოსათვლელ მანქანას წარმოადგენს.

საბჭოთა წყობილების პირობებში უდიდეს წარმატებებს მიადწიეს აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა.

ქვე კიდევ რევოლუციამდელ აზერბაიჯანში ფართოდ შეიჭრა უცხოეთის კაპიტალი და მის საფუძველზე ქ. ბაქოში წარმოიშენენ ნავთის მსხვილი კაპიტალისტური საწარმონი. მაგრამ საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანის ნავთის მრეწველობამ მიადწია გიგანტურ და ყოველმხრივ განვითარებას. განსაკუთრებით ამ დარგში ჩატარებული იქნა დიდი რკინიგზატექნიკური სამუშაოები, აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი ახალი ბუდობები, რომლებიც სწრაფად შევიდნენ მოქმედებაში, მოხდა ნავთის საწარმოთა მნიშვნელოვანი ტექნიკური გადაიარაღება, ფართოდ და სწრაფად დაინერგა ახალი ტექნიკა.

1969 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა აზერბაიჯანში 1921 წელთან შედარებით

გაიზარდა 70-ჯერ, ნავთის ამოღება 1920 წელთან შედარებით გადიდებულ იქნა 27-ჯერ, ელექტროენერჯის წარმოება — 36-ჯერ, მანქანათმშენებლობისა — 32-ჯერ, ზამბარ — 10-ჯერ, — 320-ჯერ და მეტად, ნავთის თანამედროვე მსხვილ სოციალისტურ მრეწველობის გარდა, აზერბაიჯანის რესპუბლიკას ამაჟამად გააჩნია შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და მოწიობილობათა წარმოება, რომლებიც მომსახურეობას უწევენ როგორც ნავთის საწარმოებს, ისე მრეწველობის სხვა დარგებსაც; ელექტროტექნიკა, ქიმიურა და ნავთისქიმიის მრეწველობა, რადიოტექნიკური მრეწველობა, საამშენებლო მასალების წარმოება და აგრეთვე მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგები. დიდად განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, 1969 წელს ეროვნული შემოსავალი 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო მოსახლეობის ფულადი შემოსავლები გადიდდა 2-ჯერ.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და ეროვნული შემოსავლის გადიდების საფუძველზე აზერბაიჯანის მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მეცხრე ხუთწლეულში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა აზერბაიჯანში უნდა გაიზარდოს 43-46 პროცენტით. ახალ ხუთწლეულში რესპუბლიკაში შემდგომ მძლავრ განვითარებას აღმოაჩენენ როგორც მძიმე ინდუსტრიის, ისე მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები.

სამრეწველო წარმოების მძლავრი აღმავლობა ამიერკავკასიის შიომე რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული გამოხრცილების შედეგად. სოციალისტური ერთობით დახმარებისა და მკიდრო მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, ასევე ყველა მოკავშირე რესპუბლიკა გადაიქცა მსხვილ და მაღალგანვითარებულ ინდუსტრიის, სოციალისტურ მექანიზებულ სოფლის მეურნეობის, ყოველმხრივ განვითარებულ კულტურისა და მოწინავე მეცნიერების მქონე რესპუბლიკად.

ამიერკავკასიის შიომე რესპუბლიკების ინდუსტრიული დონის ახალ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, რასაც ადვილი ექნება მეცხრე ხუთწლეულში, გამოიწვევს მშრომელთა ხალხის ცხოვრების მატარებელი და კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, რითაც განმორტიკლებული იქნება ახალი ხუთწლეულის მოთვარი ამოცანა.



გეომეტრიულ კანონზომიერებას: ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი სწორი ხაზია, თვეი-სი თითქმის ალოგიური განცხადებით, რომ ორ წერტილს შორის სწორი ხაზის გავლება არ შე-იძლება! და მეორე, რომლებსაც არა გავგე-ბათ რა პოეტური პროზისა და ხშირად, ხში-რად კი არა უმეტეს შემთხვევაში, მის ცნებას ვერლიბთან აიგივებენ.

პოეტურმა პროზამ, როგორც ეპოსის ახალმა ფანჯრამ, არც თუ ისე დიდხანია, რაც გავრცე-ლება პპოვა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. სწო-რედ ამ უკანასკნელ მომენტს ჩასტიდეს ხელი პი-რველი ქვეყნის კრიტიკოსებმა, მათ პოეტური პროზის ნიშნით აღბეჭდილი რომანები თუ მო-თხრობები უცხოური გველენით შექმნილ ნაწარ-მოებებად გამოაცხადეს.

ნათქვამია: შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს!

ოცდაათიან წლებში ჩვენში, საქართველოში შეიქმნა მეტად საინტერესო, მე ვიტყვდი, დიდი ჭარბი პროზა. ნიკო ლოთთიფანიძე, მიხეილ ჭავჭავაძევილი, კონსტანტინე გამსახურდია, კონ-სტანტინე ლორთქიფანიძე, დეო ჭიაბელი, დემანა შენგველაია, სერგო კლდიაშვილი — აი, სახელე-ბი შეერღებისა, რომლებმაც ქართული პროზა ამოვლილი ლიტერატურის დონემდე აყვანეს და მით ის პროვინციულობის ორღობეს გადა-არჩინეს. მაშინ, როცა თომას ვულფი თავის პოეტურ პროზას ქმნიდა, ჩვენში იწერებოდა, ანდა უკვე დაწერილი იყო ისეთი ბრწყინვალე რომანები და მოთხრობები, როგორცაა „თავ-საღრიანი დედაცოი“, „ღამბალო და ვაშა“, „მთვარის მოტაცება“, „სანაგარაო“, „ეკოლხეთის ცისკარი“, „თაგადის ჰალი შაო“, „პროვინციის მთვარე“ — და ბევრი სხვა... საქმე ის არის, რომ ამ ჩვენი შესანიშნავი შეერღების შემოქ-მელებმა, ჩვენთვის უკვე ძვირფას შემკიდრეო-ბად ქცეულმა, ჩვენი ლიტერატურისმცოდნეებისა და კრიტიკოსების მიერ დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის.

ქართულ ლიტერატურაში პროზას თავიდანვე მრავალი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ მდგომარეობა ეკირა. მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველის პოეტურმა გენიამ თითქმის სამუ-დამოდ დაუმორჩილა ჩვენი არსება პოეზიის ელვარებას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ რუსთაველს — სიუჟეტის უდიდეს ოსტატს, ხა-ხიათებისა და ტიპების დეტაბრიც მებრწყავს, თანსაჩიარად დახლართული ამბის დაუღღელსა და მავთოვლ მოხრობელს — მიუხედავად მისი ფრთავგაშლილი ლირიზმისა, ახალი ქართული პროზის განვითარებაშიც მიუძღვის უდიდესი როლი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შუა საუ-კუნეებში საქართველოში დღეს უსიუჟეტოდ ვერც კი წარმოედგინათ. ასევე საინტერესოა ისიც, რომ მეთორმეტე საუკუნის დიდი მწერ-ლის სულხან-საბა ორბელიანის დოკუმენტური

წიგნი „მოგზაურობა ევროპაში“ თავისუფლად ესიტყვება რუსთაველის პოემის გვირგვინთან-დღისი მოგზაურობის ამბავს. **მარტინეშვილი**

როცა პოეტურ პროზაზე ვსაუბრობთ, მაშინ უნდა შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივანდოთ ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილისა და ვ. ბარნოვის შემოქმედებას.

ცნობილია, რომ უველაზე ძნელი სწორედ შენს საქმიანობაზე ლაპარაკია. ილაპარაკო იმის შე-სახებ, რაც შენ ბოლომდე გარკვეული არა ვაქვს. ღრმად არ იცი, რადგან ეს ცოდნა, ჩემი აზრით, მაინც ინტეგრირია და არა გააზრებული, ცო-ტათი მეთხოზობის ჰგავს. რა თქმა უნდა, შეიძ-ლება მრავალი სწორი მოსაზრება გამოითქვას, მაგრამ მწამს, რომ, საბოლოო ჯამში, მაინც შორის ვიწმებით ჭეშმარიტებისკენ, ჩვენ შეიძ-ლება ბევრი საინტერესო რამ მოვისმინოთ თა-ნამედროვე პროზის თავისებურებების შესი-ხებ, შეიძლება მხარე დავუჭიროთ რომელიმე მიმდინარეობას, ერთმანეთს შეუდაროთ ძველი და ახალი რომანი, მაგრამ გულის სიღრმეში მა-ინც დაწმუნებულნი ვიწმებით და ამიტომ შეწუხებულნი ვართ, რომ უსათუოდ რადიკალი ვცდებით, რადგან, ბოლოსდაბოლოს, მწერალი ქმნის ფანრს და არა ფანრი — მწერალს და ამ-ღუნად უველა გამარჯვებული მწერალი, ტრადი-ციული ის თუ ნოვატორი, უკვე მართალია.

თეორიასა და ანალიზს განსაკუთრებული ნი-ჭი ეჭირება, განსაკუთრებულ მიდრეკილება, განსაკუთრებული ორგანიზაცია ინტელექტისა. როდესაც ამას ეამბობ, მახსენდება ცნობილი გერმანელი მხატვრის დიურერის სიტყვები: „ფერწერის ხელოვნების სამართლიანი განსჯა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თავად კარგად ხატავს.“ მაინც რა ვასაუბარი ძალა აქვს სიტ-ყვას! ამ ერთმა ფრაზამ ფორტოგრაფიული სი-ზუსტით შემოგვიჩინა დიდოსტატის ცხოვრების განსაზღვრული მომენტი: მისი სიბრძნე, მამა-ტრის დიდი მხატვრის ლანდმა ჩემი სითამამე, რადგან მეწვენება, რომ ეს ფრაზა სწორედ რომ სიბრძნის ეამს არის ჩისხვით წამოსროლილი და ამიტომ... აბასწორიც!

ჩემი აზრით, კრიტიკოსებთან დამოკიდებუ-ლების დროს უპირველესი, რითაც უნდა ეი-ხეღმძღვანელოთ, უნდა იყოს დღევანდელი ლი-ტერატურის ღირსების საეთობი. რაც არ უნდა ძნელი იყოს, მაინც უნდა შევთრიგდეთ იმ აზრს, რომ ისინი ჩვენი თანამებრძოლები არიან და არა მოწინააღმდეგენი. ეს აუცილებელია, მათთან კამათი აქედან უნდა დაიწყოთ. ისიც უნდა გა-ეთვალისწინოთ, რომ კრიტიკოსთა გაკრიტიკე-ბის დროს შეიძლება თავი იჩინოს სუბიექტურ-მა მოვლენებმა და იმ მღვრიე წყალს, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიღვაროს, ბავშვიც გა-დავაყოლოთ თან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკაზე ლაპარაკი, ანდა კრიტიკის კრიტიკა აუცილებელი არ იყოს. პი-

არქით, დადგა დრო, როცა კრიტიკოსებს მწერ-  
ლებმა შეგობრული ხელი უნდა გაუწოდონ და და-  
ეხმარონ, რათა მათთან ერთად გააჩვეიონ იმ  
შედეგობათა და ნაკლოვანებათა მიზეზები, რომ-  
ლებიც, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდა და  
რომლებიც ჩვენი ლიტერატურის განვითარებას  
აფერხებდნენ.

ჩვენს თვალწინ დღევანდელ ქართულ ლიტე-  
რატურას ემატება სახელები ახალი მწერლები-  
სა, რომლებსაც ახალი ფერი, ახალი ხმა, ახალი  
სამყარო სიაქვთ. გულახდილად უნდა ითქვას,  
რომ ამ მოახლო ნიშნებს ზოგიერთი შემთხვევა-  
ში სწორად არ იგებენ და ამის გამო ბევრ გა-  
უგებრობასა და, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას,  
დაბნეულობასაც აქვს ადგილი. ვიცი, რომ ძნე-  
ლია მანინე აღნიშნო ის თვისობრივი სიახლე,  
დღევანდელ ლიტერატურას რომ აქვს, რასაც ვერ-  
ვლითა, ამას დრო სჭირდება. არიან კიდევ ასეთი  
კრიტიკოსები, რომლებიც დიდი გულმოღვინეო-  
ბით აყვირდებიან ახალ ლიტერატურულ მოვ-  
ლენებს, ვრიდებიან ნაჩქარევი დასკვნების გა-  
მოტანას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც  
ფეხბერთის მსაქებოვით კატეგორიული პოზი-  
ცია უჭირავთ და მოედინდნენ ამყებენ იმით,  
ვისც უკ დადგინდნენ წესს ცოტათი მაინც არ-  
ღვევს. სწორედ ეს კატეგორიულობაა, არევა-და-  
რევას რომ იწვევს. ეს არის ერთგვარი პროკრუ-  
სტიზმი, რომელსაც იმედია, თავისი თუხუცსიც  
გამოუჩინდება. ამ ორი სახის კრიტიკოსებს შო-  
რის ისეთივე განსხვავებაა, როგორი განსხვავე-  
ბაც არსებობს ბუნებით სწინადასმული ადამიან-  
ის სიყრუესა და იმ ექიმის სიყრუეს შორის,  
რომელსაც ყურები სტეტესკოპის მიღებითა  
აქვს დაეცობილი და ავადმყოფი გულისცემას  
უსმენს.

დღეს მწერალს თითქმის ყოველდღე ვხვდე-  
ვით მეტროს ესკალატორზე. შალაზიაში, ვაზე-  
თის კოსიკთან გაჭიმულ რიგში, ვხვდებით თ-  
ნისა თუ სტალიონზე. ის დღის ბოლოს დაღლი-  
ლი ბრუნდება სამსახურიდან, როგორც რიგითი  
მოქალაქე. ხანგრძლივი, გულმოღვინე შეცადი-  
ნების მერე ჩვენ მას ჩამოვადორით იღვმალე-  
ბისა და მიუწველობის მარაგანდელი, დავი-  
ახლოვით და ჩვენს შორის ჩაგაყენით. აქვე უნ-  
და ვთქვა, რომ ეს არც ისე ცუდია: ბოლოსდა-  
ბოლოს, შან მოქმენა თავისი ნამდვილი ადგილი  
და ამით თავისი დანიშნულებაც გააჩვეია — ის  
არის პროფესიონალი მუშაი ისეთივე, როგორც,  
უმჯობეს, ქვისმთელი, ელექტრომჭობისკონსტრუქტორს ან  
ხაჭაპურის ექიმს. მაგრამ ამავე დროს, ასევე  
ხანგრძლივი ცდის შემდეგ, მივალწიეთ მწერლო-  
ბისა და მეცნიერების მკაცრად გამოკვეთილ და-  
პირისპირებას, თანაც ისე, რომ მწერლობა შე-  
ტად წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა აღმ-  
ვალ, გამარჯვებულ, მოზვიმე მეცნიერების გვერ-  
დით. გამოჩნდნენ აღაშინებები, რომლებმაც საერ-  
თო საკაცობრიო ელტურისა და ცივილიზაციის

ხვალინდელი დღე მეცნიერებას გადაულოცეს  
და ხელიც დაიბანეს, პილატესგვით ესენი. ჩიქ-  
რობენ, რომ მეცნიერება უფრო მჭიდროდ უნ-  
და უფრო და უფრო დიდი სიჩქარით ივადებს  
იმ ადგილს, ჩვენი ხელის იმ უსახლგრო სიერ-  
კეს, ადრე ნებეზად და ლაღად მწერლობა რომ  
ფლობდა. ეს თითქმის სიმართლეს შეეფერება,  
მაგრამ, საუბენიეროდ, ასე არ არის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი  
ახალი ეტაპი, ყოველი ახალი გამარჯვება სენსა-  
ციურობით ზასიადდება, გრანდიოზულით თავისი  
თვალსაზრისით, დაამარჯვებდა, ხელშესახებთ, მა-  
ტერიალური შედეგით. მაგრამ ამავე დროს მე-  
ცნიერულსა თუ ტექნიკურ აღმოჩენას, რაც არ  
უნდა გრანდიოზული იყოს იგი, კაცობრიობა ად-  
ვილად ეჩვევა და, როგორც მოთვინიერებულ  
მხეს, თავისი ცივილიზაციის ყოველდღიური  
სამსახერის უღელში ამას. 1825 წლის პირველი  
ორთქლმავალი მეცხრამეტე საუკუნისათვის თი-  
თქმის ისეთივე მოვლენა იყო (დღეს დღესად  
უფრო მნიშვნელოვანიც კი), როგორც ჩვენთვის  
კოსმოსური ზომადია. მაგრამ ჩემს წარმოდ-  
გენაში მეცხრამეტე საუკუნის მთელი რკინიგზა  
უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ანა კარე-  
ნინას თეთრმცლელობის ამბავს, აგრეთვე ეგვა-  
ტე ნინოშვილის მშენიერ მოთხრობას, სადაც  
კაცია მუნჯაქეს იმედებით, სიზმრებითა და ოც-  
ნებებით სასეე თავს სწორედ ორთქლმავალი  
სტრის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მნიშვნე-  
ლობა ძალიან დიდია, ამის უარყოფა აბსურდამ-  
დელ მოკვივანდა, მაგრამ, ჩემი აზრით, არც ამ  
მნიშვნელობის გადაჭარბება შეიძლება. ამ თვალ-  
საზრისით შეტად საინტერესოა ამას წინათ „ლი-  
ტერატურისათვის გაზეთში“ (1972 წელი, 1 მაი-  
სი) გამოქვეყნებული გაზეთის სპეციალური კო-  
რესპონდენტის ილია ფონიაკოვისა და ავადემი-  
კოს ს. ლ. სობოლევის საუბარი.

პირველი შთაბეჭდილება, რასაც ეს საუბარი  
იწვევს, არის უცნაურობის განცდა, ისეთი მდგო-  
მარეობა იქმნება, თითქმის ავადემიკოსის სობო-  
ლევი არის თავის საქმეში უაღრესად ვარკვეუ-  
ლი მწერალი, რომელმაც ასევე ღრმად და სა-  
ფუძვლიანად იცის მეცნიერებაც და მწერალი  
ფონიაკოვი კი — თავის კანონებში გამოყვეტილი  
მეცნიერი, რომელსაც ლიტერატურისა არა გა-  
ეგება რა. მისი ყოველი ეტრნალისტური ვაბრ-  
ძობლება — თავს მოახვიოს ავადემიკოსის ერთი  
შეხედვით მისთვის სასამოწეო მოსაზრება მეც-  
ნიერებისა და ტექნიკის პირობიტერის შესა-  
ხებე — იმსხვრევა მეცნიერის დინესა, და ქვე-  
მარტებით აღსავსე პასუხებზე. აი, როგორ ამ-  
თავრებს საუბარს ავადემიკოსის სობოლევი: „ლი-  
ტერატურა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-  
რესი უაღრესად რთული შეტერია და აქ რა-  
მეცს გამარტივება შეტად საჩისიკო საქმეა“.

რაც არ უნდა დიდი იყოს მეცნიერებისა და

ტექნიკის მიღწევები, მაინც ვერ კიდევ ვერ უტოლდება კულტურის იმ დონეს, რომელიც კაცობრიობამ მთელი თავისი არსებობის მანძილზე შექმნა. ისევე შეიძლება დავუშვავოთ, რომ მეცნიერება და ტექნიკა კი არ განსაზღვრავს ჩვენს ხეაღინდელ დღეს (როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს), არამედ მატერიალურ ძალად ქცეული იღვია, შემოქმედებითი აზრი, კულტურა უძებნის ადგილს მეცნიერებასა და ტექნიკას ჩვენს ხეაღინდელ საზოგადოებაში.

ადამიანი თავიდან არ გამოივითქმნებოდა, ორთქლშავალს, რადიოს, კოსმოსურ ზომადს, მაგრამ ყოველი ახალი თაობა თავიდან დაუბრუნდება იმ დიდ სულიერ საფაჩქერს, რომელიც მწერლობამ შექმნა და ყოველთვის თავისთვის ახალ რამეს აღმოაჩენს ისეთს, რაც წინა თაობისათვის უცნობა იყო.

ახლა როცა მეცნიერების სხეიდანსხვა დარგების დაეწროება და დაკონკრეტება ხდება, როცა წარმოებაშიც ერთი მუშაკი მხოლოდ ერთი დეტალის დამზადებაზე აგებს პასუხს, მწერლობა ისევ ინარჩუნებს ძველისძველ უფლებას ინტროლოს უველაფრისათვის, რაც ადამიანს შეეგება საერთოდ. თავისი ამ მოვალეობის შესასრულებლად მწერლობამ უველა საშუალება უნდა გამოიყენოს, თვით კინო და ტელევიზიაც კი, რომლებიც თმაცა მეფე ლირის ქალიშვილებზეთ ვქვეყიან ზოგჯერ მას, მაინც ნათესავეები არიან და არა უცნობნი.

თუ მე ვიტყვი, რომ ჩვენი საუყუნე პოეტური საუყუნეა-მეთქი, შეიძლება ჩემი ნათქვამი ბარადოქსივით გაისმას. მართლაც, ერთი შეხედვით, ძნელია პოეზიაზე ილაპარაკო იქ, სადაც უტილოტარიზმი ბატონობს. მაგრამ თუ ყარგად დაეკვირვებით, დაჯინახავთ, რომ თურმე კაცობრიობას არასოდეს არ უფიქრია ამდენი ყოფინა-არყოფინაზე, არასოდეს არ დატანჯულა ასე თავისი არსებობის შეგარძნებით, არასოდეს არ შეუბურია ასე სასოწარკვეთის, ამოუცნისა და გარდუვალი კატასტროფის ფსიქოზის, მაგრამ ამავე დროს არასოდეს არ ყოფილა მისი სწრაფვა ასეთი თამაში და უსაზღვრო, არასოდეს არ ყოფილა მისი გენიის გამოვლინება ასეთი მრავალმხრივი, არასოდეს არ მოაბლოცებულა ის ასე ახლოს ადამიანის ბუნების საიდუმლოს — აი, ჩვენი თვალწინ ფეხი აიღვა პარაფსიქოლოგიამ, რომელიც შეიძლება ხეოდ, გენეტიკასათვის, დამოუკიდებელ მეცნიერებად ვლინართ.

იღვიძებს და მზებზე ამოდის აქამდე ათასნაირი ტიპანის უღლით დატარებული ადამიანის ინტელექტის ახალი ენერგია. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა მიზნისა და პოზიციის სიჭაბუკე. არც ერთი წუთით არ უნდა დაბრკავიყვდეს, რომ ბოროტებას თუ ერთხელ

თვალს მოუხუტავ, შეიძლება საერთოდ უკლარად კი გაახილო. არც ის უნდა დაგვაფიქვადეს, რომ ზოგადი მსყელობა ადამიანის საფიქრებელ სპარაოლანობაზე გაყოლებით ადვილია, ვიდრე ის, რომ თუნდაც ერთხელ კონკრეტულად დაეხმარო გაკირვებულ კაცს.

სწორედ დღეს პოეზია იბრუნებს თავის პირვანდელ, უველაფრის მომცველ მნიშვნელობას. პოეზია არის ადამიანის შინაგანი რაობის მკსიმალური გამოვლინების ფორმა. სწორედ ისაა უველა ნამდვილი ნაწარმოების კლოროფილის მარცვალი, რომელიც ბრმა ემოციის წიალიდან ბადებს სიმწიანესა და ენგებაღს.

ახალმა დრომ ეპოსის ახალი ფორმა მოათხოვა: უწყვეტი ღინება ამბისა, ორ წერტილს შორის გაღებულელი სწორი ზახა — გრაფიკული მინვენელები გმირის ხასიათის განვითარებისა — ტეხილად იქცა. ახლა მწერალს აინტერესებს დროის მხოლოდ ის მონაკვეთი, როცა ადამიანი კი არ არსებობს, არამედ ცხოვრობს. სპორტული ტერმინი რომ იხმაროთ: „სუფთა დრო“, რომანდამ გაქარა საუყუნე, მისი ადვილი დაკვირა წამმა, რომლის ატომივით გაბლენკას ადამიანთა უკიდურესად დამაბულ ენებათა კავებური რვაქცია მოსდევს. ამგვარად, უველა ცხოვრებისეული პრიბლემა ისევ ინარჩუნებს მონუმენტურობის იერს. შეჩერებოლი წამის ფაუსტისეებურმა განცდამ, რომელმაც ჩვენს დროში თავისი მეორე სიციცხლე მოიპოვა, დაარღვია კლასიკური ფორმა რომანისა. კომპოზიცია — გმირის მოქმედების ფსიქოლოგიური გეოგრაფია — შეცვალა მითმა, რომლის ძლიერ ტოტებსაც დააწვა წამის-საუყუნის მთელი სიმძიმე. ეპოურობის ბეტონში გაფონა ლირიკის ტალღამ. მაგრამ ეს სრულეებითაც არ ნიშნავს რომანის სიციცილს, როგორც ეს ზოგეობთა იფიქრას და წინასწარ ნეკროლოგიც კი დაუწერა მას. ჩვენ შევეჩვიეთ მრავალი არქიტექტურული სტილის შეცვლას, მაგრამ ევერ ვერჩვევით რომანის არქიტექტონიკის დარღვევას. არქიტექტურის სტილის შეცვლა კი არ ნიშნავს საერთოდ არქიტექტურის უარყოფას. ასევე საუკრც არსებობს დროის შესატყვისი იფიქები. ასევე არსებობს დროის შესატყვისი ფორმებიცო“. — ამბობდა ბელინსკი.

ლიტერატურას ვერ გამოეყოფთ ცხოვრების, ეპოქის საერთო ატმოსფეროდან. ამიტომაც ელაპარაკობდი ამდენს პოეტური პროზის შესახებ, რომლის ჩანასახებიც, რა თქმა უნდა, დიდოხანია და უველა ქვეყნის ლიტერატურაში არსებობს, მაგრამ როგორც ეპოსის ეანრი ამ ბოლო დროს ჩამოყალიბდა. ექვე უნდა დაჯინოთ, რომ ამ ტერმინს პირობითოდ ვხმარობ, შეიძლება მას უფრო ზუსტი სახელი გამოეჭებონს. ის ვერ უსახელო ბავშვივითაა, ხან რას ვეძახით და ხან რას.



### სინათლით სავსე ქვეყანა

უკანასკნელ წლებში რევებ ინანიშვილმა ვამოსცა წიგნები: „ცისფერი გორგალი“, „სად ცხოვრობს ზეზლარე“ და „სადამო ხანის ჩანაწერები“. ამ წიგნებში მოთავსებული ნოველები და მოთხრობები თავიანთი სტილით, ხასიათით, განწყობილებით, პრობლემებით და მრავალფეროვნებით ქართული მხატვრული სიტყვის ახალ სიმაღლესთან გვაზიარებენ. ზეზენც ამ სამ წიგნზე საუბრით გვანდა მწერლის შემოქმედებითი ბუნება გავხსნათ, მისი მანიერული სულიერი სამყარო დაეხასიათოთ.

დავიწყეთ მოთხრობა „თოვლით“, რომელიც კოლმეტრე გლეხის ერთი დღის ცხოვრებაა ასახული.

გლეხი ცხოვრობდა და ცხოვრობს ყოველდღიური სიხარულით და ღარიბით. საკუთარი ვენახის ბირებზე ფიქრით, შეილებთან და შეილიშვილებთან მოქუჩებელი გრძნობებით. თუ გლეხი ზოგჯერ საქვეყნო ინტერესებზე ჩაფიქრდებოდა, ეს დამოკიდებული იყო ისეც იმაზე, თუ რამდენად შეაჩერებდა საქვეყნო მოვლენები მის კეთილ მიწას. პატრიოტიზმი მიწის ღიყვარულიდან იყო მასში ამოზრდილი და იმდენად ხელშეასხები, რომ მასზე ზოგადად აზროვნების არასოდეს არ აძლებდა თავს. უბრალოდ, აისხლბორცვებდა გრძნობდა, რომ არაფრით არ შეიძლებოდა ამ მიწის დათმობა. ამიტომ ყოველი სოციალური ძვრა გლეხის სულში გარკვეული ნიუანსით ფეთქავდა და ფეთქავს. ამ ნიუანსს უნდა მივხედო. უნარა ამ იდუმალ, ნამდვილ ძარღვებს ჩაავლის ზელი, არის რევებ ინანიშვილის ნიჭის უბირველესი ნიშანი. მოთხრობაში „თოვლი“ — ერთი სტრიქონითაც არ არის მინიშნებული, თუ ხაზგასმული, რომ ტყვილი, საოკრად ბედნიერი ოჯახი ეკუთვნის ამა და ამ კოლმეტრე გლეხს, რომ ისინი მუყაითი მშრომელები არიან და ამიტომ

მაც მათი ოჯახი ხარობს, რომ საკოლმეტრეო შრომამ მოიტანა ყოველივე ეს. მოთხრობაში იგრძნობა ერთიც, მეორეც და მესამეც. იგრძნობა ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე. მწერალი ზომიერების დაცვით აღწერს თავისი გმირების ცხოვრებას. არ ცდილობს მათი ბედნიერება თავზე საურელი დოვლათით დაგვისახუთოსა „მიაკუაბუნებდა მამა ტალახს თავისი დიდი ჩექმებით. წვიმდა წვრილი წვიმით. ვინც შევხვებდებოდა, უველა გვეყიოტებოდა: — საით, საით ამგზავრებულხართო. — მივდივართ, ცოტა ან პერტი დაგვეზოგოს შინ, ან შეშაო. — მიუგებდა მამა. — ძველი ხარ, ძველიო, — დაგვადვენებდნენ ხოლმე უკან“. არის ამ ურთიერთშეხვედრებში ის სითბო, რომელიც ბედნიერებას სულ სხვაგან გვაძებნინებს. იგი ადამიანთა ცხოვრებას ყოველთვის შიგნიდან აშუქებს და ზედამიარული აღქმა ამ გრძნობისა ედეკე გააუფერულებდა მას. არის ხოლმე ჩვეულებრივი ცხოვრების თუ ყოფითი დეტალების წრეში ის არსებითი შტრიხები, რომლებიც ადამიანის არსებობის დედაბარს უსვამს ხაზს, ასეთი შტრიხები იმდენადაა გაბარჩილი ცხოვრებისეულ წვრილმანებში, რომ თვითონაც უბრალო წვრილმანად აღიქმება. მწერლის ნიჭი დასტურდება იქ, სადაც ის ახერხებს გაშოკეთოს წვრილმანთა წიაღში არსებითი, მისცეს მას სტრათის სახე, მინიჭოს ამაღლებულობა და გარკვეულობა; თურმე ჩვენს ცხოვრებაში მრავალგზის განმეორებულ, ჩვეულებრივად მიჩნეულ ყოველდღიურ სტრათს განსაკუთრებული განწყობილება ხლებია, მნიშვნელობაც განსაკუთრებული ჰქონია, ეს ნიშნავს წარსულის ცოცხალი სახით დაბრუნებას ჩვენთვის მწერლის მხრივ:

— მომშორდით თქვენი ბატონბრატანად — ბრახობდა დედა, მაგრამ მამა არ ეშვებოდა,

ბატონებს ახევენდა, — ნახე როგორიაო, და სწორედ მაშინ იფეთქა რომელიღაც მარცვალ-მა ძირში, ათთოღე სხეუც ამოიღანა მალა და იატაკზე მიმოფანტა, შიშა და მე იმათ მივეტონეთ, დედამ კი — თქვენა გვათ თქვენი ბატონუციყო, — გაიცინა და იმანაც ჩაიმტხლა ხალოხაზე; მივედი და მხარზე მივეგვასუნე კატასკით. ვეროც კიდეც. მოშორდიო, მაგრამ უკვე შეირებული ვიყავით. მე და მამა მუტა-მუტა ვეპაღით, დედასაც ვეუბნებოდით — მუტოთ, დედა, მუტოთ, მაგრამ დედა თითო-თითოს იღებდა და თან სულ ამას იძახდა:

— ამისთვის შეალა ახლა?!

✓ დადამანათა მოქმედებას სხვა ფაქტორებთან ერთად მიხევე ხასიათი განსაზღვრავს, ხასიათების გახსნა იყო და რჩება ზელოვნების საზრუნავ ამოცანად. ხდება ხშირად, მთელი ნაწარმოების საბოლოო სახეს ხასიათების სიძლიერე-სისუსტით აფასებენ. რა თქმა უნდა, ეს გადაჭარბებული სწობაა — მხატვრობის ერთი პირობისადმი. თუ ხასიათი იყრებს თავის თავში ყველა პირობას და გულისხმობს იმ მიზეზს, რამაც შუა ხასიათი, მაშინ ის მართლაც ერთადერთი და სანდო სახომია მწერლის ნიქისა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ხასიათს თვითმიზნური ფუნქცია აქვს რა და მწერალი ამის შემდეგ უტყბინს მას სათანადო სიტუაციას გასაძლავნებლად. აქ უკვე ხასიათი ერთ-ერთი და არა ერთადერთი სახომია ნაწარმოების შესაფასებლად.

✓ რევაზ ინანიშვილი თავს არიდებს ეფექტურ მომენტებს. ამით იგი პირველ რიგში შეითხვეს ცემს პატავს, რამდენადღაც ძალიან კარგად იცნობს მას. არცერთი მისი მოთხრობა დაინტერესების იაფფასიან ზერხზე არ არის აგებული, თითქოს ჩვეულებრივ საუბარს იწყებს, შემდეგ თანდათან ეგრობოთ, როგორ გვეუბნებივართ ჩვეულებრივის ტრამალს, ავანტურისტულვართ და უკვე გამოირჩევი გრძობებს და განედებს ვიზიარებთ. მწერალი არც ამას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას, რომ შეცვალოს თხრობის ტრადიციულად გაგებული ფორმა, როდესაც განეცდა ახალია და თავისებური, ის თავისთავად იწყებს სიხლის გრძობას.

ბავშვებისათვის წარსულის საინტერესო თავგადასავლების თხრობა — ჩვეულებრივი ხერხია, მწერლობაში, ჩვეულებრივად იწყებს რევაზ ინანიშვილიც თავის მოთხრობას „წისკვილიში“ რომ წაედო“, მაგრამ აქ არც ბავშვის ინტერესი და არც მამის სურვილი შეიღოს გართობისა არაფერ შუაშია. ამ შემთხვევაში მართლაც ხასიათია წინა პლანზე, რომელიც მოითხოვს ყურადღებას, ხასიათი, რომელშიც იკითხება მიმდინარე ძეგები. ეს ხასიათი კი წისკვილში გამქალაქდა: ომის პერიოდში, ძნელად საშთენი სიმინდი, შემდეგ გაუაზრებელი რიგი წისკვილში და ნაადრევად დაეცაყავებული ბავშვის ბუნება. ხასიათი თითქოს თვლიდა

აქამდე. ყველაფერი ჩვეულებრივად მიდგოდა. მაგრამ მწერალმა იცის, როდესაც მდგომარეობა ბავშვის შინაგანი ვნება, ერთბაშად ყველა ბავშვის საერთო ნიშნები მოიჭებნა და განთიანდა ხასიათად. წყლის წისკვილის რიგში ჩამდგარი ბავშვის შოლოდინი, თვალზეგაფართოებული და მოცახტაზე, მისი რიგიც დადგა და სხვამ უბოდიშოდ წაართვა. ერთი შეხედვით ეს მარტივი ამბავი უკიდურეს საზღვარამდე არსებს ბავშვის განწყობილებას: „მათ გამოხედვაში ცელი რაღაც ვიგრძენი, ცოცხალი თავით ჩემს ყერს არაგის დავეთმობ მუტი, დაველე ჩემს ტომარს ხელი, ავედი ზემოთ და იმასღა ველო — ჩამორეკოს, რომ ზემირაში გადავეშევა, მაგრამ იმ მათრახიანმა კაცმა და მეწისკვილემ ტენიანად გადმოლეხული ტომრები შემოიტანეს, მათრახიან კაცს მათრახი მალაუხუ აქვს ჩამოკიდებული, მეწისკვილე შორიდანვე ხედება, რა გუნებაზეც ვდგავარ ზემირასთან და იქიდანვე შევახის:

— გაღმო, გენა, გაღმო, მეტყევეებისაა, ამ კაცს უნდა დავეუფლებო.

ცუცხლი მომელო და შეხლები ამითხთხობდა, მიღდა ათასი რამე ვუთხრა, ვუთხრა კი არა ვუყვირო: რათა, კაცო, რა სამართალია ეს? მე რომ ახლა არ დავყარო, როდისღა წავიდე შინ, ხომ დამიღამდა? თანაც პურის გემო არ მინახებ დღეს! მაგრამ ვერაფერს ვაპობ. მუხლზე შემოვლებული ტომარს მარწუხებოვით უტეპერ ხელებს და გაბოროტებული თვალბით ვიყურები ძირს. შეხეით ჩამოვარდება ზარი.

ეს ბავშვობის დღეების ძალაა, დაგროვილი, შევუბებული და შემდეგ ადგილიდან მომწყდარი. ბავშვის ხასიათის ეს გაუბუნელი შტრიხის ასეთ საშლელს მოითხოვდა მწერლისაგან. კიდევ ერთი ლამაზი განცედა განთავისუფლად დემოლისაგან და მხატვრული სურათის სიციცხლად იქცა.

ჩვეულებრივი ცხოვრების ავტომატიზმი ადამიანს შექანიზმისმაგვარ საგნად აქცევს. იყარგება ფიქრის, ოცნების, ფანტაზიის ცხოველმყოფელობა. თვით ამალღებულობის შინაგანი წყურვილით არის ნაყარხაზევა საზღვრის გადალახვა. რევაზ ინანიშვილი ყოველთვის ცდილობს გვირგამოიყვანოს ნარკვევის სიხუსტით მიმდინარე ცხოვრების ფარგლებიდან, რაღაც განსაკუთრებული, განსზვავებული და ლამაზი დაინახოს მის ხასიათში, უფრო სწორად მოქმედებაში, შემდეგ მწერალი თავს დატრიალებს ნაპოვნს, ყოველი მხრიდან ალამაზებს მას და ბროლისებურ გამკვირვალობას ანიჭებს. რევაზ ინანიშვილის პროზაში სვედა ამალღებულობის წყურვილს ახლავს მოციულებელ ნიშნად. რაკი ყოველთვის არ არის შესაძლებელი გაეცდ ჩვეულებრივს, რაკი უმეტესად იძულებული ვართ დაეშორილდეთ კალაპატს, სვედაც ბუნებრივია და გასაგებია:

„...გამყოფელთან მივედი, გამოიდევლა საქ-  
სოვი მაგღალში შემალა და დამორცხვებულმ-  
აზრომხედა; წამიერ მეც შემრცხვა, მე ხომ არა-  
ფრის ყოფა არ მიწოდდა! შერე ერთი მიხაკი  
ამოვარჩიე. გადაეწვიტო იმ გამოიდევლისათვის  
შენქუებინა (სუსტი, ღამაში ქალიშვილი იყო),  
მაგრამ ვერ გავებედა, ფული გადავიხადე და წა-  
მოვედი, ვიტრინიდან ერთხელ კიდევ გაიხებედე  
გამყოფელისაყენ, ისიც მიუყრებდა, იმასაც გა-  
ვლიდა და მეც, მაგრამ უკვე გვიანი იყო, შალა-  
ხაში სხეები შედიოდნენ და მიბრუნება ღამა-  
ში არ გამოვიდოდა“.

თითქოს უმნიშვნელო განცდაა, არასაყურად  
ღებო, მაგრამ მის ასე გაფერმკრთალბულ  
ბუნებაში ის დიდი წვა ბრუნავს, რომელიც  
ადამიანის სულს მშვენიერებისაკენ შემოატ-  
რიალებს და ახალ სიმაღლეებს დაინახვებს.  
მოთხრობა „ცივი წვიმა“ — სწორედ მსგავს  
სულიერ წიაღსვლებზეა დამყარებული. ადა-  
მიანის ხასიათი გამოყვანილია ზუსტი მოქმე-  
დების ჩარჩოდან და ამდენად ქვეშაირტ პი-  
როვნებად არის წარმოდგენილი. ამით სულაც  
არ გვიჩნდა იმის თქმა, რომ თითქოს ჩვეულებ-  
რივი ყოფითი დეტალები ადამიანურ ნიშნებს  
არ ატარებდნენ; არა, მაგრამ მათ მნიშვნელო-  
ბა და არსებობის გამართლება სწორედ ასეთი  
სილამაზის შემდეგ ეძლევათ, ასეთი სილამაზის  
გარეშე წარმოდგენილი ადამიანური ყოფა პი-  
რობაც მოქცეულია კოთხეის ნიშნის ქვეშ, დანი-  
ცლებოდა იმ „ზოგადი“ განცდისაგან, რომელიც  
ამთლიანებს ურცხვ წერილმანს. მოთხრობაში  
სილამაზესთან ნაკლები კავშირი აქვს დედა-  
შვილებსადაც გაწეულ უმნიშვნელო დახმარებ-  
ბას. უცხვამელების არჩევას, ავტობუსში ასე-  
ლში შევლას და სხვა. მაგრამ ჩვეულებრივი-  
დან გასვლა იწყება მაშინ, როდესაც ცივი წვი-  
მა და გულგრილობა ერთად უნდა მოვიდეს,  
იწყება მაშინ, როდესაც გმირი, რომელმაც უკ-  
ვე მოიხადა ჩვეულებრივი ვალი — დასვა დე-  
და-შვილი ავტობუსში, მოულოდნელად გადაწ-  
ყვტის, თვითონვე გაყვებს ბოლომდე თავის კე-  
თილშობილებას:

„... კი, მაგრამ, რომ ჩამოვლენ? რაც უნდა  
ახლოს იყენენ გაჩერებამთან, ხომ მაინც ფეხით  
მოუხლებათ რაღაც მანძილის გავლა.“

ის იყო ავტობუსი დაძირა და მეც შევატტი,  
დიდი ბოდიშებით გავარდნიე ხალხი და მიხაკის  
სიფრთხანა ფერტლებს შიგნით რაღაცის მა-  
ტებარ დედამშვილს წინ გაუჩერდი. უკვბ თით-  
ქოს უბძივტსა, გოგონამ ამოშხედა, თვალეში  
გაუბრწვიწდა და ალტაცებით წამოიამბა:

— დედა!  
დედამაც ამოშხედა, მაგრამ მას, პირველი სი-  
ხარულის შერე, შეშფოთება გამოეხატა სახეზე.  
უთუოდ ვგონა, რომ საქმე მისთვის არასასურ-  
ველ სახეს ღებულობდა.  
განვუმარტე: — წელან მთლად გამოვშტერ-  
დი! ეს ავტობუსი ხომ შინ არ მიგვიყვანთ პირ-

დაპირი ხომ რაღაც მანძილი უნდა გაიხროო ფე-  
ხით, თანაც უკვე წვიმა...“

მწერალი ზომიერების გრძობას დიდ მტრეც  
სცემს. უკვე ბრტყულ ფრანხებად გაგებულ ადა-  
მიანის ლტოლვებ და რომანტიკაზე არ ხარკავს  
უტრადლებს. ცდილობს ყოფითი დეტალების  
ასლოს იტრიალოს, მათვე მოუტებნოს შერო  
მხარე, თავისთავად არსებელი, რათა უფრო  
დამაჩერებელი იყოს ის დიდი აზრი, რაც მდემამ  
იგულისხმება ჩვეულებრივიდან გასვლაში, გუ-  
ღგრილობის წიაღიდან თავის დაღწევაში. სულ  
„უმნიშვნელო“ მომენტებით შეგვახსენებს  
მწერალი, რომ კიდევ უფრო დიდი, უფრო  
ღამაში არსებობს ჩვენს სულში, ვიდრე შარ-  
ტული კანონებია ერთმანეთთან შეხვედრისა და  
გვერდის აელისა, უცნობის აღქმისა და მესხიე-  
რებიდან ამოშლისა. ეს სიღამაზე არსებობს  
ჩვენში, ჩვენს თვალში, არგულივ, და მათთან  
ცხოველ მიმართებაში ყოფნა ნიშნავს ადამი-  
ანობას და არა ავტობუსზე ყოველთვის დროზე  
ასვლა და ჩამოსვლა. ამ მინიშნებით მწერა-  
ლიც ცდილობს ადამიანი ამოზიდოს მალღა-  
წერილმანებიდან, ადამიანი, რომელიც თითქოს  
უღამადა საესე სიყოფილთ და მაინც ახალ სა-  
ყოფავია ჩარჩოში ქდომით:

„მე იქ, ქუჩაში გასული ერთხელაც მოგბ-  
რუნდი, რომ საბოლოოდ მეთქვა — კარგად  
იყავით მეთქი, დავინახე პატარა, მობუზული  
ჭალი ამ უხარმანზარი შენობის ძირში, დავინა-  
ხე საბრალობელი, ენით გამოუთქმელი მად-  
ლიერების გრძნობით აღვსილი მისი ღამაში  
თვალეები და ელდენივით რაღაცამ დამქრა სიბ-  
რანისაკენ. ეიდექი და ხმას ვეღარ ვიღებდი  
(ისიც კი ვერ შევიძელ მარცხენა მხრისა და  
ფეხის თახხაში შემეკავებინა როგორმე), მობ-  
რუნებ ვიყვირე:

— ასე არ შეიძლება! გესმით? ასე არ შეიძ-  
ლება, გაიშალეთ მხრებში!“

უკვალბადი ვახდა ცხოვრება ურთიერთობის  
ფორმების თვალსაზრისითაც, სწრაფი ცვლა-  
განცვლების, გრძნობების, დამოკიდებულების.  
სიუბეით აწყდება ჩვენს სულს ადამიანებთან  
სიახლოვე. ძლიერდება ეს მოძრაობა, გვთი-  
შავს საყუთარი ჟიქრების სათავისაგან; დაფან-  
ტული მიქროვარით ყოველი მხრისაკენ, ვესწ-  
რავით ყოველი და ყოველგვარს და მაინც  
წლიერია მარადიულის წყურტილი, იყოს მზო-  
ლოდ ერთადერთი, არავინ ქუავდეს მოცილე,  
არ დახვდეს სხვის სიყვარულში გადაღლილი  
გული, სიყვარულის მარადიული გრძნობა სა-  
ოცრად ფაქიზი ნერვების პატრონია, არავითა-  
რი შეგდება სახეცვლოდ ცხოვრებასთან. კამ-  
კამა მთისთან პირისპირ დაარჩენილი, იგი ყო-  
ველ ნიუანსს ტკივილად განიცდის, მაგრამ  
მაინც არ ეგუება, მაინც წარმოუდგენელ სა-  
შინელებად ნათლავს წამიერ ღალატს, სხვისკენ  
გაქცეულ თვალებს. დანახვა და განცდა, ტკი-  
ვილი და სვედა, მაგრამ არავითარ შემთხვევა-



ში შეგუება, არავითარ შემთხვევაში დათმობა. ეს ვასაგებებია, მარადიული სიყვარული ამ ბუნებით ცოცხლობს და შეუძლია მოლოანად დაამსხვრეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ აბატოს, თუნდაც სულ დაკარგოს, მხოლოდ არ აბატოს. რევებ ინანიშვილს აქვს ერთი მცირე მოცულობის ნაწარმოები „თაფლობის თვე“ — სადაც ეს აზრია გატარებული. მოთხრობის (თუ ვერბი) ღირსება სწორად თანამედროვე ცხოვრების შემხები წერტილებს ღრმა ვაზარებაა.

„თუთაზე“ — რევებ ინანიშვილის ერთი საინტერესო მოთხრობათაგანია. შწერალმა შეძლო ეროტიული შეგრძნება ჩამოეცილებინა ამბავისთვის, რათა მხოლოდ ვასაყარლები თრთოლით აღსავე გაეცნა ვებბატონებინა მკითხველში. ქალიშვილის ოთახში ხის ტოტებიდან თვალთვალი ერთი მხრივ უზრდელობაა, მაგრამ სწორედ ეს მხარე დაავიწყა მკითხველს რევებ ინანიშვილმა. მარადქალურისაყენ მისწრაფება, ქალის სხეულის ერთი გამოთქმული სილამაზის აღქმა მხოლოდღა, აი, რა დაეუბრევა თავის გვირის განცდებში და იმ თუთასთან ერთად დარგო ჩვენს წარმოდგენაში; დაამკვიდრა აზრი იმის შესახებ, რომ ასეთ სილამაზეს მხოლოდ ერთის თვალზე უნდა უცქიროდეს. ეს უკრატის განსაკუთრებულად ღამბი პოზიციას, განსაკუთრებული ხატი ჩვენს ენებმათაღლევისა, მეორის ჩარევა ან ერთდროული ცნობა უკვე ყველაფერს ტალახში სერის და სილამაზეც მოაყრდნობს. თუ აქამდე უცხო სამყაროს ერთადერთ ხილვას და ბედნიერებას ნიშნავდა ყოველივე, ამის შემდეგ პორნოგრაფია დგება წინა პლანზე და ეს წამიც უნდა ვაქრეს, ამიტომ ერთგვარად სიმბოლურია თუთაზე მათი კოდილი... და რაკი ამღერებულ თვალზე განიდა, მშვენიერებაზეც უნდა ჩამოაფაროს ფარად თავის სარწყელს, მისი ხილვა არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. მაგრამ ყურადღება უნდა მავტეკს შწერლის საოცრად ვაფაქიზებულ ენას ამ მომენტის ასაწერად. იგი თითქოს ანტიკური მოქანდაკის მგზავსად ძერწვას ქალის უწმიდეს სხეულს — დაუსაბამო თრთოლის წყაროს:

„წყალი ვადაწენა — კარი ჩაეკტა — სკამზე დაჭდა, ხელები მუხლებზე დაიწყო — თითქოს ძალაან დაღლილია და ისვენებსო. ერთხანს ასე იჭდა დაფიქრებული, შეიძლება სარკვეში იფურცბოდა, მერე უამოდგა, აიხშორა, კანის ვალთებს ხელები მოჰკიდა, მუხლებში ოდნავ ჩაიღუნა, ასწია და აიძრო.

ბუზის ვაფრენას ვაიგონებ, მაგრამ ვიღაცა მაინც სისინებს:

— სსს, შე...

— პერანგის ვაბდასაც აპირებდა, მაგრამ მერე ვადაფიქრა, სახმრებში ვადაიძრო, წელთან ჩაიხვია, ხელები ზურგისაყენ შეიბრუნა, შავი ლიფის ღილები შეიხსნა და... თითქოს

ორი ცელქი ყმაწვილი გადმოსტრო, ვართავს უფლებულმა ბოციცა ქუძუებმა კისკისით... ვაყესს იქაბრობა. ამ კისკისმა შეაბრია, შეშოკებულნი ღიმილით დაიხვდა მყერდზე... რა ამბავში ხართო და ქერ ერთ ქუძეს დააფარა ხელი, მერე მეორეს... ეს იყო და ხმაური მოესმა.

რევებ ინანიშვილი ამ ამბავს არა მარტო ცნობისმოყვარობას უღებს საფუძვლად, ში, ნაგან ვნებათაღლევისაც საფუძვლად აცხადებს, მაგრამ თან მიანიშნებს, რომ მხოლოდ ყოველზე ამბუ ამადლებით შეიძლება. იგძრო შაერანი აზიდული ხელუხლებელი მშვენება.

მწერალი გამოუვინებელი, ბუნებრივი ღრთოლების წრეში ტრიალებს, მისთვის არასოდეს არ აძალბა ხელთაღწერის, მისთვის დამაჭრებლობა ძირითადი ვანონია და ამ ვანონის ძალას ყოველ ამბავში გრძნობს მკითხველი. შეიძლება თავისთავად მხატვრობის სხვა ფაქტორები ყოველთვის თავის დონეზე ვერ იდგას, შეიძლება არც თუ იშვიათი იყოს ისოდენ მაღალი კონოვების მწერლის სტილის მერყეობა ნარყვესა და პროზის შორის, მაგრამ ეს გამოდინარეობს თვით იმ ამბის ხაზითოდან, რომელსაც თავს დატრიალებს მწერალი. ამ მოვლენებსა თუ ამბებს ყველა ძირი ჩვეულებრივი უქვეს და ზოგჯერ მხატვრულ სამოსელში ყოველი დეტალი მოქცევა არ ხერხდება. მთლიანობაში კი მიზანი დაძლეულია.

რევებ ინანიშვილის შემოქმედებაში „ციხური გორგალი“ — შეიძლება ვარკვეულ მიღწევად არ ჩაითვალოს, თვისობრივად ახალი მხატვრული დონე ამ ნაწარმოებს არ ვაანია, მაგრამ ვანწყობილება და ადამიანთა ურთიერთმიმართება ისეთი სრულყოფილი ხერხებით არის ვადმოცემული, რომ მოთხრობა ვანსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

მხატვრული დეტალების სიუხვე შესამწნევი თანამედროვე ქართულ პროზაში, უფრო ჩანახატის ფარგლებში რჩება ყოველი სილუიტი მოძრაობა, არ წარმოვედგება ვარკვეული მიმართულების მთლიან ნაწარმოებად. თვით რევებ ინანიშვილის ზოგიერთი მოთხრობა ასეთი რამდენიმე მშვენიერი ნიჟანის შერჩევა და ადამიანთა ხასიათების ფრაგმენტული ვანათებაა. აი, მთელი შედეგი. ეს ვარკვეული მხატვრული ხერხია და ვამართლებული ხერხიც მამეუ ღროს, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი პირობაა. ამის შემდეგ ადამიანთა დამოკიდებულებას და მათი მიმართების მთლიანობას უნდა დეთმოს ყურადღება. ეს არ არის ვრცელი ტილოს მოთხოვნა, — სრულყოფილი სურათის აუცილებლობა. „ციხური გორგალი“ — სწო. რად ამ ვნებათაღლეით იქვეს ყურადღებას, რაც შეეხება მხატვრობის ხარისხებს, ამ მხრივ იგი მწერლის ბევრ ნაწარმოებზე დაბლა დგას, მაგრამ აქ ვნებათაღლევის ვრცელი სუ-

რათა, ადამიანის სულის ხევეულების ხანგრძლივი და მკაფიო განათება.

სდგას იქ, სდგას... ვინ გაბუდაეს მიახლოვე-  
ბას?“<sup>2</sup> შემამარწუნებელ სურათთა წყება ერთმა-  
ნეთს ცვლის, ვილიცას სახლის კედლებზე ცარ-  
ციით მიღწერია. „ამ ეპოევეთ წვენ, გულგანგმი-  
რული ხუთი წლის ბავშვი, ოქროსთმანი გო-  
გონა“.<sup>3</sup> ასეთია ის რეკოლუციური ვაჩერმო, სა-  
დანაც „ჯონ რიდის“ სულისკვეთება იღებს სა-  
თავეს. პოემაში ოსტატურად გამოკვეთილი პო-  
ეტრეტები და ხასიათის შთამბეჭდავი შტრიხე-  
ბით თვალსაყვამეში პერსონაჟებიც ვხვდებთან.  
ავტო, „საწყალი ბურავი“ — მისი მდგომარეო-  
ბის ჩვენებაში პოეტის ზოზლი და ნიშნისმოგები-  
თი განწყობილება იგრძნობ; „შენი დისწული  
საყოლესთან ერთად ვარბის საშხრეთით. მოს-  
კოეში ახლა ცოტადაა შენი ნაენობი, ო, ჭეშმა-  
რიტად ხარ საყოდავი. სახლიდან გაიქცა მო-  
სისახურე, სახლიდან გაიქცა ბიძა. არ გყვარება  
ერთმადერთი მეგობარი კენკარა-ლეიტენანტი  
— იგი ტახტქვეშ იმალება. ხანდახან თუ მოვა  
სტუმარი — ირიბად იცქირება განჩინისკენ,  
კოხხუის ნიშნად გადაქცეული“.<sup>4</sup> რეკოლუციური  
ორბტრიალიში, სადაც სახეები სწრაფად  
ცვლიან ერთმანეთს. ფარაქან პარისკაცებსა და  
გუბარასვე მუხლავურებში, მშოერ ბრბოსა და

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე, თორმეტრომეული, ტ. VIII, გვ. 115.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 118.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე, თორმეტრომეული, ტ. VIII, გვ. 105.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 106.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 102.

ცეცხლის ენებით განათებულ მებრძოლებში აოცრის მახვილი თვალი სწრაფად გამოაჩენს დასაძახისოვრებულ სახეს და ორიოდ ფრახით, მგერამ დიდი სიხხადით, აგვიწერს: „ჩემს წინ სდგას კაცი სახედამკუცხელი კალენკორია. როშელსაც სცემდა წვიმა. მეორე ამ ყინვაში დგას ჩითვის პერანგის ანარა და ისე კმაყოფილია თითოს ზავერდი ეცემა“.<sup>1</sup>

არ შეიძლება დავაიწყდეთ რევოლუციის მონაწილე მეფის ამბიის ყოფილი ჯარისკაცი: „სდგას ფოლადით გიორგის კავალერი, ყოფილი; მისი დიდება წინანდელი ჯვარია მისი სიმდიდრე... გიორგის კავალერი იხსნის ჯვარს — რომელიმე არაერთხელ შეახება სიკვდილს თვალუბში და ამბობს: ამასთან ერთად ვწირავ წყნას ძალას და ღონეს ამიერიდან“.<sup>2</sup>

„ჯონ რიდი“ ერთერთი პირველი ქართული საბჭოთა პოემაა. „ჭვირფას რიგს პოეტებისას, რომელთაც გამოჰაცხადეს პოეტების მეფედ რევოლუციიდან დაბრუნების შემდეგ ვედლები ამ წიგნში“ — ასეთი ეპიგრაფი უძღვის ჯამბას ხელნაწერს. ვალაქტიონმა ეს პოემა რევოლუციის დღემა სადიდებლად დაწერა და თავის უძვირფასეს მეგობრებს მიუძღვნა. ჯონ რიდი, როგორც პირველად, პოემის მოქმედებაში მსატრეტელ ფუნქციას მოკლებულია, მხოლოდ ნაწარმოების ფინალში ვეებულობთ, რომ პოემის ლარსკულმა გმირმა ჯონ რიდთან ერთად განიცადა რევოლუციის დღეები. „ათი დღის“ ავტორისადმი ამ ნაწარმოების მიძღვნისას სხვა საფუძველაც აქვს. მე ვფიქრობ „ჯონ რიდის“ წერისას ვალაქტიონს ხელთ ჰქონდა პროგრესული ამერიკელი ჟურნალისტის სწორპოეზიური რევოლუციური დღიური, და იქნებ „ათი დღე...“ გახლდათ ერთგვარი შემოქმედებითი სტიმულის მიმცემი ან შთაგონებელი ამ პოემის შექმნისა. ჯერ ერთი, „ათი დღის“ და „ჯონ რიდის“ ენობრივი სტილი ერთმანეთს ძალიან მჭავს. ვალაქტიონიც ისევე ასოციაციურად, დეპერსტილი სტილით წერს, როგორც ჯონ რიდი. ამასთანავე, პოემაში „ათი დღის“ ცალკეულ პასაჟებსაც შეხედებით (მტრეთას ეპიზოდია, თავდასხმა „კრუზოიკზე“, პეტერბურგისკენ მიმავალი მატარებელი და სხვ). „ათ დღეში“ ერთგან ვკითხვობთ: „ერთხელ მე შევესწარი თანაში აღმართისგან შემდგარი ბრბოში სიკვდილის პირამდე რომ სცემა ქურბებაში დაუერთილ ჯარისკაცს“.<sup>3</sup> მოგონეთ სახედავადილარი ჯარისკაცის ისტორია და თქვენთვის ნათელი გახდება, რომ „ჯონ რიდი“ მარტო სტილით როდი დაუვლებული „ათი დღისაგან“. რა თქმა უნდა, ეს მსგავსება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ჯონ რიდი და ვალაქტიონი, როგორც პოე-

მიდან ირკვევა, რევოლუციის პერიოდში ხშირად იყვნენ ერთად და ძალს მხატვრულ შემეცნებასაც ერთი და იგივე წესობის შესწავლებასაც.

რაც შეეხება ფორმას, პოემა თეთრი ლექსით გახლავთ დაწერილი და ასეთი „დატვილი ლექსი“, ალბათ, უკეთ ვადმოცემს რევოლუციურ რომანტიკას და პოემის შინაარსსაც უფრო შეეფერება. გ. მარკველაშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ: „ქნელია, ერთი შეხედვით, იცნო ამ პოემაში ნატივი სიმბოლისტური კრებულის „არტიტული ყვავილების“ ავტორია... „ჯონ რიდი“ დარღვეულია ლექსის წინაზომიერი რღერადობა და მოქალაქეობრივი უფლება აქვს ნაწილებული ახალ პოეტურ ენას“.<sup>1</sup> „ჯონ რიდის“ ამგვარი ფორმის გამართლებას თვალსაზრისით გ. ხუბაშვილი ასეთ შეხედულებას გამოთქვამს: „ამ პოემაში გ. ტაბიძემ განვებ უკუაგლო თავისი ლექსების მელოდიური ტონი, თითქმის თავისუფალი ლექსით დასწერა მთელი პოემა და ამით ფორმასიც, ტექნიკა პოეტურ ხაზებში ნგრევისა და ახლის შექმნის პათოსით აღსავსე დღეების სული გამოხატა“.<sup>2</sup>

მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი მაინც ეკუთვნის თვალთ შეპყრებს „ჯონ რიდის“ ფორმას. თუმცა პოემაში არის ცალკეული ბრწყინვალე ადგილები, მათიანად „ჯონ რიდი“ მაინც დაუმუშავებლად შთაბეჭდილებას ახდენს. ზოგჯერ ავტორი თეთრ ლექსს არღვევს და უბრალო, პროზაულ სტრიქონებს გვთავაზობს. არ შეიძლება „ელოის“ ავტორს არ ევრძნო, რომ პოემის ისეთი სტრიქონები, როგორცაა „შემთხვევა ვენეზიელით ქუჩაზე“, „ამბავი, კორნილიოვის ინციდენტი“, „შემთხვევა მატარებელში“ და სხვ. მკითხველს არაფერს არ ეუბნება. მე ვფიქრობ, ეს პოემა (მისი პირველი ნაწილი მაინც) ვალაქტიონმა პირვანდელი მონახაზის სახით შექმნა, ჩაინიშნა ცალკეული ფრაზები („შემთხვევა...“ „ამბავი...“ და სხვ.), ხოლო მერე ამირეზა ამ მხატვრული მაცერისათვის შესაფერისი ფორმა მიეცა. მერე, როგორც ჩანს, ვალაქტიონმა გადაიკეთა თავისი ეს ნაწახატი და მიზანშეწონილად არ ჩათვალა მას ხელახლა დაბრუნებოდა. ასეთ ფიქრებს აღძრავს ჩვენში „ჯონ რიდის“ საყმაოდ დაუხვეწივეი ფორმა და მისი ზოგერთი ამქარად გუგუზარდი დეტალი. ჩვენს ამ მოსაზრებას ზურგს უჭერებს ის გარემოება, რომ ვალაქტიონის ხელნაწერებში უხვად გვხვდება მისი პოემების თავდაპირველი პროზაული ვარიანტები („ელასობრივი ბრძო-

1 იქვე, გვ. 11.  
2 იქვე, გვ. 112.  
3 „ათი დღე“, რომელშიც შესძრა მსოფლიო, მისკოვი, 1958, გვ. 55.

1 გ. მარკველაშვილი, „ვალაქტიონ ტაბიძე“, „მნათობი“, № 1, 1959, გვ. 35-36.  
2 გ. ხუბაშვილი, „პოეტი და რევოლუცია“, „მნათობი“, 1961, № 3, გვ. 120.  
3 ვალ. ტაბიძე, თორმეტოქმედი, ტ. VIII, გვ. 274

ლა, „სახეობრი ლირიკის შესახებ“), აქვე უნდა მოვიხილოთ ერთი ნააწერის პოეტის დღიურიდან, „ბავშვიც კი შეამჩნევს რომ ჩემი „ქონ რიდი“ დაუშთავრებელი ნაწარმოებია“.

ასეა თუ ისე, „ქონ რიდი“ თავისი თემატიკით და პრობლემტიკით მოხსნა ჩვენს ლიტერატურაში სრულიად ახალი კვალის გატანა და იგი საბჭოთა რევოლუციურ ეპოქაში რიგში თავის განსაკუთრებულ, ორიგინალურ ადგილს იჭერს.

„ქონ რიდი“ შემდეგ გალაქტიონ ტაბიძემ ზედიზედ გამოაქვეყნა ლექსთა ციკლები — „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციური საქართველო“. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორმა ამ ციკლებს პოემები უწოდა და ასევე გამოაქვეყნა თავდაპირველად „მნათობში“, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნებად. ჩვენმა კრიტიკამ იმთავითვე სამართლიანად აღნიშნა, რომ ლექსთა ეს მშვენიერი ციკლები პოემის ფანტურ ხარისხში არ ეტოვდნენ. ამის შესახებ პროფ. ს. კოლაია სწერს: „ეპიკური ნაწარმოებისათვის საჭირო სიუჟეტური მთლიანობა აკლდა ამ პოემას (ლაპარაკია „ეპოქაზე“ რ. შ.). რასაც თვითონვე გრძობდა პოეტმა. შემდეგ გამოცემებში მან ეს პოემა ლირიკული ლექსების ციკლის სახით წარმოგიდგინა!“. გალაქტიონის ცნობილ ლექსთა ციკლების შესახებ ასევე სწორად შენიშნავს პროფ. ა. ვაჭერელია: „გალაქტიონ ტაბიძის ცდა ფანტური სიახლის ძიებისა — პოემების შექმნის მხრივ — არ დამთავრებულა სრული გამარჯვებით და გასაგებია, თუ პოეტმა თვითონ დაშალა ეს პოემები ცალკეული ლირიკული ლექსების ციკლებად. ნაწარმოების უკანასკნელ გამოცემაში (ნახე თხზულებანი, ტ. 2, 1935)“.<sup>1</sup>

გალაქტიონის ამ ვრცელ ლექსთა ციკლებში იყო ერთიანი ლიტერატურული სხეულის და ლიტერატურის მქონე ადგილები, რომელნიც თავისთავად ცალკეულ ლირიკულ პოემებს წარმოადგენენ. გალაქტიონმა თავის გამოცემებში აღკვეთ გამოიყო ისინი პოემებად და პოეტის თორმეტტომეულშიც სრულიად სწორად იქნენ შეტანილი. ასე რომ „ბარიალებზე იბრძოლა ქალი“, „იგი ომია“ და „ელასობრივი ბრძოლა“ — „ეპოქისა“ და „რევოლუციურ საქართველოს“ გამოწეოლებს წარმოადგენენ.

„ბარიალებზე“ რევოლუციისათვის თავდადებული ქალის სსოვნა ეძღვნება. იგი ჩვენს ეპოქა პოეზიაში რევოლუციონერია ქალის სახის შექმნის პირველი ცდაა. პოემის სიუჟეტი ასეთი გახლავთ: დედამ რევოლუციაში მონაწილეობის მიხატებულ შვილი გაგზავნა და დააბარა: იბრძოლე თაჟიუფლებებისათვის, თუ მოიკი. ბარიალებზე, ორომსთან მოკლე და მტერს ზურგი არ უჩვენოა.

მეზოთე დღეს შვილის სიკვდილის მასწავ გამოჩნდა. დედა ცხენს მოახტა და ბარიალებსა-კენ მიჰქრის. „აქანეებელი მუშაობა ვარო“, და-ბარკებებს პირაშუ იყო მშურლი და იმისა-ბე-ბარკებების დამოხმას, უკანდახევას აპირებდნენ, მაგრამ ამხედრებული დედის გამოჩენამ ყველა-ნი აღაფრთოვანა, მტერს შეუტრეს და დაამარ-ცხეს. შეზინდებისას დეკრილი დედა მიტოვე-ბულ ბარიალებზე თავის შვილს დაქებებს, იპო-ვე კიდევ იგი მეკლარი, გულში ჩაიყრა და თუ-თონაც იქვე დალია სულა.

„და იქ, სად ტყვიით გულამაყვარად გაპობილია რკინა და რველი, ამართულია ძველი წარწერით: ბარიალებზე იბრძოლა ქალი“.<sup>1</sup>

როგორც დავინახეთ, „ბარიალებზე“... სიუჟეტური პოემაა. პოეტი რევოლუციონერი ქალის თავდადების ამბავს გვიამბობს, მაგრამ რი-მდენადვე გვიბოლავდა „ქონ რიდი“ რველური ფონი და მხატვრული ფერწერლობა იმდენად უაღბო და ხელოვნერია ბარიალებზე მეტბო-ლი ქალის ისტორია. „ბარიალებზე“ სუსტი პოემაა. ავტორმა რევოლუციის მონაწილე გმი-რი დედის სახე არა მხოლოდ ვერ გამოკეთა, იგი თავსმოხვეული, თვალმისაცემად ფსევდო-ლიტერატურული დეტალებით დაამძიმა. პოემა-ში იშვიათად როლი შეხვდებოთ ასეთ სუსტ სტროფებს:

„ის, ქარხნის, შრომის ერთგული შვილი ხალხისთვის ველსაც კი გაიპობდა. და მანქანების გრიალი ტყბილი ქალის ფეკრებთან მუსიკოვობდა. თითქოს მუსიკის პანგების შრიას მოტრის მზრებზე გადაიფენდა, ლეკვების რბენას, ბორბლებს ტრიალს უწყენდა და პანგს მშობლიურს იმენდა“.<sup>2</sup>

ავტორმა ორი სტრიქონით გადაწყვიტა მტრის ძლევის მთელი ბატალური სცენა: „ბარიალს იქით გამაგრებულ მტერს ეყვეთნენ, მოსავეს, გაანიივეს“.<sup>3</sup> ხოლო პოემის დასასრულს ავტო-რი ასეთ უხერხულ აზრს გვთავაზობს: „სადაც ერთხელე ბრძოლა და შრომა ემბლემად შრო-ბელ მასს რგებია, არეინ არ ნანობს წმინდა ტარების ნაცვლად თუ მხოლოდ ნანგრევე-ბია“.<sup>4</sup>

„ეპოქის ყველაზე გამოკვეთილ და შთამბეჭ-დაე ადგილს პოემა „იგი ომია“ წარმოადგენს. განსხვავებით ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები პო-ემისაგან („ბარიალებზე“) ეს პოემა ნათელი

<sup>1</sup> გალ. ტაბიძე, თორმეტტომეული, ტ. VIII, გვ. 128.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 124.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 127.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 130.

<sup>1</sup> ს. კოლაია, გ. ტაბიძის პოეზია, 1951, გვ. 72.  
<sup>2</sup> იაკო ვაჭერელია „მნათობი“, № 12, 1938, გვ. 140.



პოეტური სურათებით და საინტერესო მხატვრული სხეულებით გამოირჩევა. „იგი ომია“ გვიამბობს პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ დღეებზე. ილაგაწყვეტილი, დაღლილი ჯარისკაცები „ტრანშევენი“ ისვენებენ. ყველანაირი თავიანთი შწაბრე ხედავს, იგონებენ მუდროს ოჯახებს და წვევლა-კრულვას უთვლიან იმას, ვინც ეს გუშინდელი გლეხები და მუშები მეომრებად აქცია. „საწყალი ჯარისკაცი, დაღლილი ჯარისკაცი“ — ეს ფრაზა რეფერენციულ შეორებაში პოემაში და უსამართლო ომის ეპოპეას ლაიტმოტივად გასდევს. მიწაყრილებთან შოოსანი ქალი გამოჩნდა. იგი თავის შვილს დაეძებებს და ჯარისკაცთა კითხვებზე:

— ვინ იყო, სიღან, ან რა კაცია ვინ და რაფერი?

— ერთი საწყალი ჯარისკაცია სხვა არაფერი! — პასუხობს დედა და ამ პასუხში ყველა უპატრონო მკედრის ჭირისუფლობის ვაჭანობა გამოსკვივის. პოეტი ასე ხატოვნად აღწერს ომის საშინელებას: „ცეცხლო, შეშინარი ალთა ხვეულები სოფლებს შიანებენ, ქვეყნად იფინება შინც მწვენიერი მკვლარი სხეულები ადამიანებისა. 2 და ბოლოს „დაღლილი ჯარისკაცი“ გამოერკვა. „ომი ომს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს რევოლუციას!“ — ამ შეძახილით სტოეებს იგი ფრონტს და უკან ბრუნდება. პოემაში უხედავ გვხვდება სხედენილი პასაჟები და ლექსიც ვალაქტიონისებური — ლალი და მოქნილია.

„კლასობრივი ბრძოლა“ ვალაქტიონის ლექსთა ცნობილი ციკლის „რევოლუციური საქართველოს“ შემადგენელი ნაწილი იყო. ამ ციკლის დაშლის შემდეგ „კლასობრივი ბრძოლა“ პოეტმა თვითვე გამოჰყო ცალკე პოემად.

„კლასობრივი ბრძოლა“ სოფლად კოლექტივიზაციის პირველ ნაბიჯებს ეხება და იმ პერიოდის წინააღმდეგობებზე მიგვიანიშნებს.

პოემაში მხილველია ბობოლას შენაღებელი სახე. ბობოლამ, როგორც კი იგარძნო ახალი სიონ ქროლდა, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება გაასხვისა და კოლექტივიზაციაში შევიდა, როგორც მღარიბესი გლეხი. მაგრამ ერთხელ თეატრში კოლექტივნი წიკასთან საუბრის დროს ბობოლამ სრულად გამოამჟღავნა თავისი ავანტიური ბუნება და იგი მხილველ იქნა. ბობოლა იბუნებელი ვახდა თეატრიდან გაქვედლიყო. „კლასობრივი ბრძოლა“ ფაქტიურად წიკასა და ბობოლას საუბრის ვადმოცემას წარმოადგენს, მაგრამ იმდენად უფერული და სქემატუკია ეს საუბარი, და თვითონ მთელი პოემა, რომ მის დასახსიათებლად ჩვენ ამ სიტყვას აღარ გვაგარტებლბთ. საფუძვლიანი კონფ-

ლიქტის და დასაშახსოვრებელი სხეულების დახატვის ნაცვლად ავტორი დეკლარაციულ მსჯელობას გამოდევნება და იგი წმირად ყალბპოეტური ელერაღობას იძენს. „მეცხე-ბი, როგორ ახასიათებს კოლექტივის ერთერთ უანას ავტორი: „რევოლუციონერ შინაარსით, შემოქმედებით, დიდის მასშტაბით უნათლესი და თვალსაჩინო, ზარისხობრივი მანევენლით უღიადესი...“1 ვეჭვობ პოემის მხატვრული დონის დასახსიათებლად ეს ამონაწერიც საკმარისია.

1939-40 წლებში ვალაქტიონმა დაწერა ორი პოემა „ოთხი დღე“ და „ათას ცხრაას ორმოცი წელი“. ორივე პოემა შოახლოებული მსოფლიო ომის საშინელებას ეძღვნება და ნათელი დასტურია იმისა, თუ რა მღელვარებით ეხმარებოდა „ქონ რილის“ ავტორი თავისი ეპოქის აქტუალურ მოვლენებს. ვალაქტიონის პოეტურმა გუამამა ადრევე იგარძნო, რომ ჩვენი ქვეყნის თავზე ავი ღრუბლები იუჩადნენ თავს და თავისი პუბლიცისტური პოემათი ვაფრთხილებს ზარს დარეკა.

„ოთხი დღე — (1-დან 5 ენკენისთვემდე)\* და 1939 წლის ამ ოთხი დღის პერიპეტეიბი. სწრაფად იცვლებიან მოვლენები და არა თუ მოვლენები სახელმწიფოთა საზღვრებიც კი. უაშისტურმა გერმანიამ აიწყოთა და მსოფლიოს ემუტრება — ასეთი თემატური რეალი ავრთიანებს პოემა „ოთხი დღე“.

„ჩვენგან შორს ზღება

ყოველჟე ეს, და ამავე დროს რაოვარ აქლოა... იქ ასე წყდება საკითხები დღეს რა სანანია, რა სანაღლეოა“2 — დაასკენის ავტორი

და ბოლონეთის წინააღმდეგ ფამისტთა შიერ დაწყებულ ავრესიამი მსოფლიო ომის ვარაღების სიმპტომებს ხედავს. მეორე პოემა — ათას ცხრაას ორმოცი წლის პოლიტიკური ამბებს გვისურათობატებს. დასაწყისში პოეტი ვეჩვენებს თბილისის ერთ წყნარ და შიანი დღეს, და შემდეგ ამ იდილიური სურათიდან უეჭრად მსოფლიო ამბების კურსში შეეჯიაროთ. ეს პოემა მკითხველს განიერებხისაკენ, შვიდობისაკენ შოუწოდებს და მსოფლიოს ბედზე პასუხისმგებლობასაც აკისრებს. ნაწარმოებში თითქმის კორესპონდენტული კეთილსინდისიერებით ჩამოთვლილია გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და ევროპის სხვა ქვეყნების საჯარო მდგომარეობის სურათები, ჩანს საერთაშორისო პრობლემაში კარგად ვარკვეული, თავისი დროის მსოფლიოზე ვულატიკუებული პოეტი. იგი ზოგჯერ საგრძნობი ფამილარობითაც კი საუბრობს

1 ვალ. ტაბიძე, თორმეტტომეული, ტ. VIII. გვ. 138.  
2 იქვე, გვ. 138.

1 ვალ. ტაბიძე, თორმეტტომეული, გვ. 148.  
2 იქვე, გვ. 182.

ისეთ პრობლემებზე, რომელთა წინასწარგანკუ-  
რება მაშინ საკმაოდ რთული საქმე იყო და  
რომელთა ნამდვილი არსი მხოლოდ ომის დამ-  
თავრების შემდეგ გამოაშკარავდა. ჰაგ.

„ასეთა  
უუბოროტესთა  
აზრი ვინ არ იცოდა  
იმ ხანაშიც კი,  
როდესაც  
რასისტავი იწოდა“<sup>1</sup>

ან კიდევ  
ან ინგლისელი  
ამ „უბირებს“  
არა პუაელ მხვერვალები,  
არა ვრანობენ  
რას უპირებს  
მთა პიტლერის სევდები? <sup>1</sup>

„ათას ცხრაას ორმოცა წელი“ იმ პოემათა  
რიგს განეკუთვნება, რომელთაც დიდი სამოქა-  
ლაქო მისია აკისრიათ და მათი აქტუალობა მწე-  
რლის იდეურ სიმწიფეზე მიგვიბრუნებს. პოემას  
ისეთი, იმ დროისათვის ფრიალ ორბინალური,  
იპტამისტური ფინალი აქვს:

„რა ძალნი არ  
მილიონ,  
მიანც პრავალ მილიონ  
კაცთა აზრი  
ვერა სპოლიონ,  
ძალა ვერ დაველიონ! <sup>2</sup>

ომის წინა წლებში დაწერილმა და გამოქვეყ-  
ნებულმა გალაქტიონის ამ პოემებმა მკითხვე-  
ლის სამხედრო პატივითული აღზარდის საქმე-  
ში სათანადო როლი შესასრულეს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პოემა „აკაკი  
წერეთელი“. ეს პოემა გალაქტიონმა აკა-  
კის დაბადების ასი წლისთავს მიუძღვნა. საიუ-  
ბილოდ დაწერილ ამ გრცელ პოემაში ავტორ-  
მა მიზნად დაისახა შეეძქნა ეპიკური ნაწარმოე-  
ბი, რომელშიც „განათადის“ ავტორის როლი  
და დამსახურება სრულად იქნებოდა აონუსებუ-  
ლი. ამავე დროს ამ პოემით გალაქტიონმა აკაკი  
წერეთლისადმი თავისი განსაკუთრებული სიმ-  
პათია გამოხატა. განსაკუთრებულს ჩვენ აქ  
იმობრავ ვამბობთ, რომ „ლურჯა ცხენების“ ავ-  
ტორი აკაკი წერეთელთან გამორჩეულ სულიერ  
ნათესაობას ვგრძნობდა და არცერთი ქართული  
პოეტიც ისე არ არის დაეაღიზოლი გალაქტიონ-  
ის პოეზია, როგორც აკაკი წერეთლის შემოქ-  
მედებით. პოემამდე პოეტი არავითარხელ შიგნით  
აკაკის თემას მშვენიერად ლირიკულ ლექსებით.  
გალაქტიონის დღიურებში არავითარხელ ოსტე-  
ნიება აკაკი წერეთელი, რომელსაც პოეტი თა-

ვის უახლოეს წინაპრად და მასწავლებლად  
მიიჩნევს. „გალაქტიონ ტაბიძე აკაკი წერეთელს  
თავის წინაპრად თვლიდა და მთავრადვე მის  
„მეფურ ძილს“ თითქოს შორიდან უღარაჯებდა.  
მის ლექსებში არავითარხელ გაერთება აკაკის ლან-  
დი და არავითარხელ გაიწერიალებს აკაკიებური  
მელოდია“<sup>1</sup>.

„აკაკი წერეთელი“ ეპიკური პოემაა. იგი იწე-  
ვება ვალმოხდილი პოეტის ხსენებით და მისი ჩა-  
ნვისადმი ოდის შესხმათ. შემდეგ ამხედრებული  
ლირიკული გმირი პოემისა საქართველოს მთია-  
ნეთისკენ მიიჭარის, რათა აკაკის საიუბი-  
ლოდ სტუმრებს მოეხმოს. მაგრამ საიუბილო  
უსტარი ქვეყანას არც კი სჭირდება, აკაკის სა-  
იუბილოდ ყველაზე შორეული კუთხეებიც კი  
გაუთაცებებით ემზადებოან. ცხენოსან მაცენს  
ყოველ სოფელთან აკაკის სიმღერები ესმის და  
„ნათელას“ ავტორის უყვადებამი კიდევ ერთ-  
ხელ რწმუნდება. როცა გაივადებს, დალილი  
მხედარი „ლურჯ მინდორზე“ შესასვენებლად  
თვალს მიღუღაეს და სიზმარს ხედაეს. პოემის  
ლიტერატურული უფერტიერა აქ მთავრდება  
და იწყება ცხენოსანი მაცენს სიზმარი. ნაწარ-  
მოების დანარჩენი ნაწილი ამ სიზმარს უჭირავს.  
პოეტი, სანამ აკაკი წერეთლის დაბადებამდე  
მიგვიყვანდეს, გადმოგვექმს საქართველოს ის-  
ტორიის მოკლე კონსპექტს. საუბარია სამართოე-  
ლოს ისტორიულ ბედზე. ალა-მამამდ-ხანის შე-  
მოსევაზე, რუსეთთან შეერთების პირველ წლებ-  
ზე, ნახევრებათა თაყიდ-ახნაერთთა შეთქმულება-  
გლებთა აჯანყებანი და ვრცელადა მიმოხილული  
საქართველოს სოციალ-პოლიტიკური თა გო-  
ნომიური ვითარება მეცხრამეტე საუკუნის პირ-  
ველ მახვიარში. მერე იხადება აკაკი, ორითდე  
სიტყვით ჩერდება ავტორი მომავალი პოეტის  
ბავშვობისა და გიმნაზიის წლებზე და ისევ იწყ-  
ება ვრცელი პუბლიცისტური საუბარი სამო-  
ციან წლებზე, თერჯდალაიელთა თაობაზე, მის  
მიერ მოტანილ სიძალეებზე, ამ თაობის ბრძო-  
ლაზე საქართველოს განთავისუფლებისათვის.  
ბოლოს დასასათებულთა რევოლუციის შემდ-  
გომი პერიოდი, როგორც აკაკის ოცნების ა-  
დომა და იქნოსანი სიყვარულით იაონიბს  
აკაკის ღიაწლს ახალი საქართველოს წინაშე.  
ასეთი ვახლაით ამ პოემის ქარჯა ყველაზე მოყ-  
ლედ და სქემატურად გადმოცემული. პირველი,  
რაც უსათოდ თვალში გვიქმნათ ამ პოემის  
კითხვისას ის ვახლაით, რომ იგი ავტანლად გა-  
ჰიანერებულთა. გაჰიანერება მით უფრო საჯ-  
რძნობია, რომ პოემამი აკაკი წერეთელი არ  
მოქმედებს, ავტორი მხოლოდ ჰყვება მასზე (და  
არა მარტო მასზე რ. მ) გალაქტიონისეული  
ბაწყინვადი პასაევები და მოქმედელი ფრახზემი  
თითქმის უკლებლიან იყარგებოან პოემის უსის-  
ტიემო კომპოზიციასა და დუნე ხასიათში. მოქმე-

<sup>1</sup> გალ. ტაბიძე, თორმეტობეული, ტ. VIII, გვ. 210.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 219.

<sup>1</sup> თ. კილაძე, „გალაქტიონ ტაბიძე“, „ციცქარია“, № 4, 1959, გვ. 109.

დებისგან დაკლილ ამ ნაწარმოებს ამჟამად ატყუებ, რომ იგი კარგად ვალექსილი, მაგრამ მოსაწყენი პოლიტიკურ-ეკონომიური ნარკვევი უფროა, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები. რაც რუსეთის თვითმპყრობელობას ახასიათებს ავტორი წერს:

„ძარცვისა და სისხლის დაღი, სახარობელა, ციხის თაღი სახელმწიფო მართვის არის შეტედი ცუდა არალი. საქარა გზა მელური, მგლური თითქო მენობლური, მოქმედება უნდა იუოს ფრთხილი, დიპლომატიური“.<sup>1</sup>

როცა თვითმპყრობელობას დაქაზებულ იდეოლოგიებს ახასიათებს, ვალაკტიონი წერს: „მძალური ფანტასტიკურ მდევზე იდეა... იდეებს კი ვერ არნახულ ვენერგიით აღრმავებდა ჩერნიშევსკი“. ახალგვადგმული კაპიტალიზმის დაახასიათება ვენებათ?

„იქ სხვაგვარად სტრიდა თვალი, იქ შეფობდა კაპიტალი და ბადებდა სიღარიბეს დაგროვება ნამეტანი.

ნისლებია, ქარებია. გარდატეხებს რომ რგებია, კრიზისები კაპიტალის მუღმივ თანამგზავრებია“.<sup>2</sup>

როცა ავაციის ლექსის ღირსებებზე ჩერდება, პოემის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს „სულიკოს“ ავტორის დამსახურებას ქართული ლექსის განახლებასა და ვანეთთარებაში და სხვათა შორის წერს:

„უთი უოველთვის — შედარებას; ნახულობდა რიტმთ ჩქარებას, და საესებით გადმოსცემდა თვის სულიერ მდგომარებას.

მისი ლექსის მკვეთრი სტივი, იუო შინატი, მაგრამ მკერივი, მისი ფორმა იქნებოდა ძალდაუტანებლვი“.<sup>3</sup>

„ავაკი წერეთლის“ ერთერთი ბოლო სტროფი ასეთი ვახლავთ: „დღეს მონა იმ მიზეზის, რასაც დღე ისახავს ძმების, ჩვენს მხარეზე არის ძალა ისტორიულ ვითარების“.<sup>4</sup> ვფიქრობ, მკითხველი დარწმუნდა ერთ უსიამოვნო ფაქტში: „ავაკი წერეთლის“ პოეტური ენა მოიკლულებს, პოემა თავიდან ბოლომდე დეკლარაციუ-

ლია და ამჟამად ვერ აკმაყოფილებს მხატვრული ნაწარმოების მიმართ წაყენებულ მოთხოვნილებებს (რა თქმა უნდა ამ კრიტიკურდებით, რაც ჩვენ თვით ვალაკტიონის შემოქმედებისაგან ვალაუბრებულ ვალაკტიონის ხელთ. რ. მ.).

„ავაკი წერეთლის“ შესახებ პროფ. დიმიტრი ბენაშვილი წერს: „ამ პოემის ლეიტმოტივი იმის აღნიშვნა ავტორის მიერ, რომ ვალაკტიონი ბუნებრივი მემკვიდრეა ავაციისა, როგორც ეროვნული პოეტისა. ამ აზრის დასადასტურებლად რამდენიმე ათასი სტრიქონის მანძილზე ჩვენ თანამედროვე პოეტი მღერის უოველგვარი კანონზომიერების გარეშე. ვალაკტიონისათვის ავაკი მასალაა, რომელიც საბაზად იქცევა მხოლოდ ვალაკტიონ ტაბიძის ინდივიდუალური სურვილების გადმოსაცემად. ამ საფუძველზე თითქმის ხუთათასსტრიქონიანი ნაწარმოები რადიკალურად დაშორდა პოეტური ეპოსის სახელებს და ერთ გრძელ ლირიკულ სიმღერად იქცა: მაგრამ ვინაიდან ლირიკა ვერ უძლებს ასეთ ვრცელ მანძილს (ხუთათასსტრიქონის), ამიტომ ის მოსაწყენი სიმღერების ფორმას იღებს და ხელაუნების კუმშარტი ინტერესების გარეშე რჩება“.<sup>1</sup> ჩვენ საესებით ვახაზებთ „ავაკი წერეთლის“ დიპ. ბენაშვილისეულ ამ მკაცრ, მაგრამ სამართლიან მოსაზრებას.

„სახე ბარი ლირიკის შესახებ“ ვალაკტიონის პოეტის ვადმოცემაა. ეს პოემა ცხადლევ გვიჩვენებს ვალაკტიონის შეხედულებებს პოეზიის არსის, პოეტის დანიშნულებისა და მისი ადგილის შესახებ საზოგადოებაში. ვალაკტიონმა არა ერთ ლექსში („ხელოვნება“, „ჩვენ პოეტები საქართველოს“, და სხვ.) გაამჟღავნა თავისი ესთეტიკური კრელი. მაგრამ „სახე ბარი ლირიკის შესახებ“ მთელი ტრაქტატა პოეზიის მაღალ მოწოდებაზე დაწერილი. „იგი თავისებური შეფასებაა ლირიკის, საერთოდ პოეზიის, ხელოვნების დანიშნულებაზე. მათს როლსა და ამოცანებზე პოეტის მიერ მრავალი წლის მანძილზე გამოტრებული ფიქრებისა, და არა მარტო ამ ფიქრების, არამედ მთელი მისი პოეტური მოღვაწეობისა“.<sup>2</sup>

ამ პოემის პროზაული ვარიანტი გამოაქვეყნა პროფესორმა სერგი კილიამ ვაზთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1956, 16 დეკემბერი) ვალაკტიონს ვერ დაუწერია ვრცელი ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი ლირიკაზე და შემდეგ ეს ნარკვევი გაულექსავს. მე ვფიქრობ, „სახე ბარი ლირიკის შესახებ“ პოემა არ

<sup>1</sup> დიმიტრი ბენაშვილი. პოემის სპეციფიკის საკითხისათვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, 1955, გვ. 48.

<sup>2</sup> გიორგი მერკვილაძე, „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, თბილისი, 1967, გვ. 111.

<sup>1</sup> ვალაკტიონ ტაბიძე, თორმეტტომეული, ტ. IX, გვ. 55.

<sup>2</sup> ვალ. ტაბიძე, თორმეტტომეული, ტ. IX, გვ. 73.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 130.



არის, რადგანაც პოეზისათვის აუცილებელ ლიტერატურულ ატრიბუტებს იგი არ შეიცავს. რაც შეეხება ნაწარმოების ლიტერატურულ ქსოვილს, უნდა აღინაშნოს, რომ „საუბარი“ ბრწყინვალე შესრულებით გამოირჩევა. ვალაკტიონის ლექსი ლაღად მომდინარეობს და მთელი პოემა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება:

„სული პოეტის  
სარკე არის  
სივრცის, დროისა,  
სული პოეტის  
არის ცენტრი მსოფლიოისა,  
სული პოეტის  
არის მისი  
ყოფნის დღეები,  
არის ფოკუსი  
ერთდებთან  
სად იღვები“<sup>1</sup> — წერს „საუბრის...“

ავტორი და პოეტს, როგორც ტრიბუნს და მოქალაქეს პროგრესისათვის ბრძოლაში მასუბის შეთაურისა და წინამძღოლის ფუნქციას ანიჭებს. პოეტმა იციის ლირიკის ძალა, იციის,

„რომ თვით ქალათებს  
გადაჰყვეულს  
სმენად და ჰერეტად,  
მკოდნეთ: რა ძალა,  
რა სიმტკიცე  
პლევრის გზნებისთვის,  
შიშის ზარს სცემდა  
პოეზია  
უფროსე მებრად,  
ვინემ ფერჰერთალი  
შეთქმულება  
აქანყებისთვის“<sup>2</sup>

„საუბარი“ დახასიათებულია კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ლირიკის მიერ განვლილი გზა. ვალაკტიონი ასხეუნებს ანტიკური საბერძნეთის პოეტებს, რომელ ავტორებს, მერე ჩამოთვლის გამოჩენილ ქართველ პოეტებს (რა თქმა უნდა, რუსთაველის სარდლობით, რ. შ.), ყველას თავისი წვლილის მიხედვით ახასიათებს, შემდეგ ვადვლევართ პოეტის აღვიღზე მოვიც საუბრეში:

„სადმე ვერაობს  
შუაგულში,  
მყუდრო ბინაში,  
იდაშიანი  
მარტო დარჩა  
თავის წინაში,  
მრავალ კითხვებში

ის მარტოა,  
ის პოეტია,  
ის მსოფლიოში  
არ იქნა და  
ვერ დაეტია“<sup>1</sup> — ვითხულობთ „საუბარში...“ პოეტა ვრცლად ჩერდება პოეზიის მდგომარეობაზე თანამედროვე დასაულებთში, ასხეუნებს ფედერაციო ვარსია ლორკას და მის ტრავიციულ ზედს, მერე ვრცლად ახასიათებს პოეზიის აუვაეების შესაძლებლობებს სოციალისტური სისტემის პირობებში და დაასკვნის:

„სიმღერით მოდის  
არ გადუხვეეს  
რჩეულ გზისაგან,  
სხვა გზა — უცნობი —  
ვერასოდეს ვერ შეირიგოს...  
იგი ისწრაფვის  
კომუნისმის გამარჯვებისკენ.  
მაშ, გაუმარჯოს  
სიშარტლისათვის მებრძოლ ლირიკას“<sup>2</sup>

ლირიკას თავდაპირველად ვალაკტიონი საერთოდ პოეზიის მნიშვნელობით ხმარობს, მაგრამ შემდეგ ლირიკის აღვიღს ასეთი არაპოეტური სტროფით აკონკრეტებს: „ახლა ეპოსი თუ რომანი, დრამა მრავალი, ლირიკა, როგორც ნაწილი რამ შიგ შეშავალი, თავის სიმჭაფრით, თავის ენებით სიტყვის ამ დარგებს ამოუწურავ ენერგიით უფრო აკარგებს: აღრმავებს განცდებს, აცხობვლებს გრძნობებს და მოსაეს აღფრთოვანებულს, მუდამ ასე საჭირო პროზას, რაც უფრო მაღლა მიდის აზრი ესევეთაარი, ლირიკა ხდება უფრო მძლავრი, უფრო მდიდარი“<sup>3</sup> ვინც ამ სტრაქიონებს დაავიარდება, დაწმუნდება, რომ იქ, სადაც ვალაკტიონი პოეზიის მაღალ მოწოდებაზე ლაზარაკობს, პოემა კანტატურ ელერადობას იქნის და თავისუფლად იკითხება, ხოლო სადაც პოეტა ლიტერატურის თეორიკტიკოსის როლში გამოდის და ლიტერატურული ტერმინოლოგიით ამბობებს სტრაქონს, მკითხველს უხერხულობის გრძნობა იყარობს. იყო კი ამ სტრაქონების ვალექსება საჭირო? სააღუსტრაციოდ „საუბრიდან...“ კიდევ ერთ მაგალიდს მოვიტანო: „შთავარი ძარღვი პოეზიის ზომაა, რითმა, მისით მარადის ვაიღვლის შექმა ბედითმა. მაინც იმაზე უმთავრესი სხვა დიდ-აარსი არის მშვენიერ პოეზიის იღვა, აზრი. მათში იხსენება მგონის ძალა და მოქმედება, ისეთი, ყველას სიხარულად რომ მოედება და მოფარავს გზებს ვარდით, დაფნით და ალოფით. იღვა, აზრი, ზომა, რითმა — აი, პოეტის!“<sup>4</sup>

<sup>1</sup> ვალ. ტაბიძე, თორმეტომეული, ტ. IX, გვ. 173.  
<sup>2</sup> იქვე.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 188.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 208.  
<sup>3</sup> ვალაკტიონ ტაბიძე, თორმეტომეული ტ. IX, გვ. 172.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 143.

„საუბარში“<sup>1</sup> რამდენიმე ადგილას მრტანილია ციტატები შაიკოვსკის ცნობილი ლექსიდან — „ფინანსპეტროტან სუბარში პოეზიაზე“ (მაგ., „მიღებულ იქნას და ერთ სიტყვად უნდა გადადნეს ათასეული ტონა მთელი სიტყვიერ მადნის...“)

1944 წელს გალკტიონმა ორი პოემა დაწერა „ამირანი“ და „ქალეული სენი“. ორივე სიუჟეტია. პოემის ფორმისა და თემატიკის ძიებამ გალკტიონი ამირანის მითთან მიიყვანა და მიჰკავებული ტიტანის პრობლემის თანამედროვეობისთვის მისადაგება სცადა. „ამირანი“ ასეთი ამბავი ხდება: კაბუტმა წყევსმა რატომ ცხვარი ვარკვა საოქროზე. ჩანთაში მისი ამირანის ზღაპარი უდგეს და დღენიადაც ამ გვიროსთან შეხვედრას შეიძრობს. იალაღზე რატის ჩაქონა და სიზმარი ნახა. სიზმრად რატი, როცა ცხვარს ამოვება, ერთ კლდეს მიუახლოვდა. კლდიდან აღამირანის გმინვა მოესმა. რატი ხმას გაეკვირა და კლდის შუაგულში ჩაქვით დაბმულ დეკავის წაყვდა. უეცრად კლდე უშველბელმა შავმა ფრინველმა დააბნელა. იგი ზედ გულმკერდზე მიადრინდა ამირანს და კორტნა დაუწყყო. რატი შეებრძოლა ფრინველს და დროებით უუჯაქია. ამირანმა სთხოვა მშველელს — იმ ჩაქვის ბოლო მომართოდ და თავს ავიშვებო. რატომ ჩაქვის ბოლო ძლიერლივობით ასწია, მაგრამ ამირანამდე ვერ მოიტანა, ჩაქვი მოკლე იყო. მაშინ დევგვირმა სთხოვა, ჩემი აქ ყოფნა საიდუმლოდ შეინახე, წადი, ძველი რკინისაგან ზუსტად ასეთი ჩაქვი გამოქვდე და მომწაფიდიწყო.

წამოვიდა რატი, ისწავლა მშველბობა, გამოქვდა და ჩაქვი და ამირანი გაათავისუფლდა. ამირანის განთავისუფლება ამ პოემაში სიმბოლურად ოქტომბრის რევოლუციას უკავშირდება. განთავისუფლებული ზღაპრი ტანის გრიალით მოაკლბეს საუკუნობრი მონობიდან თავის გამოხსნელს. „ამირანი“ ავტორმა სიუჟეტური პოემის ქარგად სწორად შეარჩია მითური ამბავი, მაგრამ ამ მითის გათანამედროვეება სუსტ მხატვრულ საყრდენებზე დგას და ამიტომ ზელოვწერის იერი დაქარავს. თვით პოემაც საკმარისად სუსტია. როცა რატი ჩაქვის დაპოვას იწყებს, ავტორი მას ასეთ „ინსტრუქტაჟს“ უტარებს: „ფიზიკლი უნდა მომსახურება, აწვია დონის, გახლენგას იწვევს გადახურება ცხელი ლითონის. ზედმეტ ხერხებით რკინა ფელოვება, გინდ იყოს ძველი, ლითონი ტუდება და ნაჭუქდება წუნის შემცველი“<sup>2</sup> გალკტიონისათვის უჩვეულო ასეთ სუსტ სტრუქტურებს და ზედმეტ ბნაყებს უხვად იპოვით „ამირანი“<sup>3</sup>. კიდევ უფრო სუსტია „ქალეული სენი“. ამ პოემაში ლაპარაკია ილია ინოვნიკო ბათუმელ რევოლუციონერზე, რომელსაც ამ პოემაში არც

სახელი აქვს და არც სახე. ის რევოლუციონერი მძიმე სენით გამზდარა ავად. მარტინი მინსტრანზე მიდის პოემის ლირიულ გმინვებში მკვდარს მკვდარს კატეგორიულად მოუწოდებს დასალოის სენი. შენ რევოლუციის სტირღები და რა დროს სიყვლილიაო. ამის შემდეგ ოცი წელი გავიდა. ლირიული გმირი კვლავ მოხვდა ბათუმში და გაიხსენა ის დღე, როცა სიყვლილი პირას მიხული რევოლუციონერი გამაზნვია. მიდის ნაცნობ მისამართზე და მას ვეფხვივით ჩანჩრთელი მასპინძელი ხედება. თურმე უმიელო ავადმყოფი იმ ვიზიტის შემდეგ გამოჩანრთელებულა. მას სენი დაუძლევია და ახლა ასე ბათუკტირად შეზღადადებს სტუმარს: „ჩვენ კვლავ ებრძობლებო, დიდი ლღლია ძღვეული სენი უნდა ვიკოცხოთ. სასახლეოა სამშობლო ჩვენი“<sup>4</sup>.

გალკტიონის ომისშემდეგომ პოემათაგან განსაკუთრებით დამახასიათებელია „სინათლის ყვავილი“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილი პოემების უმეტესობა თითქმის არაფერს ქმარებს „რონ რიდის“ ავტორის შემოქმედებას. სუსტა, უხერხემლო სიუჟეტი, სემპატური ხასიათობი და ხშირად ყალბი პოეტრიკა — ეს ნიშნები ახასიათებს პოეტის ბათუმდრინდელი ეპიკური მემკვიდრეობის დიდ ნაწილს. ნაძალადეობასა და ზელოვწერობაში „სინათლის ყვავილის“ სიუჟეტიც ადგილად დაგვარწმუნებს: აფხაზეთში დიდი ზღინია. სუფრაზე განსაკუთრებით გამოირჩევა ცხრაპეტი წლის მშვენიერი მეგა. უეცრად მოქვიფებს თეთარწვეოსანი მოხუცი მოთალოვდა. მას ტანს ვეფხის ტყავი ქმოსავს და ზელთ ყვავილი უტარავს. მიეახლა მეგის, ულაზაზესი ყვავილი გაუწოდა და უთხრა: გუშინ რომ დაგბირდი, ის ყვავილი მოგართობი. მეგამ იუცხოვა, არათუ გუშინ, მას ეს მოხუცი საერთოდ არ ენახა. გაოცებულ აფხაზეტს მოხუცმა უამბო: ზუსტად ამ ასი წლის წინათ, მე მყავდა სატრფო, რომელსაც მევა ერქვა. მან დამავალა სინათლის ყვავილის შოვნა. აფხედრდი და გავციდი თუ არა აუღს, კივილი მომესმა. მეგა გაიტაცეს. ამის შემდეგ ასი წელი ტყეში გავატრე. ბოლოს მაინც ვიპოვე სინათლის ყვავილი და ბედნიერი ვარ რომ ჩემი მეგის ადგილას სულ სხვა მეგის ვხედავ. არანაკლებ ღამაზს და ტანკნარს. ამიტომ ამ ყვავილს მეგის ვეძღვი და მეჩვენება თითქმის ყვლაფერი გუშინ მოხდაო. მეგამ ყვავილი გამოართვა და ელექტრონის შუქმა სხივი მოქოწინა გარემოს. ორმე ის სინათლის ყვავილი ელექტრონი გახლდათ. ამ სიუჟეტის ხივალბეს პოემის ფინალი განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდის. თითქმის ამგვარი ხასიათის პოემებია „მოხუცის ქალი“ და „უხვა და ასე-

<sup>1</sup> ი ქვევ. გვ. 138.

<sup>2</sup> ი ქვევ. გვ. 255.

<sup>3</sup> ვალ. ტაბიძე, თორმეტბოშეული, ტ. IX, გვ. 278.

და. აქაც პოეტისათვის უჩვეულო პათეტუკა, მოვლენათა ცალმხრივი გაშუქება ჩრდილავს ობიექტურ განსჯას და კემპარიტი მხატვრის შეფასებას. ამ წლებში პოემათაგან შეიძლება გამოიყოს „ა მ მ ბ რ ა მ ბ რ ა“. ამ პოემა-ძალიანმა ავტორმა წარსულის რევოლუციური რომანტიკა გააცოცხლა. პოემის ლირიკულ გმირს უპატრონო ძალი დაუშვებობდა. როცა მას (რევოლუციონერს რ. მ.) ციხის სარკმლიდან პატიმრებმა პურში ჩადებული წერილი გადმოუგდეს, პურთან პირველი მურა განდა. დაიწყო გააფრთხილებელი ბრძოლა, ძალსა და კაცს შორის. როგორც იქნა, კაცმა იმარჯვა, პური ზელში ხაივდო, გახლიჩა, წერილი ამოიღო და პური მურას გადაუგდო.

გალაკტიონ ტაბიძის ომის თემაზეც დაუწერია პოემა. ეს გახლავთ 1950 წელს დაწერილი „ა მ ბ ა ვ ი ე რ თ ი ლ ა მ ი ს ა“, სამწუხაროდ ეს პოემაც მხატვრულად მოიკოცლებს. უოფილი ჭარისკაცის ნაამბობს ამჟამად ეტუობა პოემის ავტორის არცთუ საფუძვლიანი ცოდნა ომის ამბებისა.

გალაკტიონის პოემებზე საუბარი სრული არ იქნება, თუ არ ვახსენებთ ორ უკანასკნელ პოემას. ესენია: „ქ ი ტ ე ს ა“ და „მ ი შ ნ ი მ შ ე ე რ ღ ბ ა ს“. პირველი მათგანი ქართულ მედიანეთა ქებათა-ქებას შეიცავს, ხოლო მეორე სამშვიდობო ლიტერატურული კანტატა გახლავთ. შესრულების მაღალი დონით არც ეს პოემები გამოირჩევა და ამიტომ მათი დაწვრილებითი განხილვისაგან თავს შევიკავებ. დაესძენ მხოლოდ, რომ ორივე მათგანი ლირიკული პოემაა.

გალაკტიონის დაუმთავრებელი პოემებიც დარჩა: „სურამის ციხე“, „პუშკინი“, „ძაღვიდან ბერლინამდე“, „პური“, „მშვიდობა“ და „კაცთა შორის სათნოება“ (პოემა-ორატორია). მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „პუშკინი“. პოეტს ორიგინალურად დაწყებული ეს პოემა, ჩვეინთვის უცნობი მიზეზების გამო, არ დაუმთავრებია, მაგრამ დაწერილი ფრაგმენტაც ნათლად წარმოაჩენს დიდი რუსი პოეტის შარავანდედით მოხილ სახეს. გალაკტიონის არქივში

აღმოჩნდა კიდევ ერთი დაუმთავრებელი საბავშვო პოემა „ღ ი ღ ე დ ა ს ს უ რ ე მ ე ლ ე“: „ამ პოემას ავტორი 1953 წლიდან წერდა. [წარმოადგინა] ზელხაწერს ეტუობა, პოეტი დიდხანს, გულმოდგინედ მუშაობდა თავის ვრცელ საბავშვო ნაწარმოებზე და შეიძლება ითქვას, რომ დიდ წარმატებასაც მიაღწია მისი შემოქმედებითი პროფესიის თითქმის უჩვეულო საბავშვო ლიტერატურის დარგში.

რა შეიძლება ითქვას, დასკვნის სახით, გალაკტიონ ტაბიძის ეპიკურ შემკვიდრებაზე? პოეტს მკითხველთა უმეტესობა ძირითადად იცნობდა, როგორც სწორუპოვარ ლირიკოსს და თანამედროვე ქართული ლექსის ფასდაუდებელ რეფორმატორს და ვერსიფიკატორს. გალაკტიონის პოემების ერთი ნაწილი თავის დროზე არ გამოქვეყნდა, ხოლო გამოქვეყნებულ პოემათა დიდი უმეტესობა ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ სათანადოდ არ შეაფასა. მხოლოდ პოეტის თორმეტრთმეულის გამოცემის შემდეგ მიეცა მკითხველს საშუალება გასცნობოდა მის ოცდაათნივე პოემას და სრული წარმოდგენა შეეძქნა „ჯონ რიდის“ ავტორზე — როგორც ეპიკოსზე. ეს შეხედულება კი ამ სტრიქონების ავტორს შემდეგნაირად ესახება:

მრავალფეროვანია გალაკტიონის პოემების თემატიკა, თავისი მასშტაბურობით და პრობლემათა მრავალგვარობით პოეტის ეპიკურ შემკვიდრება ნათლად წარმოგვიდგენს თავისი ეპოქის საქართველოში საკითხებზე ღრმად დაფიქრებულ პოეტ-ტრიბუნს.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გალაკტიონი წერდა პოემებს და დაუცხრომლად იღწვოდა მისი ენარული სრულყოფისათვის.

...და მაინც გალაკტიონ ტაბიძემ ვერ მოახერხა პოემა თავის მკვირფხორმიანი ლირიკული შედეგებისთვის გვერდით ამოყენებინა. ამ პოემათა მეტნაკლები მხატვრული ნათება საფუძველს ვეაძლევს იმისათვის, რომ „მურის“ ავტორის გენიალობის საბუთი ისევე მის ბრწყინვალე ლექსებში ვეძებო:



**შოთა ნოჯაძე**

**საბჭოთა საქართველოს კულტურული კავშირი  
საზღვარგარეთთან (1921-1937 წ.წ.)**

ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი თავის ცხოვრებას ააშენებს სხვა ერებთან მჭიდრო ურთიერთობაში, შეისწავლის ყველა პროგრესულს, რაც საერთაშორისო კულტურასა და მეცნიერებას შეუქმნია. ასეთი კულტურული ურთიერთობა იმითაა ნაპარსხვევი, რომ „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანაღად გამოიხატარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოხატონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ნაშაბა. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განუთარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა...“<sup>1</sup>. ამ კულტურის შესწავლისა და ზუსტი ცოდნის გარეშე, მის გადაუმუშავებლად შეუძლებელია კომუნისტების მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა. „კომუნისტი, — გვაფრთხილებდა ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როცა შენს მესხიერებას ჯამიღიდრებ უყვლა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუძლევია“<sup>2</sup>.

ემყარებოდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, პარტიამ და მთავრობამ თანდათან შეიქმნეს და ჩამოაყალიბეს საზღვარგარეთთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები და ფორმები (გამოყენების მოწყობა, წიგნების გაცემა, ასპირანტთა მომზადება, მეცნიერთა გაცვლითი მუშაობა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაეთა ტურისტული მოგზაურობები, მუსიკალური ფესტივალები და სხვ.), რამაც ასახვა პპოვა მთელ რიგ გადაწყვეტილებებში, აგრეთვე, სკკპ პროგრამაში,

სადაც კერძოდ, რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის დარგში, ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად, კულტურული კავშირის შემდგომი გაფართოება.

საღირებეტიერ ორგანოების გადაწყვეტილებით 1925 წ. შეიქმნა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოება. მისი შექმნა ნაქარსხვევი იყო იმისა, რომ, ვერ ერთი, მსოფლიოს ხალხები ედავის ინტერესს იჩენდნენ პირველი სოციალისტური სახელმწიფოსადმი; მეორე, თავის მხრივ, საბჭოთა ადამიანებმა უნდა იცოდნენ საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევები. ამ ორმხრივი ამოცანის შესრულება დაეკისრა საზოგადოებას. მისი წესდება, რომლითაც განისაზღვრა საზოგადოების ამოცანები, მისი განხორციელების ფორმები და საშუალებები, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წ. 8 აგვისტოს დაამტკიცა.

ამ ამოცანების შესრულების მიზნით საზოგადოებამ საზღვარგარეთის ქვეყნებში განახორციელა ღონისძიებები შესაბამისი ორგანიზაციების შექმნისათვის არა მარტო დედაქალაქებში, არამედ ბევრ მსხვილ სამრეწველო ქალაქებსა და კულტურის ცენტრებში. ამ შემთხვევაში იგი ემყარება ინტელაგენციის რადიკალურ და მშრონულთა ფართო მასებს. ასეთი ორგანიზაციები შეიქმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აპონიაში. მათ უწოდებთ „სსრ კავშირთან შეგობრობის კომიტეტები“. „ახალი რუსეთი“. საზოგადოება მათ ამარაგებს ლიტერატურით — წიგნებით, ბროშურებით და სხვა ბეჭდვითი მასალებით. მოხსენებებით, კონფერენციებით, რომლებშიც ასახულია სსრ კავ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გამ. IV, გვ. 343

<sup>2</sup> იქვე, გვ. 344.

ჩირის ხალხთა ცხოვრება. ღიბი უტრადღება ეთმობა საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნიკურ კონფერენციებში მონაწილეობას, მეცნიერულ კავშირს, თარგმანებს, უცხო ენების შესწავლას, სხვადასხვა სახის საღამოების მოწყობას, მიზნებებს, წიგნებისა და ფოტოსურათების გაცვლას. საზოგადოება თავის ეტრნალს „Вокс“, „Советская культура“-ს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ავსავსის, სამაგიეროდ იღებს ამ ქვეყნების გამოცემებს. ამასთან, საზღვარგარეთის გამოცემებისათვის აწახდის სტატიებსა და ინფორმაციებს.

საზოგადოების ამ მრავალფეროვან მუშაობაში ფართო მონაწილეობას იღებს საქართველო. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1928 წლიდან. შეიქმნა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად საქავშირო საზოგადოების ამიერკავკასიის ფილიალი, ადგილსამყოფელით ქალაქ თბილისში. ფილიალი 1931 წლს 26 მაისს გაჩაღებდა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ა/კ საზოგადოებად, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკებში ფილიალები ჰქონდა. საზოგადოებისა და მისი ფილიალების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში, თურქეთთან და ირანთან, როგორც ა/კ უახლოეს მეზობლებთან, კულტურული ურთიერთობის დამყარება და განვითარება, აგრეთვე, საქავშირო საზოგადოების მიერ ყველა სხვა ქვეყნებთან განხორციელებულ კულტურულ კავშირში აქტიური მონაწილეობა.

თვალსაზრისით დოკუმენტაციას საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს გამოფენები, რომლებიც ასახავს წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ დონეს. საბჭოთა გამოფენები საზღვარგარეთ მნიშვნელებს აძლევს უტყუარ მასალას ახალგაზრდა საბჭოთა საზოგადოების შემოქმედებითი ზრდის შესახებ. წარმოდგენს მტრების ცილისმამებლურ ფაქტების მხილების მნიშვნელოვან საშუალებას. ამავე დროს საბჭოთა კავშირის ქალაქებში საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე გამოფენა მოეწყო. მაგალითად, თბილისში გამოართა ავსტრიის გრავიურის გამოფენა (1923 წ.)<sup>1</sup> აქვე მოეწყო იაპონიის საბავშვო ლიტერატურის გამოფენა (1930 წ.)<sup>2</sup>.

ღიბი ინტერესი გამოიწვია ბელგიელი მხატვრის ფრანს მახერელის ნამუშევართა გამო-

ფენამ, რომელიც 1935 წ. ავსტრიის ვაენარტო თბილისში გამოფენას დაეთმო. საზოგადოებალერის სპეციალური დარბაზში გამოფენამ, რომელიც სოციალური თემატიკის შესახებ ჩოლდა ღიბი ინტერესი გამოიწვია შშრმელთა შორის, თბილისის მთელი რიგი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურებმა მოაწყვეს გამოფენის კლდეპტიური დათვალიერება, იგი 4 ათასმა კაცმა ნახა. მას ცხოველი ინტერესით შეხვდა მხატვართა საზოგადოებრიობა, მახერელის შემოქმედებაზე ერთხელსა და გახუთებში გამოქვეყნდა სტატიები.

სისტემატურად ეწყობოდა საბჭოთა მხატვრების გამოფენები საზღვარგარეთ, რაც ზორციელებოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობითა და სსრ კავშირის დამოუკიდებელი გამოფენების მოწყობით. ამ გამოფენებს მაღალი შეფასება მისცეს არა მარტო პროგრესულმა, არამედ ისეთმა ბერევაზიულმა ვახუთებმა და უტრადღებმა, როგორცაა „რეკორდ-ფილადელიფია“ (აშშ), „მასბოდე“ (პოლანდია), „ტიდენს ტენგ“ (ნორვეგია), „ვერდენ იე ეი“ (დანია)<sup>3</sup>. საზღვარგარეთელ მოღვაწეთა და პრესის შეფასება მთლიანად ეხებოდა ქართველ მხატვართა იმ ნამუშევრებსაც, რომლებიც ამ გამოფენებზე ფართოდ იყო წარმოდგენილი.

ღიბი ინტერესი გამოიწვია გამოფენამ „საქართველოს ხელოვნება (IV-XII-სს.)“, რომელიც ბერლინში, მიუნენში, ედენსა და ლიდციეში მოეწყო 1930 წელს პოლ. შ. ნეტებისა და პოლ. ვ. რუბინაშვილის ხელმძღვანელობით. ამასთან, ვერმანელ პრესაში გამოქვეყნდა მასალები საქართველოს შესახებ.

საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა იმ გამოფენებში, რომლებიც საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საქავშირო საზოგადოების მიერ მოეწყო. მაგალითად, 1932-33 წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო გამოფენებში, რომლებიც გაიშართა: ვენეციაში (ხელოვნება), იაპონიაში (კინო-ფოტო), პრალში (არქიტექტურა), ჩიკაგოში (გრაფიკა), ლონდონში (განათლება), ახლო აღმოსავლეთში (განმარტობა), პარიზში (არქიტექტურა)<sup>4</sup>. 1934 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო 19 გამოფენაში<sup>5</sup>, 1935 წელს — 20 გამოფენაში<sup>6</sup>, 1936 წელს ექსპონატები გაიგზავნა საფრანგეთის, აშშ-ის, თურ-

1 იქვე, სკ. 265, ფურც. 28.

2 «Вокс». Факты и цифры. М., 1930, стр. 17—18.

3 საქართველოს სსრ, ორცა, ფ. 613, აღწ. 1, სკ. 134, ფურც. 29.

4 იქვე, სკ. 81, ფურც. 79.

5 იქვე, სკ. 134, ფურც. 97.

6 იქვე, ფურც. 99.

7 იქვე, ფურც. 4.

8 იქვე, სკ. 81, ფურც. 78.



ქათის, სპარსეთისა და შიელი რიგი სხვა ქვეყნების ქალაქებში გამართულ საბჭოთა გამოფენებზე. ექსპონატებს თან ახლდა სტატეები, დიკტირები და სხვა მასალები. ფოტოექსპონატებთან ერთად ხშირად იყო წარმოდგენილი ჭარბველი მხატვრების ნამუშევრებიც. მავალითად, 1934 წ. ლონდონში მიწყოილ გამოფენაზე წარმოდგენილ 250 ექსპონატს შორის იყო ლ. გუდიაშვილის, შ. მამალაძის და რ. ლორის-მელიქოვის 5 ნამუშევარი. ა/კ რესპუბლიკებიდან, — ვითხოვლობთ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ა/კ საზოგადოების გამგეობის მოსკოვში წარდგენილ ერთერთ ანგარიშში, — საზღვარგარეთის გამოფენებზე უველაზე მეტ მონაწილეობას იღებ; საქართველო, რაც ახსენება არა მარტო მისი მალალი კულტურით, არამედ იმიტით, რომ მას შეუძლია უველაზე აღრე მოამზადოს ეს მასალები, გამოყოს სპეციალური სახსრები.

საზღვარგარეთ დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა მხატვრების პერსონალური გამოფენები. ერთ-ერთი ასეთი პერსონალური გამოფენა გამართა პარიზში 1935 წლის ივნისში. ეს იყო ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა მესამე გამოფენა.

ლადო გუდიაშვილის გამოფენა პარიზში პირველად მოეწყო 1923, ხოლო მეორედ — 1925 წელს. ამ პერიოდში მხატვარი პარიზში ცხოვრობდა. ამ მესამე გამოფენისადმი ინტერესის სიღრმე აღიერებდა, რომ პარიზის საზოგადოებრიობას აინტერესებდა თუ როგორ წარიმართა მხატვრის შემოქმედება სამშობლოში — საბჭოთა საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

მესამე გამოფენასაც დიდი წარმატება ხვდა წილად. კრიტიკამ, გაზეთებმა უდიდესი ინტერესს გამოიჩინეს გამოფენისადმი, განცვიფრებული დარჩნენ, პარიზიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 10 წელწადში ქართველი მხატვრის მიერ განვლილი შემოქმედებოლი გზით. გამოფენას გაზეთებმა უამრავი რეცენზიები მიუძღვნეს. კრიტიკამ დადებითად შეაფასა გამოფენილი სურათები. მხატვრის „ოსტატობა ვახდა უფრო პერსონალური: იგი გამსაკუთრებით ვალრამედა და გაუესო შინაარსით... იმავე დროს მან შეინარჩუნა თავისი სტილი და უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, იმის სარე უფრო მოქნილი და გამაქათალბული ვახდა“ — აღნიშნავდა კრიტიკოსი ვაქ დე ლაბრადი. „ლადო გუდიაშვილისათვის, — წერს კრიტიკოსი რაიმონ კონია, — დამახასიათებელი

ლია მინილავი ძალა, რომელიც შედგომე შეტყუელებს, არ იზღუდება ზერულე შთაბეჭდილებას და მოიწვევით და შეუძლია უფრო ღრმად და დივიორი გარძობების გამწვევად.

ლადო გუდიაშვილისადმი ესოდენ დიდი ინტერესი პარიზის საზოგადოებრიობამ სამართლიანად ახსნა შემოქმედის სამშობლოში დაბრუნებით. ვახალბებულ სამშობლოში დაბრუნებამ, — წერდა მაშინ ლ. გუდიაშვილზე პარიზის ბილიეს გალერეის დირექტორი მიერ ვორმსი, — და სამშობლო მიწასთან დაახლოვებამისცა ლადოს ახალი ძალა, ისე როგორც ბერძნულ მითოსში ანთოსის საშვედრო-სასიციციხლო ბრძოლის დროს ძალას და გამბედაობას პოულობდა მაშინ, რომღვასც მისი ფეხები დედაშიწის ეკარებოდა.

საზღვარგარეთ მოწყოილი გამოფენები, რომლებშიც ასახელია სსრ კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის უდიდესი მიღწევები, თვალსაჩინო დახასტურება იყო საბჭოთა კავშირში მიმდინარე გრანდიოზულ მშენებლობისა და ამასთან უარყოფა იმ უაღბი პროპაგანდისა, რომელსაც ევროპაში მოქმედი ანტისაბჭოთა პარტიები ეწეოდნენ.

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის გაფართოება-განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება წიგნითი გამოცემის რეგულარული გაცედაა. საბჭოთა მთავრობა ამ საკითხს თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა. ჯერ კდეე 1917 წ. ნოემბერში ვ. ი. ლენინმა მითითებას იძლეოდა, დაუყოვნებლივ დაეწყოთელო წიგნების გაცედა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ასაწარო ბიბლიოთეკა (ყოფილი საიმპერატორო) — წერდა ვ. ი. ლენინი, — დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს წიგნების გაცედა-გამოცედას როგორც პიტერის და პარიზისათვის უველა საზოგადოებრივ და საწახელმწიფო ბიბლიოთეკასთან, ისე საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან (ფრენის, შვეიცის და სხვათა)<sup>1</sup>.

წიგნების, კაცობრიობის კულტურის ამ უდიდესი მონაპოვრის, გაცელო შესაძლებელი ხდება საზღვარგარეთ იქნას გატანილი მეციციერების სტუდასტვა დარვის ასიათასობით წიგნი. 1931 წლისათვის სსრ კავშირი წიგნით გაეცდას აწარმოებდა უდეე 72 ქვეყანასთან. 1924-31 წწ. სსრ კავშირიდან გაგზავნილ და მიღებულ იქნა 1,298 984 ცალი წიგნი. ამ გაცელოთი მუშაობაშიც ფართო მონაწილეობას იღებს საქართველო.

<sup>1</sup> მიერ ვორმსი, „ლადო გუდიაშვილი პარიზში“, ვ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 5, 1935, გვ. 28.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 26, გვ. 387.

<sup>3</sup> ЦГАОР ССР., ф. 5283, он. I, л. 167, л. 27.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ორცსა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 195, ფურც. 17.

საქართველოს სამეცნიერო ორგანიზაციები წიგნით გაეცლას აწარმოებენ გერმანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ნორვეგიასა და სხვა მრავალ ქვეყანასთან.

საზღვარგარეთ ვაგზავნილ და მიღებულ წიგნთა რაოდენობის მიხედვით საქართველოს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მაგალითად, 1932 წელს სსრ კავშირიდან ვაგზავნილ და მიღებულ იქნა 202.663 წიგნი. აქედან ვაგზავნა 64.254 წიგნი. მათ შორის რუსურსაშ ვაგზავნა 56.065, ბელორუსისაშ — 4.843, საქართველოშ — 1.581, უზბეკეთშია — 717, აზერბაიჯანშია — 373, უკრაინაშ — 632 წიგნი და ა. შ. ა/კ რესპუბლიკებშია — 1934 წელს საზღვარგარეთიდან მიიღეს 844 წიგნი, აქედან საქართველოშ — 570, აზერბაიჯანშია — 163, ხოლო სომხეთშია — 110 წიგნი. საზღვარგარეთთან მეცნიერული კავშირის გაფართოების, კერძოდ, წიგნებისა და სამეცნიერო შრომების გაცელოს საქმეში ფართო მონაწილეობას იღებენ ქართველი მეცნიერები. სისტემატრად იმუშავებს ამერიკის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის და სხვ. ქვეყნების სამეცნიერო ჟურნალებში აკად. ნ. მუსხელიშვილის შრომები მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში. ამ მხრივ ნათუფერია აგრეთვე ქართველი მეცნიერების — გ. წერეთლის, ა. შანიჩის, ე. ზარაძის, ვ. კუპრაძის, ნ. ვეჯუას, კ. ზაფრევის და სხვ. თვალსაჩინო მეცნიერთა მოღვაწეობა. დასავლეთის მეცნიერები ინტერესით შესხდნენ მ. ამირანაშვილის სტატიას — „ორსახელურიანი ვერცხლის ქურჭელი შტეტილიდან“ (1933 წ.), რომელიც გერმანიის არქეოლოგიურ ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად საქართველოს მუზეუმთან ვაგზავნა.

საზღვარგარეთთან ექვთრული კავშირის საზოგადოება არც იმ უსიოელებს ივიწყებდა, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობდნენ და მე-1900-დწა.

1931 წლის დეკემბრისათვის ა/კ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სისტემაში იმყოფებოდა ასეთი 859 მეშა და სპეციალისტი, ისინი მუშაობდნენ ჰაქესში, აპკესში, ჭიათურაში, პოლიგრაფიის ტრესტში, ბაქოში, ალავერდიის მაღაროებში.ა

იმ მიზნით, რომ საზღვარგარეთის მეშებსა და სპეციალისტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ უკეთ გაეცნობოდნენ ა/კ რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებებს, საზღვარგარეთთან ექვთრული კავშირის საზოგადოება აწარმოებდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული

ენებიდან მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას. ა/კ ლიტერატურის უმაღლესი განყოფილებაში, რომელიც 1932 წელს გაიხსნა, მუშაობდა იქნა ქართველ მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებები.

თანდროინითი ფართოდ მკვიდრდება ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორცაა მეცნიერთა გაცელით მუშაობა, უმაღლეს სასწავლებლებში ლექციების კითხვა, ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიციების მოწეობა და სხვ. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მამინამ მხრივ ბევრი შესაძლებლობა არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარ მონაწილეობას ზიივ იღებდა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცხოვრებაში. მაგალითად, პროფესორმა გ. შტინაშვილმა ქართული ბელოგენების ისტორიის საკითხებზე ლექციები წაითხა მიუხედავად, კენიგსბერგის, კლის უნივერსიტეტებში (1930 წ.).ა ქართველ მეცნიერებს ვხვდებით აგრეთვე მთელ რივ საერთაშორისო კონფერენციებშია და აღიანებში.

საწარმოო და სამეცნიერო მივლინებით საზღვარგარეთ ივხავებოდა რესპუბლიკის საწარმენო და სამეცნიერო ორგანიზაციების ბელმძღვანელი მუშაკები, ინჟინრები, მეცნიერები. მაგალითად, საწარმოო მივლინებით საზღვარგარეთ ვაგზავნა თბილისის კიროვის სახელობის დაზავთმშენებელი ქარხნის ინჟინერი,ა სხვადასხვა დროს სამეცნიერო მივლინებებში ივხენ პროფ. მ. წინამძღვარიშვილი, დოც. გ. ნიკოლაძე, ენათმეცნიერი ს. ჭიქიაშ, პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. კ. ზაფრევი, პროფ. ვლ. ძღვინტი, დოც. ა. წულუკიძე.ა

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისიარით უკვე 1923 წლიდან იწყებს საზღვარგარეთ საპროფესოროდ მოსამზადებლად ახალგაზრობის მივლინებას.

1923-1927 წ. საზღვარგარეთ სწავლობდა 82 ქართველი, მათ შორის საინჟინრო საქმეს ეუფლებოდა 44 კაცი, სამედიცინოს 5, აგრონომიოლს — 8, საფეიქრო საქმეს — 4, ჭიბისა — 11 კაცი... 1930 წელს ამ მიზნით საზღვარგარეთ იმყოფებოდა 54 ახალგაზრდა.

იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებმაც საბჭოთა საქართველოს სტამენდიით განათლება საზღვარგარეთ მიიღეს, ბევრმა თავი გამოიჩინა, როგორც ღრმა მეცნიერმა და დღემა საზოგადო მოღვაწემ. დავასახელებთ ორ მათგანა: 1928 წელს გერმანიაში ივხავებდა პ. მუჰანიი და სამი წლის განმავლობაში მუშაობს

1 იქვე, საქ. 134, ფურც. 31.

2 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8110, ფურც. 69

3 იქვე, საქ. 1766, ფურც. 436.

4 იქვე, საქ. 3538, ფურც. 7.

5 იქვე, საქ. 1766, ფურც. 447.

6 იქვე, ფურც. 448-449.

1 საქართველოს სსრ ორცსა, ფ. 613, აღწ.

1, საქ. 134, ფურც. 44.

2 იქვე, ფურც. 46.

3 საქართველოს სსრ ორცსა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 58, ფურც. 4.

დგრინში, გამოჩენილი მეცნიერის რ. შრედერის კლინიკაში, სადაც მან თავისი გამოკვლევებითა და სამეცნიერო შრომებით ამათავივე მიმართა ყურადღება. 1931 წელს იგი ბრუნდა სამშობლოში და სამეცნიერო-აღმზრდევლობით მუშაობასთან ერთად, ეწევა დიდ პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

6. ხშირბურთაშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი 1925 წ. და იმავე წელს საქართველოს მთავრობამ მიაღიწინა გერმანიაში სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიურ მეცნიერებებში ცოდნის ვალდებუბისა და სრულყოფისათვის.

იგი მუშაობდა სახელგანთქმულ გერმანულ სელექციონერ ბუტრთან. უფრო გვიან კი პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრა საფრანგეთში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (1929 წ.), უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერი, მიუღ თაყის ცოდნის ახმარს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა კადრების აღზრდას და მეცნიერულ მუშაობას. მას კარგად იცნობდნენ არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

ქართველ მეცნიერთა საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებებთან ერთად, გახშირდა საზღვარგარეთიდან საქართველოში მეცნიერთა მოწვევა და მათთან ერთობლივი მეცნიერული მუშაობა, კავრთიანებული სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევდა მეცნიერთა წრეებში.

1930 წ. ქართველ და გერმანულ მეცნიერთა მონაწილეობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია საქალაქეში, აქტილოგური გათხრებისათვის. ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღო გერმანიის არქეოლოგიური საზოგადოების პროფესორმა ზაუერმა. გათხრები მიმდინარეობდა გერმანული მეცნიერის დოქტორ შნაიდერის უშუალო ხელმძღვანელობით. აღმოჩენილ იქნა პირველი საერვის ნანგრევები. მათი მონაწილეობით გათხრები წარმოებდა 1933 წელს მცქეთაში. მონაწილეობას იღებდა არქეოლოგი დოქტორი ვერნერი.

გათხრებში უდიდესი ინტერესი გამოიწვია გერმანიის სამეცნიერო წრეებში. ნაქალაქევის გათხრების შედეგებზე მოხსენება წაყიბულ იქნა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო მასალები გამოქვეყნდა ფერნალში — „ფორშილ ენდ ფორშუნდენ“<sup>1</sup>.

1932 წელს თბილისში იმყოფებოდა ცნობილი დიზიკოსი ლანცევენი (საფრანგეთი), რომელიც ლექციებში გამოვიდა თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს ლექციები დაიბეჭდა „უნი-

ვერსიტეტის მოამბეში“. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექციები წაიკითხეს აგრეთვე, პროფ. ი. შმიტმა, დოქტორმა ჩუკურმა, დოქტ. ბლომენტალმა (გერმანია), საქართველოში სამეცნიერო მუშაობის ჩასატარებლად იმყოფებოდა დოქტორი ლევი (გერმანია) და ვეროპის სხვა მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერები<sup>2</sup>.

საქართველოს უძველეს კულტურასა და ისტორიას კავშირი აქვს ქალღულ ენასა და კულტურასთან. ამ უკანასკნელის შესწავლისა და მეცნიერული კვლევის სათანადო დონეზე დაყენების მიზნით 1936-1937 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეულ იქნა პროფესორი ე. ფ. ლემან-ხაუბტა, ინციერის ნაყოფიერი მუშაობისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოითებით საქართველოს მუზეუმებში შეკროდა ქალღული კულტურის მასალები, გერმანულ პროფესორთან სამუშაოდ გამოიყენენ ქართველი მეცნიერი აღმოსავლეთმცოდნეები ა. შანიძე, გ. წერეთელი, გ. გოხალიშვილი, გადაწულა მისი ლექციების ჩაწერა და გამოცემა პროფ. ე. ფ. ლემან-ხაუბტა ლექციებით გამოვიდა უნივერსიტეტში. მისი შესავალი ლექცია ქალღული ისტორიისა და კულტურის შესახებ დაიბეჭდა უნივერსიტეტის „შრომებში“<sup>3</sup>.

სულ უფრო და უფრო იზრდება საზღვარგარეთელ კულტურის მოღვაწეთა ინტერესი ახლოს გაეცნო საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას. შესაბამისად იზრდება ამ მიზნით საქართველოში ჩამოსვლთა რაოდენობა.

1935 წელს საქართველოს ესტუმრა მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი მეცნიერი. ბოსტონის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი დანი, თავის მდივანთან ერთად (1935 წ. ნოემბერში), გაეცნო თბილისის კულტურულ კერძოდ თეატრალურ ცხოვრებას, დაესწრო მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლებს, შეხვდა ქართველ დრამატურგებსა და თეატრალურ მოღვაწეებს — რეჟისორებს, აქტორებს<sup>4</sup>.

ამერიკელი პროფესორი ხიბერ ხარპერი, რომელიც თბილისში 1935 წლის აგვისტოში ჩამოვიდა, გაეცნო საქართველოს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, იყო მეაბრეშუქეობისა და სოფლის მეურნეობის მექანიკის ინსტიტუტებში, შეხვდა სახალხო მე-

<sup>1</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 134, ფურც. 29.

<sup>2</sup> მლახკი, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 6274, ფურც. 780.

<sup>3</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, პირველი სერია, საზოგადოებრივმცოდნეობა, თბილისი, 1938, გვ. 24-44.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 262, ფურც. 29.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 24 მარტი, 1971.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 4 თებერვალი, 1971.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ორცხა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 134, ფურც. 28.

ურნეობის პასუხისმგებელ მუშაკებს, კულტურის მოღვაწეებს.<sup>1</sup>

პროფესორი, ანთროპოლოგი ლასილა (ფინეთი) 1936 წელს გაეცნო ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობას, აგრეთვე მეაბრეშემეობის ინსტიტუტს, იყო საქართველოს მეტეუმსა და მხატვართა გალერეაში.<sup>2</sup>

1935 წელს თბილისში გაიმართა ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი. მისი მონაწილეები დიდი ინტერესით გაეცნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას.<sup>3</sup>

ა/კ რესპუბლიკების, კერძოდ, საქართველოს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური თავისებურებანი. ბევრი ტურისტის ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას იწვევს ისინი, ამასთან, აქ მოდიან იმ მიზნით, რომ შეიტყონ თუ რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ტურისტული საზოგადოებები განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინტერესსაც იჩენენ. ყველა ეს პირობები პრაქტიკულად აყენებს საკითხს მათთან მეშობის გამოცდილებათა ურთიერთგაცვლილათვის და ქმნის მეშობის სპეციფიკურ პირობებსაც.

ამ მიზნით საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ალბერტ-ტურისტულმა განყოფილებამ კავშირი დაამყარა სტადანსხვა ქვეყნის გეოგრაფიულ საზოგადოებასა და ალბერტ კლუბებთან. კერძოდ, მან კავშირი დაამყარა ინგლისის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებასა და ინგლისის ალბერტ კლუბთან, ამერიკის ნაციონალურ გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, ავსტრო-გერმანიის ალბერტ გაერთიანებულთან, შვეიცარიის ალბერტ კლუბთან, საფრანგეთის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, იტალიის ტურისტის, მილანის და სხვ. ალბერტ კლუბებთან. ამასთან, აწარმოებს მათთან ლიტერატურის ეკვლას, ათავსებს სტატიებს ამ საზოგადოებათა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა „ალპინ-ჟორნალი“ (ინგლისი), „ალპინ-ჯურალი“ (იტალია), აქვს მუდმივი კავშირი გამოჩენილ ალპინისტებსა და კავკასიის მკვლევარებთან.<sup>4</sup>

ტურისტების განვითარების მიზნით 1930 წელს გამოშვებულ იქნა გზამკვლევი-ცნობარი ა/კ რესპუბლიკებისა და საქართველოს შესახებ. ცნობაში წარმოდგენილია ის მიღწევები, რაც საბჭოთა საქართველომ შოიბოვა საბჭოთა ხე-

ლისუფლების 10 წლის მანძილზე, იქვე აღწერილია მარშრუტები და ტურისტების შემდგომი საქართველოში.

საბჭოთა საქართველოს ხშირი სტუმრები არიან მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მწერლები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ტურისტები.

1935 წელს მისის სახეობა დღევანდელი თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი მწერალი ლემანი — ინგლისის მწერალთა ინტერნაციონალური სექციის წევრი. იგი გაეცნო ა/კ რესპუბლიკების კულტურულ და სამეურნეო მშენებლობას. ეწვია თბილისის უნივერსიტეტს, მის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს, საქართველოს მეტეუმს, სახინწრეწვის, იყო მშრომელ ებრაელთა სახლში, კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

ამავე წლის აგვისტოში საქართველოს ესტუმრა ინგლისელ ტურისტთა ჯგუფი. ჯგუფი უმთავრესად პედაგოგებისაგან შედგებოდა. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ა/კ კულტურული მშენებლობით, ეროვნულ უმცირესობათა სკოლებით. შეხვედრები ჰქონდათ რესპუბლიკის საეკგზო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებთან, დათვლიერეს საქართველოს მეტეუმს, საქართველოს მხატვართა კავშირის სერათების გალერეა, კლუბები.

1935 წ. აგვისტოში ფრანგი მწერლები გაეცნენ კახეთს, იყვნენ წინადადის მუცენახობის საბჭოთა მეურნეობასა და სოფელ ნურკიანის კოლმეურნეობაში. შეხვდნენ პარტიის სიღნაღის რაიკომის ხელმძღვანელ მუშაკებს, საუბარი ჰქონდათ კოლმეურნეობასთან. ნახულმა მათზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ამის შესახებ ისინი სწერდნენ მოსკოვის „ლიტერატურულ გაზეთში“. კახეთის შემდეგ ფრანგი მწერლები გაემგზავრნენ ბორჯომში, სადაც გაეცნენ დასასვენებელ სახლებსა და საქურნალო დაწესებულებებს, იყვნენ წალკერსა და ბაქურიანში. სტუმრებმა ინახულეს ციხისკვარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

ამავე წელს საქართველოში ჩამოვიდნენ მწერლები და ჟურნალისტები საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ამერიკიდან.

ბევრი მათგანი სწორად და ობიექტურად აშუქებდა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებას. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც დასავლეთის სამყაროს გააცნო ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო და ბოლომდე დაჩა მისი ერთგული, იყო ამერიკელი პუბლიცისტი ალბერტ რისი ვილიამსი (1883-1962), რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა კავშირში, იყო საქართველოშიც, მოიარა სვანეთი, ხევისტაეთი, კახეთი, შავიზღვისპირეთი და აქედან გაემგზავრა უიროში. ალბერტ რისი ვილიამსი აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა საბჭოთა

1 იქვე.

2 იქვე, ფურც. 30.

3 იქვე.

4 საქართველოს სსრ ორცხა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 46, ფურც. 16-17.

1 იქვე, საქ. 262, ფურც. 31.

2 საქართველოს სსრ ორცხა, ფ. 613, აღწ. 1, საქ. 262, ფ. 31.

ქვეყნის დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით, გროველი საერთოს დადამყვებით, საბჭოთა ხალხის შეგობრული ცხოვრებით. ამის თაობაზე იგი ალტაელებით მოუთხრობდა თავის მკითხველებს და მსმენელებს წიგნებში, სტატიებში და ლექციებში.

ქართული ხალხის დიდ შემოქმედებით შრომის მაღალი შეფასება მისცა ანრი ბარბიუსმა დიდი ფრანგი მწერალი ვარ კიდევ 1927 წლის ოქტომბერში გავერთ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას და მოღვაწეობას. ბათუმში მისი ყოფნის დღე დავითზე აჭარის ასსრ მე-7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიას. ანრი ბარბიუსმა ისარგებლა ამ შემთხვევით და სენის დღეგატეხის გატეხვან მისასალმებელი წერა. „ალტაელები“ ვარ თქვენი უღმახესი ქვეყნის მშვენიერი ბუნებით, — წერდა ანრი ბარბიუსი, — ალტაელები ვარ იმ ეკონომიკური თავისუფლების, რომელიც თქვენმა მხარემ მოიპოვა ყველაზე უნახე ახალშენებანი, სხვადასხვა თონობა ხალხის ეთილდობის ვასამჭობესებლად. ყველაზე — ქალაქად და სოფლადაც ვნახე საყვარელი ფიგურები და სკოლები, ბალოთეები, ქონსამკითხველოები, ელექტროსადგურები, სახერხე ქარხნები, ხიდები და გზები, ყველაზე უნახე გულმოდგინე მუშაობა სოფლის მუშაობის ვანეთარებისათვის...“<sup>2</sup>

მედიანი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ანრი ბარბიუსი სამშობლოში და ალფროთოვანებით მოუთხრობდა თანამემამულეებს იმ უდიდეს მუშაობაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ, ერთი მხრივ, სოციალიზმის მშენებლობის, ხოლო, მეორე მხრივ, რევოლუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად. ანრი ბარბიუსი ამ დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის საქართველოს მშრომელებს დიდ მადლობას უხდის.

ანრი ბარბიუსმა ეს გულწრფელია ქართული ხალხისადმი გამოხატა აგრეთვე იმ მოთხოვნების ციკლში, რომელიც საქართველოს სოფლებს უძღვნა.

მეგრამ საქართველოში სტერად ჩამოსული ყველა მეცნიერი, მწერალი თუ ტურისტი არ იყო ასეთი გულწრფელი. ზოგიერთი მათგანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მჭევრულად ღვარძლიან სტატიებს საბჭოთა კავშირის შესახებ ერთი მათგანი იყო ანდრე ეილი. ქართველი ხალხის წარმატებით მოხიბლული ანდრე ეილი იყინოდა ბედნიერებისაგან, ტიროდა გულაჩუყებისაგან, საქართველოს შემოვლის შემ-

დეგ მან ი. ბ. სტალინის გატეხვან ალტაელებით, ალფროთოვანებით აღსაყვ მისასალმებელი დეპეშა.

სოციალიზმი

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ კი ანდრე ეილი გამოაქვეყნა პატარა წიგნი „დაბრუნება სსრკ-დან“, სადაც ღიმილი და ცრემლები შეერია ბინძურ ცილისწამებას საბჭოთა ქვეყანაზე. მის ხალხებზე, მის ახალგაზრდობაზე, წიგნი ასევე შეესაბამებოდა და წინააღმდეგობებით. იგი ლაბარაყობს აშკარა სიცრულს, მონერად იტოვებს მუშათა კლასის მტრების უნამუსო ცილისწამებას საბჭოთა კავშირზე, ხოლო ადრე თავისი ენთუზიაზმით ლაბარაყისათვის პატიებას ითხოვს, რადგან ეთომოც-ვიდებოლიო“.

ანდრე ეილის უნამუსო საქციელმა აღაშფოთა საბჭოთა საზოგადოებრიობა. მისი ეს უნამუსობა მკაცრად დაგმო ცნობილმა საბჭოთა მწერალმა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ, რომელიც ეილიმა კირიში სპეციალურად მოიხაზლა.

„შენ, — სწერს ნიკოლოზ ოსტროვსკი თავის დედას, — ალბათ წაიკითხვედი ანდრე ეილის აპროფრობის ამბავს. როგორ მოატყუა მან ზენი გული მაშინ და ვინ იფიქრებდა, დედა, რომ იგი ასე ვერაგულად მოიქცეოდა.

დეე რცხვენოდეს ამ მოხუც ადამიანს თვისი საქციელისა...“<sup>2</sup>

არა, ეილს და იმპერიალიზმის დაქირავებულ მის მსგავს ლაქებს არ რცხვენიათ. ისინი ფულზე ყველაფერს ყიდიან. მეგრამ ეილი სახელი გატეტხონ საბჭოთა ხალხს, მის შემოქმედებით შრომის ამომ გამოდგა. მათ ღვარძლიან ბოდვას ფარავს პროგრესულ მოღვაწეთა ობიექტური შეფასება საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის წარმატებების შესახებ. ვანწვეუტელი იზრდება საბჭოთა ქვეყნის ევოლიუტური მსოფლიოს ხალხებზე მისი გამარჯოლუციერებელი ძალა, ეილისა და მის თანამოკალმეთა უამედო ცდებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტხონ თანამედროვე ანტიკომუნისტებმა, დასავლეთის ოკუპაციოლებმა, რომლებიც დღესაც, აგრეთვე უმოდოდ ცდილობენ სახელი გატეტხონ სოციალიზმს, საბჭოთა კავშირის წარველურთან ხალხთა დიდ შემოქმედებით შრომას.

30-იან წლებში ქართულ საბჭოთა კინოსთან ერთად საერთაშორისო სარბიელზე გამოდის ხელოცნების სხვა დარგებიც, ეკარძოდ ქართული ხალხური ცეკვა.

1935 წლის 15-20 ივლისს ლონდონში გაიმართა ნაციონალური ცეკვების საერთაშორისო

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 20 მაისი, 1971 წ.

<sup>2</sup> ა. გურგენიძე — კ. ცეცელი, გ. დიმიტროვი და ა. ბარბიუსი ბათუმში. იბ. გაზ. „თბილისი“, 22 აგვისტო, 1967 წ.

<sup>3</sup> ეურ. „რემდისი“ № 5, 1927 წ., გვ. 5.

<sup>1</sup> „Правда“, 3 декабря, 1936.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისტი“, 24 დეკემბერი, 1936.

სო ფესტივალი. იგი მოიწყო ხალხური ცეკვისა და სიმღერის ინგლისის საზოგადოებამ, რომელიც 1931 წელს დაარსდა. ფესტივალის მიზანია იყო წიგნება ცეკვებისა და არა შეჩერება, პირველობის გამოქვეყნება. ამიტომ ფესტივალს არ შეუღდა მსაქები. დაწესებული არ იყო არც პრინციპები და წილოები. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა და ბრიტანეთის საელჩომ სება დაარსეს საბჭოთა კავშირის, რომელიც მრავალეროვან სახელმწიფოს, ფესტივალზე გაეგზავნა რამდენიმე წევრი — საერთო რაოდენობით 35 კაცამდე. საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ფესტივალზე მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა გაუიანურა. დაბოლოს ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა საქართველოს წევრები.

საჭირო შეიქმნა წვედის სასწრაფოდ დაკომპლექტება. ქართული მოცეკვავენი მოსკოვში ჩაიყვანნენ 7 ივლისს. 9 ივლისს მოიწყო ფესტივალზე გასაგზავნ მონაწილეთა გასინჯვა. ქართულმა წევრებმა ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. კომისიის გადაწყვეტილებით ლონდონს საგზური მიეცა სულ 38 კაცს, მათ შორის საქართველოს წევრს 10 კაცის შემადგენლობით. მათთან ერთად ლონდონის ფესტივალზე გაეგზავნნენ მოსკოვის, უკრაინისა და უზბეკეთის წევრები. საქართველოს წევრში შედიოდნენ: ელ. ხეთაგროვი (ხელმძღვანელი), დ. ჯავახიშვილი (სამხატვრო ხელმძღვანელი) ი. სუბიშვილი, მ. ჩიჩიშვილი, ს. ნონივი, ა. ჩიხლაძე და სპი მესაყოსი.

ქართული წევრი ლონდონს ჩაიდა 18 ივლისს. იმავე საღამოს წევრი გამოვიდა „ალბერტ-პოლის“ დაბაზაში, რომელიც 10 ათას მაყურებელს იტევს. საბჭოთა დელეგაციის დაუთმეს 25 წუთი, აქედან ქართულ წევრს მისცეს 7,5 წუთი. ჩვენმა შეასრულა 3 ცეკვა: ბორენი, ისერი ცეკვა და მთელია დანდერა.

შემდეგ საბჭოთა დელეგაცია და მათ შორის საქართველოს წევრი გამოვიდა ჰაიდპარკში, რუგენ-პარკში. შემათა რაინ ვიქტორია-პარკში ან უკანასკნელიც გამოსვლა დამთავრდა პოლიტიკური დემონსტრაციით, დამსწრეთა ინტერნაციონალის სიმღერით და „როტ ფრონტის“ შეძახილებით. 19 ივლისს საბჭოთა მოცეკვავენი გამოვიდნენ კენტერბერის ეპისკოპოსთან მის პარკში, სადაც თითქმის მთელი ინგლისის არისტოკრატია ესწრებოდა. 23 ივლისს კი ლონდონის მერთან — ინგლისის ცეკვის კლუბში, მერსა და საბჭოთა დელეგაციის წევრებს

შორის გაიცილა სამახსოვრო საბუქრები. 24 ივლისს საბჭოთა საელჩოში გაიმართა ბანკეტი. საბჭოთა ხელისუფლების შემდეგნაირად მიმართა სსრ კავშირის ცენტრში ინტელექტუალურ მ. მაისკიმ. 25 ივლისს საბჭოთა დელეგაციამ დაათვალიერა ბრიტანეთის მუზეუმში, ლორდთა პალატა და ვინორის ციხე-დარბაზი. 27 ივლისს საბჭოთა დელეგაცია ლონდონიდან გამოემგზავრა თბილისად. ფელიქს ძერინსკით. ნავსადგურში საბჭოთა მოცეკვავეების გასაცემად აღასობით ადამიანი შეიკრიბა, მოვიდნენ წითელი დროშებითაც.

ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე ბრწყინვალედ გამოვიდა მთელი საბჭოთა დელეგაცია და მათ შორის ქართული წევრი.

საბჭოთა დელეგაციის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დიდი თეატრის ბალეტის მსახიობმა ვიქტორინა კრიგერმა საქდესას კორესპონდენტთან სუბარში განაცხადა: ქართულმა წევრებმა ლონდონის ადგიტორიაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც დაიწყო ქართული ცეკვა ალბერტ-პოლის მაყურებელთა დარბაზში სამარისებური სიჩუმე დადგა. მაყურებელი იქდა როგორც მიწისძვრებზე. შემდეგ გაისმა ოვაცია. ტაშს უკრავდა ფესტივალზე დამსწრე 10 ათასი კაცი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ძველმა მხედრულმა ცეკვა ბორენში მხედელ ჩიჩიშვილს, ანტონ ჩიხლაძისა და სერგო ნონივის შესრულებით. უფიქსი ოვაცია გამოიწვია ვლადიმერ ხეთაგროვისა და ილიკო სუბიშვილის გამოსვლამ. შეაძლება გადაუქარბებულად ითქვას, რომ ლონდონის ფესტივალზე განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა აქ წარმოდგენილებებს. მთელი მათი ცეკვა — მიუთითებდა ვ. კრიგერა, — ატარებდა ეთნოგრაფიულ ხასიათს. და ეს მთელი ძალით აღნიშნეს ლონდონის ვახუთებმა.

21 ივლისს გახტა „ივესტიის“ კორესპონდენტი ლონდონიდან ტელეფონით იტობირება: ქართულთა ცეკვით მაყურებელი თითქოს პიწონობებულა. ცეკვა მთავრდება. მაყურებელი გამოდის ბერუსიდან და ქუბს ისეთი ოვაცია, რომ გუჩენება თითქოს კედლები ზანზარებენ. დიდხანს არ ცხრება აუღატორია, რომელიც მთელს დელეგაციას აცოდებს აღფრთოვანებულ აპლოდისმენტებით.

ლონდონის ვახუთები აღნიშნავენ საბჭოთა წევრს, კერძოდ უკანასკნელ დღეს გამოსულ კავასიელთა განსაკუთრებულ წარმატებებს. „ობსერვატორი“ წერს: „ჩვენ შეგვეძლო გავხილა მთელი ევროპა მთელი თავისი სიღრმით. ეს ვაჩვენებს კავასიელებმა. მათ ამავე დროს ვა-

1 საქართველოს სსრ ორცის, ფ. 613, აღწ. I, სპ. 222, ფურც. 39-40.  
 2 «Правда», 4 августа, 1935.  
 3 «Заря Востока», 4 августа, 1935.

ჩვენეს აღმოსავლეთი თავისი თავისებურებებითა და ზღაპრულობით... საბჭოთა მოცეკვავენი არიან პირველ პლანზე.<sup>1</sup>

ქართულ მოცეკვავეთა ამ ჩვეულის გამოსვლა საზღვარგარეთ, აგრეთვე ქართველ მოცეკვავეთა მონაწილეობა ომამდე საზღვარგარეთ მოწყობილ საგასტროლო მოგზაურობაში, წარმოადგენს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმატებითი სვლის დასაწყისს, რაც ომისშემდგომ პერიოდში ფართოდ გაიშალა და დღეს ტრიუმფით გრძელდება მსოფლიოს გზებზე.

საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის ეს მრავალფეროვანი მუშაობა მიმდინარეობდა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით. ისინი სისტემატურად იხილავდნენ შესაბამის საციხებებს, სახავედნენ და აბორცევდნენ ღონისძიებებს მისი გაფართოებისათვის, ჰყოფდნენ საჭირო თანხებს. მაგალითად, საზღვარგარეთიდან შემოსა-

ტანი წიგნებისათვის 1934 წელს დაიხარჯა 3500 მანეთი, 1937 წლისათვის კი ეს თანხა 15 ათას მანეთამდე გაიზარდა! ქართველ მოცეკვავეთა ჩვეულის გამგზავრებას *„ლონდონის სიმფონიულ ფესტივალზე“* სასწრაფოდ იქნა უზრუნველყოფილი და მისი მარტო ტანსაცმლის ფორმისათვის 30 ათასი მანეთი გამოიყო.<sup>2</sup>

ამგვარად, ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ უცხოეთთან ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, რაც ხელს უწყობდა საბჭოთა და საზღვარგარეთის ხალხების დაახლოებას, წარმოადგენდა მტრული, ანტისაბჭოთა, ცილისმწამელური პროპაგანდას მხილების მნიშვნელოვან საშუალებას, ორ სოციალურ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობის განუწყვეტელი მისწრაფების მყაფიო დადასტურებას.



<sup>1</sup> Газ. «Известия», 22 июля, 1935 г.

<sup>1</sup> მლისუბა. თ. 14, აღწ. 1, 5379, ფურც. 165.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ ორცსა. თ. 613. აღწ. 1, საქ. 222, ფურც. 57

## მეცნიერების პრობლემა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო მართალია, ისტორიული მწიგნობრობის გამო, კონსტანტინეპოლის დაკეპის შემდეგ საუკუნეთა მანძილზე კი შეფერხდა ევროპასთან ურთიერთობა, მაგრამ არასოდეს უყოფილა მისგან მთლიანად იზოლირებული. შამაღლიანური აღმოსავლეთის გაერმოცვაში მყოფ ჩვენს ქვეყანაზე სხვადასხვა გზით მაინც აღწევდა ევროპიდან წამოსული ახალი იდეების თენდაც სესტი ქროლეა, რომელიც აღმოსავლეთ მეზობლების ზღმშივი თარეშით განაწამებ ქართველ ხალხში, დასავლური ორიენტაციის ზრდასთან ერთად, შესამჩნევად ძლიერდებოდა და სულ უფრო და უფრო იპყრობდა საზოგადოებრივ აზრს. ამ პროცესის შესაბამისად, ქართულ ლიტერატურაშიც ფესვებს იღებდა ახალი, დასავლური ტენდენცია, რომელიც XIX საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ქართველმა ხალხმა თავისი ბედი განუყრელად დაუკავშირა ერთმორწმუნე ჩრდილოეთს და ცხალი ვახდა „ქართველი ხალხის განვითარების გზის რუსეთის გზით ევროპასთან,“<sup>1</sup> ვაბატონებულ მიმართულებად იქცა.

რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლაში სისხლდარჩვეული ქართველი ერის ფიზიკური განადგურებიდან ხსნის ერთადერთ გზას. სწორედ რუსეთთან შეერთების შედეგი იყო, რომ ი. ჭავჭავაძის აღნიშვნისამებრ, „საქართველომ მშვიდობისაღიარება მოიპოვა“ და „იღმშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღალული ქვეყანა“.

დაწინარდა აქლებისა და აზრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დაღმდა ეღერა ხმლისა და მატელისა მტრის ზეული მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაქტა ცეცხლი რომელიც სწავდა და ჰუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აქლება, მიეცა წარსულს და მართო სამინელ და შემპარწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩია. დაუღვა ახალი ხანა. ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჭვარისთვის ჭვარცმულ საქართველოს.<sup>2</sup>

გარდა ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განაზღვრა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ახალი, კაპიტალისტური გზაც. სული შეუწყო ეროვნულ კონსოლიდაციას და ეროვნული თვითშეგნების ამადლებას და ამასთანავე რომანიოვებისა და პერიშვეიციების გვერდით არსებული რილევისა და ბესტუევის, ბუშინის, გრიბოედოვისა და ლერმონტოვის რუსეთის გზით უართოდ გაგლო კარი საქართველოში ევროპის მოწინავე ცივილიზაციას და ეულტრებას, რომელიც არც თუ უმტკივნეულოდ, მაგრამ ძლიერაზილად იკაფავდა გზას, და „შემდგომად ექესას ბნელის საუკუნის“<sup>3</sup>, აწესრიგისა და კეთილდღეობის შექმნისაგანმობლად“ შემოიჭრა საქართველოში და „ქველი კოლხეთის მორაზონტი გაიცისკოვანა“<sup>4</sup>.

ამიტომაც, თუცა მეტყობილად საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღაწენი აქტიურად ებრძოდნენ მეფის

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძის, ს. ჭანაშვილი. საქართველოს ისტორია, თბილისი, 1950 წ. გვ. 410.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1935, გვ. 216-217.

<sup>3</sup> ს. დოღაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 228.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 41.



არსეთის თვითმპყრობელურ-სოციალისტურ პო-  
ლიტიკას, მაგრამ სრულიად არ უარყოფდნენ  
საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ მნიშ-  
ვნელობას, როგორც „ახალი კვეციის ევროპი-  
ულ განათლების საფუძვრზე“ აყვანისა და „სა-  
ზრდოს მაძიებელ“, კავკასიის ჰაბუე შეილა აზ-  
რისა და გონებისათვის“<sup>1</sup> გზის გამსწვლ საშუა-  
ლებს.

სწორედ რუსეთთან შეერთების შემდეგ და-  
დგა საზოგადოებრივ მტკიცედ „ევროპეიზმის“  
გზას, რასთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული  
ახალი ქართული ლიტერატურის განვითარება.

უწინარეს უოცლისა, რამდენიმე სიტყვა „ევ-  
როპეიზმის“ ცნებაზე. ეს ცნება პირველად  
გვხვდება 1852 წლის ვახ. კავკაზის მეთორმე-  
ტი ნომერში. წერილში, რომელსაც ხელს აწერს  
„M“ (მ. თემანაშვილი), ახლად აგებული ოკუ-  
რის თეატრის დიდებული არქიტექტურით მო-  
ხიბლული ავტორი აღნიშნავს: „თბილისსა და  
მის ახლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ  
ხედავ, შეიძლება თქვა, კავკასიის მთავრებულა  
უკვე აღარ მიყნავს ევროპას აზიისაგან, რომ  
ახლა ევროპეიზმი (დაყოფა ჩემია, დ.ლ.)  
მთელი თავისი გონებრივი გამოვლენით არბეი-  
ნად მოკალათებულია და ინერგება აზიაში“<sup>2</sup>.

ხუთი წლის შემდეგ ცნება „ევროპეიზმი“  
გამოიყენებია ნ. ბერძინაშვილს ვრცელ წერილ-  
ში „ქართული ლიტერატურა — ევროპის — ცი-  
სკრის“ რვა წიგნაკი (მარტიდან ოქტომბრამდე),  
ნ. ბერძინაშვილი ამ წერილში თარგმნილ ლი-  
ტერატურასაც მიმოიხილავს და „უმრავლესო-  
ბაში კითხვის ნამდვილი სერვილის აღსაჭერ-  
ლად“ „წმინდა“ ბელეტრისტულ თხზულებათა  
თარგმნის ნაცვლად გადმოკეთებას უპერს  
მხარს, რადგან, მისი აზრით, „ჩვენ-  
ში, სადაც ევროპეიზმს“ (დაყოფა ჩემია,  
დ.ლ.) ჯერ კიდევ მცირე წარმატება აქვს, რაღაც  
უცნაურად გვიჩვენება ეს გრაფები და გრაფი-  
ნიები თავიანთი მღვდრი სახელებით“<sup>3</sup>

ი. ჭავჭავაძეს კი, რომელსაც მეკლევართა  
უმრავლესობა ამ ცნების შემომტანად მიიჩ-  
ნევს ქართულ მწერლობაში, „ევროპეიზ-  
მი“ პირველად ნახმარი აქვს 1862 წელს. წე-  
რილში „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამ-  
დინა, სადაც ილია კონსპექტურად განიხილავს  
ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების  
გზას, დავით გურამიშვილია წარმოდგენილი იმ  
პოეტად, რომელმაც „სიკადა თითქმის პირველად,  
ზოგიერთგან რასაკვირველია ევროპეიზმის  
შემოტანა ლექსის გამოთქმაში“<sup>4</sup> ილიას მიხედ-  
ვით, „ალ. ჭავჭავაძე უფრო ხშირად ცდილობდა

მაგ ევროპეიზმის განვითარებას, მაგრამ მა-  
გასაც აქვს დიფერალური ლექსი: ვრ. ბრძენიანი  
გამგრძელბული ევროპეიზმის წინა-  
თაშვილი ბრწყინვალე წარმომადგენელი ევ-  
როპეიზმისა“<sup>5</sup> (დაყოფა უკლებლან ჩემია,  
დ.ლ.).

აღსანიშნავია, რომ მ. თემანაშვილიც, ნ. ბე-  
რძინაშვილიც და ი. ჭავჭავაძეც ამ ცნებით ახალ  
გზაზე დამდგარი ქართული საზოგადოებრივი  
ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენას — ევ-  
როპული ცივილიზაციისა და კულტურის შემო-  
ტრას რომ გამოხატავენ, ევროპეიზმის მთავარ  
ნიშნად ჩვენს მწერლობაში, როგორც კვეთით  
დავინახავთ, ქართული ლიტერატურის ეროვნ-  
ულ საფუძველზე განვითარებას თვლიდნენ და  
აღმოსავლური, ევროპულ, სპარსული პოეზიის გა-  
ვლენისაგან განთავისუფლებას მიიჩნევდნენ.

ამ თვალსაზრისით ევროპეიზმის ახალი ფორ-  
მით გამოვლენების ტენდენცია ქართულ ლიტე-  
რატურაში უკვე შეჩვილბმეტ საუკუნეში შეიმ-  
ჩნევა და მეფე-პოეტის თეიმურაზ I შემოქმე-  
დებში იჩენს თავს.

მართალია, თეიმურაზ I, რომელიც პოლიტი-  
კაში „სპარსულ ორიენტაციის უდიდესი მტერი  
იყო“<sup>6</sup>, სპარსული პოეზიით გატაცებული და  
სპარსული ენის მელოდიურობით მოხიბლული,  
„ლეილ-მავნენიანის“ შესავალში კი აღნიშნავდა  
„სპარსთა ენისა სიტყობანი მასურვა მესიკობა-  
ნი“<sup>7</sup> და გულის ტყვილით ამბობდა „მძიმეა ენა  
ქართულიო“, მაგრამ „შეწმასწინათა სიტყვათა“  
წინააღმდეგეც იყო და დაბეჭოთებით აცხადებ-  
და: „მთ შეწმასწინათა სიტყვათა შინდა მარ-  
ტივად მბობანიო“<sup>8</sup> თუმცა თეიმურაზი აქ ქარ-  
თული ენის „შეწმასწინლობას“ გულსხმობა, მა-  
გრამ აღმოსავლური პოეზიის მეშვეობით დაპე-  
რებულად ლერწმული ლექსის ნაცვლად „მარ-  
ტივად მბობა“ ქართული მწერლობის აღმოსავ-  
ლური პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლე-  
ბის და ამდენად მისი ევროპეიზმის ერთ-ერთი  
ძირითადი ნიშანი იყო.

„მარტივად მბობს“ ეგ ნდომა იმავე მიზე-  
ზით იყო ნაკარნახევი, რის გამოც თეიმურაზმა,  
მისივე აღიარებით, „საღვთო სიბრძნის“ გაღმ-  
სვას არჩია „სოფლისა შიღ-მოღუბანი“, სახელ-  
დობრ, იმით რომ, როგორც მ. ჭავჭავაძე შენიშ-  
ნავს, მეფე-პოეტმა „აღლო“ აღლო „საზოგადო-  
ების მოთხოვნისაგან“<sup>9</sup> და შეიხვედრა გე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებუ-  
ლი ათ ტომად, ტ. III, გვ. 457.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, „თეიმურაზი“. თბ. თეიმურაზ  
I, ალ. ბარამიძისა და გ. ჭავჭავაძის რედაქციით,  
თბილისი, 1934, გვ. 201.

<sup>4</sup> თეიმურაზ I ალ. ბარამიძის და გ. ჭავჭავაძის  
რედაქციით, თბილისი, 1934, გვ. 24. სტროფი 4.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 281.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Кавказ, 1852, № 12.

<sup>3</sup> იქვე, 1857, № 87, 444.

მოენების, მათი მიდრეკილება-დინტერესების გათვალისწინებით ხელი მიპყრო, როგორც, ამავ „ლეი-მაქნენანის“ დასასრულს თავად აღნიშნავს თეიმურაზი, „სიტყვათა შეთხზვა-შეკამხვა...“<sup>1</sup> რაც სულაც არ ეწინააღმდეგება, პირაქით, გარკვეულად აკონკრეტებს კიდევ თეიმურაზის მიერ წამოყენებულ „მარტივად მშობის“ ნდობას.

თეიმურაზ I ამ ლიტერატურულ მრწამსს, შეიძლება უხედავ დაეჭვნოს პარალელები XVII საუკუნის ევროპის ლიტერატურის სულ სხვადასხვა მიმართულების პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ლაპე დე ევას „ახალი ხელოვნება კომედიების შეთხზვისა ჩვენს დროში“ (1609 წელი), სადაც ღივი ესპანელი დრამატურგი არისტოტელეს წესების უბრატესობას კი აღიარებს, მაგრამ მწერლის მთავარ მოვალეობად მკითხველ-მკითხველის დაინტერესებულო, „ხალხის მოსაწონო“ ნაწარმოების შეთხზვას მიიჩნევს და ესპანელი კაცის ხასიათს რომ ითვისწინებს, ვინც, ლაპე მუხუდუბისაშვირ, ვერ დამწუხრდება, თუ ორი საათის განმავლობაში არ უჩვენებენ ყველაფერს — ქვეყნის წარმომობიდან განკითხვის დღემდე. სამი ერთიანობიდან მხოლოდ მოქმედების ერთიანობის დაცვას მოითხოვს და თავისი მხატვრული პრაქტიკის გამო აღნიშნავს, როცა ვწერ უოველდვარ წესებს მაგრად ვეძრებ უთში, მარტოოდენ ერთი წესით ვხელმძღვანელობ — ხალხს მოეწონოს ჩემი ნაწარმოები.

თუ თეიმურაზი, „როგორც ავარდ-ბელბელიანთი ტრფობის უბადლო ავტორი“<sup>2</sup> სპარსულ პოეზიის უხდის ხარკს, „სოფლის ნივლის მიუწყებელი გამოჩენილი პოეტი“<sup>3</sup> — „პირველი შავალითი ქართულ მწერლობაში“, ვინც ჭკონული „თემბატის დამწევება სცადა“, შექმნა „წამება ქეთევან დედოფლისა“, უაღრესად საერო ხასიათის ნაწარმოები, სადაც სათანადოდ დატეხილი სტორიულ-საბუნებისური პერსპექტივა და შედარებით აცილებული ზღაბრულ-საწარმებრივი მომენტები — ევროპეიზმის პირველ მიუწყებლად გვევლინება ქართულ ლიტერატურაში.

ამ მხრივ თემბატის სიახლესა და „ზღაბართ შეთხზულ“ თქმულებათაღში<sup>4</sup> ადრე კრიტიკულად განწყობილი პოეტის მიერ სინამდვილის მართლად გადმოცემის ტენდენციასთან ერთად, საგანგებოდ აღსანიშნავია ის იდეური სიახლე, მოკლენათა მხატვრული ხედვის და მათი შეფასების მსგავსება, რომელიც შეინიშნება თეიმურაზისა და XVII საუკუნის ევროპის ლიტერატურის ზოგიერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს შორის.

„მუხთალი სოფლის“ გატეხილი მუხთაღმდგენელი თეიმურაზი, რომელმაც „სიტყვათა შეთხზვა-შეკამხვა“ შორს მიღეს — თუ ესპანური პაროკის უდიდესი წარმომადგენელი „ცხოვრებას სიზმრად“ მიიჩნევს, თეიმურაზი მას „სიზმრისაგან უფრო ცუდად“<sup>1</sup> წარმოადგენს — განსაკუთრებით ახლო დღას ანდრას გრიფისთან, გერმანულ პაროკის ცნობილ წარმომადგენელთან. ქეთევან დედოფალზე დაწერილი ტრაგედიის „Catarina von Georgien-ის ავტორთან: თეიმურაზისათვის „ეს სოფელი მუხთალია“ („სოფლის სამღერავი“, სტრ. 13).

„მუხთალობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ქმეცა იყოს მისი და. (შეკიბრება გაზაფხულისა და შემოდგომისა სტრ. 22)

— ან ადრე დაგვიცოს უდროოდ, ახალსა მოუწყვარსა.“ (იქვე, სტრ. 96)

„თუ გრძალად გეცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესესა რაც გვიყვარს, თვალწინ დაგვიხოცს, სულთაგან უკეთესესა“ (იქვე, სტრ. 97)

„თვალთა დაკლებს ნათელსა სოფლისა მაშვენებელსა“ წარბთა მშვილდულებრ მოხრილსა, მიყნურთა მახლებელსა, შეეთა წამწამთა ნარგისთა მჭერეტელთა გულსა მხებელსა, გააყრევიენებს, წაახდენს მნახელთა ცეცხლთა მღებარსა.“ (იქვე, სტრ. 100)

ეს სოფელი აღამიანს „პირველად ამოდ შეიტყობოს, საყვარლად დავამღებოს,

აღარ გაყუევის, ბოლო ეამ უმუხთობებს, გავაღებოს,

გრიფისის მიხედვითაც ამ ქვეყნად „ყველაფერი ამოებათა ამოებთა“<sup>2</sup>

სადაც აღამიანი „უაღბი ოცნების მტრს ვერა წედება, ყოფა მისი არარად იქცევა, ხოლო ხა-

<sup>1</sup> „თეიმურაზ I“, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. გვ. 99, სტროფი 6. თეიმურაზის ლექსები ციტირებულია ყველგან ამ გამოცემის მიხედვით ფრჩხილებში ნაჩვენებია ნაწარმოების სათაური და სტროფი.

<sup>2</sup> იხ. კრებული Tränen des Vaterlands, deutsche Dichtung aus dem 16 und 17. Jahrhundert, Berlin, 1963, S. 159.

1 თეიმურაზ I, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, 1934, გვ. 59, სტროფი 270.  
 2 იქვე, გვ. 209.  
 3 იქვე, გვ. 209.  
 4 იქვე, გვ. 217.

ლისი მწარე კრებულად“<sup>1</sup> აქ „მოკლე დროსა რომ ზვეთისი უბოძებია, მასაჲ, რაიჲ რა ყვაილობს, თან იპარება, წარმავლობსა და უსამო ყოფილი ვადის“<sup>2</sup>. „დღეს რაც ყვაილობს დიდებულად, შიღე დაქვნიება და რაც არსებობს იქცევა ის ხვალ ნაკარტეტად“<sup>3</sup>. „შინც რა არის აღამიანი! მხოლოდ ჭერჭული მწარე ტყვიელთა, მუხთალი ბედის სათამაშო უბრალო ბურთი, ცთომილი სხივი, მოცაგვე, ამა დროისა“<sup>4</sup>.

სოფლის მუხთლობის, ამაოებისა და სიცრუის, აღამიანის უმწიობის და არარაობის მსგავსი გამოხატულება უხეად შოაოვეება როგორც თეიმურაზის, ისე გრიფიუსის შემოქმედებაში, მაგრამ ციტირებული ადგილებითაც ცხადად ჩანს მათი მსოფლმხედველობრივი ნათესაობა, მოვლენათა აღქმისა და ვაშლისხვის მინაგვარობა.

ცხადია, ეს მსგავსება პირობადებულია არა ლიტერატურული ურთიერთგავლენით, არამედ ისტორიული პირობების მსგავსებით. ოცდაათწლიანი ომების დროს პროტესტანტთა და კათოლიკეთა სათარეშო არენადქცეულ, გამარტებულ და დაქუცმაცებულ გერმანიაში დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო, რაც თურქთა თუ სპარსთა, გარეშე და შინაურ მტერთა თავდასხმებისაგან განაწამებ საქართველოში.

თეიმურაზ I პოეზიაში არსებული ზემო-აღნიშნული ტენდენცია ევროპეიზმისა ვაცილებით მკვეთრად არის გამოხატული არჩილის, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებით პრაქტიკაში, რომ არაფერი ვთქვათ დიდიო გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, მიუცა საშუალებათა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს ფართოდ ვაცნობოდა ევროპის კულტურას, რომელსაც იგი „მზის ნაპერწყალს“ აღარებდა და ცდილობდა, ს. დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მცირედ მცირედ“ შინც გავრცელებულიყო „მზისა მაგის ნაპერწყალს“<sup>5</sup> ჩვენს ქვეყანაში.

საქმე ისაა, რომ ეპოქის სულის შესატყვისად ქართველი მოღვაწენიც სწორედ „მზის ამ ნაპერწყალს“ გავრცელებას, ხალხის განათლებას შიინვედნენ ქვეყნის კეთილდღეობის ძირითად საწინდარად, რაც აშკარად გამოხატა XIX ს. პირველი ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა

მოღვაწემ ს. დოდაშვილმა, რომელიც პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილის მტყუნდრეშემსწავლ მოთქმამდა.

**შენიშვნები**

ს. დოდაშვილს, როგორც ჭეშმარიტ განმანათლებელს, ნამდვილად სწამდა, რომ „განათლება არს უმეტესად კეთილდღეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“<sup>1</sup>; და იმაში ღრმად დარწმუნებული, რომ „ზენობითა და ფიზიკურთა ნიჭთა შინა თვისთა... მსგავსად შვილთა ძველისა ელადისათა“<sup>2</sup> დაქილდობელი, მაგრამ ისტორიული ვითარებით გაპირობებული მწლებდობის გამო ეკონომიურად და კულტურულად დაქვიითებული ქართველი ერის წყლელ გამართვის საიმედო გზა განათლების დანერგვა იყო, თავისი მოღვაწეობის მთავარ დანიშნულებად ქართველ ხალხში ევროპული განათლების გავრცელებას შიინვედა და ამავე დროს ქართული კულტურის შესწავლას, სათანადო დაჯასებას და მსოფლიო ასპარეზზე გატანას თელიდა. ნაშრომში „მოკლე განხილვა ქართულის ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“, რომელიც თბილისის უწყებათა „სალიტერატორნი ნაწილისს“ პირველ ორ ნომერში გამოქვეყნდა და ქართული ლიტერატურის რეტროსპექტიული მიმოხილვის პირველი ცდაა, დოდაშვილი მკითხველს პირთენელ გარჩევას პირობებოდა ქართული მწერლობისა, „რომელიცა აქომადღე. წყევდასა შინა სიბნელისა და ფართელ იყო მხედველობათგან ვერო მისათა“<sup>3</sup> (დაყოფა ჩემია, დ. ლ.), ხოლო იმავე სალიტერატორო ნაწილის მუხთეთ ნომრის ბოლოს მოთავსებულ გასცხადებაში, პირველი ქართული ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი დაბეჯითებით მიმართავდა საზოგადოებას გამოეწრათ ეს გაზეთი, „რათამცა მისცემოდა ესეთ-გვარსა სსარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწუნებლად განათლებისა, გავრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა მიხლო ვერო მისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“<sup>4</sup> (დაყოფა ჩემია, დ. ლ.).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საქმიოდ იყო მომზადებული ნიადაგი „მიხლოებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“. ამიტომაც ჩვენში შედარებით სწრაფად გავრცელდა ევროპული ცხოვრების წესი და საფუძველებით გაბატონებულ აღმოსავლური ყოფი-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა გვერდით თამამად შემოიჭრა ევროპული ცივილიზაცია. 1853 წლის „კავკასიის“ 22 ივნისის ნომერში გამოქვეყ-

<sup>1</sup> Andrea Grifhii, Catarina von Georgien, S. 1. ციტირებულია არს. ბიბლიოთის თარგმანის მუხედვით, რომელიც ორიგინალს ხელახლა შეედარე.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 2.  
<sup>3</sup> იხ. ზემოთდასახელებული კრებული, გვ. 159.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 160.  
<sup>5</sup> „სალიტერატორნი ნაწილის თბილისის უწყებათა“, 1832, № 2, გვ. 45-56.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 41.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 45.  
<sup>3</sup> იქვე, № 1, გვ. 20.  
<sup>4</sup> იქვე, № 5, გვ. 119.

ნებულ ნ. დუნელ-ველინის ფელეტონში დამა-  
ჯერებლად არის ნაჩვენები როგორღეღებლობდა  
„ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტად  
ფერადულ იერს“ თბილისი, ასაუფენების მახ-  
ვილზე იველ საქართველოში შექმნილ ჩველუ-  
ბებთან ზღვინელჩაკიდებული მოდის ევრო-  
პული კომფორტი, განათლება. ისინი არ ვაერ-  
ბიან ერთმანეთს და მოხდინილი სტუმრის ყოვე-  
ლი ნაბიჯი სულ უფრო და უფრო ატყვევებს  
მშვენიერ დისახისის, რომელიც გატარებულ,ო,  
ტბილი წინათგარძნობით ზედავს მასში თავის  
მზრძანებელს“ წერდა იგი ამ ფელეტონში დ-  
განავრძობდა: „პირდაპირ გაცივებთ ეს დაახლო-  
ება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გხედებათ.  
აგერ, ადგილობრივი მცხოვრების — ტანწარწერ-  
ტი ასელო, რომელსაც ვერ კიდევ ვერ გაუბუ-  
და. გამოეშვინდობის თავის თვალწარწერა ჩიხ-  
ტიკოსს, მაგრამ ცდუნებისაგანაც ვერ შეუკვე-  
ბია თავი და ევროპული კაბა ჩაუცვამს; იქ ყმა-  
წილყავეებს მოხეტი მამებისათვის მიუნებებში  
ათ ეროვნულ ტახსაცმელი, თავად კი სამხედ-  
რო მუნდირები ჩაუცვამთ, ან პარინისა და ლონ-  
დონის უკანასკნელი მოდის მიხედვით გამოწყო-  
ბილან... შინ სპარსულ ზალიაგადაფარებული  
და რბილი მუთაქებით გაწყობილი ძველი ტახ-  
ტები ზამბარებიან ავეჯს და სარკეების შეუცუ-  
ლიათ, ხოლო გისოსების მაგიერ მდიდრული  
ფარდებით მორთულ ფანჯრებიდან ზურნასთან  
ერთად დაბალ ფენებში გადასულ ეროვნული  
დარბაზს და ჩონგურის ნაცულად მოისმის რო-  
ალის ხმა“.<sup>1</sup>

ევროპულ ცივილიზაციასთან ერთად შემოჭრი-  
ლი ევროპული ლიტერატურული გემოვნება ნა-  
კლებ შემარჩებლობას იჩენდა აღმოსავლურა  
მწერლობის მიმართ. ცნობილი ქართველი მოღ-  
ვაწე დ. ბაქრაძე წერს რომ „საქართველო და ქა-  
რთველები“, რომელიც 1851 წლის „კავკაზის“  
მეცამეტე ნომერშია გამოქვეყნებული, ეხება  
ქართულ ლიტერატურასაც და მთავარ ნაწილად  
ქართველი პოეტებისა, რომლებიც, მისი აზრით,  
მხოლოდ იმით განსხვავდებიან სპარსელებისა-  
გან, რომ სხვა ენაზე თბზავენ, ვადაქარბებულ  
პიებერბოლიზმს, უცნაურ შედარებებს და ფორ-  
მის შესაბამისად, სინამდვილისაგან მოწყვეტას  
შიჩნევენ. საყურადღებოა, რომ აღმოსავლურა,  
ეგრძოდ, სპარსული პოეზიისადმი უპრაციოთი  
დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ქარ-  
თულ მწერლობაში თითქმის საყოველთაო მთე-  
უნად იქცა და დაჩაღღერი ლიტერატურისადმი  
გაღვიძებული დიდი ინტერესისა და მისი გაე-  
ლენის უეჭველი შედეგი იყო.

ევროპისა და მისი ლიტერატურისადმი გაზრ-  
დილი ინტერესის შესატყვისად ქართულ მწერ-  
ლობაში თანდათან იზრდებოდა ევროპული  
მწერლების თხზულებათა თარგმნის ხედრათი

წონაც, მეცხრამეტე საუკუნის დისაწყისში ქარ-  
თული საზოგადოება მშობლიურ ენაზე გაცივს  
პეტრარკას, შილერის, პეტროს მსწერებს და  
სხვათა შემოქმედების ზოგჯერ მსწერებს  
მსრივ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ცის-  
კარმა“.

„ცისკის“ 1857 წ. პირველ ნომერში მო-  
თავსებულია XVIII ს. ფრანგი მწერლის მარ-  
მონტელის „მეუღლანოევი“, რომელიც სარდიონ  
ალექსი-მესხიშვილის უთარგმნია. ამ თარგმნის  
გამო წარმოებული კამათი, რომელიც ნ. ბერძ-  
ნიშვილმა წამოიწყა, საყურადღებო მასალას  
შეიცავს ევროპეზმისადმი ქართული მწერლო-  
ბის დამოკიდებულების გასარჩევად.

1857 წლის „კავკაზის“ მეოთხე ნომერში გა-  
მოქვეყნებულ წერალში ნ. ბერძნიშვილი ახლად-  
დაარსებულ ეტრნალს ამოკანად უსახავდა დაბ-  
მარებოდა ხალხს საყოთარი თავის შეცნობაში,  
ხოლო, ხალხის განათლების, მისი თვითშეცნო-  
ბის წყაროდ მიიჩნედა ამავე ხალხში წარმო-  
შობილ, სახალხოღქველ მშობლიურ პოეზი-  
ას, რომელიც ადგილობრივ ყოფაცხოვრებას  
ასახავდა, ქვეყნის ქირ-ვარამს ეხებოდა და მა-  
ღალმზატრული ლირსებით გამოირჩეოდა. ამ  
გზით მიიწინა ბერძნიშვილს შესაძლებელი,  
რომ საქართველოში დამკვიდრებულყო ევრო-  
პეიზმი, რომელსაც, ზემოთ ციტირებული მისი-  
ვე სიტყვების მიხედვით, „ვერ კიდევ მოვრე-  
წერმარება“ ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში.

ესაღია, ბერძნიშვილი სრულიადაც არ უთ-  
ყოფდა ევროპეზმის განზე დამდგარი ქართუ-  
ლი ხალხისათვის თარგმნილი და გადმოკეთებუ-  
ლი ლიტერატურის მნიშვნელობას, „რათა გაე-  
ვაყნოს სხვა ქვეყნებისა და ხალხების დიდი  
პოეტები“.<sup>2</sup> მაგრამ „ცისკისის“ რედაქტორს „მე-  
უღლანოევის“ გამოქვეყნების გამო იმითმ საუ-  
ვედღერობდა, რომ მარმონტელის თხზულებას  
ჩვენი ქვეყნისათვის შეუფერებელ ნაწარმოებად  
რაცხდა. ხოლო ლეოტიკო XV დროინდელ და  
იმ ხანად უკვე, თვით საფრანგეთში მიერყეებულ  
მარმონტელის ისეთ მწერლად მიიჩნეოდა, რო-  
მელსაც პარაფერი აქვს საერთო ჩვენს ლიტ-  
ერატურასთან“.<sup>3</sup>

ს. ალექსი-მესხიშვილმა იმავე წლის „კავკა-  
ზის“ მეოთხეომეტე ნომერში უკასუხა ბერძ-  
ნიშვილს. იგი უმართებულოდ თვლიდა ბერძ-  
ნიშვილის შენიშვნას, განსაუტრებოთ მის მოთ-  
ხოვნას, გამოქვეყნებულ ყოფილიყო „უკანამა-  
ნიანი“ და მისი მსგავსი თხზულებანი, რადგან,  
ს. ალექსი-მესხიშვილის აზრით, ზღაპრული სიუ-  
ვეტის მქონე, სპარსულ-აღმოსავლური ხასიათის  
ეს ნაწარმოები იმ პერიოდში იყო შექმნილი,  
როცა ქვეყნის „მშვიდობიანობა მოითხოვდა შე-  
გუებოდიოთ ისლამიზმს“, მაგრამ მის შემოქ-  
მელი

<sup>1</sup> Кавказ, 1857, № 4, стр. 22.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>1</sup> Кавказ, 1853, № 53, стр. 1.

რაც შევედრითლით რუსეთს, რომელიც ცდილობდა დაეჯავახოს ვეროპის ცივილიზაციის უცნაური იქნება დაეუბრუნდეთ უცხოების და ისლამიზმის კრერწმენას, ამტკიცებდა ს. ალექსი-მესხიშვილი თავის ანტიკრიტიკაში.

ნ. ბერძნისვილის გამოყენებითა ო. სავანელიც, რომლის აზრით, ზღაპრის კითხვის დრო დიდი ზანა წავიდა და, რა თქმა უნდა, უცუთსია ყარაწილი შარშონტელი იმეჭდებოდეს, ვიდრე ფარაშინიანი, ვისრამიანი და სხვანი „ზღაპრნი, რომელთაც ბერძენოვი ვეთავაზობს“.<sup>1</sup>

ნ. ბერძნისვილის თავისი მოსახრებანი კიდევ უფრო დამაჯერებლად აქვს წარმოდგენილი წერტილი „ქართული ლიტერატურა“, რომელიც 1857 წელს „კავკაზის“ მეოთხედივე და მეხუთედივე ნომერებში გამოქვეყნებულა.

ამ წერილშიც ბერძნისვილი, ქართულ ორიგინალურ მწერლობას თვლის ხალხის განათლებისა და მისი ინტერესების გამოშხატველ უპირველეს საშუალებად, მაგრამ სრულიადაც არ ამცირებს თარგმნილი ლიტერატურის როლს და მას ევროპული განათლების გავრცელება-დაშვიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად რაცხს. მეტიც, მას სურს, რომ ჩვენი „შობლიური ნიადაგის დამუშავებას თან ახლდეს მაცოცხლებელი ნაყოფი ევროპული განათლებისა“ და ამბობს: „დე წმინდა თესლი და არა სარეველა ამ განათლების ანაყოფიერებდეს ჩვენი შარტიე პატრიარქალურ ყოფა-ცხოვრებასო“.<sup>2</sup> ზოლო ასეთ სარეველად და „არაწმინდა თესლად“ მიიჩნევს შარშონტელის „სენტიმენტალურ რომანს“, რომელსაც, მისი აზრით, არაფერი აქვს საერთო დღევანდლობასთან.

დაახლოებით ამავე პოზიციიდან აკრიტიკებს ბერძნისვილი გრ. რჩეულიშვილს მოთხრობისათვის „ცოლის სიყვარული“, რომელიც ნამდვილად სუსტი და შარბილაც არაფრის მთქმელი ნაწარმოებია. დაახლოებით-თქო იმიტომ ეამბობ, რომ თქმვა ბერძნისვილი ნაწარმოების რეკონსტრუქციას აქაც იმით განსაზღვრავს, თუ რამდენად ახლოს დგას იგი ცხოვრებასთან და შეფერება ადგილობრივ ვითარებას, რადგან ღრმად სწამს, მხოლოდ ის მისცემს „ბიძგს ხალხის განათლებას და წარმატებას“, ის და-აფიქრებს და მოახდენს მასზედ გავლენას, რაც მისთვის მახლობელი და გასაგებია, მაგრამ ამ ასუსტითად მართებულ დებულებას ბერძნისვილი თარგმნილი ლიტერატურის მიმართ ძირითადად ვარეგან ატრიბუტებზე ავრცელებს, „უმრავლესობაში კითხვისასში ნამდვილი ინტერესების გასაღვივებლად“, ბელეტრისტული ნაწარმოების თარგმანის ნაცულად გადმოკეთებას უჭერს მხარს და მოითხოვს მოქმედ პირობა ევროპული სახელები ქართული სახელებით შეუ-

ვალოს, ზოლო ევროპული „სიტყვები“ და „შლიაპა“ — „ქათიბი“, „კვლის პირიფა“ და ქართული თავსახურავით. **სარქვენი**

ეს შეხედულება ბერძნისვილი მხოლოდ თუ გადმოკეთებულ ბელეტრისტულ თხზულებებში ევროპული სახელების, წოდებისა და ჩაყმა-დახურვის ქართული შეცვლის შესახებ მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ, მისი აზრით, უამისოდ ქართული კოითხველისათვის გაუგებარი და უინტერესო იქნებოდა უცხო ქვეყნის ამსახველი ნაწარმოებები და არა ევროპული ლიტერატურისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. პირობით, „სიტყვებით თამაშის“ მოყვარულ, „ხშირად აზრისა და მხატვრული უზრალოების საზიაროდ მეტაფორების, უცნაური შედარებებისა და ღერქნილი ფრაზების გატაცებულ მოტრფილად“ აღმოსავლური მწერლობის წინაშე ბერძნისვილი ევროპულს აძლევდა ამაყა უპირატესობას, მაგრამ ევროპული ლიტერატურისადმი „მონერს მიზაქვასაც“ ჰგმობდა და იმ ქართული მწერლობის ნაწარმოებებს რაცხდა სანიშნოდ, ვინც შემოქმედებითად იყენებდა სხვა ქვეყნების ლიტერატურულ მიღწევებს.

ამ მხრივ საყურადღებოა 1857 წლის „ცისკარის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იგავის „თხა და მგელის“ გარჩევა. ბერძნისვილის აზრით, აღ. ჰაჭვიაშვილის ეს აგავი „წარმოადგენს არა კრილოვის ან ლაფონტენის ცნობილი იგავის თარგმანს, არამედ შიბაქას, რომელიც „გამოირჩევა დამოუკიდებლობით და შინაგანი და გარეგანი მშვენიერებით. ელერადობა და ბუნებრიობა ლექსისა, უზარბოცეა გადმოცემისა, თვალაზროვნა, რომელიც წარმოადგენილია იგავის მოქმედი პირნი“.<sup>3</sup> მაინდა ბერძნისვილი ყოველი მხატვრული ნაწარმოების ღირსებად და მწერლობაში ევროპეზმის გაუყრელ ატრიბუტად. არანაკლებ საინტერესოა ბერძნისვილის მსჯელობა დ. მარაბლის ლექსის „პირველი მისის“ გამო. კრიტიკის უცრადლება აქ იმას მიუბარია, რომ ავტორს თავი დაუღწევია გავლენისაგან აღმოსავლური პოეზისა, რომლის „მოქარველი მჭევრმეტყველება“ გასაზღვრელის ბუნების მშვენიერებას ძირითადად გარდისა ბუღბუღლის ურთიერთტრფობით ამოწურავდა.

ამ მხრივ, აღნიშნავდა ბერძნისვილი — „აღმოსავლელ პოეტებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ წარსული დროის ქართულ პოეტებზე.“ მაგრამ, მისი აზრით, „ახლანდელ პოეტებში იმ დამოუკიდებელი მიმართულების წვალოებით, რომელიც უფრო ევროპისაკენ იხრება, აღმოსავლური გავლენის ჩრდილიც არ შეიძინება“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ცისკარი 1857, № 4, გვ. 30—31.

Кавказ, 1857, № 11, стр. 57.

<sup>2</sup> Кавказ, 1857, № 15, стр. 74.

<sup>1</sup> Кавказ, 1859, № 48, стр. 223.

<sup>2</sup> იქვე, 1857, № 14, გვ. 70.

<sup>3</sup> იქვე, 1857, № 87, გვ. 445.

სწორედ ამ ახალი, ევროპისაკენ გადახრილი, დამოუკიდებელი მიმართულების გამო იყო აღტაცებული ბერძენიშვილი ვრ. ორბელიანის „იარაღი“, რომელსაც ბერძენებს ლექსებს ადარებდა და ამბობდა, ბერძენებს ლექსების მსგავსად „იარაღშიც“, სადაც ყოველი ფრაზა სურათი მხატვრის ხელით მოხაზული, „ეკეხანური გატაცება, პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული პოეტური ნაპერწკლებით ბრწყინავენო“.<sup>1</sup> ხოლო განსაკუთრებით მაღლა აყენებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის ნამდვილი მოწოდების გამომატველ ნაწარმოებად მიაჩნდა „ბედის ქართლისა“.

ბერძენიშვილის წინააღმდეგ გამოვიდა ლ. არდაზიანი, რომელიც კრიტიკოსს წერტილის რუსულ ენაზე დაწერის გამო რომ საყვედურ-რობდა — ვისაც სურს ქართულ მწერლობას დაეხმაროს, ქართულ ეტრანდს უნდა შეუწეოს ხელი და ქართულად წეროსო — უმთავრესად შაქარ ტონს უწუნებდა და ამბობდა: „უფ. ავტორი მოითხოვს, რომ „ციცკარი“ იყოს აგრეთვე სრული და სამავალითო, როგორითაც ერთი რომელიმე სამავალითო ეტრნალი ევროპისაო“.<sup>2</sup> არდაზიანის აზრით, მართალია, „ნამდვილად „ციცკარი“ როგორითაც ყველა სხვა ეტრნალი უნდა იყოს სასწავლებელი განმწვენიერებელის სიტყვიერებისა, ყოვლისა სწავლისა და ხელოვნებისა, მაგრამ ესაა ვერ მოეთხოვთ ორი წლის „ციცკარს“ იმ სამავალითო სურვილებსა, როგორსაცა ითხოვს უფ. ბერძენივი“.<sup>3</sup> რადგან ისტორიული ძეგლებობის გამო „საქართველო დაშთა ვარე ევროპის განათლებისა, ყველამ ვიცით საქართველო დამწნავე არ არისო“<sup>4</sup>. და ახლად შეხადგულ ეტრნალის მიმართ ლიბერალებს მოითხოვდა, რათა კრიტიკას არ დაედოთხო თითო-ორიოლა თანამშრომელი და არ ჩამოეშორებინა ისედაც მცირე ხელისმომწერნი.

რა თქმა უნდა, არდაზიანი მართალი არ იყო, მხოლოდ მიუდგომელ, შაქარ, სამართლიან კრიტიკას შეუძლო შეეწყო ხელი ქართული მწერლობის განვითარებისათვის და ეს ითავა კიდევ XIX ს. ქართული აზროვნების ზემოწარმისა ი. კეკელიძემ. რომელიც 1862 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს მოამბეზე“ წერდა: „ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკეთარ კანონებსა და მეტონიერება ჰუმანიტეტებსა, და დაეარც ერთი და არც მეორე ნუ მოგარადება იმის გამოაშქარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საიცხავია და ცუდი. დაე ორივემ ია-

რონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეცხვი რადი და ლექი თან ამოკეცება, რა ვუწერს, რა ვუწერს, მოვიერიცხოთ, ვუტყუა მოვიწერიო: რა მხაროდ მარგალიტები დავერჩეს ჩვენის ცხოვრების სასახელოდო“.

ევროპის ახალ გონებრივ მოძრაობას ვაცნობილ და ბელონსკის, დობროლიუოვისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ახალგაზრდა ილიას, რომელიც ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში“ ჩამოყალიბებული თავისი მარქსის — ჩეგენი თავი ჩეგენე უნდა გავუდნოდეს — შესატყვისად სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მწერლის მოვალეობა — „რომ წარუძღვეს წინაერსა“. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ამ დიდ მისიას მხოლოდ ის შესარტლებდა, ვინც ხალხის ინტერესებს ღრმად ჩაწვდებოდა და ხალხთან ერთად გასწევდა ცხოვრების მძიმე ჰუმანს. ქართველი ერის დიდ მამულიშვილს ღრმად სწამდა, მხოლოდ ხალხთან შეიძროდ დაკავშირებულ მწერალს გაუგებდა ხალხი და მწერალიც, ხალხის წიაღში აღზრდილი, მაგრამ მასზე განათლებული და მაღლა მდგომი შესძლებდა თავად კი არ დაშეებულიყო სიდუხჭირით დაზეჩაებული, გონებავაუტსნელი, ძეალსა და რბილში ცრურწმენავაძეძარო ხალხის ფენის ხშირად ეგონისტურ და ეაწრო ფილისტერულ მოთხოვნათა დონემდე, არამედ ხალხი აემალეზბინა ქვეყნის საერთო ინტერესების შეგნებამდე და თან წაეყოლებინა იმავე ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზაზე. ამიტომაც იყო რომ ილია „მგზავრის წერილებში“ სემშობლოს ვარეთ ვატარებულ ოთხ წელს „იმითვის, ვინც რუსეთში წასულია, რათა ჰქუა ავარჯიშოს, ტვისა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგევიროს, ცხოვრების საძირკველად, ცხოვრების წყაროს სათავედ“ რომ თვლიდა, იმავედროულად „სიბუნელისა და სინათლისა შუა ბედისაგან გადებულ „ბეწვის ხიდადაც“ მიჩინეუდა, რადგან, ილიას შეხედულებისამებრ, „ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც კაბუკის ტვისა და გულში გამოქვანამაეს ხოლმე ცხოვრების კვირტს“, ხოლო „ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდა-

<sup>1</sup> Кавказ, 1859, № 43, стр. 270.  
<sup>2</sup> „ციცკარი“, 1859, № 9, გვ. 73.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 74.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 77.

<sup>1</sup> ი. კეკელიძე, თხზულებანი ათკომად, ტ. III, გვ. 70.

ნაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტკვანისე გა-  
მოვა და ძალღუფრქვანა.<sup>1</sup>

ესადა, ილიას „ცხოვრების კვირტის გა-  
მომკვანძავად“, ამ შემთხვევაში რუსეთში მი-  
ღებული ცოდნა ქმნდა წარმოდგენილი ვე-  
რობული სწავლა-განათლება, რომელსაც  
„მშვენიერ და ბრწყინვალე მტკვანად“ მხოლოდ  
ის ამცევედა, ვინც ამ განათლების არსს დაე-  
უფლებოდა და ორგანულად ათვისებულს,  
თავისი ქვეყნის პირობებს შეუფარდებდა. ერ-  
თი სიტყვით, ვინც თავის ეროვნულ სახეს  
შეინარჩუნებდა, ხალხის გულს ჩასწვდებოდა  
და, ხალხისათვის გასაგებ ენაზე მეტყველი,  
ხალხის გონებასაც აამოქრავებდა.

მწერლობის მოვალეობის ასეთი ვაგება,  
რომელსაც შესატყვისებოდა მეცხრამეტე  
საუკუნის ქართულ ლიტერატურის ბერძნის  
ესთეტიკური შეხედულებანი და მხატვრული  
პრაქტიკა, გამოხატავდა და განსაზღვრავდა  
კიდევ ვეროპეიზმის ილიასეულ ვაგებას.

ს. ჩიქოვანის შეხედულებისამებრ, ევრო-  
პეიზში „ილიასათვის იყო არა უბრალოდ ვე-  
რობის ლიტერატურულ მიმდინარეობათა  
გაგლეხის ან მასთან მიახლოების მიმინშე-  
ბელი ტერმინი, არამედ იგი იყო „ეროვნულ  
სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური  
კულტურის უნივერსალიზმის ცნება“<sup>2</sup>, და,  
მართლაც, დიდი პოეტი და მოაზროვნე, რომ-  
ლის განსაზღვრით „ლიტერატურა ხალხის  
ჭკუა, ხალხის გონება, ვრძნობა, ჩვეულება და  
განათლების ხარისხია“<sup>3</sup>, ქართული მწერლო-  
ბის ევროპეიზმს ეროვნული ლიტერატურის  
ეროვნულ საფუძველზე განვითარებაში ხე-  
დავდა და დ. გურამიშვილს ევროპეიზმის პირ-  
ველ შემომტანად ქართულ ლიტერატურაში  
ამიტომ რაცხდა, რომ იგი მაინცდა აღმოსავლე-  
რი პოეზიის გაგლეხით შეწყვეტილი თუ არა,  
ყოველ შემთხვევაში, დიდად შეფერხებული  
ქართული ლიტერატურის განვითარების ერ-  
ოვნული ხაზის აღმდგენად და გამგრძელებ-  
ლად, პოეტად, ვინც ეროვნულ-ლიტერატურ-  
ულ ტრადიციებზე დაყრდნობილმა, ერის  
ჭირ-ვატამს, ხალხის ბედ-იღბალს და ცხოვრე-  
ბას უძღვნა თავისი დღაღისი.

ევროპეიზმის მიმდევარი ილია პოეზიის  
ტენსიარტების განსახიერებად რომ თვლიდა  
და მის მთავარ დანიშნულებად „ცხოვრების  
აზრის“ გადმოცემას, ერის სულისკვეთების  
განსახიერებას, მისი ინტერესების გამოხატ-  
ვას მიიჩნევდა, თავის პირველ კრიტიკულ

1 ი. ჭავჭავაძე, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 8.  
2 ს. ჩიქოვანი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 108.  
3 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 37.

წერილში „ორიოდე სიტყვა „შეშლილს“  
თარგმანზედა“ მარტო იმიტომ კი არ აკრი-  
ტიკებდა რვეაზ ერისთავს, რომ მან ცუდად  
თარგმნა „შეშლილი“, არამედ იმიტომაც, რომ  
მას „ქართულ ენაზედ გადმოსაღებად“ აერ-  
ხეცია „უშვერი და გამოუსაღდვი პოემა“,  
რომელსაც, ილიას აზრით, ყველა სხვა სიყუ-  
თესთან ერთად, ეროვნული სულიც აკლდა.  
ნაწარმოებში არ იყო ასახული ხალხის ცხოვ-  
რება, მისი ჭირვარაში და გულისთქმა. ილიას  
სიტყვებით, „თუმცა „შეშლილს“ ქვეშ აწე-  
რია რუსული მოთხრობათ, მაგრამ მასში  
მარტო ენა, ზარი, მარხილი და იეშმშიკი თუ  
არის რუსული, თორემ სხვა არაფერია“<sup>1</sup>.

ამ მსჯელობაში ცხადად ჩანს ილიას დამო-  
კიდებულება როგორც ორიგინალური ისე  
თარგმნილი ლიტერატურისადმი, რომელსაც  
იგი ეროვნული მწერლობის გადმოდრების  
შინიშნულთაგან ფაქტორად და ორიგინალური  
ლიტერატურის განვითარების პროცესის გა-  
ნუფერელ ნაწილად მიიჩნევდა. ამავე დროს, ეს  
შეხედულებანი მდიდარ მასალას იძლევიან  
ილიასეული ვაგების გასარკვევად „ევროპეიზ-  
მისა“, რომლის არსად იგი ხალხის სულიერ  
ცხოვრების სიღრმეში ჩახედვას, მისი „უკ-  
ვლავების ძარღვის შენძრევას“, „კაცად-კა-  
ციობის ვრცელი მოედნის“ წვდომას რაცხდა.  
„კაცად-კაციობაში“ კი ილია ზოგადკაცობ-  
რიულს გადმომდინარე, კონკრეტულ-ეროვნულ-  
დიდან ვამომდინარე იმ საერთოს, რაც ეკო-  
ნომიურ პირობათა, საყოფაცხოვრებო დეტა-  
ლთა, ზენ-ჩვეულებათა თუ ფსიქიური წყო-  
ბის სხვაობათა მიუხედავად, თანაბრად გასა-  
გებია ყოველი ერის ხალხისათვის, გამოხატ-  
ავს პროგრესული კაცობრიობის გულისთქმას  
და შესუსტყვისება მის ინტერესებს.

როგორც აღინიშნა, ხელოვნების სპიციფი-  
კად ილია „იღის, აზრის სახეში“ ვაიმოცი-  
მას თვლიდა. ამიტომაც იგი, ნაწარმოების  
შინაარსთან ერთათ, ითო ყურათობას აზ-  
ცევდა აზრის გადმოცემის ფორმას, გამოსახ-  
ვის ხერხებს, როგორც აღამაინის ემოციებზე  
ზემოქმედების საშუალებას და ევროპეიზმის  
გზაზე დამდგარი ახალი ქართული ლიტერა-  
ტურის უპირატესობად ძველი მწერლობის  
წინაშე ისიც მიანდა, რომ ახალი მწერლო-  
ბის „ფორმას გამოთქმისა“ აღარ ახასიათებდა  
„ფიგურობა და აღევგორია სპარსული ლიტე-  
რატურის გაგლეხის ვაიმ“<sup>2</sup>, პოეზიის „უიგე-  
რობისა და აღევგორიისაგან“ გაწმენდას კი  
ილია ევროპეიზმის ერთ ძირითად ნიშ-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 14  
2 იქვე, გვ. 457.



ნად რაცხდა და გერამიშვილის დიდ დამსახურებად იმასაც აღიარებდა, რომ მან „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეების შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმასი“. რაც შეეხება ალექსანდრე ჰევეაძეს, რომელიც „უფრო ხშირად ცდილობდა მგ ევროპეების ვერცელებას“<sup>2</sup>, ილია მის პოეზიაში აღმოსავლური, კერძოდ სპარსული ლიტერატურის გავლენის ღრმა კვლასაც აღნიშნავდა, როგორც ფორმის მხრივ — „მაგასაც აქვს ფაგურალური ლექსი“<sup>3</sup>. ისე შინაარსის მიხედვითაც, რადგან რასინის, კორნელის, ლაფონტენისა და ეოლტერის მთარგმნელის ორიგინალურ პოეზიაში წამყვან პათოსად, ანუ, როგორც ილია ამბობდა, „მთავარ ძარღვად“ მას „სიყვარულს და ტრფიანობის სიბრძნისა“<sup>4</sup> მიაჩნდა. მაგრამ, ამავე დროს, ალექსანდრე ჰევეაძის შემოქმედებამდე ხედავდა ილია „საზოგადო უოფისაგან ამოკენსილი სიტყვის“, „მამულიშვილური გულის ტყვიანის“<sup>5</sup> სათავეს, რომელიც „მეტირე ნაყადულად გამოწაწერი“, „მერე, სამოციან წლებში ვერე ვაძლიერებულა ზეენს მწერლობაში“<sup>6</sup> და ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში გრიგოლ ორბელიანის სავარგებო როლსაც იმით განსაზღვრავდა, რომ მან განაგრძო ალექსანდრე ჰევეაძის პოეზიაში მხოლოდ ჩასახული „მამულიშვილური გულის ტყვიანის“ მოტივი და „ამას გარდა თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩეენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც აშან სრულიად განდევნა სპარსული კლო და მითოლოგიური სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა, რომელშიც ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჰევეაძეს“<sup>7</sup>.

დავით გერამიშვილის, ალექსანდრე ჰევეაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაზე გამოთქმულ ამ შეხედულებებიდან აშკარად გამომდინარეობს, რომ ი. ჰევეაძე მართალია, დიდ უპრადლებას აქცევდა „ფორმის გამოთქმისა“ და ახალი ქართული მწერლობის დასაწყისის „ქართული ლექსის გამოთქმასი“<sup>8</sup> „ევროპეების შემოტანას“ უკავშირებდა, მაგრამ, ყ. ჰუმბერდიის მართებული შენიშვნისამებრ,

ევროპეების ცნება ილიასთან „არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მატერულ, კონკრეტულ-ბუნებს, არამედ ევროპული ლიტერატურულ-დენციებთან, საერთოდ ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს“<sup>1</sup> და, ს. ჩიქოვანის ზემოთ უკვე ციტირებულ შეხედულებისამებრ, „ევროპულ სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური კულტურის უნივერსალიზმას“ გულისხმობს. მართლაც, ილია გრიგოლ ორბელიანს მარტო იმიტომ კი არ თვლის „გამგარცხლებლად ევროპეისსა“, რომ მან „განდევნა სპარსული კლო და მანვე დაგვანახვა პირველი, მაგრამ სუფთო და შეუღარებელი მავალით ქართლის ურითო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტყიცა, რომ ქართლის სიტყვისაც თავისი ამაღლებული ხმა ჰქონია, ვერე სპირო ლექს-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის“<sup>2</sup>, არამედ იმიტომაც, რომ „თავისებური უჭეი მიიფინა აქამომდე დაძალად წყულესა საზოგადოების სატიერისასა“<sup>3</sup> და იმით „თავისი ძლიერი ბანი მისცა ახალ მიმართულებას“<sup>4</sup>.

რომ ილიას ქართულ ლიტერატურის ახალი მიმართულების — ევროპეების უბირველეს და მთავარ ნიშნად, უწინარეს უვლისა, ეროვნულ ასპექტში გაშუქებული საზოგადოებრივი სატიკურების ასახვა, „კაცად-კაცობის ვრცელი მოუდნის გადაწელობა“<sup>5</sup> მიაჩნდა, ხოლო „ევროპული გამოთქმა“ — ამ შინაარსის ვალმოცემის შესაფერ ფორმად, რომელიც თავისთავად, ახალი შინაარსის ვარგებ გამოყენებულ, არ ქმნის პრინციპულ შეზავის ძველსა და ახალ მწერლობას შორის, ეს ცხადად ჩანს, როგორც „პასუხიდან“, სადაც იგი „ცრუ-კლასიკური“ მიმართულების მწერლებად თვლის მით, „რომელთაც მიზანს მარტო ვარგვან ფორმას ჩეენი უკვდავის რუსთაველის“<sup>6</sup> „ვეფხისტყაოსნისა“ და ვერ ვაფიქროვებ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავისი შინაგან ღირსებებით“<sup>7</sup>, ისე წერილიდან „ციციკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, რომლის მიხედვითაც ილიას განზრახული ჰქონდა ფაქტებით დაგვიტყუებინა, რომ ნაწილი „უხლანდელი მწერლობისა“<sup>8</sup> მზავეს „მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იღებოთ ძველებსა ჰევენანს“<sup>9</sup>. მაგრამ ეს შეხედულებანი კიდევ უფრო ნათლად არის წარმოდგენილი და დასაბუთებული ილიას წერილებში „აკაკი წერე-

1 ი. ჰევეაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 457.  
 2 იქვე, გვ. 457.  
 3 იქვე, გვ. 457.  
 4 იქვე, გვ. 208.  
 5 იქვე, გვ. 208.  
 6 იქვე, გვ. 209.  
 7 იქვე, გვ. 210.

1 ყ. ჰუმბერდიე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966 გვ. 233.  
 2 ი. ჰევეაძე, თხზულებანი ტ. III, გვ. 231.  
 3 იქვე, გვ. 230.  
 4 იქვე, გვ. 231.  
 5 იქვე, ტ. III, გვ. 455.  
 6 იქვე, გვ. 457.



თელი და ეფეხის ტყაოსანი“ და „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, საიდანაც არის ამოწერილი ზემოვანობილი მსჯელობა ალ. კვაკვაძისა და ვრ. ორბელიანის შემოქმედებაზე.

მიუხედავ იმისა, რომ „აკაკი წერეთელი და ეფეხის ტყაოსანი 1887 წელს არის დაწერილი, ხოლო „წერილები ქართულ ლიტერატურაზე — 1892 წელს, ე. ი. პირველ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების დაწერიდან 25-30 წლის შემდეგ, ორივე წერილში ილია ლიტერატურის დანიშნულებაზე და ქართული ლიტერატურის ახალ მიმდინარეობაზე — ევროპეიზმზე — იმ პირველ წერილებში წამოყენებულ დებულებებს ავითარებს და ასახულებს, ამიტომაცაა მიზანშეწონილი მათი აქ განვიღვა.

წერილში „აკაკი წერეთელი და ეფეხისტყაოსანი ილია შოთა რუსთაველს მსოფლიო მასშტაბის პოეტად იმითომ თელის, რომ მან „უტყუარა და მართალმა ბუნების წინაშე“<sup>1</sup> „აკაკად კაცობის ვრცელი მოედნის“<sup>2</sup> მწვდომმა, ზოგადკაცობრიული ხასიათები გამოქვეყნა და „საოცრად ღრმად ცოდნა ადამიანის გულისა ადგენასზე“<sup>3</sup>

დიდი პოეტისა და მოაზროვნის უცედავი პოემის გმირები, ილიას შეხედულებებისამებრ, „უველახედ უწინარეს ადამიანები არიან და, მასთანადამე, ზოგადი ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებული“<sup>4</sup> ცხადია, რუსთაველი შეილი იყო თავისი ერისა, ხოლო „ყოველი „ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისი სამკაულით აცაზმინებს, თავისი საფერავით აფერეინებს პოეტს ყოველ ხატს, ყოველს ნაშოქმედარს შემოქმედებისას“<sup>5</sup>. მაგრამ ეს სულაც არ უშლის ზელს, რომ მწერლის მიერ შექმნილი ხატო ზოგადსაკაცობრიო ხასიათისა იყოს. პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ კონკრეტულ-ეროვნული წარმოდგენს საფუძველს „საერთო კაცობრიულისა“, „რომლის მერ-ნაყლები გამოხატვა ერთადერთი საზოგადო, ერთადერთი საწყაოა მწერლის შემოქმედების ძალის მერ-ნაყლებობისა“<sup>6</sup> და რუსთაველიც იმითომ არის ვენიოსი, რომ „მისი შემოქმედების ძალა სწვდება ზოგად-კაცობის ტრასა“ და ეროვნული სამკაულების მომარყვევებით გამოხატული მისი გმირები ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონისა და სხვ. სახით ისეთივე შეილები არიან „მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელი... და სხვანი ამისთანანი“<sup>7</sup> სწორედ ეროვნული სამკაულების მომარ-

ყვებით შესწლო „ღრმა კაცად-კაციის მკრდემ“ ცხოვლად დეხატა თავისი გმირების „ვეყრე-ანობა „განსაკუთრებული მათისვე მოქმედებით, ჭკვეით, სიტყვა-პასუხით, გულმტკიცისა და ჭკუცილის ერთმანეთზე დამოკიდებულებით, ემოზილების ერთმანეთისაგან წარმომდინარეობით“<sup>1</sup> და ამიტომაც წარმოადგენს, ილიას აზრით, „ეფეხის-ტყაოსანი“ ზოგადს საესიხოლოგიო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს“<sup>2</sup> მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძველს, საიდანაც ვითდება თვლი ვადეველოს „მთელ კაცად-კაცობას... მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმძალეზედ“<sup>3</sup>

როგორც ზემოთ აღნიშნულდან ჩანს, სამეაროს ფილოსოფიური აღქმა, ზოგადსაკაცობრიო საეთხების ვამუქება, ანუ, ილიას სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „კაცად-კაცობის ვრცელი მოედნის“ წვდომა მიანდა იმას „ეფეხის-ტყაოსნის“ დედაზრად და მთავარ ღირსებად, და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც შოთა რუსთაველის შემეიდრედ და „ბრწყინვალე წარმომადგენლად ევროპეიზმისა“ იმითომ რაცბდა, რომ „მერანის“ აეტრომა შესწლო თავისი გულისმტკის, გრანობის, დარდისა და მწუხარების განზოგადოება და ისე ვამოთქმა, რომ ისინი „უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე ვერძონი, ვიდრე მარტო მისი საეთთარი გულისანი“<sup>4</sup> დიდი პოეტი თავის ავბედილობას კაცობრიობის ბედლის ნაწილად თვლიდა და ამიტომაც „მისი ექნესა კაცობრიობის ექნესა, მისი ზივილი კაცობრიობის ზივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის ელონობა“<sup>5</sup>

ილიას აზრით, დღმნიშვნელოვანი დამსახურება ბედის წინაღმდეგ ამხდრებული ვენიოსისა, რომელსაც „მ ბედის საზღვრის ვადასალახად მერანი აურჩევიდა, ისევე როგორც „ბაირონის კანმა ამისათვის ლეციფერი აირჩია, ვეტეს ფაუსტმა — ნეფისტოფელი“<sup>6</sup> ისაა, რომ მან „სხვაზედ უფრო მეაფიოდ და თვალნათლად“ დაატრიალა აზრი და ცნობის წყურვილი „იმ თვალ-გადაუწვდენლის სფეროში, სადაც ზოგადკაცობრიობის და-უსრულებელი საკირ-ბოროტო კიოთხვა-პასუხია რწმენისა და არ რწმენისა, მყოფობისა და არ მყოფობისა, საცა დალადებაა ყოველგვარი სულისკვეთებისა და ენებათა დუღვისა“<sup>7</sup> ყოველივე ამით თავისი ერის უცედავმა შეიღმა, რომელსაც გულში მუდამ დარდად ჰქონდა „ბედი ქართლისა“, ბედი მის

1 ი. კვაკვაძე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 177.

2 ი. კვ. ე., გვ. 175.

3 ი. კვ. ე., გვ. 176.

4 ი. კვ. ე., გვ. 169.

5 ი. კვ. ე., გვ. 168.

6 ი. კვ. ე., გვ. 169.

7 ი. კვ. ე., გვ. 168.

1 ი. კვ. ე., გვ. 167.

2 ი. კვ. ე., გვ. 169.

3 ი. კვ. ე., გვ. 175.

4 ი. კვ. ე., გვ. 211.

5 ი. კვ. ე., გვ. 211.

6 ი. კვ. ე., გვ. 211.

7 ი. კვ. ე., გვ. 216.

მაშლიშვილისა,<sup>1</sup> ჩვენს გულთათქმას, ჩვენს  
 კვლავონებს დიდი განი და სიღრმე მისცა, კა-  
 ცობრობის წყურვილს ქართველელ თანამოზი-  
 არედ გაუხდა და კაცობრიული წყურვილის  
 მოსაძებლ წყაროს ქართველელ დაწავთა. სწო-  
 რედ ამიტომ მიანდა ილიას ნ. ბარათაშვილი  
 „ბრწყინვალე წარმომადგენლად ევროპეიზმისა.“

ქართული მწერლობის ახალი მიმართულე-  
 ბის — ევროპეიზმის ერთ მთავარ ნიშნად ილია  
 ჭავჭავაძე, გარდა ზემოაღნიშნულისა, დაბალ  
 სოციალური ფენებისადმი ვალეიმებულ ინტე-  
 რესს მიიწინვდა და თუ გიორგი ერისთავის დიდ  
 ღვაწლად იმას თვლიდა, რომ მან პირველი ქარ-  
 თული ეურნალის დაარსებით საშუალება მის-  
 ცა „ჩვენთა აზრთა ღენას მიწიდან გარეთ გამო-  
 სულიყო“<sup>2</sup> და გარდა ამისა, „სათეატრო მწერ-  
 ლობის მუშაობთაგანმა“ „ჩვენს პოეზიას ჩაუმტა-  
 ის პირწყვეტიანი ეკალ, რომელსც „სატირას“  
 ეძახიან და რომელიც „ზოგჯერ გამოსაკეთებ-  
 ლად აწულულებს ზოლზე იმას, ვისაც კი დაეძ-  
 გერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს“.<sup>3</sup>  
 „მისგანვე ფრთასხმული“ ანტონოვის საგანგებ-  
 ბო დამსახურებად „შედაბო ხალხს“ ცხოვრების  
 ასახვას თვლიდა, „მწერლობის ამ მხრივ მიმარ-  
 თულუბის მავალითად რაცხდა“<sup>4</sup> და ამტკიცებდა,  
 ანტონოვმა „თავის ისტატს (გ. ერისთავს, ღ. ლ.)  
 გაასწრო, მის ეიწროთ მოუდანს ლობეები შორს  
 გაუდგა და ეგრეთწოდებული მდაბიო ხალხის  
 უფთა-ცხოვრება, აე-კარგვიანობა, მისი ზენ-  
 ჩეულებმა ცოტათ თუ ბევრად დაგვანახავა“.<sup>5</sup>  
 მაგრამ იმ მწერლად, რომელსაც პირველად აღი-  
 მალდა ხმა „სამწუდ უსამართლოდ ჩაგრულთათ-  
 ვის“ ილია ჭავჭავაძე მიანიც რაფიელ ერისთავს  
 აღიარებდა, რომლის კაცთმოყვარე გულმა ბა-  
 ტონ-ყმობის გადაეარღნამდე დიდი ხნით ადრე  
 „იგრძნო უმართლობა მისი“. მართალია, რაფი-  
 ელ ერისთავის გმირები უსამართლობის წინააღ-  
 მდეგ ამხედრებულნი, გმირული სულისკვეთებით  
 გამსკეპულნი მებრძოლები არ არიან და თა-  
 ვიანთ ზედს დამორჩილებულნი, მძლე პრო-  
 ტესტს კი არ გამოთქვამენ, არამედ, ჭედმობრი-  
 ლნი, შებრალუბას ითხოვენ. მაგრამ რაფიელ  
 ერისთავმა მიიწე „პირველმა დაჰპრა ენა ადა-  
 მიანის გავაბაიურებულ ღირსებისათვის და ჩა-  
 მოავდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფ-  
 ლუბას აღსახსნელად და აღსადგენად“.<sup>7</sup>

მაგრამ ანტონოვიც და რაფიელ ერისთავიც,  
 ილია ჭავჭავაძის მიხედვით, პირველი მერცხლე-  
 ბი იყენენ მხოლოდ, თითო-ორთა მავალი-

თი ქართული მწერლობისა, რომელიც სამო-  
 ციან წლებამდე, არსებითად „ჩვენს დიდ-კა-  
 ცობის გულთათქმას დაძვრუწინებდა“.<sup>8</sup> სამო-  
 ციანი წლების ქართული ლიტერატურის თეო-  
 სობრივი განსვავება კი წინამორბედ მწერლო-  
 ბასთან შედარებით, ილია ჭავჭავაძის აზრით, ის  
 არის, რომ მან „ეიწროდ შემოღობილს სარბი-  
 ელს ჩვენს პოეზიასს“ თავისი ტალღა გაჰქარა,  
 ლიტერატურის მოქმედების არე გაათართოვა და  
 უფრადლების ცენტრში „მდაბიოთა ცხოვრება“  
 დააყენა, ანუ, როგორც ილია წერს: „ამ ხანში  
 მოღუწეებმა მიადგნს, რომ მდაბიოთა ცხოვრე-  
 ბაშიაც არის ადამიანური გულთათქმა; რომ  
 შედაბიოთა გული იგვ ზღუა, საცა თუ არ მე-  
 ტრ, ნაყლები მარგალიტები არ არის გლოვისა  
 და სინაბრისა, ჭირისა და ლხინისა“, რომ  
 „შედაბიოთა აქეთ თავისი იდეალური, თავისი სა-  
 ნატრელები, იღონდ კი კაცს მდელი ჰქონდეს  
 ამაჰბის დანახვისა, ამაჰბის გამოხატვისა“.<sup>9</sup>

როგორც ცნობილია, „მდაბიოთა ცხოვრებას“  
 ევროპის ლიტერატურაში პირველად განმანათ-  
 ლებებმა მიაჰყრეს უფრადება, მთ აქციეს  
 მხატვრული ლიტერატურის დადებით გმირად  
 დამალი წრიდან გამოსული ადამიანი და დაამ-  
 ვეიდრეს მწერლის უფლება, გამოეხატა უბრა-  
 ლო ადამიანის შალაი გრძნობანი, არანაკლებ  
 შალაი იდეალები და გმირული საქმიანობა.  
 მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ევროპე-  
 იზმის გზაზე დამდგარ ქართულ ლიტერატურა-  
 ში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უქონელ-  
 თა და უნუგეშოთა ბედმა, „ვის სიოცლელ  
 ტანჯვად გადაქცევია შოვნისათვის მხოლოდ  
 ღუქმა პურისა“ და ილია ჭავჭავაძემაც საგან-  
 გებოდ აღნიშნა ქართული მწერლობის ახალი  
 მიმართულუბისათვის დამახასიათებელი ეს მოვ-  
 ლენა, მაგრამ უპირველეს ღირსებად ამ მიმარ-  
 თულუბისა ილიას ის მიანდა, რომ მან, განსა-  
 კეთრებით სამოციანი წლებიდან მოყოლებული,  
 გამოაბრწყინა „დაუიწყებელი სიტყვა „მამული“  
 მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდე-  
 ბულ მნიშვნელობითა“. სამოციანი წლების მე-  
 ოხეობითა და ღვაწლით სამშობლოს ბედმა, მის-  
 მა იწუქომ და მიმავალმა კვლავ დაიჭირა ჩენ-  
 ნში კუთვნილი ადგილი, „ეთიარტა მზემ და თა-  
 ვისი სხვიოსანი შუქი მოჰფინა მთელს სიგრცეს  
 ჩენნი ცხოვრებისა“.<sup>10</sup> პატრიოტიზმის ეს შალაო  
 გრძნობა კი განუყრელად არის დაკავშირებული  
 ევროპეიზმის ილიასეულ გავგებახთან.

ევროპეიზმის პრობლემისადმი ქართული ლი-  
 ტერატურული კრიტიკის ინტერესი განსაკუთ-  
 რებით იზრდება XIX ს. სამოციანი წლებიდან  
 და მკიდროდ არის დაკავშირებული ე. წ. „მამა-  
 თა და შვილთა „ბრძოლასთან.

1 იქვე, გვ. 219.  
 2 იქვე, გვ. 219.  
 3 იქვე, გვ. 219.  
 4 იქვე, გვ. 222.  
 5 იქვე, გვ. 222.  
 6 იქვე, გვ. 224.  
 7 იქვე, გვ. 229.

1 იქვე, გვ. 229.  
 2 იქვე, გვ. 225.  
 3 იქვე, გვ. 225..

რამაზ კატარიძე

### ქართული ასომთავრული

ქართული ასომთავრული „ღან“-ის საკრალური რიცხვითი მნიშვნელობა ქართული ანბანის სტრუქტურის საფუძველზე უნდა გაირკვეს.

როგორც ითქვა, ქართულ ასომთავრულ ანბანში შვიდეულების მწკრივია „ღან“-ი მე-4 შვიდეულშია, სადაც სემურ-ბერძნულ-ქართულ ასო-ნიშანთა ერთობლიობაა და ე. წ. სამეზის პრინციპია განხორციელებული. შეიძლება ითქვას, ასო „ღან“-ი სამეზის პრინციპის შვიდეულში ზის. თვით ასო „ღან“-ი სამეზის პრინციპს აზორციელებს, რადგან იგი ერთდროულად „სემური“, „ბერძნული“ და საკუთრივ ქართული გრაფემაა.

ახლა ამოსაცნობია ასო „ღან“-ის რიცხვი, რადგან პითაგორიანული მოძღვრების თანახმად, რიცხვი არსის ქეშპირტი რაობაა როგორც ითქვა, ქართულ ასომთავრულ ანბანში ორი ანბანური ნაწილია: „უცხოური“ ანბანური ნაწილი „ან“-იდან „ქან“-ამდის და საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილი „ღან“-იდან „ჯან“-ამდის. „უცხოური“ ანბანურ ნაწილს „ან“-ი იწყებს, ხოლო ქართულ ანბანურ ნაწილს „ღან“-ი. ამდენად ერთგზის ასო „ღან“-ი პირველი გრაფემაა, ხოლო პითაგორიანული მოძღვრე-

ბის თანახმად იგი ერთია, საწყისი და დასაბამია რიცხვისა საერთოდ.

შემდეგ, როგორც უკვე გამოიკვია, ქართულ ასომთავრულ ანბანში სამი ანბანური ჯგუფია: „სემური“, „ბერძნული“ და ქართული. „სემური“ ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა „ან“-ია, „ბერძნული“ ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა „ვე“-ა, ხოლო ქართული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა „ღან“-ია. ამგვარად, ქართული ასომთავრული ანბანის სტრუქტურის საფუძველზე, ასო „ღან“-ი კვლავ პირველი გრაფემაა. როგორც ქვემოთ გაირკვევა, პითაგორიანული ასტრალური კონცეფციის თვალსაზრისით ასო „ღან“-ი პირველი ასტრალური სხეულია და ამდენად იგი ქართულ ასომთავრულ ანბანში სამეზის პირველი გრაფემაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ასომთავრულ „ღან“-ში კვლავ სამეზის პრინციპი დევს.

მაგრამ იმისათვის, რომ ასო „ღან“-ის ასტრალური რაობა ამოვიცნოთ, ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ქართულ ანბანში ასო „ღან“-ი, ერთი თვალსაზრისით, პირველი გრაფემაა, მაგრამ სხვა შემთხვევაში იგი არც არის პირველი გრაფემა.

თუ კვლავ ქართული ანბანის შვიდეულების მწკრივს გავითვალისწინებთ, ასო

დასასრული. იხ. „მნათობი“, №№ 1, 2, 3, 6, 7, 8.

„ლან“-ი მე-4 შეიდეულში ზის. ეს „ლან“-ის შეიდეულია, რომელიც მთავარის სრული ციკლის შეიდეულებს არ განეკუთვნება. ე. ი. ერთგზის ასო „ლან“-ი მე-4 ადგილზე ზის; „ლან“-ის მე-4 შეიდეულში „ლან“-ი მე-4 ადგილზე ზის, ე. ი. მეორეგზის ასო „ლან“-ი კვლავ მე-4 ადგილზე ზის; ქართულ ასომთავრულ ანბანში სულ შეიდეი იდეოგრაფია-აკროფონია. ამ შეიდე იდეოგრაფია-აკროფონს შორის, თუ ეს იდეოგრაფია-აკროფონები ანბანური თანამიმდევრობით ამოვკრიფეთ, „ლან“-ი კვლავ მე-4 ადგილზე ზის. ე. ი. სამგზის ასო „ლან“-ი ქართულ ანბანში მე-4 ადგილზე ზის.

როგორც უკვე ითქვა, თუ „ლან“-ი იდეოგრაფიულად ღვთის კარია, ამ ასონიშანში უხილავი ღმერთი ზის, ე. ი. ასტრალურად იგი მე-4 ცაზეა. შეიდე ცათაგან მე-4 ცა ცენტრალური ცაა და მზის ღვთაების ცაა. მაგრამ, როგორც უკვე ცნობილია, მზე-ღმერთის იდეოგრაფია-აკროფონი ქართულ ანბანში „ღონ“-ის ასონიშანშია განხორციელებული. ამის გამო საჭიროა განვავრძოთ ძიება. ოღონდ აქ უთუოდ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართულ ანბანში „ლან“-ი სამგზის პირველი გრაფემაა და სამგზის მე-4 ცაზე ზის, ე. ი. ჩემი თვალსაზრისით, ასო „ლან“-ი ასტრალური მნიშვნელობისაა და ამ ასონიშანში სამების საკრალური პრინციპია განხორციელებული.

როგორც ცნობილია, ქართულ ანბანში „ან“-მთვარის ღმერთის საკრალური რიცხვი შეიდეია, ხოლო „ღონ“-მზის ღმერთისა კი ცხრა ახლა ამოსაცნობია „ლან“-ასონიშნის საიდუმლო, საკრალური რიცხვი.

უკვე გამოირკვა, რომ ქართული ასომთავრული „ლან“-ი გრაფიკულად მე-16 ფინიკიური ასონიშნის ინვერსიული ფორმაა, ხოლო ფონემურად მე-16 ფინიკიური ასონიშნის მნიშვნელობისაა. ამიტომ თავისი წარმომავლობით და არსით მე-16 ფინიკიური ასონიშანია ე. ი. მისი რიცხვი არის 16, ხოლო მისი რიცხვითი მნიშვნელობა შესაბამისად

არის 70 (მე-16 ასონიშანს ფინიკიურ და ქართულ ანბანებში 70-ის რიცხვითი მნიშვნელობა აქვს). უნდა დავასკვნათ: ერთგზის ასო „ლან“-ის საკრალური რიცხვითი მნიშვნელობა არის 7, რადგან 16 და 70 თეოსოფიურად იგივე წმინდა რიცხვი შეიდეია;

ქართული ასომთავრული „ლან“-ი ქართულ ანბანში 25-ე ასონიშნად ზის და მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 700. უნდა დავასკვნათ: მეორეგზის ასო „ლან“-ის საკრალური რიცხვითი მნიშვნელობა არის 7, რადგან 25 და შესაბამისად 700 თეოსოფიურად იგივე წმინდა რიცხვი შეიდეია ( $2+5=7$ ;  $700=7$ ).

ქართულმა ასომთავრულმა „ლან“-მა, როგორც უკვე ცნობილია, მე-16 ადგილიდან ქართულ ანბანში 9 ასონიშნით გადაინაცვლა და 25-ე ადგილზე დაჯდა. ამიტომ მისი გრაფიკულ-ფონეტიკური რაობა შეიძლება ზუსტად გამოიხატოს ფორმულით:  $25=16+9$ . ამ ფორმულით „ლან“-ის საკრალური რიცხვი კვლავ შეიდეია.

უნდა დავასკვნათ: „ლან“-ის წმინდა რიცხვი სამგზის შეიდეია და ამ ასონიშანში კვლავ სამების საკრალური პრინციპია განხორციელებული; უფრო მეტიც: ასო „ლან“-ი სამგზის პირველი გრაფემაა, სამგზის მე-4 ადგილზე ზის და სამგზის მისი საკრალური რიცხვი შეიდეია.

ამგვარად, თუ ასო „ლან“-ი მართლაც უხილავი ღმერთის სამყოფელია, ამოსაცნობია მისი ასტრალური რაობა.

როგორც ცნობილია, ქართულ ანბანში „ან“-მთვარის ღმერთის ზოომორფული სიმბოლო ხარია, ხოლო „ღონ“-მზის ღმერთისა—თვალი. თუ „ლან“-ღვთის კარია, ცხადია უხილავი ღმერთი ასტრალური სხეულია და ამდენად ამოსაცნობია მისი სიმბოლო. როგორ ამოვიცნოთ უხილავი ღმერთის სიმბოლო? ამის წინ უკვე ითქვა, რომ ასო „ლან“-ის რაობა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით:  $25=16+9$ .

ასო „ლან“-ი მე-16 ფინიკიური ასონიშნის მნიშვნელობისაა. მე-16 ფინიკი-

ური ასო-ნიშანი კი თვალის იდეოგრა-  
მა-აკროფონია, ხოლო მე-16 ასო-ნიშ-  
ნის სახელი „იან“ ფინიკიურად თვალს  
ნიშნავს. ამიტომ ერთგზის ასო „ღან“-ი  
თვალაია (25=16). მე-16 ფინიკიური  
გრაფემა ქართულ ანბანში 9 ასო-ნიშ-  
ნით გადაადგილდა. ე. ი. ფინიკიურ  
თვალს დაემატა ქართული ასომთავრუ-  
ლი თვალი: როგორც უკვე ცნობილია  
„თან“—ქართული ასომთავრული თვა-  
ლის იდეოგრამა-აკროფონის რიცხვი-  
თი მნიშვნელობა არის ცხრა. ამიტომ  
მეორეგზის ქართული ასომთავრული  
„ღან“-ი კვლავ თვალაია (25=16+9);

ცხადია ამავე ფორმულაში, სადაც  
რიცხვები 16 და 9 თვალაია, 25 აგრეთვე  
თვალაია. ე. ი. „ღან“-ის არსი და რაობა  
მესამე გზის თვალაია. ვფიქრობ, უბილა-  
ვი ღმერთის სიმბოლო ქართულ ასომ-  
თავრულ ანბანში თვალაია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შე-  
იძლება გამოვიტანოთ ზოგადი ხასიათის  
დასკვნა:

1. ასო „ღან“-ის შვიდეულში განხორ-  
ციელებულია სამების პრინციპი;
2. ასო „ღან“-ი სემურ-ბერძნულ-ქარ-  
თული გრაფემა და ამდენად იგი სამე-  
ბის პრინციპს ახორციელებს;
3. ასო „ღან“-ი ანბანში სამგზის პირ-  
ველი გრაფემაა;
4. ასო „ღან“-ი ქართულ ანბანში სამ-  
გზის მე-4 ადგილზე ზის;
5. სამგზის ასო „ღან“-ის რიცხვი შვი-  
დია;
6. სამგზის ასო „ღან“-ის სიმბოლო  
არის თვალი.

ვიდრე ასო „ღან“-ის ასტრალურ რა-  
ობას გავარკვევდეთ, ჯერ ასო-ნიშნის  
სამების პრინციპი უნდა განიმარტოს.

საერთოდ, ქართული ანბანის სამების  
პრინციპი (ქართული ანბანის სამი ან-  
ბანური ჯგუფი: „ღან“-ის სამების პრინ-  
ციპი; შვიდეულების სამება ქართული  
ანბანისა — სამი, ოთხი და ხუთი შვიდე-  
ულისა და სხვ.) ვფიქრობ, პითაგორიან-  
ულ მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ.

პითაგორიანული მოძღვრების თანახ-  
მად რიცხვი არის ქემბარიტი რაობა არ-

სისა. რიცხვში ცხადდება არსის საი-  
ღუმლო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელო-  
ბა ენიჭება პითაგორიანულ მოძღვრე-  
ბის ერთებას. ერთების უპირველესი გა-  
მოხატულება პითაგორიანულ მოძღვრე-  
ბაში სამებაა.

ამ საკითხის სპეციალისტი ს. ნ. ტრუ-  
ბეცკოა წერს:

«Тройца есть первое явление еди-  
ного... Она есть первое раскрытие  
абсолютности единого... Тройца яв-  
ляет в себе начало, средину и кон-  
ец всякой вещи и всякого дейст-  
вия. Отсюда пифагорейцы утвер-  
ждают, что все и вся определяется  
тремя...»

Тройца, триада Пифагора есть  
живое число, определенная, кон-  
кретная сила единого... Тройца есть  
не случайное, но существенное, ко-  
ренное проявление единства»<sup>1</sup>.

ვფიქრობ, ქართულ ანბანში განხორ-  
ციელებულია ერთების პითაგორიანუ-  
ლი მოძღვრება — სამების პრინციპი.

ჩვენი კვლევა-ძიებისათვის მნიშვნე-  
ლობა ენიჭება ერთ გარემოებას: პითა-  
გორიანულ მოძღვრებაში რიცხვი გაი-  
ვრცელებული იყო გეომეტრიულ სხეულებ-  
თან. ამიტომ რიცხვს შეესაბამება გეო-  
მეტრიული სხეული და პირიქით, გეო-  
მეტრიულ სხეულებს რიცხვი. რიცხვი  
„ერთი“ პითაგორიანული გაგებით არის  
საწყისი საერთოდ რიცხვისა, მაგრამ  
მასში ჯერ კიდევ გამოვლენილი არ არ-  
ის ერთება. პითაგორიანული თვალსაზ-  
რისით წერტილი არის სივრცეული „ერ-  
თი“ და ამიტომ მას ჯერ განზომილება  
არა აქვს; გეომეტრიული სწორი ხაზი  
სივრცეული „ორია“, იგი უსასრულოა,  
არც საწყისი აქვს და არც დასასრული.  
ამიტომ „ორი“ უარყოფითი რიცხვია.  
რაც შეეხება „სამს“ იგი პირველი გეო-  
მეტრიული სხეული, პირველი გეომეტ-  
რიული სიბრტყეა. „სამი“, „სამება“ —  
სამკუთხედი.

ა. ფ. ლოსკეი წერს:  
«Тройка была с пифагорейской  
точки зрения наличием трех разных

<sup>1</sup> Собрание сочинений С. Н. Трубецкого,  
том III. Метафизика в древней Греции, М.,  
1916, стр. 185.

была не только двумя точками, определяющими собою прямую, но еще и третьей точкой за пределами этой прямой, в результате чего получалась уже плоскость»<sup>1</sup>.

ამგვარად, სამკუთხედი, პითაგორიანული მოძღვრებით, არის ერთების პირველი გამოვლენა. იგია პითაგორიანული სამეზბა ანუ ტრიადა.

ქართულ ასომთავრულ „ღან“-ში განხორციელებულია პითაგორიანული მოძღვრების სამეზბის პრინციპი და ამდენად მისი გეომეტრიული ნიშანია სამკუთხედი.

რა მნიშვნელობა ენიჭებოდა სამკუთხედს ბერძნულ პითაგორიანულ მოძღვრებაში?

ამის შესახებ ა. ფ. ლოსევი წერს:

«Согласно пифагорейскому учению треугольник есть первое оформление жизни после простой и неразвернутой точки и после неопределенной, уходящей в бесконечность двойцы... Пифагорейское значение, тройки всем хорошо известно: основной жизненный треугольник»<sup>2</sup>.

ამგვარად, სამკუთხედი პითაგორიანული სამეზბის გეომეტრიული ნიშანი და სიცოცხლის უპირველესი სიმბოლო იყო.

თუ ერთის მხრივ სამკუთხედი სიცოცხლის უპირველესი ნიშანია, მეორეს მხრივ პითაგორიანულ მოძღვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართკუთხა სამკუთხედს, რომლის არსში პითაგორიანული კვადრატული პარამონია დევს. მართკუთხა სამკუთხედი პითაგორიანული რიცხვებია: კათეტებისა 3 და 4, ხოლო ჰიპოტენუზისა — 5. საყოველთაოდ ცნობილი პითაგორას თეორემა სწორედ კვადრატული პარამონიის პრინციპზეა აგებული: მართკუთხა სამკუთხედის კათეტების კვადრატების ჯამი ჰიპოტენუზის კვადრატის ტოლია რადგან ჰიპოტენუზას რიცხვი არ-

ის 5, ხოლო კათეტებისა 4 და 3, ამიტომ პითაგორას თეორემის  $3^2 + 4^2 = 5^2$  განტოლება ასეთი იქნება  $9 + 16 = 25$  მართლაც  $25 = 16 + 9$ .

ახლა საკმარისია ქართული ასომთავრული „ღან“-ის გრაფიკულ-ფონეტიკური რაობა გავიხსენოთ— $25 = 16 + 9$ , რომ დავერწმუნდეთ: ქართულ ასომთავრულ „ღან“-ში მართკუთხა სამკუთხედის პითაგორას თეორემა დევს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პითაგორას თეორემა კვადრატული რიცხვების პარამონიის პრინციპზეა აგებული. თუ კენტ რიცხვს თანმიმდევრულად კენტ რიცხვებს მივუმატებთ, კვადრატული რიცხვების თანმიმდევრულ მწკრივს მივიღებთ (მწკრივის საწყისს კენტ პირველ რიცხვს მომდევნო კენტი რიცხვი არ ემატება, რადგან 1 კვადრატული რიცხვიც არის  $1^2 = 1$ ).

თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ კენტი რიცხვების თანმიმდევრულ ჯამს ათის ფარგლებში (10—პითაგორიანულ სწავლებაში სრულყოფილი რიცხვია):

- 1 და  $1^2 = 1$
- 1+3 და  $2^2 = 4$
- 1+3+5 და  $3^2 = 9$
- 1+3+5+7 და  $4^2 = 16$
- 1+3+5+7+9 და  $5^2 = 25$

ცხადია, კენტი რიცხვების თანმიმდევრული ჯამი გვაძლევს კვადრატულ რიცხვებს. ამ თვალსაზრისით ათის ფარგლებში კვადრატული რიცხვები იქნება 1, 4, 9, 16, 25. ამ რიცხვების მნიშვნელობა ქართულ ანბანში უკვე ცნობილია.

კვადრატულ რიცხვებში შეიძლება მოიძებნოს ორი ისეთი კვადრატული რიცხვი, რომელთა ჯამი ისევ კვადრატული რიცხვის ტოლი იქნება. ათის ფარგლებში ასეთი განტოლების ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, ე. ი. კვადრატული განტოლების უმარტივესი თეორემა:  $3^2 + 4^2 = 5^2$ . შეიძლება დავასკვნათ: „ღან“-ის გეომეტრიული ნიშანია მართკუთხა სამკუთხედი, ხოლო მართკუთხა სამკუთხედის რიცხვებია 3, 4 და 5.

<sup>1</sup> А. Ф. Лосев. История античной эстетики. М., 1969, гл. 322.

<sup>2</sup> А. Ф. Лосев. Дасახელებული შრომა. გვ. 322.

როგორც აღვნიშნე, „ღან“-ის შეიდე-  
ული ქართული ასომთავრული ანბანის  
შეიდეგულების სისტემას აერთიანებს.  
უკვე მქონდა საუბარი ქართული ანბანის  
3, 4 და 5 შეიდეგულის შესახებ.  
ქართულ ანბანის სამების პრინციპს,  
ვფიქრობ, ქართული ასომთავრული  
„ღან“-ის სამების პრინციპი აერთიანებს.  
ე. ი. ქართული ანბანის 3, 4 და 5  
შეიდეგულის ერთების იდეა ასო „ღან“-  
ის პითაგორას თეორემის მეშვეობით  
ხორციელდება:

$$(3 \times 7)^2 + (4 \times 7)^2 = (5 \times 7)^2$$

$$21^2 + 28^2 = 35^2$$

$$441 + 784 = 1225$$

$$1225 = 1225$$

რიცხვი 1225 არის პითაგორიანული  
მოდერების სრულყოფილი, ყოვლის-  
მომცველი რიცხვი 10 ( $1+2+2+2+5=10$ ).  
ქართულ ასომთავრულ ანბანში  
განხორციელებულია პითაგორიანული  
ერთებისა და პითაგორიანული  
კვადრატული პარამონიის პრინციპი.

კვადრატული პარამონია, დიდი ბერძენი  
ფილოსოფოსის პლატონის პითაგორიანული  
თვალსაზრისით, მარადიულობისა და  
უცვლადების სიმბოლოა. შესაძ-  
ლოა ვიფიქროთ, რომ ქართულ ასომთავ-  
რულ ანბანში განხორციელებულია ყოვე-  
ლადი, კოსმოსური ერთებისა და მარა-  
დიულობისა და უცვლადების პითაგორიანული  
იდეა.

ეს რაც შეეხება ასო „ღან“-ის სამე-  
ბის პრინციპს.

ახლა გასარკვევია ასო „ღან“-ის ასტ-  
რალური რაობა.

როგორც უკვე აღვნიშნა ასო „ღან“-ი  
მე-4 ადგილზე ზის და მისი რიცხვი არ-  
ის 7. გარდა ამისა ასო „ღან“-ი პირვე-  
ლი გრაფემაცაა, რადგან სამგზის საწყის  
პირველ ასო-ნიშნად ზის.

რაკი ასო „ღან“-ი მე-4 ადგილზე ზის,  
ასტრალურად იგი თითქოს მზე უნდა  
იყოს, მაგრამ როგორ აიხსნას ამ შემთხ-  
ვევაში მისი რიცხვითი მნიშვნელობა—  
7?

ასო „ღან“-ი ერთდროულად პირველი  
ასტრალური სხეულიცაა და მეოთხეც.

ხოლო მისი რიცხვი შეიდეგა ვფიქრობ,  
ასო „ღან“-ის ასტრალური რაობის გამო-  
ცნობა პითაგორიანული ასტრალური  
კონცეფციის საშუალებით შესაძლებელ-  
ია.

პითაგორიანულ მოძღვრებაში რიცხ-  
ვი 10 განსაკუთრებული მნიშვნელობე-  
ბისაა იგი სამყაროს ერთების, მთლიანო-  
ბის რიცხვია. ს. ნ. ტრუბეცკოი წერს:

«Внутреннее тождество единицы и декады искони составляло излюбленную тему пифагорейских умозрений. «Десятка» есть единица в высшем порядке и знаменует собою полноту чисел... Десять объемлет собою всю силу числа... Она есть начало человеческой небесной и божественной жизни, ее предводительница и устроятельница»<sup>1</sup>.

პითაგორიანულ მოძღვრებაში მეტა-  
ფიზიკური რიცხვი მიჩნეული იყო კოს-  
მოსურ ძალად და მიზნად. სამყარო პი-  
თაგორიანული ფილოსოფოსის კონცეფ-  
ციით შედგებოდა 10 ციური სხეულისა-  
გან. რიცხვები 4 და 7 საშუალო პრო-  
პორციული რიცხვებია 1-დან 10-მდე:  
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10. ფილო-  
ლოსის ასტრალურ სამყაროში მზეს  
მიკუთვნებული აქვს მე-4 და მე-7 ადგი-  
ლები და ამიტომაც იგი ასტრალურ ცე-  
ნტრად, შუაგულად იყო მიჩნეული. ფი-  
ლოლოსის ასტრალურ სისტემაში მზის  
რიცხვი არის 7. ყოველივე ამის გარდა  
ფილოლოსის ასტრალური კონცეფცი-  
ით, მზე არის მხოლოდ ხილული წარ-  
მომადგენელი უხილავი ღვთაებისა —  
სამყაროს შუაგული ცეცხლისა. თავისი  
არსით იგი ერთია, პირველია, საწყისია  
საერთოდ რიცხვისა და მთელი სამყარო  
ამ პირველ საწყისიდან არის წარმოშო-  
ბილი.

«ცენტრი, ამბობს ფილოლოსი, თავი-  
სი ბუნებით პირველია, რომლის გარშე-  
მო ათი ღვთაებრივი სხეული ბრუნავს:  
უძრავ ვარსკვლავთა ცა, ხუთი ცთომი-  
ლი, მზე, მთვარე, დედამიწა და ანტიქ-  
ტონი»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> С. Н. Трубецкой. Метафизика в древней Греции. М., 1910. გვ. 33, 184, 188.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 199.

ფილოლაოსის ასტრალური კონცეფცია თავისი არსით ფაქტიურად ჰელიოცენტრიულია. ეს იყო ასტრონომიული აზროვნების უდიდესი მიღწევა გეოცენტრიული სისტემის ეპოქაში- პითაგორიანელი ფილოლაოსი მოღვაწეობდა ძვ. წელთრიცხვის მე-5 საუკუნეში. გარდაიცვალა V-IV საუკუნეთა მიჯნაზე.

ქართული ასომთავრული „ლან“-ი ფაქტიურად ცენტრალური ასო-ნიშანია ქართულ ანბანში. თავისი სამების არსითა და პითაგორას თეორემით იგი აერთიანებს ქართული ანბანის ასო-ნიშნებს „ან“-იდან „ლან“-ამდე (ჩათვლით):  $25 = 16 + 9$ ; ასო „ლან“-ი აერთიანებს ქართული ასომთავრული ანბანის შვიდეულების სისტემას. თუ ეს მართლაც ასეა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასო „ლან“-ი როგორღაც უნდა აერთიანებდეს ქართულ ასო-ნიშნებს „ლან“-იდან „ჯან“-ამდის.

თუ ასო „ლან“-ი მართლაც უხილავი ღმერთია, რომლის ხილული ასპექტი ამქვეყნიური მზეა; თუ ასო „ლან“-ში მართლაც გათვალისწინებულია ფილოლაოსის ასტრალური კონცეფცია, უნდა

ვიფიქროთ, რომ „ლან“-ი სამყაროს შემოქმედი უხილავი ღმერთია და მის გარშემო ათი ციური სხეული შემოქმედა (ასეთია უხილავი ღმერთის ფილოლაოსისეული გაგება).

ალსანიშნავია, რომ ქართულ ანბანში „ლან“-ის შემდგომ მართლაც 10 ასო-ნიშანია (ანბანი მთავრდება დასასრულის მალწყებელი „ჯან“-ასო-ნიშნით).

არ არის გამორიცხული, ქართული ანბანის შემოქმედს გათვალისწინებული ჰქონდეს სამყაროს აგებულების პითაგორიანული ასტრალური მრწამსი.

ასეთია ჩემი ვარაუდი- აქ წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებს შემდგომში უფრო გულდასმით, ვრცლად და დაწვრილებით შევხვები. ახლა ქართული ასომთავრული ანბანის „ლან“-ის მომდევნო ასო-ნიშნები განვიხილოთ.

ყ — არ

1. არქაული ფინიკური „კოფ“.
2. კლასიკური და საშუალო ფინიკური — „კოფ“.
3. ქართული ასომთავრული.
4. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4		
ϕ	ρ	ϑ	800		

ბერძნული ანბანის საკუთრივ ბერძნულ ანბანურ ჯგუფში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სემურ გრაფემებს არა სემური, არამედ ბერძნული ფონემური მნიშვნელობა აქვთ. ამდენად, სემურ ნიშნებსა და მათ ბერძნულ მნიშვნელობას შორის ფონემური შეუსაბამობაა. ეს ფონემური შეუსაბამობა ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში რამდენადმე დაძლეულია. „ლან“-ის მაგალითით ცხადი დახდა, რომ ფინიკური მე-16 „აინ“ გრაფემას უკანაენისმიერი „ლ“ — მკლერი-სპირანტის მნიშვნელობაც ჰქონდა, ხოლო ქართული ანბანის ქართულ ანბანურ ჯგუფში „ლან“

ფონემის გამოსახატავად სწორედ მე-16 ფინიკური „აინ“ გრაფემა გამოყენებული.

იგივე უნდა ითქვას ქართული „ყარ“ ასო-ნიშნის გამო. მაგრამ ჯერ იმის შესახებ, თუ რატომ ზის ქართული „ყარ“ მე-2 ასო-ნიშნად ქართული ანბანის ქართულ ანბანურ ჯგუფში- როგორც ცნობილია ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში გამოყენებულია ყველა სემური ასო-ნიშანი, გარდა მე-19 „კოფ“ ასო-ნიშნისა.

რადგან „ლან“ ასო-ნიშნით ქართულ ანბანში „სემურ-ბერძნული“ ანბანური მწკრივი დამთავრდა, ამიტომ ქართული



ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულ სემურ „კოფ“ გრაფემის, ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში ფაქტიურად „ღან“-ის შემდგომ პირველი ადგილი მიეკუთვნა. „კოფ“ — სემური გრაფემის ანტიფორმას ქართულ ანბანურ ჯგუფში ბგერათმსგავსების პრინციპის საფუძველზე ყ — არ ფონემის მნიშვნელობა მიენიჭა.

**შეიძლება დავასკვნათ:** ქართული ასომთავრული ყ-არ ასო-ნიშანი შექმნილია მე-19 ფინიკიური „კოფ“ ასო-ნიშნის გრაფიკული მოხაზულობის საფუძველზე. ქართული ყ-არ ფინიკიური „კოფ“ ასო-ნიშნის ანტიფორმაა: ყ-არ ასო-ნიშანს საფუძველად დაედო ფინიკიური გრაფემის არა არქაული, არამედ კლასიკური და საშუალო ფინიკიური გრაფემის ფორმა; ყ-არ ასო-ნიშნით ამოიწურა სემური და ბერძნული გრაფემების ანბანური შესაძლებლობა,

„ფსი“ — ბერძნული ასო-ნიშნის გამოყენებით, რომელიც ქართულ ანბანში საერთოდ გამოუყენებელია.

საერთოდ ფინიკიური „კოფ“ ქართულ ანბანში გამოყენებულ იქნა ორჯერ: პირველად ქართული ანბანის „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში ფ-არ ფონემის გადმოსაცემად გამოყენებულია „კოფ“-ის არქაული ფინიკიური ფორმა, ხოლო მეორედ ყ-არ ფონემის გასახატავად გამოყენებულია კლასიკური თუ საშუალო ფინიკიური გრაფემის ანტიფორმა.

შ — ინ

1. საშუალო ფინიკიური „სინ“, „შინ“.
2. ქართული „სან“-ის შექმნის მეთოდი (გრაფემა 90°).
3. ქართული ასომთავრული „სან“.
4. ქართული „ანტი — სან“-ი.
5. ქართული ასომთავრული „შინ“.
6. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ⵍ	ⵎ	ⵏ	ⵐ	ⵑ	900

ქართული ასომთავრული „შინ“ შექმნილია ფინიკიური ანბანის 21-ე ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. ამ ასო-ნიშანს ფინიკურში ორი ფონემური მნიშვნელობა ჰქონდა: სისინა „სინ“-ის და შიშინა „შინ“-ისა.<sup>1</sup> ქართული ასომთავრული „სან“-ი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში, როგორც უკვე ცნობილია, შექმნილია ფინიკიური „სინ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე (იხ. ტაბულის 1, 2, 3 უჯრედები). რაც წეებება ქართულ ასომთავრულ „შინ“-ს, მისი გრაფიკა, შეიძლება ითქვას, მეორეულია, რადგან გრაფიკულად ეს ასო-ნიშანი ქართული ასომთავრული „სან“-ის ანტიფორმაა (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი). დამატებით გრაფიკულ ელემენტად „სან“-ის ანტიფორ-

მას „შინ“-ს ზემო რგოლი აქვს მიმატებული. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია როგორც ზოგადი, კერძოდ ბერძნული პალეოგრაფიული პრინციპი, აგრეთვე ქართული ასომთავრულის გრაფიკული პრინციპებიც (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი).

ერთი რამ უდავოა, ფინიკიური ანბანის ერთერთი სანის, კერძოდ „სინ“ გრაფემის საფუძველზე ქართულ ასომთავრულში შემუშავდა ორი ასო-ნიშანი — „სან“-ი და „შინ“-ი. ე. ი. ქართულ ასომთავრულში გათვალისწინებულია 21-ე სემური ასო-ნიშნის ფინიკიური ფონეტიკური მნიშვნელობა. ქართული „სან“-ი და „შინ“-ი ბერძნული და არამეული ფონეტიკით ვერ აიხსნება.

ჩ-ინ

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური „სსადე“.
2. ქართული ასომთავრუ-

<sup>1</sup> იხ. И. Ш. Шифмов, Финикийский язык. М. 1963. გვ. 23.

ლი „ჩინ“. 3. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

ქართული ასომთავრული ჩ — ინ ასონიშანი შექმნილია ფინიკური ანბანის

	1	2	3		
	ჩ	ხ	1000		

მე-18 — „სსადე“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. როგორც ზემოთ უკვე ითქვა „სსადე“ ფინიკურ ანბანში სამ „სან“-თავან ერთერთია.

ქართული ასომთავრულ „ჩინ“ ასო-ნიშნის გრაფიკაში შემონახულია ფინიკური „სსადე“ ასო-ნიშნის თავდაპირველი: არქაული და კლასიკური ფორმა;

ფინიკურ „სსადე“ და ქართულ ასომთავრულ „ჩინ“ გრაფემებს შორის ერთადერთი გრაფიკული სხვაობა ის არის, რომ ქართული ასო-ნიშნის რკალი ქვემოთ არის დაწეული. (იხ. ტაბულის 1, 2 უჯრედები). ეს ვითარება თავისთავად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ ასომთავრულის გრაფიკულ პრინციპებს: ასო „ჩინ“-ი გრაფიკულ კავშირს აშკარებს მომდევნო ასო-ნიშანთან.

აქ ერთ გარემოებას უნდა გაეწიოს

ანგარიში. ასო „ჩინ“-ი მსგავსად ქართული ასომთავრული „ნარ“-ისა ხაზოვან-რგოლური გრაფემაა და არა ხაზოვან-კუთხოვანი ამიტომ „ჩინ“ — ასო-ნიშნის ქვედა ტანი რკალური მოხაზულობისა უნდა იყოს და არა კუთხოვანი მოხაზულობისა.

საგულისხმოა, რომ ქართულ ნუსხურ დამწერლობაში „ჩინ“-ის რკალი კვლავ ზემოთ არის აწეული, რის გამოც მსგავსება ნუსხურ „ჩინ“-სა და ფინიკურ „სსადეს“ შორის უფრო თვალსაჩინოა.

ც — ან

1. კლასიკური ფინიკური „სამექ“.
2. ქართული ასომთავრული „მე“.
- 3, 4. ქართული ასომთავრული „ცან“.
5. ქართული ასომთავრული „ცან“-ის გვიანდელი ფორმა.
6. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ჭ	ხ	ც	ჯ	ც	2000

ქართული ასომთავრული „ცან“ შექმნილია ფინიკური „სამექ“ ასო-ნიშნის საფუძველზე. „სამექ“ — სამ — სან — თავან ერთერთი, მე-15 გრაფემაა ფინიკურ ანბანში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის მე-15 გრაფემა ვოკალიზებულია და „მე“ ნახევარსმოენის მნიშვნელობა აქვს. (იხ. ტაბულის 1, 2 უჯრედები).

რაც შეეხება ქართული ანბანური ჯგუფის „ცან“ გრაფემას (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი) იგი ქართული ანბანის მე-15 „მე“ — გრაფემის ინვერსიული ფორმაა. ამის გამო, ვფიქრობ, რომ 12. „მნათობი“, № 9.

„ცან“-ის ქვემო ზაზი თავდაპირველად მოკლე ვერტიკალური ზაზი უნდა ყოფილიყო (იხ. ტაბულის მე-2 და მე-3 უჯრედები), ე. ი. „მე“ გრაფემის ზემო მოკლე ვერტიკალი ინვერსიის შედეგად ქვემო მოკლე ვერტიკალურ ზაზად უნდა ქცეულიყო ასო-ნიშანი „ცან“-ი ქვემო ირიბი ზაზით, ასო-ნიშნის უფრო გვიანდელი ფორმა უნდა იყოს. (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი); ხოლო „ცან“-ი ქვემო ვერტიკალური თუ ირიბი ზაზის გარეშე (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი) კიდევ უფრო გვიანდელ მოვ-

ლენად უნდა მივიჩნიოთ (მცხეთის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა).

რადგან საკუთრივ ქართული ანბანური ჯგუფის ასო „ცან“-ი ქართული ანბანის „სემურ“ ანბანური ჯგუფის „აე“ ასო-ნიშნის ინვერსიული ფორმაა, ამიტომ თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ „აე“ ნახევარხმოვანი თავდაპირველი ასო-ნიშანია ქართული ანბანისა, ხოლო „ცან“, როგორც „აე“ — ნახევარხმოვნის ინვერსიული ფორმა მეორეული გრაფემაა ქართული ანბანისა.

ეს თვალსაზრისი ნაკლებ სარწმუნოა. ყოველ შემთხვევაში ასეთ ვარაუდს უფლება აქვს არსებობდეს.

შეიძლება სხვა თვალსაზრისიც გამოითქვას:

თუ მე-15 ქართულ გრაფემას თავდაპირველად „ც“ (ცან) ფონემის მნიშვნელობა ჰქონდა, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომ „აე“ ნახევარხმოვანის შემოღებისას, მე-15 გრაფემას მნიშვნელობა შეეცვალა და „აე“ — ნახევარხმოვნის მნიშვნელობა მიენიჭა, ხოლო „ცან“ ასო-ნიშნისათვის გამოყენებულ იქნა იმავე მე-15 გრაფემის ინვერსიული ფორმა და ამიტომაც „ცან“ ასო-ნიშანმა ქართული ანბანის ქართულ ანბანურ ჯგუფში გადაინაცვლა.

ასეთი ვარაუდის დასწრებისას ისიც უნდა დაეუშვათ, რომ არსებობდა ასომთავრულ დამწერლობაზე ადრინდელი — არქაული ქართული ანბანი.

უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანს შემდეგი:

როგორც „აე“ — ნახევარხმოვანი,

ასევე „ცან“ — ასო-ნიშანი, ოროვე შექმნილია ერთდროულად ფინიკიური ერთერთი „სან“-ის, ებრაული მე-15 „სამექ“ ასო-ნიშნის საფუძველზე.

ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში ფინიკურ ერთერთ „სან“-ს „აე“ — ნახევარხმოვნის მნიშვნელობა, ვფიქრობ ბგერათმეცნიერების პრინციპის საფუძველზე მიენიჭა (კლასიკურ ქართულში, როგორც ჩანს, თანხმოვან „სან“ ბგერას ნახევარხმოვანი „აე“ ენიცვლებოდა).

ამავე დროს, ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში იმავე ფინიკიური „სამექ“ ასო-ნიშნის საფუძველზე შეიქმნა „ცან“ — ასო-ნიშანი. ფაქტიურად „სამექ“ ასო-ნიშნის ინვერსიულ ფორმას ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში „ც“ (ცან) ფონემის მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც ჩანს, ბგერათმეცნიერების პრინციპის საფუძველზე („სან“ და „ცან“ — სისინა ბგერებია).

„ცან“ — ასო-ნიშნის ადგილი ქართულ ასომთავრულ ანბანურ მწერეში და მისი იდეოგრაფიულ-აკროფონიული მნიშვნელობა უკვე ცნობილია. აქ ვერაფერს დავუმატებთ.

ქ — ილ

1. კლასიკური ფინიკიური „ზაინ“.
2. ქართული ასომთავრული „ზენ“.
3. ქართული ანტი — „ზენ“.
4. ქართული ასომთავრული „ძილ“-ის შექმნის მეთოდი.
5. ქართული ასომთავრული „ძილ“.
6. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ז	ז	ז	ז	ז	3.000

ასომთავრული „ძილ“ შექმნილია ფინიკიური მე-7 „ზაინ“ — ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე, ოღონდ არა უშუალოდ, არამედ ქართული ასომთავრული „ზენ“-ის მეშვეობით.

როგორც უკვე ცნობილია, ქართული ასომთავრული „ზენ“-ი არის კლასიკური ფინიკიური „ზაინ“ — ასო-ნიშნის ქართული მონუმენტური ნაირსახეობა (იხ. ტაბ. პირველი და მე-2 უჯრედები).

ქართული „ძილ“-ის შესაქმნელად გამოყენებულია ქართული „ზენ“—ასო-ნიშნის ანტიფორმა (იხ. ტაბ. მე-3 უჯრედი). ანტი — „ზენ“-ის ზემო ჰორიზონტალური ხაზის გადაადგილებით მიღებულია „ძილ“ ასო-ნიშნის ჯერ კიდევ არა საბოლოო ფორმა (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი).

ერთი მოკლე დამატებითი ვერტიკალის მეშვეობით საბოლოოდ ჩამოყვეთილია „ძილ“ — ასო-ნიშნის ქართული ასომთავრული სახეობა (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი).

თავისი მოხაზულობით „ძილ“-ი თით-

	1	2	3	4	5
	ⴈ	ⴈ	ⴈ	ⴈ	4.000

ქართული ასომთავრული „წილ“ — ასო-ნიშანი შექმნილია ფინიკიური ანბანის მე-18 „სსადე“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. როგორც ზემოთ უკვე ითქვა „სსადე“ ფინიკურ ანბანში სამ „სან“-თაგან ერთერთია.

ქართულ ასომთავრულ „წილ“-ს საფუძვლად დაედო ფინიკიური „სსადე“ ასო-ნიშნის თავდაპირველი — არქაული და კლასიკური ფორმა (იხ. ტაბ. პირველი უჯრედი). ქართული „წილ“-ი ფინიკიური ასო-ნიშნის მონუმენტური ნაირსახეობაა. ფინიკიური ასო-ნიშნის ფასორხაზებისა და მარჯვენა სრულყოფილი რკალის მეშვეობით მივიღეთ „წილ“-ის დაუმთავრებელი ფორმა (იხ. ტაბ. მე-2 უჯრედი).

ზემო, დამატებითი ელემენტის — რგოლის მიმატებით, ქართულმა ასომთავრულმა „წილ“-მა თავისი საბოლოო სახე მიიღო. (იხ. ტაბ. მე-3 უჯრედი).

ქოს რამდენადმე დამძიმებულია თავის ქვედა ნაწილში, მაგრამ საკმაოდ სწრაფად „ძილ“-ი სხვა ასო-ნიშნებთან მიმართებაში განვიხილოთ, და არა განცალკევებით, რომ ეს შთაბეჭდილება სრულებით გაქარწყლდეს.

წ — ილ

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური „სსადე“.
2. ქართული ასომთავრული „წილ“-ის შექმნის მეთოდი.
3. ქართული ასომთავრული „წილ“.
4. ასომთავრული „წილ“-ის გვიანდელი ფორმა.
5. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

ასო „წილ“-ის მახასიათებელია რგოლი და რკალი. ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკული პრინციპების გათვალისწინების შედეგად ვფიქრობ, რომ „წილ“-ის ძირითადი ელემენტია ქვემო რკალი, რომელიც სიდიდით უნდა სჭარბობდეს ზემო რგოლს.

რაც შეეხება „წილ“ — ასო-ნიშნის გვიანდელ ნიმუშს (იხ. ტაბ. მე-4 უჯრედი) „წილ“-ის ასეთი მოხაზულობა, ეფიქრობ, არ უნდა იყოს გამართლებული გრაფიკული კანონზომიერების თვალსაზრისით.

ჭ — არ

1. კლასიკური ფინიკიური „სამექ“.
2. ქართული ასომთავრული „აე“.
3. ქართული ასომთავრული „ჭარ“.
4. ქართული ასომთავრული „ჭარ“.
5. ქართული ასომთავრული „ჭარ“.
6. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3	4	5	6
ⴗ	ⴗ	ⴗ	ⴗ	ⴗ	5.000

ლი „ეტა“. 6- ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

ქართული ასომთავრული „ქარ“ შექმნილია ფინიკიური „სამეკ“ ასონიშნის საფუძველზე- (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი). „სამეკ“ — ფინიკიური ასონიშნისაგან სამი ასომთავრული ასონიშანია გამოყვანილი: „აე“ — ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში, ხოლო „ცან“ და „ქარ“ — ქართული ანბანის საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში.

ქართული ასომთავრული „ქარ“ უძველეს ეპიგრაფიულ ძეგლებში არ გვხვდება, ამიტომ როგორი იყო მისი თავდაპირველი მოხაზულობა ძნელი სათქმელია. ჩემი ვარაუდით „ქარ“ — ასონიშანი გამოყვანილია ფინიკიური მე-15 „სამეკ“ ასონიშნისაგან და ამ ასონიშნის ერთერთი მონუმენტური ნაირსახეობაა („აე“ და „ცან“ ასონიშნებთან ერთად). ვფიქრობ „ქარ“ მსგავსად „აე“ ასონიშნისა (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი) სემური ძირითადი ფორმის ასონიშანია (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). ვფიქრობ, ასეთი უნდა ყოფილიყო „ქარ“-ის უძველესი მოხაზულობა. იქნებ რამდენადმე მსგავსი მოხაზულობისაა ურბნისის ნაქალაქარის „ქარ“-ი.<sup>1</sup> ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში დღესდღეობით ეს „ქარ“-ის უძველესი ნიმუში უნდა იყოს.

დასაშვებია მეორე ვარაუდიც: ქართულ ასომთავრულ „ქარ“-ში გამოყენებულია ფინიკიური „სამეკ“ — ასონიშნის ყველა გრაფიკული ელემენტი ამიტომ „ქარ“-ს თავდაპირველად ისეთი მოხაზულობა ჰქონდა, როგორც ტაბულაზეა ნაჩვენები (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი). დროთა განმავლობაში „ქარ“-ის ამ მოხაზულობას ზემო ნაწილი მო-

გრგვალდა და ქართული ასომთავრული „ქარ“-ი ლათინურ S — გრაფემას დაემსგავსა. (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი). ვფიქრობ „ქარ“-ი თავდაპირველად რკალური გრაფემა უნდა ყოფილიყო. ქართულ უძველეს ხანმეტურ ძეგლებში „ქარ“-ი წრიული გრაფემაა. როგორც ჩანს ეს მერმინდელი განვითარების შედეგია რაც შეეხება „ქარ“-ის ზემო ნაწილს, თავდაპირველად, ჩემი ვარაუდით, იგი კუთხოვანი მოხაზულობისა უნდა ყოფილიყო, ე. ი. ასო „ქარ“-ი ასრულებდა მონუმენტური დამწერლობის გრაფიკულ პრინციპებს: ასონიშნის ზემო ჰორიზონტალური ზღვარისა და ორი პწკარის გამყოფი ხაზის გრაფიკულ ფუნქციებს. გარდა ამისა ასო „ქარ“-ს ამ შემთხვევაში (ტაბულის მე-4 უჯრედი) გამოყენებული აქვს ფინიკიური ასონიშნის (ტაბულის პირველი უჯრედი) ყველა გრაფიკული ელემენტი, ოღონდ გრაფიკული ელემენტები ქართულ ასომთავრულ „ქარ“-ში გადაადგილებულია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ასომთავრული „აე“, „ცან“ და „ქარ“ ასონიშნებს ფინიკიური „სამეკ“ ასონიშნის ერთიდაიგივე პროტოტიპი დაედო საფუძვლად: „აე“ და „ცან“ ასონიშნებში ფინიკიური პროტოტიპი გამარტივებულია, ხოლო „ქარ“ ასონიშანში კი არა ასეთია ჩემი ვარაუდი.

ბ — ან

1. არქაული ფინიკიური „ხეთ“.
2. ქართული „ხან“-ის შექმნის მეთოდი.
3. ქართული ასომთავრული „ხან“.
4. ბერძნული „ეტა“-ს წარმოშობის გრაფიკული სქემა
5. კლასიკური ბერძნუ-

1	2	3	4	5	6
Ⲑ	Ⲓ	Ⲕ	Ⲇ	Ⲉ	6000

<sup>1</sup> ლევან კილაშვილი „ნაქალაქარი ურბნისი, ძბ., 1964 წ. გვ. 115.

ქართული ასომთავრული „ხან“-ი შექმნილია ფინიკური ანბანის მე-8 ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. ცნობილია, რომ ფინიკურ მე-8 ასო-ნიშანს ჰქონდა ორი ფონემური მნიშვნელობა: „ხეთ“-ისა და „ხეთ“-ისა, ე. ი. „ჰაე“ და „ხან“-ისა<sup>1</sup>. ქართულ ანბანში გათვალისწინებულია მე-8 ფინიკური ასო-ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობანი. ერთ, უპირველეს შემთხვევაში, მე-8 ასო-ნიშანს ქართულ ანბანში „ჰაე“-ს მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა (ამის შესახებ უკვე ითქვა). მეორე შემთხვევაში, ქართული „ხან“ ასო-ნიშნისათვის ქართულ ანბანურ გვუფუში გამოყენებულ იქნა მე-8 ფინიკური ასო-ნიშნის გრაფიკული ნაირსახეობა (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი).

არქაული ფინიკური მე-8 გრაფემის ეს ნაირსახეობა ჯერ კიდევ ცოცხალია და ხმარებაშია V/IV საუკუნეთა მიჯნაზე ძვ. წელთაღრიცხვით.

ქართული ასომთავრული „ხან“-ი (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი) შექმნილია ფინიკური გრაფემის გამარტივების საშუალებით (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი):

1	2	3	4	5	6
Ⲭ	Ⲭ	Ⲭ	Ⲭ	Ⲭ	7000

ქართული ასომთავრული „ქარ“, მსგავსად ქართული ასომთავრული „ხან“-ისა, შექმნილია ფინიკური ანბანის კვლავ მე-8 ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი), ოღონდ „ქარ“ — ასო-ნიშანი კიდევ უფრო გამარტივებულია „ხან“-თან შედარებით. თუ „ხან“-ი ორი გრაფიკული ელემენტითაა გამარტივებული (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი), „ქარ“ გამარტივებულია სამი გრაფიკული ელემენტით (იხ. ტაბულის მე-3 უჯრედი). ქართული ასომთავრული დამწერლობის

ფინიკური გრაფემა ქართულ ასო-ნიშანში გამარტივებულია ორი გრაფიკული ელემენტით: აღსანიშნავია რომ შექმნილი „ეტა“ ასო-ნიშანი (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი) იგივე ფინიკური გრაფემის გამარტივების საშუალებით შეიქმნა (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი): ფინიკური გრაფემა ბერძნულ ასო-ნიშანში აგრეთვე ორი გრაფიკული ელემენტით არის გამარტივებული.

ჩემი ვარაუდით ქართულ ასომთავრულში გათვალისწინებულია ფინიკური გრაფემის გამარტივების ბერძნული მეთოდი. ოღონდ გამარტივების ამ მეთოდის საფუძველზე შექმნილია ბერძნულისაგან განსხვავებული ასო-ნიშნის ქართული გრაფიკული ნაირსახეობა.

კ — არ

1. არქაული ფინიკური „ხეთ“.
2. ქართული ასომთავრული „ხან“.
3. ქართული ასომთავრული „ქარ“-ის შექმნის მეთოდი.
4. ქართული ასომთავრული „ქარ“.
5. ქართული ასომთავრული „ქარ“.
6. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

სიმეტრია — პროპორციების კანონზომიერების შესაბამისად ასო „ქარ“-ის მარცხენა ვერტიკალი გადაადგილებულია და ასო-ნიშნის ზემო ნაწილს შუაში მოუღდის (იხ. ტაბულის მე-4 უჯრედი). ეს არის „ქარ“ — ასო-ნიშნის კუთხოვანა ნაირსახეობა. ჩემი ვარაუდით იმთავითვე უნდა არსებებოდა „ქარ“ — ასო-ნიშნის მრგვლოვანი ნაირსახეობაც (იხ. ტაბულის მე-5 უჯრედი).

ასეთია „ქარ“ — ასო-ნიშნის წარმოშობის ივანე ჯავახიშვილისეული თვალსაზრისი, ოღონდ დიდი მეცნიერი არაფერს ამბობს „ქარ“ — ასო-ნიშნის მრგვლოვანი ნაირსახეობის შესახებ.

<sup>1</sup> იხ. И. Ш. Шифман, Финикийский язык, М. 1963, გვ. 23, 24.

ცნობილი მეცნიერის ვ. ბარდაველიძის თვალსაზრისით ქართული ასომთავრული „ქარ“-ი არის ხარის თავის იდეოგრაფიული გამოხატულება ვ. ბარდაველიძე წერს:

«В наиболее ранних надписях асомтаврული (V—VI вв.) X гортанное представляет собой схематическое изображение символа священного животного пружии—голову, или вернее, морду и рога быка.

В этом нас убеждает и следующие данные: 1. Графема называется грузинским словом хари, обозначающим «бык» и 2. Она относится к так называемым «дополнительным буквам», т. е. к тем, которые не находят себе аналогий ни в греческом, ни финикийско-семитическом алфавитах»<sup>1</sup>.

ამგვარად „ქარ“-ის წარმოშობის შესახებ ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული იყო ორი სხვადასხვა თვალსაზრისი — ივანე ჯავახიშვილისა და ვერა ბარდაველიძისა.

მე ვფიქრობ, რომ ორივე — ეს თვალსაზრისი ქვეშეარტიკა და ურთიერთს არ გამოორიცხავს, არამედ პირიქით ურთიერთს ავსებენ: ქართული ასომთავრული „ქარ“ — ასო-ნიშანი შექმნილია ფინიკიური „ხეთ“ მე-მ ასო-ნიშნის საფუძველზე და ამ ასო-ნიშნის საფუძველზე გამოყვანილია ხარის იდეოგრაფიული ნიშანი.

ვ. ბარდაველიძის გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ქართველ ტომებში უძველესი დროიდანვე არსებობდა ხარის კულტი, რომ ამასთანავე ხარის იდეოგრაფიული ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მრგვლოვანი, აგრეთვე კუთხოვანი.

ქართული ასომთავრული დამწერლობის შემუშავებისას, ვფიქრობ, უნდა ჩათვალისწინებულყო ხარის იდეოგრაფიული ნიშნის ეს თავისებურება, ე. ი. მთავითვე, უნდა არსებულყო „ქარ“ ასო-ნიშნის ორი ნაირსახეობა: მრგვლოვანი და კუთხოვანი.

„ქარ“ ასო-ნიშნის კუთხოვანი ნაირსახეობა კარგად ცნობილია. უთუოდ არსებობდა ასო-ნიშნის მრგვლოვანი ნაირსახეობაც: მცხეთის ჭავჭავაძის კვანძულბუკის წარწერაში ასო „ქარ“-ი მრგვლოვანია ვარდა ამისა, როგორც ამის შესახებ უკვე ითქვა, სომხური ერკათავიგარის ასო „ხე“ უშუალოდ ქართული ასომთავრული „ხან“-ისა და „ქარ“-ისაგან არის გამოყვანილი. სომხურ „ხე“ ასო-ნიშანს საფუძველად დაედო ქართული ასომთავრული „ხან“-ის კუთხოვანი გრაფემა და ქართული ასომთავრული „ქარ“-ის არა კუთხოვანი, არამედ მრგვლოვანი ნაირსახეობა.<sup>1</sup> ვფიქრობ, იმ დროს, როცა სომხური დამწერლობა იქმნებოდა, ქართული ასომთავრული „ქარ“-ის მრგვლოვანი ნაირსახეობის ცოდნაც არსებობდა.

საკითხავია, იცოდნენ თუ არა ძველად საქართველოში ასომთავრული „ქარ“-ის იდეოგრაფიული რაობისა და მნიშვნელობის შესახებ? ვფიქრობ, რომ იცოდნენ. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ასომთავრული წარწერა ქვაზე დვალეთიდან წარწერა დამოაქვეყნა ვახტანგ გამრეკელმა. პატივცემული მეცნიერი წერს:

„წარწერაში ყურადღებას იქცევს ჯერის გამოსახულებათა სიმრავლე (სამსამი). მათ უთუოდ სიმბოლურ-საკრალური მნიშვნელობა აქვთ. ასეთივე მნიშვნელობისა შეიძლება იყოს პირველი სტრიქონის სულ პირველი ნიშანი „ქარ“-ი. ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე ასეთ ნიშანში ხედავს ქართველების საღვთო სიმბოლოს ხარის თავის მთავარი ნაწილების ხაზოვან განსახიერებას. იბადება კითხვა: ქვაზე ამოჭრილი „ქარ“ — ნიშანი ქართველ მთიელთა ტრადიციებიდან ზომ არ მომდინარეობს?<sup>2</sup>

ერთი რამ ცხადია: ქართული ასომთავრული „ქარ“-ის იდეოგრაფიული

<sup>1</sup> იხ. რ. პატარიძე, ერკათავიგარის გრაფიკული საფუძვლები. „მაცნე“. 1970 წ. № 3 გვ. 181, 182.

<sup>2</sup> ვ. გამრეკელი, ისტორიული მასალები დვალეთიდან. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXIV-V თბილისი. 1964. გვ. 100.

<sup>1</sup> В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования... თბილისი. 1957 წ. გვ. 202.

მნიშვნელობა ქართველებსათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

ასო „ქარ“-ი ქართულ დიალექტებში ახლაც გამოიქმნის და დღესაც ცოცხალია.

1	2	3	4		
×	×̄	×̅	8000		

ქართული ასომთავრული „ჯან“-ი შექმნილია ფინიკიური ანბანის უქანასკნელი ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. ფინიკიური ანბანის ასო-ნიშანი „თავ“ ანბანის დასასრულის მაუწყებელია და ჯვარის იდეოგრამაა. ქართული ასომთავრული „ჯან“-ი, როგორც უკვე ითქვა, ჯვარის იდეოგრამაა და ქართული ანბანის დასასრულის მაუწყებელია ცხადია, რა მიმართებაა ფინიკიურ და ქართულ ასო-ნიშნებს შორის: მოქმედებაშია არა ფონეტიკური, არამედ ანბანურ-აკროფონიული პრინციპი.

ფინიკიური „თავ“ ასო-ნიშნის საფუძველზე ქართულ ასომთავრულში შემუშავებულია 3 ასო-ნიშანი: „ტარ“, „ქან“ და „ჯან“ ასო-ნიშნები. „ტარ“ ასო-ნიშანში გამოყენებულია „თავ“ ასო-ნი-

ჯ — ან

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური „თავ“. 2. ქართული „ჯან“-ის შემოსის მეთოდი. 3. ქართული ასომთავრული „ჯან“. 4. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

შნის საშუალო ფინიკიური გრაფიკა, ხოლო „ქან“ და „ჯან“ ასო-ნიშნებში გამოყენებულია არქაული და კლასიკური ფინიკიური ასო-ნიშნის ორი გრაფიკული ფორმა: ერთ შემთხვევაში ჯვარის სწორბაზოვანი ნაირსახეობა + (crux immissa), ხოლო ამ უქანასკნელ შემთხვევაში ჯვარის დიაგონალური ნაირსახეობა x (crux decussata)

ტაბულაზე აღბეჭდილია ასო „ჯან“-ის შემოსის მეთოდი. ასო „ჯან“-ის შემოსის პირიზონტალური ხაზის (დამატებითი გრაფიკული ელემენტის) რაობა და მნიშვნელობა უკვე ცნობილია.

ჰ — აე

1. ქართული ასომთავრული „ლას“-ი. 2. ქართული ასომთავრული „ჰავ“. 3. ქართული რიცხვითი მნიშვნელობა.

1	2	3			
⸗	⸗̄	9000			

ქართული ასომთავრული „ჰავ“ (იხ. ტაბულის მე-2 უჯრედი) ერთადერთი გრაფიკა ქართული ასომთავრული ანბანისა, რომლის გრაფიკული არსი აუხსნელია. პალეოგრაფიული თვალსაზრისით ასო „ჰავ“ უნდა შემუშავებულიყო სემურის ანბანის მე-8 „ჰეთ“ ასო-ნიშნის გრაფიკის საფუძველზე. მაგრამ ეს ასე არ არის: „ჰავ“ ასო-ნიშანს გრაფიკულად სემურ ასო-ნიშანთან არაფერი აქვს საერთო.

ასე ვფიქრობ: ასო „ჰავ“ ხელოვნური გრაფიკული ნიშანია. ამ ასო-ნიშანში განხორციელებულია ქართული ასომთავრულის ზოგადი გრაფიკული სტილი. იგი მთელ რიგ ქართულ ასო-ნიშნებს ჩამოჰგავს, განსაკუთრებით კი ასო „ლასს“ (იხ. ტაბულის პირველი უჯრედი). ცხადი ხდება, რომ ასო „ჰავ“ თავდაპირველი ასო-ნიშანი არ არის ქართული ანბანისა. იგი შექმნილია იმ დროს, როცა უკვე აღარ იყო ან დავიწ-



ყველნი იყო ქართული ასომთავრული დამწერლობის ანბანური სისტემის ცოდნა.

### 9. ქართული ასომთავრული და „ძველ ქართული წარმართული კალენდარი“.

ამ ბოლო ხანებში სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო დაბეჭივებით ვარაუდობენ, რომ უძველესი სემური ანბანური დამწერლობა მთვარის თვის დღეთა სათვალავთან იყო დაკავშირებული, რომ თითქოს უნდა არსებებოდა რაღაც კავშირი ანბანსა და მთვარის კალენდარს შორის. ამ კავშირს ზოგიერთნი ასო-ნიშნების სახელდების პრინციპში ეძებენ. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ასო-ნიშნების სახელებსა და დღეების სახელებს შორის ურთიერთ კავშირია, რომ ასო-ნიშნების მეორეული მნიშვნელობა თვის დღეების აღმნიშვნელია.

გარდა ამისა, გამოთქმულია ვარაუდი, რომ ასო-ნიშნების რაოდენობა სემურ ანბანებში როგორც მთვარის თვის დღეების რაოდენობას ეფარდება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სემური უგარიტული ანბანი, 1400-1200 წწ. ძვ. წ.), რომელიც ან 29 ან 30 ასო-ნიშანს ითვლიდა, ე. ი. ზუსტად შეეფარდებოდა მთვარის თვის დღეების რაოდენობას. ასეთივე ვითარება გვაქვს სამხრეთ-სემურ ანბანში, რომელიც 28 თუ 29 ასო-ნიშანს ითვლის. არაბულ ანბანში 28 ასო-ნიშანია.

ამერიკელი მეცნიერი საირუს ჰ. გორდონი ფიქრობს, რომ არქაულ სემურ ანბანში 27 ასო-ნიშანი უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაახლოებით იმდენი, რამდენი დღეც არის მთვარის თვეში. მისივე აზრით, 22-ნიშნაანი ფინიკიური ანბანი უძველესი 27-ნიშნაანი სემური ანბანიდან უნდა მომდინარეობდეს. პატივცემულ მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნია 22-ნიშნაანი ფინიკიური ანბანი 22-დღიან მთვარის თვეს დაუკავშიროს. უფრო მეტიც, ჰ. გორდონი ფიქრობს, რომ სემური ანბანის ასო-ნიშნების

რაოდენობა მთვარის თვის დღეთა სათვალავმა განაპირობა, რომ სემურ ანბანში ამ აუცილებლობის გამოვლინების შედეგად შეიქმნა.

მოკუსმინით თვით მას:

„Combining the acrophonic principle with the need to list the days of the lunar month, the creators of the alphabet were automatically and subconsciously brought to a great discovery: the phonemic alphabet. It came about because the number of whole days in a lunar month comes as close as possible to the number of consonantal phonemes in Semitic“<sup>1</sup>.

რა შეიძლება ითქვას ასეთი თვალსაზრისის გამო? მე მგონია, რომ თავდაპირველად უნდა შემუშავებულყო ასო-ნიშნების ანბანური მწკრივი და შესაბამისად ანბანური სათვალავი. რაც შეეხება თვის დღეთა აღრიცხვას, ვფიქრობ მეორეულია და ანბანური მწკრივის შესაძლებლობამ განაპირობა.

ანბანში ჩვენ ფაქტიურად ორი სათვალავი გვაქვს: რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი. მაგ.: ასო „ლას“-ი სემურ-ბერძნული და ქართული რიგითი სათვალავით 12-ია, ხოლო ანბანური სათვალავით მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 30.

როგორც უკვე ცნობილია, ერთხელ შემოღებული ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური სათვალავი ყველა უძველეს ანბანში ხელშეუხებელი იყო.

რაც შეეხება ანბანის რიგითი სათვალავით მთვარის თვის დღეების აღრიცხვას, ვფიქრობ, ანბანურმა შესაძლებლობამ განაპირობა და ამდენად მეორეულია, მაგრამ უთუოდ არქაულ დროსვე უნდა არსებებულიყო, როგორც ამას, ყველაზე უკეთ, იქნებ მართლაც, უგარიტული ანბანი ცხადყოფს.

ანბანური მწკრივის პირველი 7 ასო 7 ცას, 7 ციურ სხეულს, მთვარის 7 დღეს შეიძლება აღნიშნავდეს; ანბანური მწკრივის პირველი 12 ასო შეიძლება 12

<sup>1</sup> Cyrus H. Gordon. The accidental invention of the phonemic alphabet. Near Eastern Studies, ტ. 29, № 3, 1970. ჩიკაგო, გვ. 197.

თანავარსკვლავედის, 12 ზოდიაკოს, წლის 12 თვის აღმნიშვნელი იყოს. ამგვარადვე, რატომ არ ვიფიქროთ, რომ უკვე არქაულ ხანაში ანბანური მწკრივი მთვარის თვის დღეთა სათვალავს დაუკავშირეს.

სემური ანბანური დამწერლობის მიმართ ასეთი თვალსაზრისი უკვე გამოთქმულია. რატომ არ გამოითქვას იგივე თვალსაზრისი ქართული ასომთავრული ანბანის მიმართ? მითუმეტეს ასეთი ვარაუდის მტკიცებისათვის ქართულ ანბანში გაცილებით მეტი საფუძველი გვაქვს. მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ:

ქართულ ასომთავრულ ანბანს მთვარის ნიშანი იწყებს და მთვარის სიმბოლო — ხარი ამთავრებს; ქართულ ანბანში რიცხვი 7 მთვარის სიმბოლური ნიშანია; რაც მთავარია, ქართული ანბანი შეიდეულებად ნაწილდება. როგორც ითქვა, სხვადასხვა ანბანურ ასპექტში ქართულ ანბანში შეიდეულების განსაკუთრებული სისტემა დასტურდება: სამი, ოთხი და ხუთი შეიდეულისა.

ანბანში შეიდეულების გამოყოფას მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ცხადია, თუ ანბანში შეიდეულების რაიმე სისტემაა, უთუოდ, ამ გარემოებას ყურადღება უნდა დაეთმოს. ვინ იცის, უძველეს სემურ ანბანთა კვლევა, იქნებ ამ გზით უნდა წარიმართოს.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ქართული ანბანის შეიდეულებს.

ქართული ასომთავრული ანბანის 35 ასო-ნიშანი — ხუთი შეიდეულია. ე. ი. ასო-ნიშნების რაოდენობა ქართულ ანბანში მეტია, ვიდრე დღეთა რაოდენობა მთვარის თვეში. უკვე ითქვა, რომ „ან“-ის სამ შეიდეულსა და „ან“-ისა და „ქარ“-ის ოთხ შეიდეულს ქართულ ანბანში „ღან“-ის შეიდეული აერთიანებს. ე. ი. თუ „ან“-ისა და „ქარ“-ის ოთხი შეიდეული მთვარის ერთი ციკლია, გასარკვევია „ღან“-ის შეიდეულის ფუნქცია.

ვფიქრობ, ეს საკითხი ასო-ნიშნების

სახელდების პრინციპმა უნდა გააჩვევოს.

ერეკნული

„ან“ — სილაბური ერთეული ხელდებული ასო-ნიშნების რაოდენობა ქართულ ანბანში — 21-ია, ხოლო „ქარ“ — სილაბური ერთეულით სახელდებული ასო-ნიშნების რაოდენობა — 7. სულ „ან“-ითა და „ქარ“-ით სახელდებული ასო-ნიშნების რაოდენობა ქართულ ანბანში 28-ა ( $21 + 7 = 28$ ). ქართული ანბანის მთვარის ციკლის ოთხი შეიდეული 28 ასო-ნიშანია.

მაგრამ, უკვე ითქვა, რომ მცხრალი მთვარის შემდეგ ახალ მთვარემდე დღენახევარს ან ორ დღეს მთვარე ცაზე არ ჩანს, ამიტომ მთვარის თვეში ხან 29 დღეა, ხან კი 30 და არა 28, როგორც „ან“-ისა და „ქარ“-ის სახელდების პრინციპით გვაქვს.

აქ უნდა გავიხსენოთ ასო-ნიშნების სახელდების ის შეიდეული, რომელიც მთვარის ციკლის ოთხ შეიდეულს არ განეკუთვნება და ასო-ნიშნების ცალკე შეიდეულს ჰქმნის ცხადია, გასარკვევია რა ფუნქცია აქისრია ასო-ნიშნების სახელდების ამ შეიდეულს.

ეს ასო ნიშნებია:

1. ჭე
2. ძე
3. რაე
4. ჰე
5. ძ-ილ
6. წ-ილ
7. ლ-ას

ამ ასო-ნიშნების სახელდების აზრი და სახელმძღვანელო პრინციპი აქამდე გაურკვეველი იყო, ოღონდ აღვნიშნე, რომ ამ ასო-ნიშნების სახელდება შემთხვევითი და უმიზნო არ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ცნობილია, რომ შემერულ „ან“ ლოგოგრაფას, გარდა „ან“ მარცვლის მნიშვნელობისა, ლურსმულ აქაღურში „ილ“ მარცვლის მნიშვნელობაც ჰქონდა.

ვფიქრობ, ქართული ანბანის მე-5 შეიდეულის „ილ“ სილაბური ერთეულით სახელდებული ორი ასო-ნიშანი (ძ-ილ და წ-ილ) მთვარის ციკლის

28 ასო-ნიშანს ემატება. ე. ი. მთვარის ციკლის 30 ასო-ნიშანს ვლებულობთ.

ასო-ნიშნების სახელდების პრინციპმა ქართული ანბანის 35 ასო-ნიშნიდან 30 ასო-ნიშანი გამოჰყო. ეს 30 ასო-ნიშანი ანბანურად თითქოს მართლაც მთვარეს უკავშირდება და ამდენად თითქოს 30-დღიანი მთვარის თვე იგულისხმება.

მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, რაღა ეუყოთ 5 დარჩენილ ასო-ნიშანს? გარდა ამისა მთვარის თვე ყოველთვის 30-დღიანი არ არის, არამედ ხან 29-დღიანია, ხან კი 30-დღიანი. არც „ძილ“-ისა და „წილ“-ის რიგითი სათვალავი შველის საქმეს: „ძილ“ 30-ე ასო-ნიშანია ქართულ ანბანში, ხოლო „წილ“ 31-ე.

საკითხი ასე უნდა დაისვას: არსებობს კი ისეთი კალენდარი, რომელიც ყოველთვის, წელიწადის 12 თვეს, 30 დღეს ანგარიშობდეს? ასეთია ძველი ეგვიპტური მზის კალენდარი.

ქართულ ანბანში 30-დღიანი თვე მთვარით არის გაანგარიშებული, მაგრამ 30-დღიან მზის თვესა მისაღებებული. ეს დასაშვებია, რადგან ძველად თვე შეიძლებოდა მთვარით ეანგარიშათ, ხოლო წელიწადი მზით.

როგორც უკვე ითქვა, ძველი ეგვიპტელები თვეში 30 დღეს ანგარიშობდნენ, ხოლო წელიწადში  $12 \times 30 = 360$  დღეს. წლის ბოლოს ამ 360 დღეს უმატებდნენ 5 დღეს, რომელიც თვეთა სათვალავში არ შედიოდა და ამგვარად ეგვიპტური მზის კალენდარით წელიწადში 365 დღე იყო. ეგვიპტური კალენდარი ყველაზე მეტად სრულყოფილი კალენდარია კაცობრიობის ისტორიაში.

ო. ნეიგებაუერი წერს:

«Египетский календарь является единственным разумным календарем во всей человеческой истории»<sup>1</sup>.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნების სახელდებამ ეგვიპტური კალენდარის რიცხვები წარმოაჩინა: 30 და

5. საკმარისია 30-დღიანი თვე წელიწადის 12 თვეზე გადამრავლდეს, რომ ქართულ ასომთავრულ კალენდარში ეგვიპტური კალენდარის იდეა დადასტურდეს.

მაგრამ რა უფლების ძალით გადავამრავლოთ 30 თორმეტზე? ცხადია, ეს მართივი არითმეტიკული მოქმედება ისევ ქართულ ასომთავრულ ანბანში უნდა ვეძიოთ; ანბანში უნდა მოიძებნოს ის ასო-ნიშანი, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა არის 30. ქართული ასომთავრული „ლას“-ი რიგითი სათვალავით არის 12, ხოლო მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის 30.

12. ლას — 30.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ლას“ — ასო-ნიშანში მზის კალენდარული იდეის საიდუმლოა დამარხული: რადგან „ლას“-ის რიცხვითი მნიშვნელობა არის 30, ხოლო „ლას“-ი 12-ია, ზომ არ ვიფიქროთ, რომ ქართული ასომთავრულის მზის კალენდარი 12 ლასია ( $12 \times 30 = 360$ ).

აქ ისევ „ლას“-ის საკითხი დგება. როგორც უკვე ვთქვე, „ლას“-ი ერთი გამოწვევის კატეგორიას განეკუთვნება. ასეთი სახელდების სხვა ასო-ნიშანი ქართულ ანბანში არა გვაქვს? რატომ შეერქვა ამ ასო-ნიშანს ასეთი სახელი? რაიმე კავშირი ხომ არ არის ქართული ასომთავრული ანბანის მზის კალენდარულ იდეასა და „ლასს“ შორის?

ცნობილია, რომ მზე თავისი წლიური მოძრაობისას ეკლაპტიკის გზაზე 12 თანავარსკვლავედს ანუ 12 ზოდიაქოს გაივლის. ამიტომ მზის კალენდარული იდეა უძველესი დროიდანვე დაკავშირებული იყო ზოდიაკალურ ნიშნებთან.

ვერძის ეპოქაში გაზაფხულის დღელამ ტოლობისას ანუ გაზაფხულის ბუნიობას მზე ვერძის ზოდიაქოში შედიოდა. ამიტომაც 12 თანავარსკვლავედისა ანუ 12 ზოდიაქოს თანამიმდევრობაც ამ გაზაფხულის თვის ზოდიაქოთი იწყებოდა. ამ ზოდიაქოთა ძველი ქართული სახელები შემდეგია:

1. ვერძი

2. კურო

<sup>1</sup> О. Невгебауер. Точные науки в древности, м., 1968, стр. 73.

3. ტყუბი (მარჩბივი)
4. კირჩხიბი
5. ლომი
6. ქალწული (სახვი)
7. სასწორი (მეუღლე)
8. ღრიანკალი
9. მწვილდოსანი
10. თხის რქა (ვაცი)
11. წყლის საქანელი (მერწყული)
12. თევზი.

თავის წლიურ მოქცევას მზე თევზის ზოდიაქოში ასრულებდა.

თუ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზის კალენდარული იდეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის მე-12 „ლას“ — ასო-ნიშნში მზე თავის წლიურ მოქცევას ამთავრებს. თუ ეს ასეა, სიტყვა „ლას“ თევზს უნდა ნიშნავდეს.

ქართული წარმართული პანთეონის „ლას“-ის რაობა და მნიშვნელობა, ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, ამოიკნო და გაარკვია ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიის ფუძემდებელმა აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ.

გ. ჩიტაიას თვალსაზრისს, წარმართულ საქართველოში თევზის ღვთაების კულტის არსებობის შესახებ,<sup>1</sup> კიდევ უფრო ცხადყოფენ ქართლში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალები (ქვეყნდება პირველად):

სათევზაოდ რომ წავიდოდით, ვიტყოდით — „ღმერთო და ლასას მადლო დაგვაპერინე და პირველად შენ დაგიკლავთ თევზსო“, — მართლაც, რომ დავიჭერდით, კარგ თევზს ამოვარჩევდით და ლასას შესანდობარს დავლევდით.<sup>2</sup>

თევზების შემწეს ჩვენ ლასს ვეტყოდით. როდესაც სათევზაოთ წავიდოდით, ღმერთს კი არ შევევედრებოდით, არამედ ლასსა, — „ლასის მადლო გვაშოვნინე თევზი“-ო. ლასს თუ უნდოდა გვა-

შოვნინებდა და თუ არა, მაშინ არა, როცა თევზებს ყრილობა ჰქონდა, ვთქვათ მოწინავე, მოთავე დაიღალა და ვერაფრით უნდა წავიდეს წინ, მაშინ ლასს ვჩვენებდა საქმეს, უფროსი იყო... პურის ქამაზე რომ დავსხდებოდით, ვიტყოდით — „გაუმარჯოს ჩვენს ლასსა, რომ თევზი გვაშოვნიაო“.<sup>1</sup>

უნდა დავასკვნათ: წარმართულ საქართველოში არსებობდა თევზის ღვთაების კულტი. ქართული ასომთავრული ანბანის მე-12 ასო-ნიშნის „ლას“-ი ეწოდება. უნდა ვიფიქროთ, რომ „ლას“-ი თევზის ღვთაების ვარსკვლავური, ზოდიაქალური ნიშანია, სადაც მზე თავის წლიურ მოქცევას ასრულებს. შეიძლება თუ არა ასო-ნიშნის „თევზი“ ეწოდოს? ფინიკიურ ანბანში მე-14 და მე-15 ასო-ნიშნებს „თევზი“ ეწოდება.

ასო-ნიშნების სახელდების ქართული ასომთავრული პრინციპით „ლას“-ი ერთადერთი გამონაკლისია, რომელსაც ქართული სახელი მიემატება. ასომთავრულ ანბანში დასტურდება ძველქართული წარმართული პანთეონის კიდევ ერთი ღვთაება — „ლას“-ი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ „ლას“-ი იდეოგრაფია-აქროფონი არ არის, არამედ მხოლოდ აქროფონია, რადგან იდეოგრაფიულად ასო-ნიშანი თევზის ნიშანი არ არის.

შეიძლება დავასკვნათ: ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მზის კალენდარული იდეა. ქართული ასომთავრული ანბანის მზის კალენდარით ყოველი თვე 30 დღეს შეიცავს, ხოლო დარჩენილი 5 ასო-ნიშანი — 5 დღე. ეს არის ე. წ. ეპაგომენი, რომელიც ემატება 360 დღეს (12×30), რაც მზის 365-დღიან წელიწადს გვაძლევს.

შესანიშნავ გამოკვლევაში „ძველქართული წარმართული კალენდარი“ პავლე ინგოროყვამ თქვა:

„მეორე ვარიანტი უფრო გამარტივებულს აღრიცხვას შეიცავს. აქ თვით-

<sup>1</sup> გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული ემპირიკა იმერეთში. ენიმკის შოამბე, ტ. II, ნაკ. 3, თბ., 1937. გვ. 339.

<sup>2</sup> შინაპრეწელობა. M. II. მეთევზობა. ხელნაწერი. საჭ. მეც. აკად. ისტორიის ინ-ტი. ეთნოგ. განყოფილება. გვ. 9.

ულს ზოდიაქოს — თვეს მიკუთვნებული აქვს ოცდაათ-ოცდაათი დღე, ხოლო განსხვავება ხუთი დღე ემატება ზაფხულის თვეების ბოლოში... ძველ-ქართულ წარმართულ კალენდარს თავის განვითარებაში რამდენიმე საფეხური გაუვლია და შენახულა ჩვენებანი იმის შესახებ, რომ უფრო ძველ ხანაში ძველ-ქართული კალენდარი მეორე ვარიანტის აღრიცხვას მისდევდა...<sup>1</sup>

ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა დაადასტურა პაეღე ინგოროყვას ეს თვალსაზრისი- სიტყვა პაეღე ინგოროყვას ეკუთვნის.

ამით დასრულდა ჩემი გამოკვლევის შემოკლებული რედაქცია. ვრცლად და დაწვრილებით ქართული ასომთავრული ანბანის ყოველი საკითხი განხილული მქნება ცალ-ცალკე.

284 წელს ძველი წელთაღრიცხვით, როცა შემოღებულ იქნა ქართული ასომთავრული ანბანი, ეს თარიღი ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამად იქნა მიჩნეული წელთაღრიცხვის შემოღება კალენდარის გარეშე შეუძლებელია. ქართულ ასომთავრულ ანბანში ძველ-ქართული წარმართული კალენდარი დევს.

სრულიად-ქართული ანბანისა, ქართული წელთაღრიცხვისა და ქართული კალენდარის შემოღების თარიღია 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა. ეს მოხდა 2256 წლის წინათ.

მაგრამ, როგორც კვლევა-ძიებამ ცხადყო, ქართული ანბანი შექმნილია უფრო ადრე, V—IV საუკუნეთა მიჯნაზე ძველი წელთაღრიცხვით ქართველ ქურუმთა წიადში.



<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი. საქ. მეზეუმის მოამბე. ტ. VI. 1929. 1930. ტფილისი. 1931 წ. გვ. 422, 423.

## «50 წელი საქართველოს მშენებლობაზე»

ეს რეცენზია მხოლოდ წიგნთან ნაცნობობისა და მისგან მიღებული შთაბეჭდილებების შედეგი არაა, ამ წერილის დაწერის მიზეზი წიგნის ავტორთან პირადი ნაცნობობაც ვახლავთ, თუმცა ეს წიგნი რომ არა, პირადი ნაცნობობა და მით გამოწვეული აღტაცება მემუარული სტრაქონების ჩარჩოში შეიძლება ჩატეულიყო.

დრო და დრო, როცა კარლო მორეტის ლაბორატორიის ვეცნობოდი, ხოლო ახლა მისი მოვონებები წავიციოთ, დაერწმუნდი, რომ ეს წიგნი იმ მასალასთან შედარებით, რაც პრაქტიკული მოღვაწეობის დროს ავტორს დედგროვებია, მაართლაც რომ წვეთია ზღვაში. სწორედ ამიტომ უფრო გამიზნდა სურვილი. ამ წიგნისა და მისი ავტორის შესახებ ერთი პატარა სამადლობელი წერილი დამწერა, ორმაგი შრომის, ფასდაუდებელი დეაქლის სანაზღაუროდ: ერთი რომ, თითქმის სამოცი წელი მას საქართველოს მშენებლობებზე აქვს გატარებული და მეორეც — ასე საინტერესოდ დაწერალი წიგნი რომ შემოვთავაზა, რომელსაც საქმისადმი პროფესიული და ღრმა ცოდნა გამსჭვალავს და შრომისადმი უსაზღვრო სიყვარულითაა შეთავონებული და აღვსილი: ამ სიტყვების პირდაპირი და საუბრთესო გაგებით.

კარლო მორეტის შესახებ მსუნეოდა, გერამ არც პროფესია და არც ნაცნობების წრე საშუალებას არ მძალედა პირდად გაცნობოდი მას. და იგი, ამ რამდენიმე წლის წინ მოზდა ისე, რომ შორეული სტუმრის ნეშეეობით მოეხედი მის თაქამში...

მისი ბინა, წიგნები, სურათები სავსე აღბოშები, რომლებიც სტუდენტებსა სამშენებლო ობიექტების მშენებლობის ეტაპების ამსახველ უნიკალურ ფოტოებს შეიცავენ, მშინევე საინტერესო საუბრისათვის ვანგაწყობით. კარლო მორეტის უშერეულად ფიყვებათ თავის ბიოგრაფიას. კარლს უფროს ქართულად, რუსს — რუსულად, გერმანულს — გერმანულად, იტალიელს — იტალიურად, გიყვებათ დღენიდაც შრომამი და რძღმ-

ნებაში გატარებულ დღეებზე, რომლებიც დღეს უკვე ვანუოფელი ნაწილია საქართველოს სამშენებლო ისტორიისა და თუ თხრობას თან ახლავს საილუსტრაციო მასალაც, რამდენიმე წუთის მანძილზე ათეული ფოტოსურათის მოშველევებით თქვენს თვალწინ „აშენდება“ ესა თუ ის ხეროთომოდერული ძეგლი, დაწვებული საბიძკელის გათხრით და გადაბრევით დამთავრებული.

... კარლო მორეტის მშობლები იტალიის გვიდრნი ყოფილან, ხოლო თეითონ იგი 1899წ. თბილისში დაბადებულა. საყუთარ ბიოგრაფიას წიგნში ძალიან ძუნაად გვაცნობს, თუმცა, როგორც რამდენიმე ცოცხლად აღწერილი შტრახიდან ჩამს, საქმაოდ საინტერესოცაა. გერმანულ სკოლაში უსწავლია, მერამ ჩადგან მამამისი — ბაქო მორეტო მოზაეისა და მარნაირლოზე მომწვევე ოსტატი, მალარიით დაავადებულა, უკვე 1914 წლის 10 ივნისს თხუთშეტი წლის შვილი მამას სამეშაოზე გაუშვესებია და ამ დღის შემდეგ, როცა მან ა.ო. ნოვაეის ფირმის ორსამენებლოერი ქანდაეების სახელოსონს ზღურბლს გადააბიჯა, დაიწყო კარლო მორეტის შრომიით ბიოგრაფია. იმავე წლის ივლისში მან კინოთეატრ „აპოლოს“ (ახლანდელი „ოქტომბერი“) სამშენებლო ობიექტზე შედგა ფეხი და დღემდე იგი თავის საქმისა და პროფესიის თევენისსემეული დარჩა, დღემდე ამ საქმის სიუვარულით სუნთქავს და ცოცხლობს. თითქმის სამოცი წელი კ მორეტის მონაწილეობის გარეშე თბილისში და საქართველოს მრავალ სამშენებლო ობიექტზე, როგორც იტვიანი, ქეად არ გადაბრუნებულა. ხოლო ცხოვრების ორმოცდაათი წელი საბჭოთა საქართველოს მშენებლობის სავადამსხვა ობიექტების ხარაოებზე გაუტარებია უფრო უშერეული და უანგაროა კ. მორეტი, როცა იგი თავის ცოდნას უზარმაზარ პრაქტიკულ ვანოცდილებას მომავალ თაობას, მომავალ მშენებლებს უზიარებს. წიგნი დასაწყისიდანვე გიზიდაეთ: ამის მიზეზი კ მრავალია.

შეუძლებელია მეოცე საუცუნის დასაწყისში თბილისში ეცხოვრა აღამამს და არ შეენიშნა

1 К. Моретти. «50 лет на стройках Грузии». «Сабхота Сакартвелოს», 1971.

ის რევოლუციური სულისკვეთება, რომელიც ახლანდელმა თაობამ მხოლოდ წიგნებითა და კინოფილმებით იცის, კ. მორტიე მაშინ შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ თვითმხილველია ბევრი საინტერესო მომენტისა, რომელთაც დღეს ჩვენ რევოლუციური ვატირაციის ეპოქის ეფწოდებთ, ყურადსაღებია ის ვარიანტები, რომ წიგნს წითელ ზოლად გასდევს ძველი თბილისის სტრატის აღწერა, რათა ჩვენთვის უფრო ცხადი და ნათელი გახდეს ის ცვლილებები, ის მტკა-მორტოხა, რაც ქალაქმა განიცადა მომდევნო ხანაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორმა ამას არა თუ მხოლოდ თბილისის შავლობაზე ახერხებს, არამედ მის წიგნში საქართველოს სხვა მრავალ ქალაქსა და დასახლებულ ადგილს ევლება სახე, როგორც კი იქ ვერ არქიტექტურული გეგმა გაჩნდება და ცოტა ხნის შემდეგ მშენებელთა ბრძოლები შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას.

კ. მორტიე მოკლედ მოგვიხიბობს თავისი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ფრიალ საინტერესოა ის ამბავი, როცა ჯამუშემა შანტაჟის გზით ცდილობენ ჩამოაცილონ იგი რევოლუციურ საქმეს, რადგან იგი წარმომადგენელი იქნა, ამდენად თითქმის მას არ ჰქონდა უფლება რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობა მიეღო. შემდეგ კი ციხე და საჯანი, სადაც იგი აღმოჩნდა ვანო ბოლქვაძის, თენგიზ ფლენტის, სანდრო ევლის, იაკინთე ხოშყვიანის (ლასაშვილი) და სხვ. გამოჩენილი ბოლშევიკების გვერდით. კარლო მორტიეს რევოლუციური მოღვაწეობის სასაზღვრად საბუთად ზემოთ ჩამოთვლილი გვარებუც კმარა.

წიგნი საინტერესოა იმიტომ, რომ კ. მორტიეს ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა იმ ეპოქაში, როცა ძალიან ბევრი, თითქმის ყველაფერი ახალ წამოწყებას, ახალ შემოქმედებით აღმავრდნას უვრებოდა საფუძველი და მოკლუხანში ფრთხვს ისხამდა. ეს ის დროა, როცა სახვლიოდაც კი არა, ერთი საათითაც კი საქმეს არაფერ გადაღებდა, მაგრამ ამით არაფერითა შემთხვევაში საქმეში წუნის არ დაშვებოდა. აქ მსოფლიო მშენებელი იქვე სინაწლით შენაშავს ზოგჯერ თუნიათო მშენებლის შესახებ: სად გავიწილა სახლი ააშენო და პირველ სართულზე განლაგებული მალაზიებისათვის განკუთვნილი ფართობის საქმსპლოატაციოდ გადაეცემს წლები მოანდომოთ? /გვ. 59/ ასეთი რამ თურმე მაშინაც არ ხდებოდა, როცა მშენებლობისათვის საქარო პროფესიული მუშა-მოსამსახურების ნაყრბობას განვიდიდებენ.

კ. მორტიეს ერთ-ერთ პირველთაგანს ეძღვრათ წითელი არმიის რიგებში, შემდეგ იგი ბეჭდვით საქმეს ხელმძღვანელობს თბილისში, ხოლო როცა 30-იან წლებში იწყება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მშენებლობა, იგი თავისი ფეხით მიდის მშენებლობაზე და დროებით მიტოვე-

ბულ პროფესიას უბრუნდება. ამ არქიტექტურული ძეგლის მშენებლობას რჩენილებით აღწერს — საინტერესო ინტერესებით, შიგა და გარეთა მოსაპირკეთებელი სამუშაოებით დამოატრებული, რომ არაპროფესიული მკითხველისთვისაც კი ნათელი ხდება სამშენებლო საქმის რთული და საპატიო პროფესიის უდიდესი მნიშვნელობა.

„ეპოქის შესანიშნავი ძეგლი“ ასეთი სათაური აქვს კ. მორტიეს წიგნს იმ თავს, სადაც აღწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მშენებლობა, რომელთაც ფაქტურად იწყება სამუშაოთა ხელისუფლებისდროინდელი საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლების მშენებლობის ისტორია. როგორც წიგნის ამ მონაკვეთში ასევე დანარჩენი ამბების თხრობისას ავტორი მოკლედ, საქმიანად, უაღრესად კომპაქტურად, მრავალრიცხოვანი ფაქტების პროფესიული ცოდნითა და მოშველიებით მკითხველისათვის ნათელს ხდის საქართველოში მშენებლობის პირველი გვიანტური ნაბიჯების სახალსო და ერთ-ერთ მნიშვნელობას.

წიგნში ფრიალ საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ კ. მორტიე საქართველოში მშენებლობის ამბებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოგვკვამს, რომლის დროსაც თვალნათლივ ვეცნობით სამშენებლო საქმეში მიღწეულ ტექნიკურ პროგრესს. ეს ძირითადად ეხება მშენებლობის ტექნიკურ აღჭურვილობას და სხვადასხვა სპეციალობის დახმავებას, ე. ი. თითოეული სპეციალისტის დანიშნულებას და მის მოქმედების სფეროს ობიექტზე. როდესაც საინტერესო ვეყურებთ ჩვენ თბილისის და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში აშენებულ ხუროთმოძღვრულ ღირსშესანიშნაობებს, პირველ რაგში ბევრი მათგანი გვაშხსოვრდება გარეგანი შეხედულებით, მისი ფასადებით, ისე რომ სწორად შევნით არც კი შევდივართ, და არასოდეს არ გვეფიქვანა რაოდენ რთული, შრომატევადი და ფაქიზი ყოფილა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მოსაპირკეთებელ სამუშაოების პროფესიულ ხელოვნათა ხელგარჯილობას წიგნში საქმიანად ადგილი ეთმობა და ავტორიც დიდი სიყვარულით ლაპარაკობს ამ აღმანიშნებზე, რომლებიც თითქმის ყოველთვის საწითლი საქმარის არიან.

წიგნში ცალკე მონაკვეთი აქვს დამომაილი საქართველოს დედაქალაქის მშენებლობებს, აქ ჩვენ ვეითხვობთ უმარავი ობიექტების მშენებლობის ისტორიას, მთაწმინდის ზემო პლატოზე აღმართული შენობის ისტორიას, 1938 წ. საქმსპლოატაციოდ გადასცემი სკოლების მშენებლობის ისტორიას. მაგრამ ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა და შემდეგშიც მოგვიხდება ჩამოთვლა, დარჩებოდა მშრალ ფაქტებად, დაწყებულა და შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ ნუსხად, რომ ავტორი მხატვრულად და დამაყ-

რებლად არ აღწერეს ხალხის თავდადებულ და დაუღალავ შრომას. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ის შრომითი პათოსი, რითაც თბილისის მშენებლები იყვნენ შეპყრობილი, და ისინი რომ არა, მაშინ ალბათ ასე სწრაფად არც ჩვენს დედაქალაქს ეცვლებოდა სახე, მაშინ ალბათ არც ამდენი საინჟინო გეგმეობა დღევანდელ დღეს.

იმავ პერიოდში შენდებოდა თბილისის პირველი „ცთამბაყენი“ გმირთა მოედანზე და იქვე ცოცხლდება, და თუ ყოველივე ამას დამატებთ თბილისის ქუჩების, სკვარების, ხიდების მშენებლობას და ვეღაფერს მაშინდელი თბილისის რუკაზე აღნიშნაეთ, მაშინ ჩვენი დედაქალაქი ხარაჩოების ტყეში უნდა წარმოვიდგინოთ.

წიგნში ჩვენ გავცნობით ომის პერიოდში მშენებლობის საქმეში მოხდარი ცვლილებებს, თუ როგორ მოხალისებულად შენდებოდა ამ ობიექტები რომლებიც დრონებს ეხმარებოდნენ. თბილისში ასეთთა რიცხვს განეკუთვნებოდა: საავიაციო ქარხნის მშენებლობა, რომელიც ქართული მშენებლების, ამერასა და იმერის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების კოლექტიური და თავდადებული შრომის ნაყოფია ძნელდებდობის ხანაში.

წიგნში პებლიცისტის მხატვრული თვლითაა აღწერილი ომისშემდგომ ზეოქლედში /1946-1950წ. წ./ თბილისში ფართო მასშტაბით გაჩაღებული ბინათმშენებლობა, რომელიც ზორცილდებობა უმუალოდ „თბილისეის“ მუშეობით და რომელსაც ე. მორტი ხელმძღვანელობდა. რამდენი ენერჯია, უძილო ღამე წაიღო მშვიდობიან ხანაში წამოწყებულმა სამუშაოებმა. იწყებოდა ომისშემდგომი პერიოდის გრანდიოზული გარდაქმნები, რაც დღესაც დიდი მასშტაბით გრძელდება არა თუ საქართველოს, არამედ მთელი ქვეყნის ყველა კუთხეში. ახალმა მშენებლობებმა ბევრი, შეიძლება ითქვას, უამრავი საქარბორტო საკათხი დასვა ზურთთმოდებართა წინაშე. რა რავადაც იზრდებოდა მშენებლობაში დანერგული რაციონალიზატორული წინადადებების რიცხვი. წავიდა ის დრო, როცა ყველაფერი ან არადა თითქმის ყველაფერი ზელოთ კეთდებოდა. წიგნში მოთხრობილია მშენებლობის საქმეში ტექნიკური აღჭურვილობის დარგში მოხდარი მარტული ცვლილებები, ავტორი ხშირ შემთხვევაში ვეთავაზობს კვალიფიკტორი აქტივტატორების მშენებელი ინჟინრების, საქარბოოს ხელმძღვანელების, ტექნიკური პერსონალის, მშემების, რაციონალიზატორებისა და გამოგონებლების, ამ მრავალრიცხოვანი არმიის, წარმომადგენლების გვარებს.

თუთველი მნიშვნელოვანი აქტივტატორული ამსაბლის, მნიშვნელოვანი ობიექტის, ან საერ-

თოდ მნიშვნელოვანი ნაგებობების მშენებლობას თან ახლავს აუცილებელი ტექნიკური უშუალოდ ობიექტის მოტექნიკური მშენებლობა, ავე მოთხრობილია მუშაობის პროცესში წარმოშობილ სირთულეების დაძლევისათვის გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებზე. ასეთები მრავალადა წიგნში; შეუძლებელია აღილეველად წავიკოთოთ ის ადგილები, როცა ავტორი ეხება საქართველოს ეკონომტეზე გააღებულ მშენებლობებს, საქართველოს სხვადასხვა რაიონების, ქალაქების და სამხტრნალო ცენტრების გარდაქმნებისა და რეკონსტრუქციების პროცესში. წიგნში ერთ-ერთი ინტერესოო მოწაყვეთია ის ადგილი, როცა ე. მორტის ვხედავთ სხვადასხვა ობიექტებზე: ბორჯომში, წყალტუბოში, მეგრში, გავრამში, კახტში, და სხვა ასე გაატარა მან დარში თუ ავღარში, დღეები, თვეები, კვირები, წლები. რთულ სამშენებლო ობიექტთა რიცხვს განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო ინსტრუქტის ამსაბლის მშენებლობა დღევანდელი ყველგან, ყოველთვის ავტორი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ჩამოთვლის აქტივტატორთა, მხატვართა, მოქანდაკეთა და მშენებელთა მთელ ზედადას, რომელთა ხელით იქმნებოდა და დღესაც იქმნება ახალი თბილისის და ახალი საქართველოს ზურთთმოდებრული რუკა.

ძალიან საინტერესოა ის ადგილები, სადაც ავტორი პროფესიული მშენებლის თვლით აღწერს ჩვენ ისტორიულ ძეგლებს. ასეთებია: გელაისი, ვევეთის, ბაგრატის ტაძრის ზურთთმოდებრული ამსაბლების აღწერა, რაც თავისთავად დიდ ღირსებას მატებს წიგნს.

ერთი წაკითხვით და თუ გნებავთ რამდენჯერმე მოსმენითაც ძნელი ხდება თანმიმდევრულად ვაადენო თვლი ე. მორტის პრაქტიკულ მოღეწეობას. ახლა, როცა სამშობლოს რუკაზე ერთმანეთის მიწრით კიაფოვს მნიშვნელოვანი მშენებლობათა ნათურები, ყველაზე უფრო ალბათ ე. მორტისა და მისთანებს ევსებთ სიამაყით ვუღრ, რადგან მათ თვალწინ ბეჭეი საინტერესო ზურთთმოდებრული ძეგლის მშენებლობის წარსული ცოცხლდება.

ალბათ არც ერთი დარგის მუშაეს არ უხდება იმდენ „წერაილმან“ და „მსხვილ“ სირთულეებთან შეუილება, როგორც მშენებლებს. ამის საილუსტრაციოდ ე. მორტის მთელი წიგნი გამოდგება. მავრამ სხვა მრავალთან ერთად, ისინი ერთი რამითაც არიან ვამსაყუთრებთ ბედნიერნი. ეს არის ის, რომ ყველა მათი წამოწყება,

1 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსის მშენებლობის შესახებ იხილეთ ე. მორტის წიგნი: К. В. Моретти, „Строительство Грузинского сельскохозяйственного института в Дигომ“, 1971.



ყველა მათი ნიშნის დაკერა კეთილად მთავრდება და ნამოღვაწარი ყოველთვის ხელთუქმნელ ძეგლად დგას.

ახელი წერა მშენებლებზე, არქიტექტორებზე და არ ილპარაკო მათივე ვნით. მაგრამ სპეციფიკურ ტერმინოლოგიას მოვერიდებ, თუნდაც იმიტომ, რომ გადატვირთავდა წიგნისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალულ ლირიკულ წილსელას. წიგნი წამოყენებული და პრაქტიკულად გადაჭრილია მრავალი წინადადება, რომლებიც ჩვენს მშენებლებს ძალიან გამოადგებათ, თუკი ისინი თითოეულ მათგანს განხორციელებენ. ასეთებია მე-14, 53-ე, 59-ე, 122-ე, 145-151 გვერდებზე ავტორისეული წინადადებები, რომლებიც წლების მანძილზე დაგროვილა პრაქტიკული საქმიანობის შედეგაა.

გამსაყურებელი საინტერესოა, ჩვენ ვიცხოვრობთ, უაღრესად საინტერესოა, წიგნის ბოლო თავები, როცა ავტორი მშენებლობის საქმის პრაქტიკული ცოდნის გაზიარების მიზნით მოგზაურობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ფიხელში. ბევრი მოგზაურის, სხვადასხვა პროფესიის შობაბუნძულები მოგვიამენია და წაგვიყობხავს, მაგრამ პროფესიონალი მშენებლის თვალთ დანახული ესა თუ ის ქვეყანა, ესა თუ ის ქალაქი პირველად ამ წიგნში ვხილავ. გდრ და ფინეთის ბევრი ქალაქი და ამ ქალაქების ღირსშესანიშნაობები ისეთი პრაქტიკული თვალთა აღწერილი, რომ ხშირად არქიტექტურულ აღწერილობას უბრუნდებით და ხელახლა კითხულობთ, რათა უფრო ცოცხლად წარმოიდგინოთ რომელიმე ხტრომოდერული ძეგლი. აქვეა გადმოცემული ის პრაქტიკული წინადადებები, რომელთა გაზიარება და დანერგვა ჩვენს მშენებლებს ბევრ სიკეთეს მოუტანს.

საოცარი გულახდილობითა და მიუკერძოებელი საუბრით გამოირჩევა კ. შორტის აღნიშნული წიგნი, რომელიც მოგონებებს სხვადასხვა მშენებლო ობიექტზე მუხლჩაუდგამი მშენებელი სიამოს „ცხელ გულზე“ თერზე განვლილი დღის ავ-კარგს ინიშნავდა, ინიშნავდა დღეების, კვირების, თვეების, წლების მანძილზე და შემდეგ კი მოკლედ მონათხრობის სახით მიაწოდა მკითხველს.

ასეთ წიგნებზე შენიშვნებსა და საყვედურებს ძალიან იშვიათად გამოთქვამენ, რადგან, ჩვენს ღრმა ჩრწენით, შეზინებულზე უკეთ მასმა დამწერმა იცის წიგნის ავარჯი. ამიტომ ამ „ტრადიციას“ არც ჩვენ დაეარდევით, თუმცა სურვილი გვექნება ეს წიგნი ქართულ ენაზედაც გამოვიდეს, უფრო მდიდრულად ილუსტრირებული. თუნდაც იმიტომ, რომ წიგნის ტირაჟი ძალიან მცირე — ორი ათასია.

ბოლოს ავტორს მივცეთ სიტყვა:

„რამდენიმე ათწლეულით უკან რომ მოიხედავ, სასიამოვნოა იფიქრო იმაზე, თუ როგორ გაიფურჩქნა საქართველო ამ ხანაში, როგორ იცვალა მან იერი, როგორ გაშვენიერდა, და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით მათ, რომლებიც ავტრით აღმართავენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სასახლებებს და ხიდებს, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და ძალას ახმარდნენ იმა, რათა დღეს აღამიანებს მობერბებულად, ფართოდ ეცხოვრათ, რათა მათი ქალაქები, ღამაზ და გამძლე შენობებს დაემშვენებინა, რათა საუკუნეებში დარჩენილიყვნენ ჩვენი დიდი ეპოქის ჩინებულ ძეგლებად“.

ნოდარ რუსაძე.

8560 80 333.

ИНДЕКС  
76128

**„М Н А Т О Б И“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**